


K 157 137  
3

ბ. მანჯბალაძე



ტერკენული  
კოლონიისტები  
პერიპროპროსიები

• მ ე ც ნ ი მ რ მ ბ ა •  
1 9 7 4



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 ბიბლიოთეკა

გ. მანჯგალაძე

K 157137  
 3

გერმანელი პოლონისტები  
 ამერიკაში

საგზ-2000  
 ფაილული

გ. მანჯგალაძის სახ. საქართველოს  
 მეცნიერებათა აკადემიის  
 ბიბლიოთეკა



გამომცემლობა „მეცნიერება“  
 თბილისი  
 1974

9(C4)

9(47.922+43)

პ 286

ნაშრომში გაშუქებულია ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტთა ისტორიის საკითხები: კოლონიების დაარსება და ისტორიული განვითარება, კოლონიების სოციალურ-ეკონომიური განვითარება (ადმინისტრაციული წყობა, მიწათმფლობელობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ხელოსნური წარმოება, ვაჭრობა, სასწავლებლები, საზოგადოებრივი დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლონიების მოკლე ეთნოგრაფიული ნარკვევი), კოლონისტების კავშირურთიერთობა გერმანიასთან. ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტები პირველი მსოფლიო ომისა და ინტერვენციის წლებში.

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

XIX საუკუნის დასაწყისი საქართველოს და ამიერკავკასიის ისტორიაში რუსეთთან შეერთებით აღინიშნა. ამ აქტის დადებითა შედეგებმა მალე იჩინა თავი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა დარგში. თუმცა „რუსეთის მიერ მისი ეკონომიური „დაპყრობა“ გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა“<sup>1</sup> და რუსეთთან შეერთების პირველი წლების განმავლობაში მხარე ძველი, ადგილობრივი ეკონომიური გზით ვითარდებოდა, მაგრამ შექმნილმა ხელსაყრელმა პოლიტიკურმა პირობებმა გზა გაუხსნეს საწარმოო ძალთა განვითარებას და ქვეყნის საერთო ეკონომიური აღმავლობა გამოიწვიეს.

რუსეთთან შეერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხებისათვის, მათი ეროვნული კონსოლიდაციის და სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით.

ცარიზმის მიერ ამიერკავკასიის ეკონომიური დაპყრობა, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, ძირითადად ორი მოვლენით გამოიხატებოდა:

1. ამიერკავკასიის ეკონომიური დაპყრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს მისი ბაზრის რუსეთის სავაჭრო სამრეწველო კაპიტალის მიერ უშუალო დაპყრობა წარმოადგენდა.

2. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან, მხარეს წარმოადგენდა „კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია“<sup>2</sup>... და მის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ყოველმხრივ შევიწროება.

მაგრამ ეს კოლონიზაცია, განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში, პოლიტიკურ მიზნებსაც ისახავდა, რომელსაც ცა-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 703 (აქ და შემდგომ მითითებანი ვ. ი. ლენინის შრომებზე მოცემულა თხზულებათა მე-4 გამოცემის მიხედვით).

<sup>2</sup> იქვე.

არიზმი არანაკლებს, ხოლო ზოგჯერ უახლოეს და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა<sup>3</sup>.

1801 წელს საქართველოს, უფრო ზუსტად, ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებით რუსეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, იყოველის „აღმოსავლურ“ პოლიტიკაში, რომლის საბოლოო მიზანს კონსტანტინეპოლის და ბოსფორის დაპყრობა და შავი ზღვის რუსეთის შიდაზღვად გადაქცევა წარმოადგენდა<sup>4</sup>, და რომლის განხორციელებას ცარიზმი საუკუნეების მანძილზე ესწრაფვოდა<sup>5</sup>. საქართველოსა და შემდეგ ამიერკავკასიაში დამკვიდრებით რუსეთმა მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი პოზიციები საერთაშორისო პოლიტიკის ისეთ მნიშვნელოვან ნაწილში, როგორც „აღმოსავლეთის საკითხი“ იყო. ამიერკავკასიაში დამკვიდრებამ რუსეთის წინაშე ახალი სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემები დასახა, რომელთა განსახორციელებლად მას მოუხდა მრავალი ღონისძიების გატარება, ამ ღონისძიებათა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი კავკასიის მთიანეთის და ირან-თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომებს ეკავათ.

აღნიშნული ომების და მომდევნო პერიოდში რუსეთი ცდილობდა გადაექცია ამიერკავკასია თავის მანუფაქტურის ბაზრად და ნედლეულს წყაროდ, ხოლო ამისათვის საჭირო იყო საიმედო დასაყრდენი ცარიზმის ერთგული ელემენტების სახით. კოლონიური ჩაგვრისაგან შეწყუხებული ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლების საწინააღმდეგოდ და მათ მიერ რუსეთის მრეწველობისათვის საჭირო ტექნიკური კულტურების მოყვანის უკეთ ათვისების მიზნით ცარიზმი XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე იწყებს ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს კოლონიზაციას.

მხარის დამშვიდების და მისი რუსეთის სამეურნეო ინტერესებისათვის შეთავსების მიზნით მეფის მთავრობამ დაიწყო უცხო კოლონისტების ჩამოსახლება ამიერკავკასიაში. ცარიზმს სურდა დაესუსტებინა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა. უცხო, უმთავრესად კონსერვატული და შეძლებული ელემენტებისათვის მიეცა ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლოატაციის საშუალება და შეექმნა თავისი ბატონობის დასაყრდენი ახლად შემოერთებულ ტე-

<sup>3</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, მონოგრაფიები, ტომი I, თბილისი, 1949 წ., გვ. 452 (შემდგომ შემოკლებით: პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები).

<sup>4</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XVI, ч. II, стр. 10.

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 159.

რიტორიაზე. ცარიზმი დაინტერესებული იყო ქვეყნის გარეუბნით, ამ მიზნით ცდილობდა პირველ რიგში ჩამოესახლებინა რუსი კოლონისტები. მაგრამ ცარიზმს ამ პერიოდში ჯერ კიდევ უნდა უნდოდა საშუალება ეწარმოებინა ფართო რუსული კოლონიზაცია ამერიკის კავკასიაში. ხოლო რუს-კოლონისტთა ამიერკავკასიაში ჩამოსახლების რამდენიმე ცდა წარუმატებლად დამთავრდა. ამ დროიდან დაიწყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში უცხოელი კოლონისტების ჩამოსახლება.

ჯერ კიდევ გრაფი მუსინ-პუშკინი აყენებდა საკითხს, ჩამოსახლებინათ საქართველოში უცხოელი კოლონისტები<sup>6</sup>. 1801 წელს კნორინგისადმი ერთ-ერთ რეკრიპტში რუსეთის იმპერატორი წერდა: „გამსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში საზღვარგარეთიდან განსაკუთრებით ქრისტიანი კოლონიზატორების მოზიდვას“<sup>7</sup>. ამავე წლებში შედგენილი იქნა ამიერკავკასიაში უცხოელთა ფართო მასშტაბით კოლონიზაციის რამდენიმე პროექტი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ განხორციელებულა.

მთავარმართებელ ციციანოვის დროს დაიწყო საქართველოს კოლონიზაცია. ამ წლებში ჩამოსახლეს შავიზღვისპირელი და დონელი კაზაკები მდინარე ენგურზე, ხოლო ჩეხი სექტანტები — იმერეთში. 1806 წელს კავკასიაში გადმოსახლეს 2 000-ზე მეტი რუსი. ციციანოვის მმართველობის დროსვე მრავალი სომეხი გადმოსახლდა ერევნის სახანოდან<sup>8</sup>. ამასთანავე, საქართველოში დასახლებისათვის საჭირო თავისუფალი ადგილების და მიწის ნაკვეთების რაოდენობა არ იყო დაზუსტებული, რაც ხელს უშლიდა კოლონიზაციის ტემპის გაძლიერებას. ამის გამო ამ წლებში წარმოებულ კოლონიზაციას უმნიშვნელო პრაქტიკული შედეგები ჰქონდა.

1806 წლის 26 ნოემბერს დააარსეს „კავკასიის გუბერნიაში საცხოვრებლად ჩამოსულ გლეხთა დამსახლებელი კომისია“, რომელმაც შეიმუშავა დებულება, რომლის თანახმად მთავრობა უნდა დახმარებოდა ჩამოსახლებულთ ფულით, თესლეულით, მსხვილფეხა რქიანი საქონლით, ხოლო ჩამოსახლებულთ თვით უნდა აეგოთ საცხოვრებელი ბინები.

1814 წელს საქართველოს მთავარმართებელმა გენერალმა რტი-

<sup>6</sup> სსრ ცსსა, ფ. 16, ანწ. I, საქმე 217.

<sup>7</sup> Акты. т. I, 548. стр. 435.

<sup>8</sup> Л. Л. Меликсет-Бек, Из истории духовоборов в Грузии, кандидатская диссертация, т. I, Тбилиси, 1964, стр. 6—7.

შჩევმა წინადადებით მიმართა იმპერატორს ჩამოსახლებინათ ამერკავკასიაში ევროპელი კოლონისტები<sup>9</sup>.

ეს იდეა პრაქტიკულად განხორციელდა გენერალ ერმოლოვის დროს, როდესაც ამერკავკასიაში ჩამოსახლდნენ გერმანელი კოლონისტები.



ამ დროისათვის რუსეთის ხელისუფლებას უცხოელთა კოლონიზაციის მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნდა, თუმცა რუსეთის სახელმწიფოში უცხოელთა კოლონიზაციის ცალკეული შემთხვევები აღრეც გვხვდება<sup>10</sup>, მაგრამ რუსეთში უცხოელთა მასობრივ, გეგმაზომიერ კოლონიზაციას საფუძველი ჩაეყარა იმპერატორ ეკატერინე მეორეს დროიდან.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთმა უზარმაზარი სივრცეები შემოიერთა სამხრეთით და აღმოსავლეთით. ეს ნაყოფიერი ველები, რომლებიც მცირერიცხოვან მომთაბარეთა სათარეშოს წარმოადგენდნენ, თითქმის დაუსახლებელი იყო. იმ დროისათვის რუსეთს არ ჰყავდა მოსახლეობა იმ რაოდენობით, რომ ეს ტერიტორიები საკუთარი რესურსებით აეთვისებინა, ამიტომ ეკატერინემ და მისმა მოხელეებმა გადაწყვიტეს ჩამოსახლებინათ ამ ადგილებში უცხოელი (ევროპელი) კოლონისტები.

რუსეთში უცხოელთა კოლონიზაციას საფუძველი ჩაეყარა ეკატერინეს 1762 წლის 4 დეკემბრის მანიფესტით<sup>11</sup>, რომლითაც რუსეთში დასახლებლად იწვევდნენ ყველა უცხოელს, გარდა ებრაელებისა. მაგრამ ეს მანიფესტი შეიცავდა ზოგად დაპირებებს და მასში კონკრეტულად არაფერი იყო ნათქვამი იმ დაზმარებასა და შეღავათებზე, რომლებიც კოლონისტებს უნდა მიცემოდათ, ამიტომ ამ მანიფესტს პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია.

1763 წლის 22 ივლისს ეკატერინე მეორემ გამოსცა ახალი მანიფესტი<sup>12</sup>, სადაც ლაპარაკი იყო იმ შეღავათებზე, რომელიც უცხოელ კოლონისტებს ენიჭებოდათ რუსეთში ჩამოსახლების შემთხვევაში: მათ შეეძლოთ დასახლებულიყვნენ რუსეთის იმპერიის ყოველ მხარეში: როგორც ქალაქებში — ვაჭრების, ან ხელოსნების

<sup>9</sup> პ. გ. უშვილი, მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 465.

<sup>10</sup> А. Пыпин, Иноземцы в Московской России, «Вестник Европы», 1888, кн. I, стр. 255—296.

<sup>11</sup> ПСЗРИ, т. XVI, 11720, стр. 126—127.

<sup>12</sup> ПСЗРИ, т. XVI, № 11880, стр. 313—316.

სახით, ისე ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კოლონიების სახით. კოლონისტებს ეძლეოდათ რელიგიური რწმენის თავისუფლება, ისინი თავისუფალი იყვნენ სარეკრუტო გადასახადისაგან, ეძლეოდათ მნიშვნელოვანი მიწის ნაკვეთები (თითოეულ ოჯახს — 60 დუსეტონამდე), ეძლეოდათ ფულადი დახმარება და სესხი 10 წლით, თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან 10 წლის განმავლობაში და სხვა.

ამ დროიდან იწყება რუსეთში უცხოელთა კოლონიზაცია, კოლონისტების ძირითად მასას გერმანელები წარმოადგენდნენ<sup>13</sup>. კოლონისტების რუსეთში გამოყვანა ხორციელდებოდა რუსი რეზიდენტების მეშვეობით, რომლებიც ხშირად იყენებდნენ ამ საქმეში ე. წ. „დამჭირაველებს“, ანუ „გამომძახებლებს“ („вербовщики“, „вызыватели“). „დამჭირაველობა“ იმ დროს ევროპაში ფართოდ გავრცელებული სარფიანი და ამავე დროს საზიფათო პროფესია იყო. „დამჭირაველები“ რეკრუტებსა და კოლონისტებს აგროვებდნენ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოსათვის. რადგან „დამჭირაველთა“ მატერიალური შემოსავალი დამოკიდებული იყო მათ მიერ გამოგზავნილ კოლონისტთა რიცხვზე, ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ კოლონისტთა შემადგენლობას, რომელთა შორის ბევრი საეჭვო წარსულის მქონე პირი იყო. ეს მასა, თვით კოლონისტთა გამოთქმით, იყო „der Abschaum Deutschlands“ („ნაძირალები მთელი გერმანიიდან“). კოლონისტთა მთელი ეს მასა 1763—1766 წლებში დასახლეს ქვემო ვოლგისპირეთში<sup>14</sup>. შემდგომ წლებში საშინაო (პუგაჩოვის აჯანყება) და საგარეო (თურქეთთან ომი) გართულებების გამო კოლონიზაცია შეჩერდა.

1768—1774 წწ., თურქეთთან ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ, რუსეთი საბოლოოდ დამკვიდრდა შავი ზღვის სანაპიროზე. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით (1774) რუსეთმა მოამზადა ყირიმის შემოერთება. იასის ზავით (1791) რუსეთ-თურქეთის საზღვარი გახდა დნესტრი, ზოლო ბუქარესტის ზავით (1812) — პრუტი და დუნაი. ამრიგად, რუსეთის ზელში აღმოჩნდა უზარმაზარი დაუსახლებელი ტერიტორიები, რომლებიც შემდგომში შევიდნენ თავრიდის, კვატერინოსლავის და ხერსონის გუბერნიების შემადგენლობაში.

ყირიმის შემოერთების შემდეგ კვლავ განახლდა რუსეთის სამხრეთის ტერიტორიების დასახლება უცხოელი კოლონისტებით.

<sup>13</sup> С. Д. Бондарь, Секта Меннонитов в России (в связи с историей немецкой колонизации на Юге России), Петроград, 1916, стр. 4.

<sup>14</sup> А. К л а у с, Наши колонии. Опыт и материалы по истории иностранной колонизации в России, вып. I, С-Пб., 1869, стр. 118.



1785 წლის 16 ივლისის მანიფესტით ეკატერინე მეორე იწვევდა ევროპელ კოლონისტებს სამხრეთ რუსეთში და ჩრდილო კავკასიაში დასახლებლად. ამ მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ პირველნი გადმოსახლდნენ კოლონისტები დანცინგიდან — ლუთურანები და სექტანტი-მენონიტები. 1796 წლამდე რუსეთში მნიშვნელოვანი რაოდენობით ჩამოსახლდნენ ევროპელი კოლონისტები, რომელთა შორის აღრინდებულად გერმანელები შეადგენდნენ დიდ უმრავლესობას.

იმპერატორ პავლე I მმართველობის ხანაში კოლონისტების რიცხვი რუსეთში უმნიშვნელოდ გადიდდა. მთავრობის ძირითად საზრუნავს ძველი კოლონიების მოწყობა წარმოადგენდა.

კოლონიზაციის საქმეების უშუალოდ წარმართვისათვის 1763 წელს პეტერბურგში დაარსდა „უცხოელ კოლონისტთა სამეურვეო კანცელარია“, რომელმაც 1782 წლამდე იარსება. 1782 წელს რუსეთის იმპერიის გუბერნიებად დაყოფასთან დაკავშირებით აღნიშნული კანცელარია გააუქმეს, ხოლო უცხოელთა კოლონიები გადავიდა საგუბერნიო და სამაზრო სახელმწიფო გლეხთა სამმართველო ორგანოების გამგებლობაში. მაგრამ ამ სისტემამ არ გაამართლა — კოლონიებში აღმოჩნდა მრავალგვარი დარღვევები, დაიწყო მათი სამეურნეო დაცემა. კოლონისტები ჩიოდნენ საგუბერნიო და სამაზრო ხელისუფალთა მიერ შევიწროებაზე, მექრთამეობაზე და სხვა. ყოველივე ეს შემდგომში დადასტურდა მთავრობის რევიზიის მიერ. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად გადაწყდა უცხოელთა კოლონიების სამართავად რუსეთში შეექმნათ სპეციალური ადმინისტრაციული ორგანო. 1797 წლის 4 მარტის ბრძანებულებით სენატთან დაარსდა „სახელმწიფო მეურნეობის, უცხოელთა სამეურვეო და სოფლის საკომლო ექსპედიცია“, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იყო უცხოელთა კოლონიების მოწყობა-მმართველობა. მთავრობამ კოლონისტები ცალკე წოდებად გამოყო, რათა „უცხოელ მოსახლეებს არავითარი საქმე არ ჰქონდათ სამაზრო და საგუბერნიო მოხელეებთან“<sup>15</sup>.

სამხრეთ რუსეთის კოლონიების უკეთ სამართავად 1800 წლის 6 აპრილს ეკატერინოსლავში დააარსეს სპეციალური სამეურვეო კანტორა, რომელიც ექვემდებარებოდა „სახელმწიფო მეურნეობათა ექსპედიციას“.

სამინისტროების დაარსების შემდეგ — 1803 წლიდან უცხოელთა კოლონიები გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელ-

<sup>15</sup> ПСЗРИ, т. XXIV, № 17865, стр. 508; № 18022, стр. 641—643.

საც დაემორჩილა ეკატერინოსლავის სამეურვეო კანტორაც. ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა უცხოელ კოლონისტთა მიმართელობა 1818—1819 წლებამდე, როდესაც შეიქმნა ცალკეული განყოფილება, მათ შორის საქართველოს გერმანულ კოლონიათა სამმართველო კანტორები.

თუმცა ალექსანდრე I განაგრძობდა კოლონიების მფარველობის პოლიტიკას, მის დროს იწყება კოლონიზაციის შეზღუდვა. პირველმა შინაგან საქმეთა მინისტრმა კოჩუბეიმ რიგი ღონისძიებები გაატარა ამ მიმართულებით, რომლებიც გაერთიანებული სახით გამოიცა 1804 წლის 20 თებერვლის დადგენილებით—„წესები უცხოელ კოლონისტთა მიღებისა და დასახლებისათვის“<sup>16</sup>. ამ წესების თანახმად, ამიერიდან რუსეთის იმპერიაში კოლონისტებად უნდა მიეღოთ არა ყოველი უცხოელი, არამედ მხოლოდ ოჯახიანი, შეძლებული, კარგი ყოფაქცევის და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ხელობის მქონე პირები, ან ხელოსნები. ერთი წლის განმავლობაში გერმანიიდან უნდა მიეღოთ არაუმეტეს 200 ოჯახისა, ხოლო ისინი რომ დიდხანს არ ყოფილიყვნენ ხაზინის ხარჯზე, მათთვის წინასწარ უნდა შეერჩიათ დასახლებლად ვარჯისი ადგილები.

1810 წლიდან მთავრობამ უცხოელ გადმოსახლებულებს შეუწყვიტა თანხების მიცემა, რადგან ეს მძიმე ტვირთად აწვა ხაზინას. მაგრამ უცხოელებს უფლება ჰქონდათ გადმოსახლებულიყვნენ რუსეთში საკუთარი თანხით, მათ ეძლეოდათ ყველა სხვა შეღავათი, რომელიც ადრე გადმოსახლებულ კოლონისტებს ჰქონდათ მინიჭებული.

არც ერთი ეს შეზღუდვა არ გავრცელებულა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჩამოსახლებულ გერმანულ კოლონისტებზე, რაც იმის დამადასტურებლად უნდა ჩაითვალოს, რომ ამიერკავკასიაში უცხოელთა კოლონიზაციას ცარიზმი განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებდა. შიდა რუსეთის გუბერნიისაგან განსხვავებით, ეს კოლონიზაცია ეკონომიურთან ერთად პოლიტიკურ მიზნებსაც ისახავდა.

1819 წლიდან შეწყდა რუსეთში კოლონისტების მასიური შემოსვლა. შემდგომ წლებში მხოლოდ ცალკეული კოლონისტები ჩამოდიან რუსეთის იმპერიაში საცხოვრებლად<sup>17</sup>. ეს კოლონისტები მოდიან თავისი ინიციატივით და საკუთარი ხარჯით<sup>18</sup>.

<sup>16</sup> ПСЗРИ, т. XXVIII, № 21163, стр. 137—140.

<sup>17</sup> J. Stach, Die Deutschen Kolonien in Süd-Russland, I. Theil, prischib, 1904, s. 26.

<sup>18</sup> А. М. Фадеев, Воспоминания, Одесса, 1897, стр. 17.

მხოლოდ მოგვიანებით, XIX საუკუნის 80—90 წლებში, იწყება რუსეთში გერმანელ კოლონისტთა ახალი დიდი ტალღის შემოსვლა. ამჯერად ამ კოლონიზაციის ინიციატორად გერმანიის იმპერიის ზედ-ლისუფალნი გვევლინებიან. ეს ახალი კოლონიზაცია მიზნად ისახავდა სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური გეგმების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას.

## გერმანული კოლონიების შემქმნა ამიერკავკასიაში

### 1. კოლონიზაციის დასაწყისი, მისი მიზანმიმართული და კოლონიების გეოგრაფიული განლაგება ამიერკავკასიაში

კოლონიზაციის პირველი წარუმატებელი ცდების შემდეგ, 1817 წელს გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჩამოსახლდნენ გერმანელი კოლონისტები<sup>1</sup>.

ისევე, როგორც რუს მოხელეთა დიდი უმრავლესობა, გენერალი ერმოლოვიც საქართველოს სოფლის მეურნეობის დაბალ დონეს ადგილობრივ მკვიდრთა გაუნათლებლობითა და სიზარმაცით ხსნიდა<sup>2</sup>. ამის გამო მას აუცილებლად მიაჩნდა, მათთვის მაგალითის მისაძეგლად „დასახლებული იქნას აქ შრომისმოყვარე გერმანელთა კოლონია, რომელთა კეთილი მაგალითი მეურნეობიდან სარგებლობის მიღებისა, აიძულებს ადგილობრივ მკვხოვრებთ მიბაძონ მათ“<sup>3</sup>. ამასთანავე ერმოლოვი კოლონისტებს ჰპირდებოდა ყოველგვარ დახმარებას და მზრუნველობას.

ცარიზმი და მისი წარმომადგენელი ამიერკავკასიაში გენერალი ერმოლოვი უცხო ელემენტების კოლონიზაციას და კერძოდ, გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლებას საქართველოში ეკონომიურთან ერთად, დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ, თუმცა ოფიციალურად ამ უკანასკნელ საკითხზე მსჯელობას ერიდებოდნენ. საერთოდ, არაკჩევევის მოწინააღმდეგის და დეკაბრისტებთან ახლოს მდგომი პიროვნების სახელი ზელს არ უშლიდა ერმოლოვს ყოფი-

<sup>1</sup> 1848 წლამდე გერმანელ კოლონისტთა დასახლებები ჩვენში იწოდებოდნენ „საქართველოს გერმანულ კოლონიებად“, ხოლო აღნიშნული წლიდან მიიღეს მათ „ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების“ სახელწოდება.

<sup>2</sup> Записки А. П. Ермолова во время управления Грузией, М., 1868, стр. 67; Акты, т. VI, ч. I, 427, стр. 317.

<sup>3</sup> Акты, т. VI, ч. I, 302, стр. 248—249.



ერისთავის  
კოლონიისტი

ლიყო ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონიზატორული პოლიტიკის თანმიმდევრული გამტარებელი<sup>4</sup>.

1817—1818 წლებში ამიერკავკასიაში გერმანელ ჩამოსახლებას ხელი შეუწყო გერმანიაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა პირობებმაც.

ზოგიერთი მკვლევარი (ნიკიფოროვი, ბასიზინი, ბურჰულაძე და სხვ.), გერმანელების ამიერკავკასიაში ჩამოსახლების ძირითად მიზეზად ნაპოლეონ I გამანადგურებელ ომებს თვლის, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიის ტერიტორიაზე წარმოებდა და აჩანაგებდა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ქვეშ მგმინავ გლეხობას. ამ მოვლენამ, შეიძლება ითქვას, ხელი შეუწყო გერმანელების სამშობლოდან გადასახლებას, მაგრამ იგი არ ყოფილა მისი ძირითადი მიზეზი. გერმანიიდან ემიგრაციის ძირითადი მიზეზი კაპიტალიზმის განვითარება და ამით გამოწვეული გლეხთა მასების გადატაცება იყო. ემიგრაცია გერმანიიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით ნაპოლეონის ომებამდეც წარმოებდა.

გერმანიამ კაპიტალისტური განვითარების თავისებური გზა განვლო. ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას, ახალი პროგრესული წყობილების დამკვიდრებას ხელს უშლიდა ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა. მრავალ მსხვილ და წვრილ პოლიტიკურ ერთეულად დაყოფილი გერმანია მეზობელ ქვეყნებს უადვილებდა მის წინააღმდეგ დაპყრობითი ომების წარმოებას; ამას თან ერთვოდა განუწყვეტელი შინაბრძოლა ცალკეულ გერმანულ სახელმწიფოებსა თუ სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის. ასე რომ, მთელი გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდში გერმანია პერიოდული ომების ასპარეზს წარმოადგენდა.

მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარებას მთლიანად არ მოუსპია ფეოდალიზმის გადმონაშთები. გერმანიის სოფლის მეურნეობაში კაპიტა-

<sup>4</sup> მაგ., ერმოლოვის დაყენებული მოთხონით 1819 წელს ქართულ კორპუსს სახელი შეუცვალეს და უწოდეს „კავკასიის კორპუსი“, რადგან, ერმოლოვის აზრით, თვით სახელწოდება „ქართული“ კი მიუღებელი იყო. ცოტა ადრე, 1818 წელს ერმოლოვმა ზოგიერთ რეაქციონერთან ერთად (როსტოპჩინი, ზაკრეცკი, ოსტერმანი და სხვ.) მკაცრად ვაკრიტიკა აღექსანდრე I პოლონეთის სეიმზე წარმოთქმული სიტყვისათვის, რომლითაც რუსეთის იმპერატორი კონსტიტუციურ მმართველობას კპირდებოდა პოლონელებს და რომლის, ისევე როგორც მრავალი სხვა დაპირების, ცხოვრებაში პრაქტიკულად ვატარებას იგი არ ფიქრობდა (Великий кн. Николай Ми. хайлович, Император Александр первый, II изд., Петроград, 1914, стр. 215, 219—220).

ლისტური წყობის განვითარებასთან ერთად დიდხანს რჩებოდა ფეოდალური ელემენტები, რაც კიდევ უფრო მძიმესა და აუტანელს ხდიდა მას.

ეს პროცესი XIX საუკუნის ბოლომდე ნაკლებად იყო შესწავლილი. ინგლისი, როგორც კაპიტალიზმის განვითარების კლასიკური ქვეყანა, და აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყნები, კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით უფრო მეტად იპყრობდნენ ყურადღებას, ვიდრე გერმანია, სადაც კაპიტალიზმის განვითარება ფეოდალურ საბურველში იყო გახვეული. გერმანიაში კაპიტალიზმი ვითარდებოდა არა ფეოდალიზმთან გადამწყვეტი ბრძოლის და ამ უკანასკნელის მოსაზრების გზით, არამედ ამ დრომოკმულ წყობილებასთან პატარ-პატარა შეტაკებებისა და მასთან შეგუების გზით.

ამიტომ ისტორიკოსები შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ გერმანიის კაპიტალისტური განვითარების ადრეულ პერიოდს. ასევე ნაკლებად იყო შესწავლილი სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების კაპიტალისტური განვითარების ისტორია და მისი გავლენა ძირითად მწარმოებელ კლასზე — გლეხობაზე. მაგალითად, ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისში კაპიტალიზმის განვითარებაში მეცხვარეობის მსხვილ მეურნეობებს და მის ბაზაზე შექმნილ საფეიქრო მრეწველობას, რაც თავის დროზე საკმაოდ კარგად იქნა შესწავლილი. მაგრამ გერმანიაში მეცხვარეობის მსხვილი მეურნეობების განვითარების ისტორია თითქმის შეუსწავლელი იყო XIX საუკუნის ბოლომდე.

შუა საუკუნეების გერმანიაში მეცხვარეობის სწრაფ განვითარებას პირველად ყურადღება მიაქციეს ცნობილმა ისტორიკოს-ეკონომისტებმა — კ. ლამპრეხტმა<sup>5</sup> და კ. ინამა-სტერნეგმა<sup>6</sup>. მეცხვარეობის მსხვილი ფეოდალური მეურნეობების წარმატებებს ისინი სრულიად სამართლიანად უკავშირებდნენ ქალაქების განვითარებას და მატყლზე მოთხოვნილების ზრდას.

ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა უმრავლესობა ლამპრეხტიდან დღევანდელი დასავლეთ გერმანელი ისტორიკოსების ჩათვლით, იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მსხვილი მეცხვარეობის ფერმები (ისე-

<sup>5</sup> K. Lamprecht, Deutsches Wirtschaftsleben, in Mittelalter, Leipzig, 1885, s. 536—542.

<sup>6</sup> K. Th. Inama-Sternegg, Deutsche Wirtschaftsgeschichte in dem letzten Jahrhunderten des Mittelalters, Leipzig, 1899, Bd. III, T. I, s. 346—357.



ვე როგორც სხვა დარგის მსხვილი მეურნეობები) შუა საუკუნეების გერმანიაში იქმნებოდა იმ გლეხთა მიწებზე, რომლებიც ლიტვის თავისი ნებით გადასახლდნენ ქალაქში და ფეოდალები იქმნებულნი იყვნენ მეცხვარეობისათვის მოეკიდათ ხელი, რათა აენაზღაურებინათ გადასახადის გადამხდელი გლეხობის ქალაქში გადასახლებით მიყენებული ზარალი.

სინამდვილეში მეცხვარეობის მსხვილი მეურნეობების განვითარებას ისტორიის ანალიზი საპირისპირო დასკვნებს გვაძლევს: — მეცხვარეობის მსხვილი მეურნეობების განვითარება აიძულებდა გლეხებს მიეტოვებინათ სოფელი და თავშესაფარი ეძიათ ქალაქად, ან ქვეყნის გარეთ. ამიტომ თ. შორის ცნობილი გამოთქმა „ცხვრებმა აღამიანები შექამეს“ გერმანიისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ.

აფართოებდნენ რა თავის მეცხვარეობის და სხვა სახის მსხვილ მეურნეობებს, ფეოდალები ითვისებდნენ გლეხური თემების მიწებს, საძოვრებს და მამაპაპეული ადგილიდან ერეკებოდნენ გლეხთა მასებს. ეს მოვლენა განსაკუთრებით გაძლიერდა 1525 წლის გლეხთა ომის შემდგომ პერიოდში. XVII—XVIII საუკუნეებში გერმანიაში ზოგიერთი სოფელი სრულიად მოისპო. ამ სოფლების მცხოვრებნი ან ქალაქად მიდიოდნენ, ან დაქირავებულ მოჯამაგირებებად იქცეოდნენ. გლეხთა ეს მასები ადვილად ექცეოდნენ სხვადასხვა რელიგიური სექტების გავლენის ქვეშ. რადგან ეს სექტანტური მოძღვრებები სხვადასხვა ფორმით აკრიტიკებდნენ და ებრძოდნენ გაბატონებული კლასების იდეოლოგიას — ოფიციალურ ქრისტიანულ ეკლესიას, როგორც კათოლიკურს, ისე პროტესტანტულს.

„ცნობილია ფაქტი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გლეხთა შორის სექტანტობის და რაციონალიზმის ზრდისა, ხოლო პოლიტიკური პროტესტის გამოხატვა რელიგიური საფარველით — ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე ყველა ხალხს მოსდგამს“<sup>7</sup>.

სექტანტობა გამოხატავდა ხალხთა მასების პროტესტს ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ. გლეხურ-პლებეური ერესი, — მიუთითებდა ენგელსი შრომაში „გლეხთა ომი გერმანიაში“, — წარმოადგენდა გლეხური და პლებეური მასების მოთხოვნილებების პირდაპირ გამოხატულებას. „იგი მოითხოვდა, რომ რელიგიური თემის წევრებს შორის აღდგენილიყო ადრინდელი ქრისტიანული თანასწო-

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 292.

რობა, და რომ ეს თანასწორობა ნორმად ქცეულიყო საერო ქვეყნიერებისათვის. „ღვთის შვილთა თანასწორობიდან“ მას გამოჰყავდა სამოქალაქო და უკვე მაშინ ნაწილობრივ თვით ქონებრივი თანასწორობაც; თავადაზნაურობის გათანასწორება გლეხებთან, ნატორციებისა და პრივილეგიებულ მოქალაქეთა — პლებეებთან, ბეგარის, ღალის, გადასახადების, პრივილეგიების გაუქმება და ყოველ შემთხვევაში უმძაფრესი ქონებრივი გამსხვავების მოსპობა — აი ის მოთხოვნები, რომლებსაც მეტი თუ ნაკლები გარკვეულობით აყენებდნენ და რომლებსაც აღრინდელი ქრისტიანული მოძღვრების აუცილებელ შედეგად თვლიდნენ<sup>8</sup>.

შუა საუკუნეების გერმანიაში ფართოდ გავრცელებულ რელიგიურ სექტას წარმოადგენდა ანაბაბტიზმი, რომელიც XVI საუკუნეში გამოვიდა ვიწრო სექტანტური ფარგლებიდან და ფართო რელიგიური მოძრაობის სახე მიიღო. ანაბაბტიტები აქტიურად მონაწილეობდნენ 1525 წლის გერმანიის გლეხთა ომში და წარმოადგენდნენ გლეხთა რევოლუციური ბრძოლის და განთავისუფლების იდეების აქტიურ პროპაგანდისტებს. ანაბაბტიტთა უმრავლესობა თომას მიუნცერის მეთაურობით შეადგენდა ამ მოძრაობის ძირითად რევოლუციურ ძალას, რომელიც თავდადებით ებრძოდა ფეოდალთა და ბიურგერთა რეაქციულ კავშირს. გლეხთა აჯანყების დამარცხების და 1534 წელს „მიუნსტერის კომუნის“ განადგურების შემდეგ ანაბაბტიტები სასტიკ დევნას განიცდიდნენ. ანაბაბტიტის სახელი მძარცველს, ყაჩაღს სინონიმად იქცა. მათი უმრავლესობა შეიპყრეს, აწამეს და სიკვდილით დასაჯეს.

გერმანიაში გლეხთა ომის დამარცხების და რეაქციის გამეფების შემდეგ ანაბაბტიტური მოძრაობა ორ ძირითად ნაწილად გაიყო. ანაბაბტიტების ერთი ნაწილი, დაკარგა რა ჩაგრული მასების რევოლუციური ბრძოლის გამარჯვების რწმენა, დაუბრუნდა კარჩაკეტილ სექტანტობას და ეწეოდა მასების მშვიდობიანი განთავისუფლების, „უსისხლო გადატრიალების“ პროპაგანდას. ანაბაბტიტების მეორე ნაწილი — თომას მიუნცერის მიმდევრები, ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ რევოლუციური ბრძოლის და XVI საუკუნის ბოლომდე განაგრძობდნენ შეიარაღებულ ბრძოლას ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ.

ანაბაბტიტების პირველი ნაწილიც არ წარმოადგენდა ერთიან მიმდინარეობას. ანაბაბტიზმის ნამსხვრევებზე წარმოშობილ სხვადა-

<sup>8</sup> ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბილისი, 1956, გვ. 42.



სხვა სექტებს (მენონიტები, პიეტისტები, ბაბტიანები და სხვ.) სხვადასხვანაირად ესახებოდათ „ციური სამეფოს“ შექმნა დედამიწაზე, ამ სექტების ერთი ნაწილი იზიარებდა „ქრისტეს მეორედ მოსვლის“ მოძღვრებას და აღიარებდა „პილიაზმს“<sup>9</sup>. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა ე. წ. პიეტისტების სექტა<sup>10</sup>. პიეტისტთა სექტას უფრო მოგვიანებით (XVIII ს.) გამოეყო უკიდურესი ეგზალტირებული ფრთა, რომელთაც მიიღეს „სეპარატისტების“ სახელწოდება. ეს სახელწოდება წარმოსდგა იმასთან დაკავშირებით, რომ თუ ზოგიერთი სხვა სექტა და მათ შორის პიეტისტებიც კიდევ ინარჩუნებდნენ ერთგვარ კავშირს ლუთერანულ მოძღვრებასთან და იზიარებდნენ ზოგიერთ მის დოგმას, ამ სექტის წარმომადგენლები ლუთერანულ ეკლესიასთან ყოველგვარი ურთიერთობის წინააღმდეგნი იყვნენ<sup>11</sup>. სეპარატისტთა მოძღვრება იზიარებდა ტაულერის<sup>12</sup>, ბენგე-

<sup>9</sup> პ ი ლ ი ა ზ მ ი — (ბერძნული სიტყვიდან Chilio — ათასი). მოძღვრება თითქოსდა მომავალი „ათასწლიანი ღვთიური სამეფოს“ შესახებ. რელიგიურ-მისტიკურ რწმენა დედამიწაზე ქრისტეს მეორედ მოსვლის სამართლიანობის, საყოველთაო თანასწორობის და კეთილდღეობის ათასწლიანი სამეფოს შექმნის შესახებ. პილიასტური რწმენა წარმოიშვა მონათმფლობელური წყობილების დასლის პერიოდში, მშრომელი მასების აუტანელი ჩაგვრის და ტანჯვის ნიადაგზე. შემდგომში იგი პერიოდულად თავს იჩენდა ქრისტიანული სექტების მოძღვრებაში. პილიაზმს იზიარებს მრავალი თანამედროვე ქრისტიანული სექტაც (ადვენტიტები, მილენარები, იელოვას მოწმეები და სხვა). ქრისტიანული ეკლესია პილიაზმს ერესად თვლიდა და სდევნიდა მას. პილიაზმის პროპაგანდას სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის ხელმძღვანელობა იყენებდა მასების კლასობრივი ბრძოლისაგან ჩამოსაშორებლად.

<sup>10</sup> პიეტისტების სექტამ უკვე XVIII საუკუნისათვის დაკარგა რევოლუციური ხასიათი და გამოდიოდა ანტიინტელექტური ლოზუნგებით. ამვე საუკუნიდან რეაქცია ხშირად იყენებდა მას განმანათლებლური იდეების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1670 წელს თეოლოგმა შპენერმა თავის ქადაგებებში საბოლოოდ ჩამოაყალიბა პიეტისტების იდეები. 1694 წელს პიეტისტებმა თავისი უნივერსიტეტი გახსნეს ჰალეში. პიეტისტების მოძღვრებით ცოდვად ითვლებოდა თეატრში სიარული, ცეკვა, ვართობა-თამაშობანი და თვით სიცილი და ხუმრობაც კი. ამ დებულებებმა შემდგომში ასახვა ჰპოვეს სეპარატისტულ დოკუმენტში. პიეტისტები მოითხოვდნენ განუწყვეტელ მონანიებას. ისინი სდევნიდნენ სწავლულებს და მეცნიერებს. მათი დაფინანსებული მოთხოვნით პრუსიის მეფემ ჰალედან ვაჰტევა ლაიბნიცის მიმდევარი ფილოსოფოსი კ. ვოლფი.

<sup>11</sup> Б и л я р ь, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

<sup>12</sup> იოჰან ტაულერი (1300—1261) — სტრასბურგელი მისტიკოსი და წინასწარმეტყველი. უარი თქვა მეკვიდრეობით მიღებულ მნიშვნელოვან ჭონებაზე და შეიღვრათ და დომინიკელთა ორდენს. 1339 წ. გადასახლდა ბაზელში, სადაც გახდა ასკეტური სექტის „ლმერთის მეგობრების“ წევრი. თავის შრომებში, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა, ტაულერი მისტიციზმისა და ასკეტიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებდა კათოლიკური ეკლესიის უარყოფით მხარეებს: ფუფუნებას, გაუმაძღრობას, სიმკაცრესა და სხვ.

ლის<sup>13</sup>, ეკარტსჰაუზენის<sup>14</sup>, ჰანის<sup>15</sup> შრომებში გამოთქმულ დებულებებს. საბოლოო სახით სეპარატისტულმა მოძღვრებამ თავისი გამოხატულება პპოვა იუნგ-შტილინგის<sup>16</sup> შრომებში ჩამოყალიბებულ თეორიაში.

ბენგელი და იუნგ-შტილინგი წლებსაც კი უთითებდნენ, როდის უნდა მომხდარიყო მეორედ მოსვლა და დაწყებულიყო „ათასწლოვანი სამეფო“: ბენგელის გამოთვლით — 1800 ან 1836 წელს, ხოლო იუნგ-შტილინგის აზრით, — 1836 ან 1846 წელს. ეს უკანასკნელი თარიღი ოფიციალურად იყო მიღებული სეპარატისტთა სექტის მიერ.

იუნგ-შტილინგი წინასწარმეტყველებდა ქვეყნიერების დასასრულს და თავის მიმდევრებს არწმუნებდა ხსნა ეძიათ კავკასიაში — არარატის მთასთან. ბადენის ჰერცოგის კარზე 1808 წელს იგი გაე-

<sup>13</sup> იოჰან ალბერტ ბენგელი (1687—1752) — ვიურტემბერგელი ღვთისმეტყველი; ერთხანს პროცესორად მუშაობდა დენკენდორფის სემინარიაში. შემდეგ პრელატად იყო შტუტგარტში. მთელი სიცოცხლე შიახმარა ბიბლიის ტექსტის სხვადასხვა ვარიანტის შესწავლას, რომლის შედეგადაც გამოსცა მრავალი თეოლოგიური ნაშრომი. იყო ე. წ. „ბიბლიური რეალიზმის“ ფუძემდებელი. XVIII საუკუნის 40-იან წლებში გამოცემულ ორ სპეციალურ ნაშრომში იგი სხვადასხვა აპოკალიფსური გამოთვლის შედეგად ვარაუდობდა, რომ „ათასწლიანი სამეფო“ უნდა დაწყებულიყო 1800 ან 1826 წელს.

<sup>14</sup> კარლ ფონ ეკარტსჰაუზენი (1752—1803) — ბავარიელი მწერალი და ცენზორი. მრავალრიცხოვანი იურიდიული, ბელეტრისტული და თეოლოგიური ნაშრომების ავტორი. შემდგომში გაიტაცა ალქიმიამ და მისტიკამ. ცდილობდა მეცნიერების და რელიგიის შერიგებას. ქადაგებდა ბნელ ანტიმეცნიერულ იდეებს. მისი თეოსოფიურ-ალქიმიური ნაწარმოებები ძალზე პოპულარული იყო რუსეთის მაღალი საზოგადოების სექტანტურ წრეებში.

<sup>15</sup> მიხაილ ჰანი (Hahn) (1758—1819) — შვაბიელი მისტიკოსი; გლეხის შვილი. ქადაგებდა მკაცრ ასკეტიზმს. ჩამოაყალიბა ორიგინალური ასკეტური მოძღვრება, რომელსაც მრავალი მიმდევარი გაუჩნდა. შემდგომში ჰანის მიმდევრებმა შექმნეს განსაკუთრებული სექტა. რომელიც მისი სახელის მიხედვით „მიხაელიანელთა“ სექტად იწოდებოდა.

<sup>16</sup> იოჰან ჰენრიხ იუნგი (შტილინგი) — (1740—1817) — იყო გერმანული სამთავროს — ზაჟენ-ნასაუს მკვიდრი. ახალგაზრდობაში იყო პიეტისტების რელიგიური სექტის მიმდევარი; შემდეგში გაიტაცა სპირიტუალზმმა და მისტიციზმმა. მიემხრო პიეტისტების უკიდურეს ფრთას — სეპარატისტებს და გახდა მათი თეორეტიკოსი. იუნგ-შტილინგი მტრულად შეხვდა საფრანკეთის 1789 წლის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას, რომლის შემდეგ იგი საბოლოოდ გადავიდა რაქციის ბანკერი და თავგამოდებული მონარქისტი გახდა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან ბადენის ჰერცოგის კარზე გაატარა, სადაც იგი სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭდა, როგორც „სუპრატრეზასა და ტახტებას თავგამოდებულ დამცველი“. თავის შრომებში იგი მოუწოდებდა სეპარატისტებს გადასახლებულაყვნენ აღმოსავლეთში და იქ შეხვიდროდნენ „ათასწლოვანი სამეფოს“ დასაწყისს.

ცნო ბარონესა ვარვარა კრუდენერს<sup>17</sup>, რომელიც მისი პილისტურ-მისტიკური იდეების ერთ-ერთი აქტიური მქადაგებელი გახდა.

იუნგ-შტილინგის გავლენით დაიწყო ბარონესა კრუდენერსმა აქტიური მოღვაწეობა. იგი ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში დადიოდა „ათასწლოვანი ციური სამეფოს“ საქმეების საქადაგებლად.

კრუდენერი იწყებს წინასწარმეტყველებას. პირველივე მისი წინასწარმეტყველება მიმართული იყო ნაპოლეონის წინააღმდეგ, რომლისთვისაც ვერ ეპატიებინა მისი რომანის გაბიაბურება. კრუდენერმა ნაპოლეონს უწინასწარმეტყველა დამარცხება, ზოლო ალექსანდრე I გამარჯვება. 1812 წლის ომის შემდეგ ალექსანდრე I მოინდომა პირადად გაცნობოდა „საკვირველ წინასწარმეტყველს“, რომელსაც მანამდე მიმოწერით იცნობდა. მათი შეხვედრა მოხდა 1815 წელს ჰაილინბრონში; იმპერატორი ცუდ ხასიათზე იყო, რადგან ახლად მიღებული ჰქონდა ცნობა ნაპოლეონის მორიგი გამარჯვების შესახებ. ბარონესა კრუდენერმა სამსაათიან საუბარში ალექსანდრე I გაამზნევა და რწმენა დაუბრუნა. ამის შემდეგ ისინი ისე დაახლოვდნენ, რომ ერთად კითხულობდნენ ბიბლიას, ეკარტსპაუზენის და იუნგ-შტილინგის ნაწარმოებებს, ლოცულობდნენ და ერთმანეთს აღსარებას აბარებდნენ<sup>18</sup>. ნაპოლეონის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ ალექსანდრე I კრუდენერი მიიწვია ჯერ პარიზში,

<sup>17</sup> XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში მეტად პოპულარული პიროვნება ბარონესა ვარვარა-იულია კრუდენერი (ქალიშვილობაში ფიტინგოვა) დაიბადა 1764 წელს რუსი არისტოკრატის ოჯახში. მან შილო დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება.

სხვადასხვა დროს იგი ცხოვრობდა ვენეციაში, კოპენჰაგენში, პარიზში და ევროპის სხვა ქალაქებში. ევროპაში მოხეტიალე ცხოვრების დროს გაეცნო მრავალ იმ დროისათვის ცნობილ პიროვნებას. მათ შორის იყვნენ ფრანგი მწერლები მადამ დე სტალი და შატობრიანი. აქ მან ლატერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი, თუმცა უფრო მიმბაძველობით წერდა. ლაროშფლუის გავლენით მან გამოსცა „უცხოელის აზრები“, სენ-პიერის ნაწარმოებების გავლენით რამდენიმე პასტორალი და ბოლოს მადამ დე სტალის „კარინეს“ მიბაძვით რომანი „ვალერია“. რომანი დაწერილი იყო წერილების სახით. ამ უკანასკნელ ნაწარმოებს თვით კრუდენერი უქმნიდა პოპულარობას. მაგრამ ბარონესა ამით არ დაკმაყოფილდა. მას სურდა რომანი თვით ნაპოლეონს შეექო. მან სამჯერ გაუგზავნა საფრანგეთის იმპერატორს შილოდრულად მოვარაყებელი ყდაში ჩასმულ რომანის ეგზემპლარები, მაგრამ ნაპოლეონის შეფასება უწყალო იყო: — მსგავსი რომანების კითხვა შეუძლიათ მხოლოდ უსაქმურ ქალებს, რომელთაც არ იციან როგორ მოკლან დროთ.

<sup>18</sup> ბარონესა კრუდენერის დიდი პოპულარობა არისტოკრატულ-მისტიკურ წრეებში და მისი გავლენა ალექსანდრე I ალევორიულად ასახა გამოჩენილმა რუსმა მწერალმა მ. გ. სალტიკოვ-შჩედრინმა თავის ცნობილ ნაწარმოებში — „ერთი ქალაქის ისტორია“, სადაც ალექსანდრე I გამოყვანილია ბრიყვთა ქალაქის თავის, კარამ-

შემდეგ ვერტიუში რუსეთის ჯარების აღლუმზე და მეფურ პატივში ჰყავდა იგი.

სწორედ აქ შეექმნა რუსეთის იმპერატორს პირველად სამღვთო კავშირის შექმნაზე. ზოგიერთი მკვლევარი (რეინარი, ეაკობი) თვით სამღვთო კავშირის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის იდეას, ბარონესა კრუდენერს მიაწერს. ეს რა თქმა უნდა, სწორი არ არის. მაგრამ, შესაძლოა, რომ მოსაზრებას სამღვთო კავშირის შექმნის შესახებ ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომელიც დაუცხრომელმა და ფანატიურმა ბარონესამ შექმნა ალექსანდრე I გარშემო<sup>19</sup>.

შემდგომში მათი ურთიერთობა გაუარესდა. 1818 წელს რუსეთში ჩამოსული ბარონესა კრუდენერი იმპერატორმა საკმაოდ ცივად მიიღო.

იუნგ-შტილინგის მოღვაწეობის და ბარონესა კრუდენერის დაუცხრომელი ქადაგების შედეგად სეპარატისტთა სექტა ძლიერ აქტიურდება XIX საუკუნის პირველი წლებიდან<sup>20</sup>.

სეპარატისტთა სექტის მიმდევართა უმრავლესობა ვიურტემბერგის, ხოლო ნაწილი ბადენის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. სექტანტთა ამოძრავება არეულობით ემუქრებოდა ორივე გერმანულ სახელმწიფოს. მაგრამ ამ სახელმწიფოების მეთაურთა დამოკიდებულება სექტანტებისადმი სხვადასხვაგვარი იყო. თუ ბადენის ჰერცოგი კარლ-ფრიდრიხი წყალობის თვალთ უყურებდა სეპარატისტებს, ვიურტემბერგის კურფიურსტი ფრიდრიხ III მათ სასტიკად დევნიდა. ამ დევნაში სეპარატისტებმა ქვეყნიერების დასასრულის მოახლოება დაინახეს. მათ სჯეროდათ, რომ სულ მალე მოვიდოდა ღვთის დახმარება, რომელიც შურს იძიებდა მათი დევნისათვის. ასეთ დახმარებას ისინი ერთხანს ნაპოლეონ ბონაპარტესაგან ელოდნენ, რომელიც, სეპარატისტების აზრით, ღვთის შვილი და მისგანვე

---

ზინის მეგობარ ერასტ გრუსტილოვის, ხოლო ბარონესა კრუდენერი მეფეთიქვე ქალის პფეიფერის სახით (М. Е. Салтыков-Щедрин, История одного города, М., 1960, стр. 167—192, 267).

ბარონესა კრუდენერის და მისტიკოსი მწერლების (გარტსჰაუზენის, იუნგ-შტილინგის და სხვა) პოპულარობა რუსეთის საზოგადოების მაღალ წრეებში აღნიშნა დიდმა რუსმა მწერალმა ლ. ნ. ტოლსტოიმ თავის უკვდავი რომანის „ომი და მშვიდობას“ ეპილოგში — ბიერისა და დენისოვის დიალოგში (ლ. ნ. ტოლსტოი, თხზულებანი (10 ტომად), ტ. VI (ომი და მშვიდობა, წ. 4), თბილისი, 1964, გვ. 296).

<sup>19</sup> იხ. Александр I и госпожа Криденер, Харьков, 1891.

<sup>20</sup> С. Смирнов, Немецкие сектанты за Кавказом, «Русский Вестник», 1865, т. 57, № 5, стр. 231.

წარმოგზავნილი იყო ღვთაებრივი ნების აღსასრულებლად — მოექცია სეპარატისტულ რწმენაზე დედამიწაზე მცხოვრები ყოველი ადამიანი. მაგრამ შემდგომში, როდესაც ნაპოლეონმა, რომელიც გულგრილად ეპყრობოდა ყოველგვარ რელიგიას, ვერ გაამართლა მათი იმედები, არჩევანი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I შეაჩერეს.

ადრე ალექსანდრე I უაღრესად უარყოფითად ეპყრობოდა სექტანტურ მოძღვრებებს და კერძოდ, თუნგ-შტილინგის ნაწერებს. ერთ დროს მან ბრძანებაც კი გასცა დაეწვათ რუსულ ენაზე თარგმნილი მისი ნაწარმოები<sup>21</sup>, ხოლო მთარგმნელს იაკუტსკში გადასახლებით დაემუქრა. შემდგომში, როდესაც დასავლეთიდან შემოტანილმა სექტანტურმა მოძღვრებამ ფეხი მოიკიდა რუსეთის მაღალი საზოგადოების წრეებში და თვით ალექსანდრე I აღმოჩნდა კვაყარებთან, მორავიელ ძმებთან და ბოლოს თვით ბარონესა კრუდენერთან ურთიერთობაში, იგი შეხვდა იუნგ-შტილინგს მის მფარველ ბადენის პერცოვთან, შეცვალა თავისი დამოკიდებულება მასთან და ნებაც კი დართო გამოსულიყო მისი ნაშრომის „დარდი სამშობლოზე“ რუსული თარგმანი, ხოლო იუნგ-შტილინგს საჩუქრად 1000 რუბლად გადასცა<sup>22</sup>.

ამიერკავკასიაში გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დაწყების ოფიციალური ისტორია, რომელსაც თითქმის ყველა მკვლევარი იზიარებს, ასეთია: შტუდგარტში 1816 წელს გავლით იმყოფებოდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I, რომელსაც სეპარატისტებმა სთხოვეს კავკასიაში, არარატის მთასთან დასახლების ნებართვა. რუსეთის იმპერატორმა თანხმობა განუცხადა სეპარატისტთა წარმომადგენლებს, მხოლოდ საჭიროდ თვლიდა ამიერკავკასიაში სათანადო ნიადაგის მომზადებას გერმანელ კოლონისტთა ჩამოსასახლებლად. სეპარატისტებს არ დაუცდიათ ოფიციალური ნებართვისათვის, ისე გამოემგზავრნენ რუსეთისაკენ 1817 წელს.

თვით ფაქტი — ალექსანდრე I შეხვედრა სეპარატისტთა წარმომადგენლებთან შტუტგარტში ან მის მახლობლად — ექვს არ იწვევს, რადგან იგი დასტურდება დოკუმენტებითაც<sup>23</sup>. მაგრამ ამ დოკუმენტებში არ არის მითითებული ამ შეხვედრის თარიღი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე I არც ერთი ბიოგრაფი, რომელთაც

<sup>21</sup> Das Haimweh, ეს ნაწარმოები 1807 წელს თარგმნა რუსულ ენაზე ლუბიანოვსკიმ, მაგრამ უკვე დაბეჭდილი პირველი ორი ნაწილი მთავრობამ აკრძალა.

<sup>22</sup> Александр I и госпожа Кризнер, Харьков, 1891, стр. 34—47.

<sup>23</sup> Акты, т. VIII, 165, стр. 238.

დაწერილებით აქვთ აღწერილი იმპერატორის ცხოვრების ეს პერი-  
ოდი, არაფერს გადმოგვცემს ამ შეხვედრის შესახებ. ჩვენი აზრით,  
ამ შეხვედრის თარიღი — 1816 წელი — შეცდომით უნდა იყოს მი-  
ღებული. ამ შეხვედრის თარიღად 1816 წელს მკვლევართა უმრავ-  
ლესობა, შესაძლოა, იღებს იმ მოსაზრებით, რომ თუ სექტანტები  
1817 წელს უკვე ოდესაში არიან ჩამოსული ისე, რომ მათ არ დაუ-  
ცადეს ოფიციალურ ნებართვას რუსეთში გადმოსახლების შესახებ,  
ეს თხოვნა უნდა მომზადარიყო 1816 წელს.

ამ, თუ სხვა მოსაზრებით ალექსანდრე I შტუტგარტში გავლის  
და სეპარატისტების მიერ გადმოსახლების ნებართვის თხოვნის თა-  
რიღი — 1816 წელი არც ერთ მკვლევარს არ გაუხდია საეჭვოდ.  
მაგრამ აღნიშნული ფაქტი (სექტანტთა თხოვნა ალექსანდრე პირ-  
ველისადმი — შტუტგარტში) არ შეიძლება მომზადარიყო 1816  
წელს. ამ წელს ალექსანდრე I არ ყოფილა არა თუ შტუტგარტში,  
არამედ საერთოდ ევროპაში. 1816 წლის დასაწყისი ალექსანდრე  
პირველმა პეტერბურგში გაატარა. ამ დროს იგი ძირითადად დიპ-  
ლომატიურ მიმოწერას აწარმოებდა<sup>24</sup>. ზაფხულში იგი ეწვია არაჟ-  
ჩევს მის მამულ გრუზინოში, საიდანაც ივლისის ბოლოს დაბრუნ-  
და პეტერბურგში. შემდეგ, აგვისტოში იგი იწყებს დიდ მოგზაურო-  
ბას რუსეთში, მარშრუტით: პეტერბურგი — მოსკოვი — ტულა —  
კალუგა — როსლავი — ჩერნიოვოვი — კიევი — ეიტომირი — ვარ-  
შავა — ბრიანსკი — გროდნო — რიგა — პეტერბურგი. ამ მოგზაუ-  
რობიდან ალექსანდრე I პეტერბურგში დაბრუნდა ოქტომბრის მი-  
წურულში. 1816 წლის ბოლო თვეები მან პეტერბურგსა და მის  
მახლობლად გაატარა<sup>25</sup>. ამდენად ალექსანდრე I შეხვედრა სეპა-  
რატისტების წარმომადგენლებთან შტუტგარტში 1816 წელს შეუ-  
ძლებელი იყო მომზადარიყო, რადგან იგი ამ წელიწადს რუსეთის  
ფარგლებს არ გასცილებია. ალექსანდრე I ევროპაში და კერძოდ  
შტუტგარტში იმყოფებოდა 1815 და 1818 წლებში<sup>26</sup>. უკანასკნელი  
თარიღი მიუღებელია, რადგან ამ დროს სექტანტები უკვე საქართ-

<sup>24</sup> Вел. кн. Николай Михайлович, да саб. ნაშრ., გვ. 195.

<sup>25</sup> Н. К. Шильдер, Император Александр Первый, его жизнь и царствование, т. IV. С.-Петербург, 1898, стр. 47—62; История царствования Алек-  
сандра I и Россия в его время, т. V, СПб, 1871, стр. 289—307.

<sup>26</sup> Н. К. Шильдер, указ. труд., т. III, стр. 321—328; А. Д. Сол-  
омко, Документы относящиеся последний месяцам жизни и кончине  
императора Александра Павловича, С-Пб. 1910, стр. 7—9; А. Михаи-  
ловский - Данилевский, Записки 1814 и 1815 гг., С-Пб., 1832,  
стр. 172—183.

ველოში არიან. რჩება 1815 წელი, რომელიც უნდა იყოს აღნიშნული შეხვედრის თარიღი, რაც სხვა ფაქტორებითაც დასტურდება.

მოკლედ განვიხილოთ მოვლენათა მსვლელობა აქ პერიოდში. 1814 წელს ალექსანდრე პირველი გაემგზავრა ვენის კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად. ვენის კონგრესი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა 1815 წლის პირველ მარტს საფრანგეთის ყოფილი იმპერატორი ნაპოლეონი მცირე რაზმით გადმოსხდა სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროზე. 20 მარტს იგი უკვე პარიზში იყო.

ნაპოლეონი ამ დროისათვის სეპარატისტების მიერ ანტიქრისტედ და „შავ ანგელოზად“ იყო მიჩნეული, რომელიც უპირისპირდებოდა „თეთრ ანგელოზს“ — ალექსანდრე I. ნაპოლეონის დაბრუნება, რაც ახალ სისხლისმღვრელ ბრძოლებს მოასწავებდა, ცხადია, სეპარატისტების შეშფოთებას გამოიწვევდა, როგორც „მეორედ მოსვლის“ ერთ-ერთი სიმპტომი და დააჩქარებდა მათი ძირითადი მისწრაფებებს — აღმოსავლეთში, არარატის მთასთან გადასახლების განხორციელების სურვილს.

ნაპოლეონის ყოველგვარი ცდა, შეეტანა განხეთქილება მოწინააღმდეგე კოალიციის წევრებს შორის, მარცხით დამთავრდა. ევროპის ახალი (მეშვიდე) კოალიციის ჯარები დაიძრნენ საფრანგეთის საზღვრებისაკენ. 1815 წლის 31 მაისს ალექსანდრე I ვენიდან მიუნხენის და შტუტგარტის გავლით გაემართა შტუტგარტთან ახლოს, მდინარე ნეკარის ნაპირზე მდებარე პატარა ქალაქ ჰაილბრონში, სადაც მოთავსებული იყო რუსეთის არმიის მთავარბანაკი. სწორედ აქ, 1815 წლის 4 ივნისს მოხდა პირველი შეხვედრა ალექსანდრე პირველსა და ბარონესა კრუდენერს შორის, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით ჩამოვიდა აქ. მალე რუსეთის არმიის მთავარბანაკი გადაიტანეს ჰაიდელბერგში, სადაც იმპერატორის მიწვევით გადავიდა კრუდენერიც. ამ დროისათვის ნაპოლეონმა მოახერხა რამდენიმეჯერ დაემარცხებინა კოალიციის ჯარები. 16 ივნისს აქ ალექსანდრე I შეიტყო მოკავშირეთა (ბლიუხერის) არმიის დამარცხება ლინისთან ბრძოლაში. ამ ცნობამ სასოწარკვეთილებაში ჩაავდო რუსეთის იმპერატორი, მაგრამ კრუდენერმა შეძლო მისი გამხსნევება და მართლაც 23 ივნისს ჰაიდელბერგში მიიღეს ცნობა ვატერლოოს ბრძოლაში ნაპოლეონის არმიის დამარცხების შესახებ. ამ დროიდან მოიპოვა ბარონესა კრუდენერმა განუსაზღვრელი გავლენა ალექსანდრე I-ზე. სწორედ ამ პერიოდში აქ (შტუტგარტში, ან შესაძლოა, ჰაილბრონსა და ჰაიდელბერგში) უნდა მიეღო ალექსანდრე I სე-

პარატისტთა თხოვნა რუსეთში გადმოსახლების შესახებ. იმ თხოვნის წარდგენასა და დაკმაყოფილებაში მონაწილეობა უნდა მიეღო კრუდენერს. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, — საქართველოში ბარონესა კრუდენერს ალექსანდრე I მოლოდინში დაქირავებული ჰქონდა ვინმე მეწისქვილე იაკობ კოხის სახლში, სადაც აწყობდა სექტანტური კითხვის სადამოებს და მსმენელებს მოუწოდებდა გადასახლებულიყვნენ კავკასიაში<sup>27</sup>. ეს იაკობ კოხი უნდა იყოს სეპარატისტთა ამიერკავკასიაში გადმოსახლების ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი<sup>28</sup>. ამ ორი პიროვნების (იაკობ კოხის) იდენტურობაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ, მართალია, წყაროთა უმრავლესობა არ ასახელებს სეპარატისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის იაკობ კოხის საქმიანობას, მაგრამ ვინმე X. III.-ს აქვს შემონახული ცნობა, რომ სეპარატისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი, იაკობ კოხი, რომელიც შემდგომში რელიგიური განხეთქილების ნიადაგზე საქართველოდან სარეპტაში<sup>29</sup> გადასახლდა, სპეციალობით იყო მეწისქვილე<sup>30</sup>. ამდენად ბარონესა კრუდენერის ყოფნა ამიერკავკასიაში გადმოსახლების მსურველ სეპარატისტთა ერთ-ერთ ხელმძღვანელთან შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გერმანელ სექტანტთა ამიერკავკასიაში ჩამოსახლების უშუალო განხორციელებას მიაწერენ ბენგელისა და იუნგ-შტილინგის პრაქტიკულ საქმიანობას. თუ ეს რამდენადმე სწორია იუნგ-შტილინგის მიმართ, სრულიად საფუძველს არის მოკლებული ბენგელის შესახებ. ბენგელმა ისევე, როგორც ზემოთდასახელებულმა სხვა მისტიკოსმა მწერლებმა, თეორიული საფუძვლები ჩაუყარა სეპარატისტთა მოძღვრებას აღმოსავლეთში გადასახლების და მეორედ მოსვლისათვის იქ შეხვედრის შესახებ. ბენგელმა და იუნგ-შტილინგმა წლებიც კი გამოთვალეს, თუ როდის უნდა დაწყებულიყო მეორედ მოსვლა; მაგრამ ბენგელს არ შეეძლო თავისი ქადაგებით აქტიური პრაქტიკული მონაწილეობა მიეღო სეპარატისტთა ამიერკავკასიაში ჩამოსახლების საქმეში, რადგან იგი ამ მოვლენამდე 65 წლით ადრე (1752 წ.) გარდაიცვალა.

<sup>27</sup> В. К. Надлер, Император Александр I и идея священного союза, т. V, Рязь, 1915, стр. 536.

<sup>28</sup> Акты т. VI, ч. I, 426, стр. 317.

<sup>29</sup> ზოლვისპარეთის გერმანული კოლონიების ცენტრი.

<sup>30</sup> Письма X. III. . . к. Ф. Булгарину или поездка на Кавказь, «Северный Архив», 1828, ч. 35, стр. 240.



ამავე დროს ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ არ იხსენიებს კრუდენერის საქმიანობას სეპარატისტთა გადმოსახლების საქმეში. შესაძლოა ამ შემთხვევაში აღნიშნული მკვლევარები [სტრუბინი, სტრუბინი] ბიან კრუდენერის ზოგიერთ ბიოგრაფს (ეინარი და [სტრუბინი], [სტრუბინი]) ლებიც უარყოფდნენ ბარონესა კრუდენერის მიერ სექტანტი-სეპარატისტების კავკასიაში გადასახლებლად წაქეზებას და ფაქტების საწინააღმდეგოდ ამტკიცებდნენ, რომ, თითქოს, 1815 წელს იუნგ-შტილინგის და მისი მიმდევრების აგიტაციის საწინააღმდეგოდ კრუდენერი ურჩევდა სეპარატისტებს თავი შეეკავებინათ კავკასიაში გადმოსახლებისაგან<sup>31</sup>.

ეინარის ეს მტკიცება სრულიად ეწინააღმდეგება ფაქტებს, რაც თავის დროზე სრულიად სამართლიანად იქნა მხილებული და უარყოფილი როგორც კრუდენერის ბიოგრაფების (მიულენბეკი), ისე სხვა მკვლევართა (ნადლერი)<sup>32</sup> მიერ. მართლაც, განა შეიძლება სერიოზულად მტკიცება იმისა, რომ კრუდენერი წლების მანძილზე, 1815 წლამდე, თავგამოდებით მოუწოდებდა სექტანტებს კავკასიაში გადასახლებულიყვნენ, რისთვისაც მრავალი უსიამოვნება შეხვდა. 1815 წელს კი ურჩევდა მათ თავი შეეკავებინათ ამ გადასახლებისაგან, ხოლო 1816—1817 წლებში კვლავ მოუწოდებდა (ამჯერად შვეიცარიულ სექტანტებს) გადასახლებულიყვნენ კავკასიასა და პალესტინაში, რის გამოც შვეიცარიის ხელისუფლებმა იგი თავისი ქვეყნიდან გააძევეს<sup>33</sup>. მაგრამ ეს უკანასკნელი ავტორები არ აღნიშნავენ, თუ რატომ დასჭირდათ ეინარს და კრუდენერის ზოგიერთ სხვა ბიოგრაფს სეპარატისტთა ამიერკავკასიაში გადმოსახლების საქმეში კრუდენერის აქტიური მონაწილეობის უარყოფა და პირიქით მტკიცება, რომ იგი 1815 წელს ურჩევდა სექტანტებს თავი შეეკავებინათ გადმოსახლებისაგან<sup>34</sup>. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ეინარი და სხვა ბიოგრაფები ცდილობდნენ თავიანთი გმირისათვის აეცილებინათ მორალური პა-

<sup>31</sup> Charles Eynard, Vie de madame Krüdener, I vol., Paris, 1849, p. 319.

<sup>32</sup> Надлер, დასახ. ნაშრ., გვ. 539.

<sup>33</sup> Пипин, დასახ. ნაშრ., გვ. 222—223.

<sup>34</sup> იუნგ-შტილინგთან ერთად კრუდენერის დიდ როლს კოლონისტთა ჩამოსახლებაში ადასტურებს ა. მ. ფადეევი (იხ. А. М. Фадеев, დასახ. ნაშრ., გვ. 15). უკანასკნელ ხანებში ამ საკითხზე გამოქვეყნებული სტატიებიდან აღსანიშნავია ა. ვარშავსკის სტატია ჟურნალ «Знание — сила»-ში, რომელშიც ავტორი, სრულიად სამართლიანად, მააწერს. ბარონესა კრუდენერს მნაშველოვან როლს აკრძანელი სექტანტების ამიერკავკასიაში ჩამოსახლების საქმეში (იხ.: «Знание — сила», 1967, № 1, стр. 41).

სუხისმგებლობა იმ დიდი მსხვერპლისა და უბედურების გამო, რაც სეპარატისტებმა ამიერკავკასიაში ჩამოსვლამდე და აქ ჩამოსახლების პირველ წლებში განიცადეს.

სეპარატისტთა წარმომადგენლების შეხვედრა ალექსანდრე მომხდარა ვიურტემბერგში რუსეთის საელჩოს მეშვეობით<sup>35</sup>. შეხვედრის დროს სეპარატისტთა წარმომადგენლებმა რუსეთის იმპერატორს გააცნეს თავისი რელიგიური რწმენის არსი და სთხოვეს კავკასიაში დასახლების ნებართვა. სავარაუდოა, რომ ალექსანდრე I კრუდენერის მეშვეობით საკმაოდ კარგად იცნობდა სეპარატისტთა მოძღვრებას და, როგორც ჩანს, თანაუგრძობდა კიდევ მას. იგი დაპირდა სეპარატისტებს კავკასიაში დასახლების ნებართვას და მათი რელიგიური რწმენის ზელშეუზებლობას. ამასთანავე სეპარატისტები გააფრთხილეს, რომ წინასწარ საჭირო იქნება მათი დასახლებისათვის თავისუფალი სახაზინო მიწების შერჩევა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებდნენ ისინი რუსეთის იმპერიაში და კერძოდ ამიერკავკასიაში დასახლების ოფიციალურ ნებართვას.

სეპარატისტებს, ეწინოდათ რა მოახლოებული მოვლენის (ქვეყნიერების დასასრულის), აღარ დაუცდიათ ოფიციალური ნებართვისათვის, ისე დაიწყეს სამზადისი ამიერკავკასიაში გადმოსასახლებლად.

1817 წელს დასაწყისში პირველი ამიერკავკასიისაკენ, ავანგარდის სახით დაიძრნენ სოფ. შვაიკაიმიის მცხოვრებნი, 50 ოჯახის შემადგენლობით<sup>36</sup>. მათ კვალდაკვალ 1817 წლის აპრილისათვის ამიერკავკასიაში გამოსამგზავრებლად ქ. ულუმში თავი მოიყარა 1400 ოჯახმა (7000-მდე კაცმა). მათ უმრავლესობას ვიურტემბერგელი სეპარატისტები შეადგენდნენ, რომელთა გარდა მცირე რაოდენობით იყვნენ ბადენელებიც და აგრეთვე თითო-ორიოლა სხვადასხვა ჯურის ავანტურისტები რაინისპირა გერმანული სახელმწიფოებიდან. სეპარატისტებმა მგზავრობის წარმატებით განხორციელებისათვის რამდენიმე ღონისძიება გაატარეს: შექმნეს საერთო სალარო ღარიბთა დასახმარებლად, რომელშიც ყოველმა მდიდარმა სექტანტმა თავისი კაპიტალის მეთაფი შეიტანა, ულმიდან ვენაში მიავლინეს დელეგატები, რომელთაც რუსეთის საელჩოს აცნობეს თავისი გამგზავრების შესახებ და სთხოვეს დახმარება. რუსეთის საელჩოში კოლო-

<sup>35</sup> Акты, т. VIII, 165, стр. 238, სსსრ ცსსა, ფ. 424, ანაწ. I, ს. 2, ფურც. 25.

<sup>36</sup> Н. Н и к и ф о р о в, Экономический быт немецких колонистов в Закавказском крае. «Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края», т. I, 1885, стр. 99.

ნისტა დელეგატებს აღუთქვეს სათანადო დახმარება და ამასთანავე ურჩიეს ამიერკავკასიისაკენ გამომგზავრებულიყვნენ სახმელეთო გზით, გალიციის გავლით.

სექტანტებმა ეკონომიური მოსაზრებით უარი უთქვეს ამიერკავკასიისაკენ გამოემართნენ მდინარე დუნაის გზით, რაც მრავალი მათგანისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. გერმანელმა კოლონისტებმა გაიარეს რეგენსბურგი, ვენა, პრესბურგი (ბრატისლავა), ბელგრადი და მდინარე დუნაით მიაღწიეს იზმაილს. შუა ზაფხულის პაპანაქება სიცხეში არაჯანსაღ დუნაისპირა დაბლობზე მგზავრობამ მასიური ავადმყოფობა გამოიწვია გადმოსახლებულებს შორის. ავადმყოფობის გამო მათ ორჯერ მოუხდათ გადაეტანათ ორმოცდღიანი კარანტინი — ჯერ იზმაილში, შემდეგ ოვიდიე-პოლში<sup>37</sup>. თვითეული კარანტინის დროს ათასზე მეტი კაცი დაიხოცა. ოდესაში გადმოსახლებულებს კვლავ მოუხდათ კარანტინის გადატანა, რომლის დროსაც თითქმის ყველა მათგანმა იავადმყოფა და მრავალიც დაიხოცა.

ოდესაში ჩამოსულ კოლონისტებს პირველად ჩამოსული სექტანტთა 50 ოჯახიდან 31 უკვე საქართველოსკენ წამოსული დახვდათ.

ოდესაში პირველად ჩამოსულმა სექტანტთა 31 ოჯახმა თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს კოზოდავლევს, დაერთო საქართველოში დასახლების ნება. თავის თხოვნას კოლონისტები იმითაც ასაბუთებდნენ, რომ ისინი სამშობლოში მევენახეობას მისდევდნენ და საქართველოს კლიმატურ პირობებში შეძლებდნენ ამ დარგში მუშაობას. ცოტა უფრო ადრე, 1816 წლის დეკემბერში კოზოდავლევმა მიიღო ერმოლოვის ზემოაღნიშნული თხოვნა — ჩამოესახლებინათ თბილისის მახლობლად გერმანელ კოლონისტთა 30-მდე ოჯახი, რომლებიც სხვადასხვა პროდუქტს მიაწვდიდნენ თბილისის მოსახლეობას. კავკასიის ზღვისუფლებმა სცადეს ამ მიზნით ჩრდილო კავკასიაში მდებარე შოტლანდიელთა კოლონია კარასში მცხოვრებ გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლება, მაგრამ ამ უკანასკნელებმა უარი განაცხადეს საქართველოში გადმოსვლაზე. ამიტომ კოზოდავლევი სიამოვნებით დათანხმდა სექტანტთა პირველი ჯგუფის თხოვნას. მისი წარდგენით მინისტრთა კომიტეტმა 1817 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ნება დართო აღნიშნულ 31 ოჯახს, გადმოსახლებულიყვნენ საქართველოში.

<sup>37</sup> სსრ ცსსა, ფ. 2, ანაწ. I, საქმე 1384, ფურც. 13.

კოლონისტების მგზავრობა ოდესიდან შემდეგი მარშრუტით მიმდინარეობდა: ხერსონი, ტავანროვი, როსტოვი, გეორგიევსკი, მოზდოკი, თბილისი.

კოლონისტთა პირველი ჯგუფი 31 ოქტომბერს (181 სულთს) შემადგენლობით თბილისში ჩამოვიდა 1817 წლის 21 სექტემბერს. ეს კოლონისტები დაასახლეს სართიჭალის მაზლაში; კოლონიას ეწოდა მარიენფელდი.

შემოდგომა და ზამთარი გერმანელმა სექტანტებმა ოდესის მიღამოებში გაატარეს, ადრე გადმოსახლებულ თავიანთ თანამემამულეებთან. აქ გამოირკვა, რომ ზოგიერთი წინამძღოლი უსინდისოდ ექცეოდა საზოგადოებრივ საღაროს. ამ ამბავმა, ზემოაღნიშნულ უბედურებებთან ერთად, არეულობა და განხეთქილება გამოიწვია გერმანელ სექტანტებს შორის. სექტანტთა ნაწილმა სეპარატისტული მოძღვრება უარყო და დაუბრუნდა ლუთერანულ სარწმუნოებას. სამასმა ოქტომბრის უარი განაცხადა გზის გაგრძელებაზე, ისინი დასახლდნენ ხერსონის გუბერნიისაში, სადაც შექმნეს კოლონია ჰოფენგეტალი<sup>38</sup>.

გადმოსახლებულებმა კავკასიაში დასახლების ნებართვის დასაჩქარებლად ოდესიდან მოსკოვში მყოფ იმპერატორთან გაგზავნეს სამი დელეგატი: კონი, ფრიკი და მაიერი. დელეგატებმა ალექსანდრე I წარუდგინეს თხოვნა — დაერთო საქართველოში დასახლების ნება; ამასთანავე კოლონისტები ვალდებულებას იღებდნენ, რომ მცირე დახმარების გარდა არაფრით არ შეაწუხებდნენ მთავრობას; რომ თვით აიგებდნენ სახლებს, დაამზადებდნენ სამუშაო ინვენტარს და სხვა; მხოლოდ ითხოვდნენ ხელშეწყობას დასასახლებლად ვარჯისი ადგილების შერჩევით და სამშენებლო და სხვა საჭირო მასალის გამოყოფით.

რუსეთის იმპერატორმა ყოველგვარი დახმარება აღუთქვა კოლონისტებს. მისი ბრძანებით გრაფი ნესელროდე 1818 წლის 20 თებერვლის წერილით აცნობებდა ერმოლოვს, რომ ოდესიდან საქართველოსაკენ გამოსამგზავრებლად ემზადება ხუთასი გერმანელის ოჯახი. იმპერატორის ბრძანებით კავკასიის მთავარმართებელს ყოველგვარი ზომები უნდა მიეღო კოლონისტების დასასახლებლად და სათანადოდ მოსაწყობად. დელეგატებს აქვე აცნობეს, რომ კოლონისტებს ოდესიდან უნდა გაეგზავნათ წარმომადგენლები ამიერკავკასიაში დასასახლებლად ვარჯისი ადგილების შესარჩევად.

<sup>38</sup> Ф. Циммер, Колония Еленендорф, сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, 1901, вып. 29, ч. II, стр. 2.

საპასუხო წერილში ერმოლოვი წერდა ნესელოდეს, რომ თუმცა უცხოელი კოლონისტების ჩამოსახლება ამიერკავკასიაში ვრავალმხრივ სასურველია, მაგრამ ამ რაოდენობის კოლონისტთა ერთდროულად დასახლება ძალზე ძნელია, რადგან გაჭირდება მათთვის საჭირო რაოდენობით თავისუფალი სახაზინო მიწების გამოძებნა, მათი დაცვა სამხედრო რაზმებით მთიელთა თავდასხმებისაგან და სხვ.<sup>39</sup> ამიტომ ერმოლოვი ითხოვდა, რომ გერმანელებს ეს ზამთარიც ოდესასთან გაეტარებინათ და 1819 წლის გაზაფხულზე დაძრულიყვნენ ამიერკავკასიისაკენ.

ამ დროისათვის გერმანელი კოლონისტები კვლავ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. შემოდგომის წვიმების დროს გადმოსახლებულებს კვლავ მოედო სხვადასხვა ავადმყოფობა, რამაც კიდევ რამდენიმე ასეული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უმთავრესად ღარიბთა რიგებიდან. მაშინ სამხრეთის მხარეში გადმოსახლებულ უცხოელთა კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა ინზოვმა ბრძანება გასცა კოლონისტებს აღარ დაეცადათ კავკასიაში გაგზავნილი წარმომადგენლების დაბრუნებისათვის და დაუყოვნებლივ გამოგზავრებულყვნენ<sup>40-41</sup>.

გამომგზავრების მსურველი კოლონისტები ათ პარტიად გაყვეს, თვითეულ პარტიაში 50-მდე ოჯახი შედიოდა. თვითეულ პარტიას სპეციალური მეთვალყურის სახით მიუჩინეს ოფიცრები ე. წ. „კონდუქტორები“.

1818 წლის ივლისის ბოლოსათვის 9 პარტია უკვე გამომგზავრებული იყო ამიერკავკასიისაკენ, ხოლო მე-10 მზად იყო გამოსამგზავრებლად. კოლონისტთა სამგზავრო მარშრუტი იგივე იყო, რაც პირველად ჩამოსახლებული 31 ოჯახისა. კოლონისტთა პარტიები მგზავრობდნენ გარკვეული ინტერვალებით, რათა უფრო ადვილად ემოვნათ სურსათი და ფურაჟი.

ერმოლოვი ამ დროს ჩრდილო კავკასიაში ციხე-სიმაგრეების სუნჯასა და გროზნაიას რაიონში იმყოფებოდა, საიდანაც ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს მთიელების წინააღმდეგ. მისი მითითებით საქართველოს სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა სტალმა დაიწყო სახაზინო მიწების შერჩევა კოლონისტების დასახლებლად.

თავდაპირველად კოლონისტთა დასახლებლად შეარჩიეს მიწები საგურამოსთან, მულანლოსთან, სამაჩხეთში, თავეთში, სამ-

<sup>39</sup> Акты. т. VI, ч. I, 426, стр. 316.

<sup>40-41</sup> Записки А. П. Ермолова во время управления Грузией, М., 1868, стр. 67.

შვილდემი (თბილისის მაზრა), ხანლუჯარსა და შამქორში (ელისავეტპოლის მაზრა). კოლონისტთა წარმომადგენლებმა აღნიშნული მიწები დაათვალიერეს და მოეწონათ.

ამ მიწებიდან საგურამო ეკუთვნოდა ეკლესიას, მულანლო — თავად ჭავჭავაძეს. ხოლო დანარჩენი მიწები ძირითადად გაუკაცრიელებული იყო, კოლონისტების დასასახლებელი მიწების ნაცვლად ეკლესიას ჰპირდებოდნენ ფულად კომპენსაციას, ხოლო თავად ჭავჭავაძეს სახაზინო სოფლის ურიათუბნის (დღევანდელი ვაზისუბნის) ნახევარს. მულანლოს მცხოვრებნი უნდა აეყარათ და სხვაგან გადაესახლებინათ. მაგრამ შემდგომში ხელისუფლებმა უარი თქვეს ორივე ამ ნაკვეთზე უმთავრესად კოლონისტთა უშიშროების დაცვის მიზნით — საგურამოს უღრანი ტყეები ეკრა გარს, ხოლო მულანლო ახლოს იყო სამომთაბარო გზებთან, რაც მათ დაცვას თავდასხმებისაგან აძნელებდა.

ამიერკავკასიაში მიწების სინოცივის და სიმცივის გამო პეტერბურგმა დააკმაყოფილა კავკასიის ადმინისტრაციის თხოვნა — კოლონისტების თითოეული ოჯახისათვის 60 დესეტინის ნაცვლად გამოეყოთ 35 დესეტინა მიწის ნაკვეთი<sup>42</sup>.

ხელისუფალთა ყოველმხრივი დახმარების მიუხედავად კოლონისტებს ძალზე მძიმე პირობებში უხდებოდათ მგზავრობა. 1818 წლის 20 სექტემბრისათვის ჩამოსული პირველი 4 პარტიიდან (200 ოჯახი, 1000 სული) გზაში გარდაიცვალა 60 კოლონისტი, ხოლო თბილისში ავადმყოფი ჩამოვიდა 58<sup>43</sup>.

გერმანელი კოლონისტები თბილისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილზე დაასახლეს. ბოლოს ჩამოსული კოლონისტებისათვის თბილისის მახლობლად არ აღმოჩნდა დასასახლებლად ვარგისი ადგილები, ამიტომ მათ ხელისუფლებმა შესთავაზეს დასახლებულიყვნენ ელისავეტპოლის მაზრაში. ამ წინადადებაზე კოლონისტები არ დათანხმდნენ და დარჩნენ თბილისის მიდამოებში. ისინი არსებობდნენ შემთხვევითი სამუშაოთი, ან მათხოვრობდნენ. მაშინ კავკასიის ადმინისტრაციის ბრძანებით კახაკების რაზმმა ისინი ძალით გადაიყვანა ელისავეტპოლის მაზრაში. ვინაიდან ეს მოხდა გვიან შემოდგომაზე, ზამთარი მათ ქალაქ ელისავეტპოლში გაატარეს. 1819 წლის გაზაფხულზე გერმანელი კოლონისტები კვლავ ძალდატანებით გადაიყვანეს მდინარეების განჯისა და შამქორის მიდამოებში, სადაც მათ ორი კოლონია დააარსეს<sup>44</sup>.

<sup>42</sup> სსსრ ცსსა, ფ. 227, ანაწ. I, საქმი 27.

<sup>43</sup> Акты, т. VI, ч. I, 449, стр. 319.

<sup>44</sup> Ф. Циммер, დასახ. ნაშრ., გვ. 3—4.

1819 წლის ბოლოსათვის გერმანიიდან გადმოსახლებულუბმა ქვეყნის ადმინისტრაციის დახმარებით სულ რვა კოლონია შექმნეს.

1. მ ა რ ი ე ნ ფ ე ლ დ ი — 31 ოჯახით, კახეთის გუბერნიის (სართიქალაში) თბილისიდან 35 ვერსის დაშორებით.

2. თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ო ლ ო ნ ი ა — ქალაქის მაშინდელ გარეუბან კუკიაზე (ახლანდელი პლეხანოვის გამზირის ტერიტორია) — 51 ოჯახით<sup>45</sup>. 1852 წელს ეს კოლონია, რომელიც მხოლოდ ხელოსნებისაგან შედგებოდა, ქალაქს მიეკუთვნა, ხოლო 1861 წლიდან კოლონისტების სარგებლობაში მყოფი მიწები მათ სრულ საკუთრებაში გადაიცა<sup>46</sup>.

3. ა ლ ე ქ ს ა ნ დ ე რ ს დ ო რ ფ ი — 23 ოჯახით (დაერქვა ალექსანდრე I პატივსაცემად), მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისიდან ჩრდილოეთით 6 ვერსის დაშორებით; დიდუბის სახაზინო მიწებზე (ახლანდელი სამტრედიის ქუჩის მიდამოები).

4. პ ე ტ რ ს დ ო რ ფ ი — 17 ოჯახით (სახელწოდება მიიღო პეტრე I პატივსაცემად) — ეს კოლონია დაარსდა მარიენფელდის მახლობლად.

5. ე ლ ი ა ვ ე ტ ა ლ ი — 65 ოჯახით (სომხითში — დღევანდელი ასურეთი). სახელწოდება მიიღო დასახლების ადგილის არჩევის დღესთან დაკავშირებით (1818 წლის 19 ნოემბერი ახალი სტილით).

6. ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ნ ფ ე ლ დ ი<sup>47</sup> — 116 ოჯახით (სახელწოდება მიიღო ვიურტემბერგის დედოფლის ეკატერინე პავლეს ასულის პატივსაცემად). ეს კოლონია მდებარეობდა ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისთან, თბილისიდან 60 ვერსის მანძილზე.

7. ა ნ ე ნ ფ ე ლ დ ი — 91 ოჯახით (სახელწოდება მიიღო ნიდერლანდების დედოფლის ანა პავლეს ასულის პატივსაცემად). კოლონია შეიქმნა შამქორის სახაზინო ტიალ მიწებზე განჯიდან 25 ვერსის, ხოლო თბილისიდან 155 ვერსის მანძილზე.

8. ე ლ ე ნ ე ნ დ ო რ ფ ი — 130 ოჯახით; განჯის მახლობლად

<sup>45</sup> თბილისის და ზოგიერთ სხვა კოლონიაში მცხოვრებ კოლონისტთა ოჯახების რიცხვს სხვადასხვა წყარო განსხვავებულს იძლევა, რაც კოლონისტთა ხშირი გადასვლა-გადმოსვლით უნდა აიხსნას.

<sup>46</sup> ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 5, д. 299, л. 33.

<sup>47</sup> კოლონია ეკატერინენფელდი თავდაპირველად დაარსდა ელისავეტპოლის მაზრაში — შამქორის სახაზინო მიწებზე; მაგრამ მიწების სიმწირის და წყლის უმარისობის გამო, შემდგომში კოლონისტები გადაიყვანეს სამშვილდეში — ე. წ. ყორანთის მიწაზე, რომელიც ეკლესიას ეკუთვნოდა; ეს კოლონია მდებარეობდა თბილისიდან სოფ. ქვეშისაგენ მიმავალ გზაზე (ЦГИАЛ ф. 1268, оп. 5, д. 299, л. 331).

(სახელწოდება შეიკუთვნა მეკლენბურგ-შვერინის პერცოგინიას ელენე პავლეს ასულის პატივსაცემად)<sup>48</sup>.

შემდგომში ამიერკავკასიაში კიდევ რამდენიმე გერმანული კოლონია შეიქმნა. 1842 წ. აბასთუმნის მინერალური წყლებზე მასობრივად დაასახლეს გერმანელ კოლონისტთა 10 ოჯახი; კოლონიას ეწოდა ფრაიდენტალი. განზრახული იყო აქ კიდევ დაესახლებინათ 70-მდე ვიურტემბერგელი კოლონისტის ოჯახი<sup>49</sup>. მაგრამ აქ დასახლებულ კოლონისტებს მიწა არ მოეწონათ. მათგან ერთი ოჯახი რუსეთში გადასახლდა, ერთი ეკატერინენფელდში, ხოლო 8 ოჯახი 1848 წელს ცალკე კოლონიის სახით დაასახლეს მარიენფელდის მეზობლად.

1850 წელს სტავროპოლის მახლობლად მდებარე იოჰანესდორფიდან ლოკინოში ჩამოასახლეს გერმანელ კოლონისტთა 9 ოჯახი. მაგრამ კოლონისტები ვერ შეეგუენ აქაურ ჰავას და 1854 წელს უკან გაბრუნდნენ სტავროპოლში<sup>50</sup>.

1857 წელს კოლონია ელიზავეტალის 38 უნადელო ოჯახს გამოუყვეს მიწის ნაკვეთი ჭოჭიანი-წალკის მახლობლად, სადაც 1842 წელს შეიქმნა კოლონია ალექსანდერსპილფი (სახელწოდება შეიკუთვნა მეფისნაცვალ ალ. ი. ბარიატინსკის პატივსაცემად)<sup>51</sup>.

გასული საუკუნის 40-იან წლებში კავკასიის ადმინისტრაციამ სცადა დასავლეთ საქართველოში — გურიასა და იმერეთში დაესახლებინა გერმანელი კოლონისტები, მაგრამ კოლონისტთა შორის არ აღმოჩნდნენ დასავლეთ საქართველოში დასახლების მსურველნი<sup>52</sup>. 60-იან წლებში სცადეს გერმანელ კოლონისტთა დასახლება სამტრედიის მახლობლად — სატურიში, მაგრამ ხელისუფალთა ეს ღონისძიება არ განხორციელდა, რადგან აღნიშნულ მიწებზე (370 დესეტ.) ცხოვრობდა 53 სახაზინო გლეხის ოჯახი, რომლებიც ვერ გადასახლეს<sup>53</sup>.

ასევე უშედეგო აღმოჩნდა მხარის ხელისუფალთა ცდა — დაესახლებინათ გერმანელი კოლონისტები კერძო მფლობელთა მიწებზე<sup>54</sup>. ხელისუფალთა ამ წინადადებას განსაკუთრებით გამოხმაურე-

<sup>48</sup> ЦГИАЛ, ф. 1268, оп. I, д. 611.

<sup>49</sup> სსსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ. I, საქმე 6886, ფურც. 1.

<sup>50</sup> იქვე, ფ. 222, ანაწ. I, საქმე 77, ფურც. 14, 17.

<sup>51</sup> Н. Никифоров, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

<sup>52</sup> პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 474. სსსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ. I, საქმე 6396, ფურც. 6—10.

<sup>53</sup> სსსრ ცსსა, ფ. 240, ანაწ. I, საქმე 29, ფურც. 46.

<sup>54</sup> იქვე, ფ. 16, ანაწ. I, საქმე 4549.



ბიან კახელი მემამულეები. 1860 წელს იყალთოელ თავადებს რე-  
ვაზ და ათანასე მაყაშვილებს ხელისუფალთათვის შეუთავაზებით  
დაესახლებინათ გერმანელი კოლონისტები მათ მამულშია დასახლ-  
დნენ და გოდლისში. ეს დაუსახლებელი ადგილი მდებარეობდა  
თელავიდან 10 ვერსის დაშორებით. იგი შედგებოდა საუცხოო სახ-  
ნავსათესის, სათიბი და საძოვარი მიწებისაგან; ჰქონდა კარგი ტყე  
და სასამელი წყლები — სულ 2000 დესეტინამდე ფართობი. სხვა მე-  
მამულეთა მსგავსად, მაყაშვილები მთავრობას სთავაზობდნენ კო-  
ლონისტები დაესახლებინათ აქ ისეთივე პირობებით და შელავათე-  
ბით, როგორც სახაზინო მიწებზე, მაგრამ გერმანელ კოლონისტებს  
აქ დასახლებაზე უარი უთქვამთ<sup>55</sup>.

1879 წელს გერმანიის სხვადასხვა კუთხის 30 ოჯახს, თბილის-  
ში წარმოგზავნილი თავისი რწმუნებულის ვინმე იზრელის საშუა-  
ლებით, უთხოვნიათ კავკასიის ადმინისტრაციისათვის დაესახლები-  
ნათ ისინი კახეთში, ლაგოდებს მახლობლად მდებარე სახაზინო მი-  
წებზე. კოლონისტთა აქ დასახლებისაგან მთავრობას ამჯერად  
თავი შეუკავებია და ისინი დაუსახლებია შავი ზღვის ოლქში<sup>56</sup>.

1884 წელს რუსეთიდან სოხუმის მახლობლად გადმოასახლეს  
კოლონისტები, რომლებმაც აქ შექმნეს ორი კოლონია: ნაიდორფი  
და ვნადენბერგი — პირველი 53, ზოლო მეორე — 26 მცხოვრე-  
ბით<sup>57</sup>.

დაბოლოს, XX საუკუნის დასაწყისისათვის ძველი კოლონიე-  
ბის ბაზაზე წარმოიშვა რამდენიმე ახალი ე. წ. „შვილობილი კო-  
ლონია“ („дочерние колонии“): 1. გეორგფელდი (1885 წ.), 2.  
ალექსეევკა (1904 წ.), 3. აივენდფელდი (1905 წ.), 4. გრიუნფელ-  
დი (1907), 5. ტრაუბენფელდი (1912)<sup>58</sup>.

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გერმა-  
ნიიდან და რუსეთიდან ცალკეულ გერმანელ კოლონისტთა ჩამო-  
სვლას. ეს ცალკე ჩამოსული პირები ძირითადად გერმანულ კოლო-  
ნიებში ან მსხვილ ქალაქებში (ხელოსნები) სახლდებოდნენ<sup>59</sup>.

70-იანი წლებიდან მეფის მთავრობა ნაკლებ დაინტერესებას იჩ-  
ენს ამიერკავკასიაში გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლებით და  
ზოგჯერ კრძალავს კიდევ მას, რაც იმ დროს შექმნილი პოლიტი-  
კური ვითარებით იყო გამოწვეული.

<sup>55</sup> სსსრ ცსსა, ფ. 238, ანაწ. 1, საქმე 38, ფ. 33—39.

<sup>56</sup> ი. ქ. ვ. ე. ფ. 241, ანაწ. 1, საქ. 999, ფ. 2—3.

<sup>57</sup> ი. ქ. ვ. ე. ფ. 12, ანაწ. 1, საქ. 3097, ფურცელი 55—56.

<sup>58</sup> Э. К л е й н. Немецкие колонии и азербайджанские виноделие, «На-  
родное хозяйство» (Баку), 1920, № 9, стр. 32—33.

<sup>59</sup> სსსრ ცსსა, ფ. 4, ანაწ. 2, საქმე 636, ფურც. 1—2.

ამიერკავკასიაში ჩამოსახლებისთანავე გერმანელი კოლონისტები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა მთავრობამ მათ შინა-შენელოვანი თანხები მისცა, თბილისში ჩამოსვლისას ისინი მეტად შეზღუდულ მატერიალურ პირობებში იყვნენ. „პირველი პარტიის ჩამოსვლისას 50 ოჯახიდან მხოლოდ 20-ს ჰქონდა მცირეოდენი თანხა, ხოლო დანარჩენ 30-ს გროშიც არ გააჩნდა. დანარჩენი პარტიები კიდევ უფრო გაღატაკებული იყვნენ. მე დავუნიშნე მათ სულზე 10 კაპიკი დღეში და ალბათ ასე უნდა უხადოთ პირველ მოსავლამდე“, — წერდა სტალი ერმოლოვს<sup>60</sup>.

საპასუხო წერილში ერმოლოვი ავალებდა სტალს, კოლონისტები დროებით ახლო-მახლო სოფლებში მოეთავსებინა და დაეწყო ზრუნვა მათთვის სახლების აგებაზე. ამასთანავე ერმოლოვი აფრთხილებდა სტალს, რომ საჭიროა თვალყურის დევნება მათთვის, „რადგანაც ისინი (კოლონისტები — გ. მ.) უწყსრიგოდ ხარჯავენ ფულს. შემჩნეული არიან აგრეთვე სიზარმაცეში და საჭიროებენ ძალდატანებას“<sup>61</sup>.

პირველად ჩამოსახლებულმა 31 ოჯახმა 1818 წლის ზამთარი სოფ. მარტყოფში, ადგილობრივ გლეხთა სახლებში გაატარა. მათთვის დაიწყეს ქვის სახლების მშენებლობა. სულ აუშენეს 16 სახლი; ორ ოჯახზე ერთი სახლი. სამშენებლო მასალა უფასოდ გამოუყვეს. მასალას უსასყიდლოდ აზიდინებდნენ ადგილობრივ გლეხებს თავისივე ურემებით. სახლებს აშენებდნენ ჯარისკაცები, რომელთაც ეძლეოდათ: ოსტატს 15 კაპიკი და მუშას ათი კაპიკი დღეში. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერ-პორუჩიკი ევსტრატოვი.

შემდგომში ჩამოსული კოლონისტების ნაწილი ასევე ადგილობრივ მოსახლეობას შეაკედლეს, ნაწილი მუსულმანებისათვის ჩამორთმეულ დახურულ ურემებში (кибитка) მოათავსეს; კოლონისტთა მცირე ნაწილმა პირველ ხანებში საცხოვრებლად მიწურება გაიკეთა. კოლონისტთა ყოველ ოჯახს მიეცა კანონით გათვალისწინებული 300—300 მანეთი სახლების ასაშენებლად. მაგრამ მთავრობამ ეს არასაკმარისად ცნო და კიდევ დაუმატა 100 — 100 მანეთი<sup>62</sup>.

<sup>60</sup> Акты, т. VI, ч. I, 449, стр. 334.

<sup>61</sup> იქვე, 456, გვ. 437.

<sup>62</sup> სსსრ ცსსა, ფ. 2, ანაწ. I, საქმე 1384, ფურც. 14.

პირველ ხანებში ინვენტარისა და სათანადო რაოდენობის გამოწვევი ძალის უყოლობის გამო, გერმანელ კოლონისტებს უჭირდათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება. მათ განუვალტყვევებულ ცბენებს არ შეეძლოთ ყამირის მოხვნა. კოლონისტებს ამჯერადაც დაეხმარა ქვეყნის ადმინისტრაცია, რომლის განკარგულებითაც კოლონისტების მიწები საკუთარი გუთნეულით სრულიად უსასყიდლოდ მოახუნევენეს ადგილობრივ გლეხებს, რომელთაც გასულ სუსხიან ზამთარში დაეხოცათ პირუტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი და თავიანთი მიწებიც არ ჰქონდათ ჯერ მოხსული<sup>63</sup>.

კოლონისტებს ხაზინის ხარჯზე შეუძინეს ინვენტარი და საქონელი. მხოლოდ 1819 წელს მარიენფელდის კოლონისტებმა ამ სახით მიიღეს 10 საზიდარი, 16 გუთანი, 16 მუშეკეტი, 20 ცხენის მოსართავი, 60 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი და 200 ცხვარი. ამავე წელს ყოველი კოლონისტის ოჯახს მიეცა უღელი ხარის შესაძენი თანხა — 24 მან. კოლონისტებს ცალკე მიეცათ ფული წვრალი ინვენტარის შესაძენად. ამ ფულით მათ შეიძინეს ბარები, ნიჩბები, წერაქვები, ცულები, ცელეები, ნამგლები და სხვა<sup>64</sup>.

კოლონისტების მომთაბარეთა თავდასხმებისაგან დასაცავად გამოყვეს და კოლონიებში განალაგეს კაზაკთა და ჯარისკაცთა სპეციალური რაზმები. კოლონიებს სპეციალური რაზმებით იცავდნენ კავკასიის ომების დამთავრებამდე — XIX საუკუნის 60-იან წლებამდე<sup>65</sup>.

ხელისუფალნი დიდ ყურადღებას აქცევდნენ კოლონისტების სამედიცინო მომსახურებასაც. ამ მიზნით სპეციალურად გამოიყო სამედიცინო უწყების ინსპექტორი ექიმი პრიბილი, რომელსაც ევალებოდა გარკვეულ პერიოდში შემოეგლო კოლონიები და შეემოწმებინა კოლონისტთა ჯანმრთელობა. მასიური ავადმყოფობის და ეპიდემიების დროს მას სასწრაფო ზომები უნდა მიეღო მათგან კოლონისტების დასაცავად<sup>66</sup>.

ნიკ. მაგრამ მიუხედავად ყოველგვარი დახმარებისა გერმანელმა კოლონისტებმა ვერ გაამართლეს მთავრობის იმედი — გამხდარიყვნენ ენს ამოითის მიმცემი ადგილობრივი მოსახლეობისათვის და, პირიზოგჯერ

აური 3. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 478.

<sup>63</sup> ო Акты, т. VI, ч. I, 458, стр. 338.

<sup>64</sup> ო სსსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. I, საქმე 103, ფურც. 1; ფ. 548, ანაწ. 2, საქმე 5,

<sup>67</sup> ო 24.

<sup>68</sup> ო Акты, т. VI, ч. I, 463, стр. 343.

полно  
59

ქით, თვით დააწვენენ შესანახად ადგილობრივ გლეხობას<sup>67</sup>. რელიგიურ საკითხებზე დავით გატაცებული კოლონისტები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ შრომით საქმიანობას. 1820 წ. კოლონისტთა ვერტორის უფროსი წევრი იანოვსკი თავის ოფიციალურ მოხსენებაში წერდა: „სიზარმაცე, დაუდევრობა და თვითნებობა თვით კოლონისტებისა ხელს უშლის მათ კეთილმოწყობას... ვერც პირადმა შეთვალაყურებამ და ვერც მოხელეების სიტყვიერმა შთაგონებამ ვერ ამოძრავა დაუდევარი კოლონისტები შრომისმოყვარეობისაკენ; ისინი ძილში ატარებენ იმ დროს, რომლის განმავლობაშიაც აქაური მცხოვრებლები მუშაობენ“<sup>68</sup>, კოლონისტთა სიზარმაცე და დაუდევრობა იქამდე მიდიოდა, რომ ისინი უარს ამბობდნენ თავიანთი ბალ-ვენახების ყარაულობაზე და მის დასაცავად სპეციალურ სამხედრო რაზმებს მოითხოვდნენ.

ჩამოსახლების პირველ წლებში გაჭირვებას განიცდიდნენ არა მარტო სოფლად დასახლებული კოლონისტები, არამედ თბილისში (კუკიაში) დასახლებულნიც, თუმცა მათი განცხადებით, ისინი სხვადასხვა ხელობის ოსტატები იყვნენ; ამ დროს თბილისში ხელოსანთა დიდი ნაკლებობა იყო და ყოველი კარგი ხელოსნის შრომა ძვირად ფასობდა. გამოირკვა ისიც, რომ მათში „მეტად მცირე ერია დახელოვნებული ოსტატი“, და ამიტომაც მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრობდნენ მაშინდელ თბილისთან ახლოს, „მათ არავითარი სამუშაო არ ჰქონდათ“<sup>69</sup>.

ხელისუფალთა ყოველმხრივი დახმარების მიუხედავად „გერმანელი კოლონისტები მაინც დიდხანს ვერ იჩენდნენ ყაირათიანობას. ვირტემბერგელი და ბადენელი გერმანელები აქაც დიდად იყვნენ გართული რელიგიურ საკითხებით და მთელ დღეებს აღამებდნენ მის გარშემო დავაში“<sup>70</sup>.

<sup>67</sup> ე. კაკულიას ცნობით, ელიზავეტალის (ასურეთის) გერმანელ კოლონისტებში არსებობდა ვადმოცემა, რომ ჩამოსახლების პირველ წლებში აქაურ კოლონისტებს დიდი დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა ჭარბველმა გლეხებმა. „ამ დახმარების გარეშე იგონებენ მოხუცები ვადმოცემას, ყველანი შემშლით ამოვიდებოდით.“  
Э. М. Какулия, История асуретского колхоза, (КВСХВ), 1938, стр. 3. (ხელნაწერი).

<sup>68</sup> სსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ I, საქმე 9791, ფურც. 13.

<sup>69</sup> ბ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 478.

<sup>70</sup> ბ. გუგუშვილი, გერმანელი კოლონისტები და ადგილობრივი გლეხობა ამიერკავკასიაში. . . . გვ. 194.

კოლონისტებს სხვა მიზეზებიც უშლიდა ხელს. პირველ ხანებში მათ მოუხდათ მძიმე ბრძოლის გადატანა *შეუჩვეველ ქაჯაყანს* და ირან-თურქეთიდან გადმოსულ მოთარეშეებთან. *ჰას დანქაქოქურ* უსაველიანობა და ეპიდემიები მოხეტიალე ბრბოებისაგან თავდასაცავად ეკატერინენფელდის კოლონისტებმა მდ. მაშავერას ნაპირზე მაღალი ქვის კედლით შემოვლებული პატარა სიმაგრე ააგეს.

1824—25 წლებში გერმანულ კოლონიებს პირველი აღმავლობის ნიშნები შეეტყო. კოლონისტები უკვე დამოუკიდებლად აწარმოებდნენ მინდვრების და ბაღების თესვას, აშენებდნენ ვენახებს. თვით კოლონიებში მოეწყო სამქედლოები, საღურჯლოები, საზეინკლოები და სხვა სახელოსნოები. კოლონისტების ერთგვარ სამეურნეო წარმატებებს ხელს უწყობდა კლიმატური პირობები, სარწყავი წყლის სიუხვე, ნოყიერი ნიადაგი და, რაც მთავარია, სახსრები, რომელთაც ხაზინა დიდი რაოდენობით აძლევდა მათ.

ეკონომიურად რამდენადმე მოლონიერებულ კოლონიებს თავს დაატყდათ დიდი უბედურება, რუსეთ-ირანის ომის დროს 1826 წლის 26 აგვისტოს ეკატერინენფელდს თავს დაესხნენ სპარსელები და ქურთები, რომელთაც საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს კოლონიაში. თავდამსხმელებმა მოკლეს 70 და ტყვედ წაიყვანეს 140-მდე კაცი<sup>71</sup>. 240 კოლონისტმა თბილისში გაქცევით უშველა თავს. მათ საშველად დაძრულ პოლკოვნიკ სავარსამიძის რაზმს კოლონია სასტიკად აოხრებული დახვდა<sup>72</sup>.

ამავე დროს ელისავეტპოლის მაზრის კოლონიებს თავს დაესხნენ სპარსელები და მუსლიმანთა ბანდები და დიდი ზიანი მიაყენეს მათ, თუმცა აქაურმა კოლონისტებმა მოასწრეს გაქცევა და თავის შეფარება ელისავეტპოლსა და თბილისში. მთავრობის მიერ შედგენილი სპეციალური კომისიის გამოანგარიშებით მხოლოდ კოლონია ელენდორფის ზარალი უდრიდა 80000 მანეთს ასიგნაციებით<sup>73</sup>. კოლონისტებს კვლავ დაეხმარა მთავრობა, რომელმაც თვითეულ ოჯახს 172 მანეთი მისცა დაუბრუნებელი სესხის სახით.

კოლონიების მიხედვით ეს დახმარება შემდეგნაირად ნაწილდებოდა<sup>74</sup>:

<sup>71</sup> Б а с и х и н, Немецкие колонии на Кавказе, «Кавказский вестник», 1900, № 1, стр. 17.

<sup>72</sup> ЦГВИА, ф. ВУА, д. 4296, л. 3.

<sup>73</sup> იმდროინდელი კურსით 1 მანეთი ბანკის ასიგნაციებით უდრიდა დაახლოებით 29 კაპიკს ვერცხ.

<sup>74</sup> Акты, т. VII, 181, стр. 233.

მანეთი (ვერცხ.)

მანეთი (შინგნაც)

ეკატერინენფელდი	27,641	14 620
ანენფელდი	24,534	8 850
ელენენდორფი	51 474	21 844
ს უ ლ	103 649	45 314

ამ სამი კოლონიის კოლონისტებს აპატიეს სახელმწიფო ვალის ნახევარი. ამ თანხის მიღების შემდეგ ურმოლოვმა კოლონისტებისათვის დამატებით ითხოვა 20 659 მან. ვერცხ. მთავრობამ აღნიშნული თანხა დაუყოვნებლივ გამოუყო კოლონიებს დაუბრუნებელი სესხის სახით.

ამასთანავე მთავრობამ იზრუნა ტყვედ წაყვანილი კოლონისტების გამოსასყიდად. მომდევნო წლებში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნდა თავის კოლონიებში<sup>75</sup>.

<sup>75</sup> როგორც ყოველთვის, კოლონისტებმა ტყვედწაყვანილთა გამოსასყიდად დახმარება სთხოვეს მთავრობას. ხელისუფალნი მზად იყვნენ დახმარებოდნენ კოლონისტებს, მაგრამ პირველ ხანებში ორი მიზეზით იკავებდნენ თავს: 1) აღნიშნული ომის დროს სპარსელების მიერ მრავლად იყვნენ წარტყვევნილი ქართველები და სომხებიც. ამიტომ მთავრობისათვის უხერხული იქნებოდა გამოესყიდა მხოლოდ გერმანელი კოლონისტები, ხოლო ყველა ქვეშევრდომის გამოსასყიდი თანხის გაღებას კი მთავრობა ერიდებოდა; 2) ხელისუფალნი შიშობდნენ, რომ თუ გამოისყიდინდნენ კოლონისტებს, ეს სტიმულს მისცემდა მოხეტიალე ბრბოებს შემდგომშიც გაეტაცნათ კოლონისტები და მიეღოთ გამოსასყიდი თანხა (АКТА, т. VI, № I, 482, стр. 351).

1826 წლის შემოდგომაზე კონსტანტინეპოლიდან დაბრუნებულ თბილისელ ვაჭარს ალექსი შადინოვს ახალციხეში გამოვლისას უნახავს 30-ზე მეტი გერმანელი კოლონისტი, და, როგორც თვით წერს, „მთავრობისათვის, სამსახურის გაწევის და ამ უბედურ კოლონისტებისათვის დახმარების აღმოჩენის ორმავე გრძნობით გამსქვალულს“ გამოუსყიდა და საქართველოში დაუბრუნებია სამი მათგანი. შადინოვს კიდევ რამდენიმე კოლონისტს გამოსყიდა უცდია, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ შადინოვს მთავრობისათვის შეუთავაზებია თავის სამსახური—წასულიყო ახალციხეში და ხაზინის ხარჯზე გამოესყიდა გერმანელი კოლონისტები (სსსრ ცსსრ, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე 1818, ფურც. 5—6).

კოლონისტების ტყვეობიდან დახსნისათვის ყურადღება მიუქცევია რუსეთის იმპერატორს. მისი ბრძანებით რუსეთის მთავარი შტაბის უფროსს დიბიჩს მიუთითებია გენერალ სიბაიგინისათვის 1828 წელს გამოერკვია ტყვედ წაყვანილ კოლონისტთა ადგილსამყოფელი და ეზრუნა მათი გამოსყიდვისათვის. ამ მიმართვის შედეგად, 1831 წლისათვის შეუდგენიათ ტყვეობაში მყოფი კოლონისტების სია. დატყვევებულ კოლონისტთა ნაწილი ამ დროისათვის დაბრუნდა თავთავის კოლონიებში. სიაში ჩამოთვლილი 93 კოლონისტიდან დანამდვილებით იყო ცნობილი მხოლოდ 30 კოლონისტის ადგილსამყოფელი. ხელისუფალთა მიერ მიღებული ზომებით მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაუბრუნებიათ საქართველოში (სსსრ ცსსა, თბილისში, ფ. 1105, ანაწ. 1, საქმე 26, ფურც. 61—62).

მომდევნო წლებში კოლონიებში ზედიზედ გაჩნდა ჯერ შავი  
ქირი, შემდეგ ქოლერა, ციმბირის წყლული და სხვა ეპიდემიები,  
რამაც დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვია და მტავალმა სიკვდი-  
ცხლე შეიწირა. კოლონიებში საკმაოდ გავრცელებულა ჩყვან-  
რიული სნეულებანი, რამაც ხელს უწყობდა კოლონისტთა თავაშვე-  
ბულობა და გარყვნილება<sup>76</sup>.

ყოველივე ეს მეტად აფერხებდა კოლონიების კეთილმოწყობას  
და სამეურნეო განვითარებას.

განსაკუთრებით მძიმე იყო ელისავეტპოლის მაზრაში, მდ.  
შაშქორთან, დაარსებული კოლონია ანენფელდის ზვედრი. არაჯან-  
სალი კლიმატის გამო 1831 წლამდე იქ გარდაიცვალა 360 კაცი, და-  
იბადა მხოლოდ 94, გადარჩა 161, რის გამოც კოლონისტებმა აღ-  
ნიშნულ წელს დატოვეს იგი და გაიფანტნენ ამიერკავკასიის სხვა-  
დასხვა გერმანულ კოლონიაში. მაგრამ ამ კოლონისტებმა ვერ შეს-  
ძლეს იქ თავისუფალი დასამუშავებელი მიწების შოვნა და იძულებ-  
ული გახდნენ 1836 წელს უკან დაბრუნებულიყვნენ. შემდეგში  
ამ კოლონიას ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზე გამოუყვეს სა-  
ზაფხულო სააგარაკო ადგილი, ხოლო თვით კოლონია ამაღლებულ  
ქანსად ადგილზე გადაიტანეს<sup>77</sup>.

გერმანელი კოლონისტების ამიერკავკასიაში ჩამოსახლება მეფის  
მთავრობას მნიშვნელოვანი თანხა დაუჯდა. ჯერ კიდევ ოდესამდე  
კოლონისტებს მიეცათ 142 000-ზე მეტი მანეთი. სესხის სახით კო-  
ლონისტებმა ოდესაში მიიღეს 448 342 მან. აქედან 28340 მან. ოდე-  
საში კვებისათვის, ხოლო დანარჩენი — მგზავრობისათვის, ცხე-  
ნების საზიდრების შესაძენად. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ  
კოლონისტებმა დასახლება-მოწყობისა და კვებისათვის მიიღეს  
474 687 მან. და 12 კაბ. 1820 წლისათვის კოლონისტების ვალ-  
მა 923 029 მან. და 45 კაბ. შეადგინა. ეს ვალი კოლონიების მიხედ-  
ვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა<sup>78</sup>:

თბილისის კოლ. 64 017 მან. 9<sup>1</sup>/<sub>4</sub> კაბ.

ალექსანდერსდორფი 45 365 მან. 53<sup>3</sup>/<sub>4</sub> კაბ.

ელიზავეტალი 120 381 მან. 99<sup>3</sup>/<sub>4</sub> კაბ.

მარიენფელდი 64 657 მან. 38 <sup>1</sup>/<sub>2</sub> კაბ.

პეტერსდორფი 33229 მან. 41<sup>3</sup>/<sub>4</sub> კაბ.

<sup>76</sup> სსსრ ცსსა, ფ. 227, ანაწ. 1, საქმე 21, ფ. 16, ანაწ. 1, საქმე 10005, ფ. 226,  
ანაწ. 1, საქმე 118.

<sup>77</sup> სსსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. 1, საქმე 121, ფურც. 3—4.

<sup>78</sup> ი ქ ვ ე, ფ. 16, ანაწ. 1, საქმე 3034, ფურც. 6—65.

ეკატერინენფელი	215 969 მან — 57 კაპ.
ანენფელი	146 823 მან — 92 კაპ.
ელენენდორფი	232 584 მან — 53 კაპ.
ს უ ლ	923 029 მან — 45 კაპ.



კვებისათვის საქართველოში მოწეულ პირველ მოსავლამდე — 1822 წლის სექტემბრამდე, კოლონისტები იღებდნენ სულზე 10 კაპიკს დღეში. 1823 წლის დამდეგისათვის კოლონისტებზე საერთოდ დახარჯული თანხა შეადგენდა 1065 642 მანეთს და 88 კაპ.<sup>79</sup>

რუსეთის კოლონისტთა შესახებ არსებული კანონმდებლობით კოლონისტებს ვალის გადახდა სრული დაბინავებიდან 10 წლის შემდეგ უნდა დაეწყოთ.

რადგან საქართველოს კოლონისტების მოწყობა ძირითადად 1822 წლისათვის დამთავრდა, ვალის გადახდა კოლონისტებს უნდა დაეწყოთ 1832 წლიდან და დაემთავრებინათ 20 წლის განმავლობაში, ე. ი. 1852 წლისათვის. ზემოთ აღნიშნული თანხიდან 1831 წელს ხაზინამ მათ ჩამოაწერა 202 000 მანეთი. 1840 წლამდე კოლონისტებმა გადაიხადეს 100 000-მდე მანეთი. 1844 წელს შედგენილი უწყისებით მათზე ირიცხებოდა 625 000 მან. აქედან კოლონისტებს უნდა გადაეხადათ 212 600 მან., ხოლო დანარჩენი 412 400 მან. მათ შეარჩინეს, თუმცა არც ჩამოაწერეს. 212 600 მან. კოლონისტებს უნდა გადაეხადათ 20 წლის განმავლობაში, დაწყებული 1851 წლიდან და გადაიხადეს კიდევ 70-იანი წლებისათვის, დანარჩენი 412 400 მან. არ იყო გადასახდელი ვალი, თუკი კოლონისტები სამუდამოდ დარჩებოდნენ ამიერკავკასიაში, მაგრამ წასვლის შემთხვევაში კი უნდა გადაეხადათ<sup>80</sup>. 1875 წელს კავკასიის მეფისნაცვლის დიდი მთავრის მიხეილის შუამდგომლობით ეს ვალი საბოლოოდ ჩამოეწერათ კოლონისტებს.

ამრიგად, კოლონისტებმა 1 000 000 მანეთზე მეტი ვალიდან გადაიხადეს მესამედზე ნაკლები — 300 000-მდე მანეთი, ისიც დიდი განვადებით.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, კოლონისტებმა შემდგომშიც მრავალჯერ მიიღეს მნიშვნელოვანი თანხა დაუბრუნებელი სესხის, თუ დახმარების სახით (წისკვილების შესაძენად, არხების გასაყვანად, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობების ასაგებად და სხვა), მაგრამ შემდგომი სესხების ისევე, როგორც ზემოთაღნიშნული თანხის დიდი ნაწილი, მათ აპატიეს.

<sup>79</sup> Н. Никифоров, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

<sup>80</sup> პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 481.





ჩამოსახლების პირველ წლებში, ისევე როგორც მთელ შემდგომ პერიოდში, გერმანელი კოლონისტები მკიდრო კავშირს ინახავდნენ სამშობლოსთან. ამ პერიოდში ეს კავშირები გამოიხატებოდა გერმანიაში მყოფ ნათესავეებთან მიმოსწერით, ამ ნათესავეებიდან ზოგიერთის მოწვევა-ჩამოსახლებით, გერმანიაში გამგზავრებით, გერმანიიდან მემკვიდრეობის წილის მიღება-გაცემით, გერმანულ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთათვის სხვადასხვა თხოვნა-მომართვით და ა. შ.

კოლონისტებს მთელი XIX საუკუნის მანძილზე გაცხოველებული მიმოსწერა ჰქონდათ გერმანიაში დარჩენილ ნათესავეებთან და მახლობლებთან.

გერმანელ კოლონისტებს 30-იან წლებში დიდ მფარველობას უწევდა ვიურტემბერგის დესპანი რუსეთში ჰოპენლოე-კირხბერგი. მისი დახმარებით კოლონისტები ღებულობდნენ და ავზავნიდნენ გერმანიაში მემკვიდრეობით კუთვნილ და საერთოდ ყოველგვარ თანხებს, ამანათებს და სხვა.

20—30-იან წლებში გერმანიიდან მემკვიდრეობით კუთვნილი თანხები მიიღეს იოჰან ეგერემ, ლუდვიგ ვაგნერმა. ელეონორა შვამმა, მარგარიტა და გეორგ ფრიკებმა, 40—50 წლებში იოჰან კეცლემ, ქრისტეფორ რაიზერმა, ქრისტინა შპიცმა და ა. შ.

ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტები გერმანიაში მყოფი ნათესავეებისაგან დიდი რაოდენობით იღებდნენ სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურას: წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, რათა „არ დაეწყებოდათ სამშობლო“<sup>81</sup>.

კოლონიებში ადგილი ჰქონდა კომლთა რიცხვის ხშირ ცვალებადობას. ოჯახების გაყოფა კოლონიებში იწვევდა კომლთა რიცხვის ზრდას, ხოლო ზოგიერთი კოლონისტი — ხელოსნის თბილისსა და ელისავეტპოლში გადასახლება—კომლთა რიცხვის შემცირებას. ხელოსნებს კოლონიებში უკვე აღარ გააჩნდათ არც საკარმიდამო და არც სახნავ-სათესი მიწა. ისინი თითქმის აღარ იზდიდნენ კოლონისტებისათვის დაწესებულ გადასახადებს. კოლონიებთან მათ ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ.

ყველაზე დაწინაურებული კოლონია იყო ეკატერინენფელდი, სადაც თავი მოიყარა სექტანტთა ძირითადმა მასამ. ამავე კოლონიაში დამკვიდრდა გერმანელ სექტანტთა ხელმძღვანელობა და უფრო შეძლებული ნაწილი. ეკატერინენფელდი 100 წელზე მეტი ხნის

<sup>81</sup> სსრ ცსსა, ფ. 225, ანწ. 1, საქმე 6, ფურც. 37.

განმავლობაში წამყვან როლს ასრულებდა ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტთა ცხოვრებაში. ეკატერინენფელდი წარმოადგენდა 30—40-იან წლებში ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტთა მხარეს გაძლიერებული სექტანტური მოძრაობის ცენტრს. ამ მოძრაობის მხარეში იმდროინდელი თხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ამიერკავკასიაში გერმანული კოლონიების არსებობა და მთავრობას მის ჩასაქრობად ენერგიული ღონისძიებების ჩატარება მოუხდა<sup>82</sup>.

<sup>82</sup> გ. მ ა ნ ჯ ვ ა ლ ა ძ ე, სექტანტური მოძრაობა ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტებში, კრებ. „რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში“, ნაყ. I, თბილისი, 1968, გვ. 156.

თავი II

ამიერკავკასიის გერმანული კოლონიები XIX  
საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში

1. ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების მმართველობა და  
ადმინისტრაცია

გერმანული კოლონიების სამართავად 1819 წ. ა. პ. ერმოლოვის განკარგულებით დაარსდა „საქართველოში დასახლებული კოლონისტების სამმართველო დროებითი კანტორა“<sup>1</sup>. მის უფროსად დანიშნეს კოლეგიის ასესორი იანოვსკი, რომელიც ოფიციალურად კანტორის უფროს წევრად იწოდებოდა. ამიერკავკასიის ყოველ ორგანიზაციას კოლონისტებთან დაკავშირებული რაიმე საქმის გამო უნდა მიემართათ ამ კონტორისათვის, ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევაში — უშუალოდ ერმოლოვის მოადგილე ხოვენისათვის<sup>2</sup>.

კანტორის შემადგენლობაში 11 კაცი იყო. მათი საერთო ხელფასი შეადგენდა 3 300 მან. წელიწადში. შემდგომ წლებში კანტორის შემადგენლობაში მოხდა ზოგიერთი ცვლილება, რის შედეგადაც აღნიშნული თანხა ზოგჯერ წელიწადში 3 410 მანეთს აღწევდა.

კოლონისტების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 1827 წელს დააარსეს სპეციალური კომიტეტი იმ საჩივრების განსახილველად, რომელიც კოლონისტებს შეჰქონდათ კავკასიის ცენტრალური ადმინისტრაციის სახელზე. კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი სიბიავინი.

1830 წლისათვის მეფის მთავრობამ გადაწყვიტა მოეხდინა რუსეთში მცხოვრებ უცხოელთა კოლონიების მმართველობის რეორგანიზაცია. ამ დროისათვის უცხოელთა კოლონიზაცია რუსეთში მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო იმპერატორის 1835 წლის 27

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ф. 379, оп. I, дело 1107, л. 4.

<sup>2</sup> სსრ ცსსა ფ. 84, ანაწ. I, საქმე 399, ფურც. 1.

თებერვლის ბრძანებულების შემდეგ თითქმის შეწყდა<sup>3</sup>. ამის შემდეგ კოლონიზაცია ტარდებოდა მხოლოდ კოლონისტთა ინიციატივით და ხარჯით.

რეორგანიზაცია შეეხო ამიერკავკასიის („საქართველოს“) გერმანული კოლონიების მმართველობასაც. ამ საკითხზე 1830 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მიწერ-მოწერა, ერთი მხრით, კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებას, და, მეორე მხრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის. მიმოწერის შედეგად ორივე მხარე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ამ კანტორის დაარსებით მთავრობა მიზნად ისახავდა დასაწყისშივე საფუძვლიანად მოეწყო კოლონისტები...“, მაგრამ „მისი ყოველგვარი ზრუნვის ნაუხედავად დღემდე არ ჩანს მისგან არავითარი სარგებელი, ხოლო ხაზინის ხარჯები და გასავალი მნიშვნელოვანია“, რომ გერმანული კოლონისტები „მტკიცედ დამკვიდრდნენ ამიერკავკასიაში, შეეჩვიენ აქაურ პავას და, საერთოდ, თავის სამეურნეო მოწყობაში აღარ საჭიროებენ ისეთ ზედამხედველობას, როგორც საჭირო იყო მათი ჩამოსახლებისას“. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტროს თანხმობით, წინადადებას აძლევდა კავკასიის მთავარმართებელს მოეხდინა კოლონისტთა დროებითი კანტორის რეორგანიზაცია იმგვარად, რომ ხაზინის მიერ კოლონისტების სამმართველოდ გაცემული თანხა წელიწადში 3300 მანეთიდან 2440 მანეთამდე შემცირებულიყო<sup>4</sup>.

კავკასიის ადმინისტრაციის და პირადად მთავარმართებელ გენერალ-ფელდმარშალ პასკევიჩის აზრით, ეს უკანასკნელი თანხაც საკმაოდ დიდი იყო. ისინი მოითხოვდნენ კანტორა დაეხურათ, ხოლო მისი საქმეები და ანგარიშები გადაეცათ სახაზინო ექსპედიციისათვის, რისთვისაც 1831 წლამდე უნდა დაეტოვებინათ მხოლოდ ერთი ინსპექტორი წელიწადში 700 მან. ხელფასით. სახაზინო ექსპედიციაში კი, მის გამგებლობაში კოლონისტების შესვლასთან დაკავშირებით დაეარსებინათ განსაკუთრებული მაგიდა (განყოფილება).

„მხედველობაში ვიღებთ რა, — წერდა პასკევიჩი შინაგან საქმეთა მინისტრს, — რომ, ჯერ ერთი საქართველოს კოლონისტებისათვის მიცემული პრივილეგიების ათწლიანი ვადა უკვე გათავდა, მეორე, რომ კანტორას მთელი თავისი არსებობის მანძილზე არავითარი სარგებლობა არ მოუტანია კოლონისტების კეთილდღეობის

<sup>3</sup> ПСЗРИ, II, т. X, 25/II—1835, № 7908.

<sup>4</sup> ЦИАЛ, ф. 379, оп. 1, дело 1107, л. 1—7.

გაუმჯობესების საქმეში<sup>5</sup> და, მესამე, რომ ხაზინა ყოველწლიურად შეინარჩუნებს მნიშვნელოვან თანხას, რომელიც იხარჯება კოლონიისტების მმართველობაზე, მე ვვარაუდობ, საქართველოს სამოქალაქო და თბილისის სამხედრო გუბერნატორების წინადადებებზე<sup>6</sup> თანახმად, კოლონიისტების მმართველობა გავაუქმო [ქ] [მ] [ს] [ს] [ს] ები და ანგარიშები გადავცე საქართველოს სახაზინო ექსპედიციას. ამისათვის ექსპედიციის ეკონომიკურ განყოფილებაში დაარსებული იქნება განსაკუთრებული მაგიდა, მაგიდის უფროსის, ერთი გადამწერის და თარჯიმანის შემადგენლობით. ამთგან პირველს ექნება 300, ხოლო ორ უკანასკნელთ 200—200 მანეთი ვერცხლით წელიწადში და საკანცელარიო ხარჯებისათვის მაგიდას ექნება 100 მანეთი წელიწადში. სულ 800 მანეთი ვერცხლით წელიწადში. ამრიგად, 1819 წლის შტატით დაწესებული 3300 მანეთიდან ხაზინას დარჩება 2500 მანეთი<sup>6</sup>.

ამ დანაზოგიდან, პასკევიჩის აზრით, 1500 მანეთი უნდა მოხმარებოდა პოლიციის სამმართველოს და საოლქო სასამართლოებს, ხოლო 1000 მანეთი დარჩებოდა ხაზინის განკარგულებაში<sup>7</sup>.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხარი არ დაუჭირა პასკევიჩის და მისი ხელქვეითების პროექტს — ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების საქართველოს სახაზინო ექსპედიციის გამგებლობაში გადაცემის შესახებ — ამის მიზეზად სამინისტრო ასახელებდა იმ ფაქტს, რომ უცხოელთა (უმთავრესად გერმანელთა) კოლონიები რუსეთში 1797 წლამდე იმყოფებოდნენ სახაზინო პალატების და ექსპედიციების გამგებლობაში, მაგრამ ამ სისტემამ არ გაამართლა და 1800 წლიდან უცხოელთა კოლონიები რუსეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაეცა სპეციალურად დაარსებულ „უცხოელ მოსახლეთა სამეურვეო“ კანტორებს, ხოლო სამინისტროების დაარსების (1802 წ.) შემდეგ, აღნიშნული კოლონიები დაექვემდებარნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამიტომ კოლონიების ძველი მეთოდით მართვის ვადმოტანას ამიერკავკასიაში აზრი არ ქონდა, რადგან, როგორც სამინისტროს განმარტებაში იყო აღნიშნული,

<sup>5</sup> კოლონიისტების სამეურნეო და სხვა წარუმატებლობაში ბრალი მთლიანად კოლონიისტებს მიუძღოდნოდა და არა მათ სამმართველო კანტორას, რომლის მუშაობაც თავის დროზე ჯილდოთი იქნა შეფასებული. მაგრამ პასკევიჩის მიერ კანტორის უარყოფითი დახასიათება უნდა აიხსნას მისი ცუდი დამოკიდებულებით ერპოლოვთან, რომლის მმართველობას კავკასიაში პასკევიჩი უარყოფითად ეკიდებოდა.

<sup>6</sup> ЦГИАЛ, ф. 379, оп. 1, д. 1107, лл. 7—8.

<sup>7</sup> Keller Conrad, Deutschen Colonien in Südrussland, B, I, Odesa, 1905, s. 44.

ამას შეეძლო არეგ-დარევა შეეტანა რუსეთის იმპერიის უცხოელთა კოლონიების მმართველობაში, თუმცა მოგვიანებით, როგორც ვხედავთ, მათ დაეინახავთ, ამიერკავკასიის გერმანული კოლონიები დაეცა სახაზინო უწყებას.

1831 წელს პასკევიჩი გადაიყვანეს პოლონეთში. მისი შემცვლელის ბარონ როზენის მმართველობის პერიოდში „საქართველოში დასახლებული კოლონისტების სამმართველო კანტორამ“ იარსება 1833 წლის ბოლომდე. 1834 წლის 1 იანვრიდან, სახელმწიფო საბჭოს მოსაზრების და იმპერატორის 1833 წლის პირველი ივლისის ბრძანებულების თანახმად, კანტორა გაუქმდა. გერმანული კოლონიების მმართველობა გადავიდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ხელში<sup>8</sup>, რომლის კანცელარიასაც დაემატა სპეციალურად ამ მიზნით დანიშნული რამდენიმე ჩინოვნიკი<sup>9</sup>.

ამ რეორგანიზაციის შემდეგ ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტთა მმართველობამ შემდეგი სახე მიიღო<sup>10</sup> (იხ. ცხრილი 1):

ცხრილი 1

თანამდებობის და ხარჯების დასახელება	თანამშრ. რიცხვი	ხელფასი ვერცხ. მან.	
		ერთ ჩინოვნიკზე	დამატ. ხარჯ.
ბულალტერი, იკივე კოლონიების დარგში საქმისმწარმოებელი	1		300
გადამწერი უმაღლესი ხელფასით	1	300	150
საკანცელარიო ხარჯებისათვის	—	150	50
კოლონიების ზედ მხედველი	1	—	300
მისი სამოგზაურო ხარჯებისათვის	—	300	100
გადამწერი უმ. ღირსი ხელფასით მასთან	1	—	100
სულ	4	100	1000

ამრიგად, მთავრობამ გაამარტივა კოლონისტების მმართველობა და შეამცირა ხარჯები. ახლად შემოღებული წესით, კოლონისტთა სოფლის „პრიკაზებს“ ყოველგვარი საქმისათვის უნდა მიემართათ სამოქალაქო გუბერნატორისათვის, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი ჩინოვნიკების საშუალებით წყვეტდა ამ საკითხებს.

<sup>8</sup> ნ. ნიკიფოროვი შეცდომით მიუთითებს, რომ გერმანული კოლონიები უშუალოდ ეპორჩილებოდნენ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს საქართველოსა და ამიერკავკასიაში მათი დასახლების დროიდანვე (იხ. ნიკიფოროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 104).

<sup>9</sup> სსსრ ცსსა, ფ. 1728, ანაწ. I, საქმე 4, ფურც. 46.

<sup>10</sup> ЦГИАЛ, ф. 1152, оп. 2, л. 98 л. 57.

გერმანული კოლონიებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლონიების ზედამხედველის თანამდებობის ელდარჩ სებას. თუმცა ზედამხედველის უფლება-მოვალეობაზე შეიქმნევის და დააზუსტეს მოგვიანებით (1850 წ.), მაგრამ ამ ეტაპზეც მან შეტად დიდი როლი ითამაშა გერმანული კოლონიების ყოველმხრივ განვითარებაში.

1837 წლის დეკემბერში შეიქმნა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო, რომელსაც გადაეცა რუსეთში არსებული უცხოელთა ყველა კოლონია<sup>11</sup>. 1839 წლის იანვრიდან ამ სამინისტროს დაუქვემდებარეს ამიერკავკასიის გერმანული კოლონიებიც. 1841 წლიდან კოლონიები გადავიდა საქართველო-იმერეთის სახელმწიფო ქონებათა პალატის გამგებლობაში, ხოლო ამ პალატის გაუქმების (1849 წ.) შემდეგ, 1850 წლიდან, კოლონიები გადაეცა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან შექმნილ სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციას<sup>12</sup>.

სახელმწიფო ქონებათა პალატის გაუქმებასთან დაკავშირებით გამოცემულ სპეციალურ დადგენილებაში (პარაგრაფი 33) ნათქვამი იყო: „გერმანული კოლონიების მართვისას ექსპედიცია მოქმედებს იმავე საფუძველზე, როგორც მოქმედებენ ამ ნაწილში სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი და სამხრეთ რუსეთის კოლონიტთა მზრუნველი კომიტეტი. ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიათა ზედამხედველი უშუალოდ ემორჩილება ექსპედიციას, მოქმედებს მისი ხელმძღვანელობით იმ ინსტრუქციის საფუძველზე, რომელიც მას მიეცემა და რომელიც დამტკიცებულია კავკასიის მეფისნაცვლის მიერ<sup>13</sup>.“

იმავე 1850 წელს ინსტრუქციას ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების ზედამხედველისადმი ხელი მოაწერა ექსპედიციის მმართველმა ა. ფადეევმა, რის შემდეგ იგი დაამტკიცა კავკასიის მეფისნაცვალმა. ინსტრუქცია საბოლოოდ აზუსტებდა გერმანული კოლონიების ზედამხედველის უფლება-მოვალეობას. კოლონიების ცხოვრებაში მისი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის გამო მოვიყვანთ მის სრულ ტექსტს:

„1. ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების ზედამხედველი არის თბილისის და ელისავეტპოლის მაზრებში არსებული გერმა-

<sup>11</sup> სსრ ცსსა, ფონდი 16, საქმე 5971, ფურც. 2.

<sup>12</sup> სსრ ცსსა, ფონდი 226, ანაწ. I, საქმე I, ფურც. 1.

<sup>13</sup> იქვე, ფურც. 2—3.

ნული კოლონიების უშუალო უფროსი და მათ კეთილდღეობაზე უახლოესი მზრუნველი<sup>14</sup>.

2. გერმანული კოლონიები, რომლებიც შეიძლება შემოგვხვდეს და არსდნენ ამ მხარეში, ასევე დაემორჩილებიან მის გამგებლობას.

3. საერთოდ ამ კოლონიების მმართველობის საქმეში ზედამხედველი ხელმძღვანელობს იმ დადგენილებებით იმპერიის უცხოელთა კოლონიების შესახებ, რომლებიც მოცემულია 1842 წ. გამოცემულ კანონთა კრებულის 12 ტომში<sup>15</sup>.

4. ამ საფუძველზე მის მოვალეობას შეადგენს ყველა ის საკითხები, რომლებიც მოცემულია 11 თავის 43 მუხლში.

5. კოლონიების ზედამხედველი ვალდებულია ყოველწლიურად შემოიაროს კოლონიები, ხოლო თბილისთან ახლომდებარე — წელიწადში რამდენჯერმე და თვალყური ადევნოს იქ ეკლესიების, საზოგადოებრივი შენობების, სახლების და სამეურნეო ნაგებობების კეთილმოწყობას.

6. იგი ვალდებულია იზრუნოს, რათა გერმანულ კოლონიებში თანდათანობით შემოღებული და გაუმჯობესებული იქნას სოფლის მეურნეობის ყველა ის დარგი, რომელს შესაძლებლობასაც ყოველი კოლონიის ჰავა და ნიადაგი იძლევა.

7. აღნიშნულის საფუძველზე იგი ამოწმებს კოლონიებში ვენახების და თუთის ხეების პლანტაციებს, ზრუნავს მათ გავრცელებასა და გაუმჯობესებაზე და უდგენს სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციას რომელიმე კოლონისტს, საჭიროების შემთხვევაში დახმარების ან დაჯილდოებისათვის.

8. ყოველ კოლონიაში, სადაც კოლონისტების მთავარ სამეურნეო საქმიანობას მეხორბლეობა წარმოადგენს, მისი მეურვეობით უნდა შეიქმნას პურის მარაგი მოუსავლიანობის წლებში გამოსაყენებლად.

9. რადგან აქაურ გერმანულ კოლონიებში კოლონისტების სამეურნეო მდგომარეობა ძირითადად დამოკიდებულია ბალ-ვენახების მორწყვაზე, კოლონიების ზედამხედველმა ყურადღება უნდა მიექციოს სარწყავი სისტემის გამართულობას და ექსპედიციას წარ-

<sup>14</sup> თბილისის კოლონია (კუციის) 1852 წლიდან მიეკუთვნა ქალაქს, ამიტომ იგი ამოღებული იქნა კოლონიების ზედამხედველის გამგებლობიდან და დაექვემდებარა ქალაქის ხელისუფალთ (იხ. ЦГИА.Л, ф. 1268, оп. 5, л. 299, л. 33).

<sup>15</sup> 1857 წელს გამოიცა რუსეთში არსებულ უცხოელთა კოლონიების ახალი წესდება. შემდგომში ამ წესდებით განისაზღვრებოდა როგორც გერმანული კოლონიების მმართველობა, ისე მათი ცხოვრების სხვა საკითხები.



მოუდგინოს ცნობები სათანადო განკარგულებებისათვის, საქართვე-  
ბის შემთხვევაში თვით უმაღლესი ხელისუფლების დახმარებისა-  
თვის.

10. კოლონიების ზედამხედველი ასევე უნდა ეცადოს, გამოიყუ-  
ნახოს სახსრები, რომ კოლონიებში შემოდებული იქნას ყმაწვილე-  
ბისათვის რუსული ენის სწავლება, რათა დროთა განმავლობაში  
მათგან მომზადდეს რუსული ენის მცოდნე სოფლის მწერლები.

11. კოლონიის შინაგან მმართველობაში ზედამხედველი თვალ-  
ყურს ადევნებს სოფლის ადმინისტრაციის მიერ კოლონიების ში-  
ნაგანი მმართველობის ინსტრუქციით გათვალისწინებული წესების  
დაცვას, ამასთანავე იგი ვალდებულია დროთა განმავლობაში ექს-  
პედიციას წარუდგინოს სოფლის მართვის ახალი ინსტრუქციის  
პროექტი, თუ ამას გარემოება მოითხოვს.

12. ზემოთ აღნიშნული დადგენილების 43 მუხლის № 1 პარა-  
გრაფის საფუძველზე ზედამხედველის ვალდებულებაში შედის ში-  
ნასაერობო პოლიციის ყველა საკითხის გადაწყვეტა. ქონებაზე  
დავის შემთხვევაში, მისი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო კოლო-  
ნისტს შეუძლია დაწესებულ ვადაში საჩივარი შეიტანოს ექსპედი-  
ციაში.

13. მიიღებს რა სოფლის „პრიკაზის“ მოხსენებას კოლონიაში  
სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შესახებ, ზედამხედველი  
დებუტატის სახით იმყოფება გამოძიების მაწარმოებელ პოლიციის  
ხელმძღვანელობასთან; იგი იმყოფება დებუტატად აგრეთვე სამაზ-  
რო და საგუბერნიო სასამართლოებში სამძებრო და სისხლის სამარ-  
თლის საქმეების გარჩევის შემთხვევაში.

14. ზედამხედველი თვალყურს ადევნებს კოლონისტების მიერ  
მათზე გაწერილი სახაზინო გადასახადების წესიერად და დროუ-  
ლად შეტანას, რომლებიც შემდეგ სოფლის „პრიკაზებს“ შეაქვთ  
შესაბამისად თბილისის და ელისავეტპოლის ხაზინებში.

15. ზედამხედველი ასევე თვალყურს ადევნებს კოლონისტების  
მიერ ხაზინის ვალის წესიერად, დადგენილ ვადებში შეტანას.

16. ზედამხედველი ვალდებულია, ხელი შეუწყოს ყოველივეს,  
რაც მისი აზრით გააუმჯობესებს კოლონისტების კეთილდღეობას,  
მაგრამ არ გაატაროს არავითარი ღონისძიება ექსპედიციის დამტკი-  
ციების გარეშე, — ეცადოს, შეინარჩუნოს კოლონისტებს შორის სა-  
თანადო მორჩილება სოფლის ხელმძღვანელობისადმი, რათა მათ  
თანაბრად ისარგებლონ მინიჭებული უფლებებით და მათზე თანაბ-  
რად განაწილდეს ვალდებულებები.

17. ფასიანი პასპორტები კოლონიიდან საშოვარზე და სარეწებზე წასასვლელად კოლონისტებს ეძლევათ სამაზრო ხაზინიდან ზედამხედველის შუამდგომლობით; კოლონისტების შუამდგომლობას საზღვარგარეთ წასასვლელი პასპორტების შესახებ ზედამხედველი უდგენს ექსპედიციას.

18. ასევე იგი ადგენს ექსპედიციაში მამაკაცი კოლონისტების თხოვნას სხვა წოდებაში გადარიცხვის შესახებ; ქალის კოლონიიდან წასვლას არაკოლონისტზე გათხოვების მიზნით, წყვეტს ზედამხედველი მისი ნათესავების თანხმობით.

19. ზედამხედველმა თვალყური უნდა ადევნოს, რათა კოლონიებში სოფლის გზირებად (ბაიზიცერებად) და, განსაკუთრებით, შულცებად აირჩიონ ნიჭიერი და სანდო ადამიანები, და ამტკიცებს მათ არჩევას სათანადო წესით.

20. ზედამხედველი სოფლის „პრიკაზის“ წარმოდგენით ამტკიცებს საპატიო მიზეზით მეურნეობის გადაცემას ერთი კოლონისტიდან მეორეზე, ამასთანავე თვალყურს ადევნებს, რომ ქვრივ-ობლების ინტერესები არ შეილახოს და მეურნეობები არ დანაწილდეს.


21. სოფლის „პრიკაზის“ შუამდგომლობით ზედამხედველი ექსპედიციას უდგენს საზღვარგარეთ დანიშნულებისამებრ გასაგზავნ დოკუმენტებს, იქედან მემკვიდრეობით მიღებული ქონების გამოსათხოვად და ამოწმებს ამ ოპერაციას.

22. ზედამხედველი უნდა ერიდოს კოლონიის სასულიერო საქმეებში ჩარევას და პასტორებთან შეხლა-შემოხლას, ხოლო თუ შეამჩნევს, რომ პასტორები ერევიან საერო საქმეებში, ან ავიწროებენ კოლონისტებს, დაუყოვნებლივ აცნობოს ექსპედიციას.

23. ზედამხედველს ურთიერთობა აქვს მაზრის ხელმძღვანელობასთან და ქურდობის ან ძარცვის შემთხვევაში იცავს კოლონისტების კანონიერ ინტერესებს; და თუ შეატყობს, რომ ამ შემთხვევაში გამოძიება ყოენდება, ან წყდება, აცნობებს ექსპედიციას.

24. კოლონიებში რომელიმე ავადმყოფობის ეპიდემიის, ან საქონლის დავარდნის შემთხვევაში ზედამხედველი სამედიცინო დახმარებისათვის მიმართავს საექიმო სამმართველოს, ამასთანავე თვალყურს ადევნებს კოლონიებში ყვავილის აცრის წესიერად ჩატარებას.

25. ზედამხედველი ამარაგებს სოფლის „პრიკაზებს“ ზონარგაყრილი რეეულებით საგადასახადო, სავალო, საქვრივობლო და საზოგადოებრივი თანხების შემოსავალ-გასავალს და ყოველი წლის ბოლოს რევიზიას უკეთებს მათ.



26. ზედამხედველი ექსპედიციას უდგენს უწყისებს კოლონიების მდგომარეობის შესახებ იმ ფორმის მიხედვით, რომელიც მასნიეცემა<sup>16</sup>.

ინსტრუქციიდან აშკარად ჩანს, თუ რა დიდ როლს უჭირავს ზედამხედველი გერმანული კოლონიების ყოფა-ცხოვრებაში. მას ეხებოდა გერმანული კოლონიების ცხოვრების ყველა წვრილმანი მხარეც კი<sup>17</sup>. ზედამხედველი დიდად ზრუნავდა გერმანული კოლონიების სამეურნეო აღმავლობისა და ეკონომიური აყვავებისათვის. კოლონიებს აღმინისტრაციასთან ერთად იგი ქმნიდა სამხედრო დისციპლინის მაგვარ წესრიგს კოლონიებში: თვალყურს ადევნებდა კოლონისტებს, რომ არ ეზარმაცათ, დროულად და ხარისხიანად ჩაეტარებინათ სამეურნეო სამუშაოები; ეპიდემიების, გვალვის, მოუსავლიანობის, ან სხვა სტიქიური უბედურების შემთხვევაში ცდილობდა, რომ ზელისუფლებას მაქსიმალური დახმარება გაეწია კოლონისტებისათვის და სხვ.

ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების პირველი ზედამხედველი იყო ფოროსტოვსკი<sup>18</sup>, რომელიც შემდეგ შეცვალა ლიდერსმა; 1839 წლის დეკემბრიდან ლიდერსს ნაცვლად ზედამხედველად დანიშნეს ენკელმანი<sup>19</sup>. 1847 წლის იანვარში ენკელმანი გარდაიცვალა და ამ თანამდებობას დროებით ასრულებდა მაიორი პროკოფიევი<sup>20</sup>. 1848 წლის იანვრიდან გერმანული კოლონიების ზედამხედველად დანიშნა ვოლიანსკი<sup>21</sup>, რომელიც ასრულებდა ამ თანამდებობას 1883 წლამდე — მის ფაქტიურად გაუქმებამდე. ფორმალურად ეს თანამდებობა გაუქმდა 1874 წლის ბოლოს, როდესაც გერმანელმა კოლონისტებმა მრავალგზის შემცირებისა და განვადების შემდეგ გადაიხადეს სახაზინო ვალი და იურიდიულად გაუთანაბრდნენ მესაკუთრე გლეხებს<sup>22</sup>.

ფ. ვოლიანსკიმ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების ეკონომიურ განვითარებაში. სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციის მმართველ ა. ფადეევთან<sup>23</sup> ერთად მან

<sup>16</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 226, ანაწ. I, საქმე 1, ფურც. 8—12.

<sup>17</sup> ЦГИАЛ, ф. 36, оп. 2, д. 4, лл. 2—3.

<sup>18</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 16, საქმე 10796, ფურც. 7,8; ფონდი 227, ანაწ. I, საქმე 2, ფურც. 3.

<sup>19</sup> ი ქ ვ ე, ფონდი 227, ანაწ. I, საქმე 8.

<sup>20</sup> ი ქ ვ ე, საქმე 41.

<sup>21</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 241, ანაწ. 3, საქმე 89, ფურც. 46.

<sup>22</sup> ნ. ნ ი კ ი ფ ო რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

<sup>23</sup> აბ. С. Ю. В и т т е, Воспоминания, т. I, Москва, 1960, с. 5.

ბევრი რამ გააკეთა კოლონისტების ყოფა-ცხოვრების ყოველმხრივ გასაუმჯობესებლად<sup>24</sup>.

ზანგრძლივი და წარმატებითი მუშაობის პერიოდში ვოლიანსკის არაერთხელ მიუღია ფულადი თუ სხვა ჯილდოები.

1859 წელს სახელმწიფო ქონებათა ექსპედიცია შეცვალეს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტით, მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან სპეციალურად შეიქმნა სოფლის მეურნეობის და უცხოელთა კოლონიების სამმართველო, რომელმაც მხოლოდ ზუთი წელი იარსება: 1864 წელს იგი შეუერთდა სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტს, მის შესაცვლელად დეპარტამენტში დააარსეს სპეციალური მაგიდა „სასოფლო-სამეურნეო წარმოების და უცხოელთა კოლონიების საქმეების გასაძღვლად“<sup>25</sup>. ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების ზედამხედველი ემორჩილებოდა დეპარტამენტს და მისი ხელმძღვანელობით მოქმედებდა ზემოაღნიშნული წესდების საფუძველზე.

XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმები რუსეთში შეეხო გერმანელ (უცხოელ) კოლონისტებსაც, რომლებიც აქამდე ყოველმხრივ კარჩაეტილად ცხოვრობდნენ და რომელთა ყოფის შეცვლის აუცილებლობა მათ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა<sup>26</sup>. 1871 წელს „რუსეთის სამხრეთის შხარის უცხოელ კოლონისტებზე მზრუნველი კომიტეტი“ და შიდა რუსეთში არსებული სხვა ანალოგიური დაწესებულებები გააუქმეს. კოლონისტებს ეწოდათ მესაჯუთრე მოსახლეები და ადმინისტრაციულად და იურიდიულად მიაკუთვნეს მესაჯუთრე გლეხებს. ამ მესაჯუთრე მოსახლეებს (ყოფილი კოლონისტების) საქმეები დაექვემდებარა საგუბერნიო, სამაზრო, აგრეთვე ადგილობრივ საგლეხო დაწესებულებებს (1871 წლის 31 მაისის უმაღლ. ბრძანება)<sup>27</sup>.

<sup>24</sup> ერთი საარქივო ცნობით, ფ. ვოლიანსკის დაუწერია შრომა: „გერმანელი კოლონისტების ამიერკავკასიაში დამკვიდრების ისტორიის და მათი სასოფლო-სამეურნეო წყობის ნარკვევები“, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტის ორგანოს «Сборник сведений о Кавказе»-ს მეხუთე ტომში, მაგრამ არც მეხუთე და არც სხვა ტომებში აღნიშნული სტატია არ აღმოჩნდა. ასევე ჩვენი გულმოდკინე ძებნის მიუხედავად, ვერ შევძელით სტატიის აღმოჩენა რომელიმე პერიოდულ ორგანოში, ცალკე გამოცემის სახით, ან საარქივო ფონდებში (იხ. სსრ ცსსა, ფონდი 241, ანაწ. 3, საქმე 189, ფურც. 1).

<sup>25</sup> სსრ ცსსა, ფ. 240, ანაწ. 1, საქმე 1154, ფურც. 1.

<sup>26</sup> Сергей Шелухин, Немечкая колонизация на Юге России, Одесса, 1915, с. 31.

<sup>27</sup> С. Д. Бондарь, Секта Меннонитов в России, Петроград, 1916, с. 45.

ამრიგად, რუსეთის შიდა გუბერნიებში მცხოვრებმა გერმანელმა კოლონისტებმა დაკარგეს (თუნდაც იურიდიულად) თავისი განკერძოებული მდგომარეობა და გაუთანაბრდნენ ადგილობრივ გლეხობას.

მაგრამ ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების მიმართ ასეთი ღონისძიებები არ გაუტარებიათ. 1871 წლის 5 ივლისის დადგენილებით სენატმა წინადადება მისცა კავკასიის მეფისნაცვალს, გაეტარებინა ანალოგიური გარდაქმნები ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების მიმართაც. კავკასიის ადმინისტრაციამ დაიწყო მზადება ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების საერთო საგუბერნიო დაწესებულებებისათვის გადასაცემად, რისთვისაც, მისი აზრით, საჭირო იყო „აღნიშნულ დაწესებულებებს მათ დაქვემდებარებაში გარდამავალი კოლონისტებისათვის, ამ მხარის სხვა მოსახლეობის მდგომარეობის შესაბამისად, შეემუშავებინათ მოწყობის წესები, რომლის საფუძველი იქნებოდა 1871 წლის 4 ივლისის უმაღლესი ბრძანებულება ბესარაბიის ოლქსა და იმპერიის შიდა გუბერნიებში მოსახლე ყოფილი კოლონისტების მოწყობის შესახებ“<sup>28</sup>. ამისათვის „მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭომ დაადგინა: საკანონმდებლო წესით ამ საჭმის წინასწარ მომზადების მიზნით, დაევალოს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს, მთავარი სამმართველოს დეპარტამენტთან შეთანხმებით, ამიერკავკასიის სხვა ხალხებისათვის არსებული წესების თანახმად, შეიმუშაოს ამ კოლონისტების მართვა-გამგეობის წესები“<sup>29</sup>.

ეს სამუშაო ძალზე ვაჭიანურდა და არ იქნა მიყვანილი ბოლომდე. მისი შედეგი იყო მხოლოდ გერმანული კოლონიების ზედამხედველის თანამდებობის ფორმალური გაუქმება 1875 წლის 1 თებერვლიდან<sup>30</sup>. და თუმცა ამის შემდეგ ფ. ვოლიანსკი დაინიშნა განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკად, მაგრამ იმავე დადგენილებაში ნათქვამი იყო: „რომ არ მოაკლდეთ გერმანულ კოლონიებს ყურადღება, დაევალოს გერმანული კოლონიების ყოფილ ზედამხედველს კოლეგიის მრჩეველს ვოლიანსკის განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკის მოვალეობასთან ერთად, კოლონისტების საგუბერნიო დაწესებულებათა დაქვემდებარებაში გადაცემამდე, შეასრულოს აგრეთვე კოლონიების ზედამხედველის მოვალეობაც იმ ინს-

<sup>28</sup> სსსრ ცსსა, ფ. 241, ანაწ. 3, საქმე 89, ფურც. 1.

<sup>29</sup> იქვე, ფურც. 39.

<sup>30</sup> იქვე, ფურც. 27.

ტრუქციის საფუძველზე, რომელიც მას მიეცა კოლონიების ზედამხედველად ყოფნის დროს<sup>31</sup>.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ კოლონიები 1883 წლამდე, კავკასიის სამოქალაქო დაწესებულებების საერთო გარდაქმნამდე. „კავკასიის მხარის მმართველობის 1883 წლის 26 აპრილის წესდების“ საფუძველზე (მუხლები 122, 138), ამიერკავკასიის გერმანული კოლონიები დაექვემდებარა სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივ (სამაზრო) სამმართველოებს. ადრე არსებული კოლონიების ზედამხედველის მოვალეობას ასრულებდნენ ამ სამმართველოების აგენტები ან მზრუნველები (попечители), როგორც უწოდებდნენ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოების იმ ჩინოვნიკებს, რომლებიც გერმანულ კოლონიებს განაგებდნენ. ამასთან დაკავშირებით 1888 წელს გამოცემულ სპეციალურ ბრძანებულებაში ნათქვამი იყო: «В силу Высочайше утвержденных 14 июля 1888 года мнение Государственного совета о порядке управления государственными имуществами на Кавказе обязанности агентов или попечителей по заведыванию государственными имуществами, возложены на чиновников особых поручений ведомства министерства государственных имуществ, которые заведывают колониями на правах и обязанностях смотрителей колонии присвоенных»<sup>32</sup>. ამ ჩინოვნიკებს ზოგჯერ უბრალოდ „მეთვალყურეებს“ („надзиратели“) უწოდებდნენ.

ამავე გარდაქმნებით გაუქმდა მეფისნაცვლობა, რომელიც ხელმძღვანელობდა ყველა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მინისტრის უფლებით. აღადგინეს მთავარმართველობა იმ კორექციით, რომ მთავარმართველი არსებითად ზღებოდა ზედამხედველს ამიერკავკასიის ფარგლებში წარმოდგენილი გუბერნიებისა, რომლებიც შიდა გუბერნიებისაგან განურჩევლად, უშუალოდ უკავშირდებოდნენ პეტერბურგს. ამის შედეგად გერმანული კოლონიები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს (ხოლო მოგვიანებით მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს), დამოუკიდებელ სამმართველო ერთეულებად გადაიქცნენ თვით ქვეყნის მთავარმართველის მიმართ, რადგან სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივი სამმართველოები უშუალოდ ემობილებოდნენ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს<sup>33</sup>.

<sup>31</sup> სსრ ცსსა, ფ. 241, ანაწ. 3, საქმე, 89, ფურც. 29.

<sup>32</sup> სსრ ცსსა, ფ. 244, ანაწ. 7, საქმე, 122, ფურც. 2.

<sup>33</sup> სსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 7, საქმე 2783, ფურც. 1.

80-იან წლებში დაწყებულმა პოლიტიკურმა რეაქციამ მიიღო შემტევი ნაციონალიზმის ხასიათი, რაც ველიკორუსულ შოვინიზმში გამოიხატა. რეაქცია შეტევაზე გადავიდა ყოველივემხარეულში ზით და მკვეთრად გააძლიერა ადგილობრივი ერების თვითღმრთელობა და ამიერკავკასიის მოსახლე სხვა ერების მიმართ უპირველესად ეს შეტევა გამოიხატა მმართველობითი სისტემის, ანუ ადმინისტრაციული სისტემის ცვლილებებში, რასაც უნდა გაეკაფა ზნა ახალი კოლონიური ზომებისათვის. მაგრამ ეს პროცესი სრულიად არ შეხებიათ გერმანულ კოლონისტებს. პირიქით, თუ შიდა გუბერნიებში გერმანულმა კოლონიებმა 70-იან წლებში დაკარგეს თავისი „ავტონომია“, ხოლო კოლონისტები იურიდიულად გაუთანაბრეს მესაკუთრე გლეხებს, ამიერკავკასიის კოლონიებმა არამარტო შეინარჩუნეს თავისი განკერძოებული მდგომარეობა, არამედ განამტკიცეს კიდევ იგი. 1883 წლამდე ისინი დამოუკიდებლნი იყვნენ ადგილობრივი (სამაზრო, საგუბერნიო) ორგანოებისაგან, ხოლო 1883 წლის შემდეგ, კოლონიები ფაქტიურად არ ემორჩილებოდნენ არა მარტო ადგილობრივ, არამედ მხარის მთავარ ადმინისტრაციასაც.

ეს გარემოება არეულობას და გაუგებრობას იწვევდა კოლონიების მმართველობაში. მაგალითად, 1889 წელს თბილისის მაზრის უფროსმა ჯანდიერმა უბრძანა თბილისის მაზრაში მდებარე კოლონიებს გამოსულიყვნენ საგზაო ბეგარაზე, რასაც ისინი აღრიდნვე ასრულებდნენ. მაგრამ ამჟერად ამ კოლონიების (მარიენფელდი, პეტერსდორფი, ფრაიდენტალი) შულცებმა უარი განაცხადეს აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე და თხოვნით მიმართეს თბილისის მაზრის კოლონიების მზრუნველს, დაეცვა ისინი ადგილობრივ ხელისუფალთა „უკანონო ხელყოფისაგან“. თავის მხრივ მზრუნველმა მაზრის უფროსის მოქმედება გაასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორთან, რომელმაც, არსებულ კანონებზე დაყრდნობით, აუკრძალა მაზრის უფროსს ჩარეულიყო გერმანელი კოლონისტების საქმიანობაში<sup>34</sup>. ასეთი ფაქტები მრავალი იყო. არსებული მდგომარეობის არანორმალურობა სულ უფრო და უფრო ნაფიელი ხდებოდა, რამაც აიძულა კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია ეძია გზები მის მოსაწესრიგებლად.

1901 წელს კავკასიის მთავარმართველმა გენერალ-ადიუტანტმა ვოლიცინმა მთავარმართველის კანცელარიის დირექტორს სანდრიგაილოს დაავალა, დაწვრილებით შეესწავლა ეს საქმე და მთა-

<sup>34</sup> სსსრ ცსსა, ფ. 244, ანაწ. 7, საქმე 122, ფურც. 2—3.

ვარმართებლის საბჭოზე 1901 წლის 28—30 მაისს სიტყვიერი მოხსენება გაეკეთებინა ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების მმართველობის შესახებ. საბჭომ მოისმინა ეს საკითხი შედეგად განიხილა კანონები, რომლებიც ეხებოდნენ ამიერკავკასიის სასოფლო საზოგადოების მმართველობას, სამართალს, სახელმწიფო, საერო და სათემო გადასახადებს, და მათი კოლონიების შესახებ დებულებების სათანადო მუხლებთან შედარების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „პირველნი ამ კანონთაგანი უფრო სრული და საფუძვლიანია მეორეზე და ამიტომ მათი გავრცელება კოლონისტებზე პრინციპულად აუცილებელია“<sup>35</sup>.

კავკასიის ადმინისტრაციამ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გაუგზავნა პეტერბურგს, რომლითაც მოითხოვა ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების მმართველობის რეორგანიზაცია. თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში 1897—1902 წლების ანგარიშის შესახებ კავკასიის მთავარმართებელი წერდა: „აქამდე ამიერკავკასიის კოლონისტები იმყოფებიან არა შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო ადმინისტრაციული დაწესებულების გამგებლობაში, არამედ მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში, ასე რომ კოლონისტთა სოფლები ადგილობრივ ადმინისტრაციულ ხელისუფალთა მიმართ თითქოს წარმოადგენენ ექსტერიტორიულ დასახლებებს, რომლებიც ცხოვრობენ თავისა კანონებით, განსაკუთრებული ხელმძღვანელობით და ამდენად, ამ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, საერთო არაფერი აქვთ დანარჩენი მოსახლეობის მმართველობასთან. ამის შედეგად რა დარღვევებიც არ უნდა ხდებოდეს თვით კოლონიების მმართველობაში, ადმინისტრაციას, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივი წესრიგის და მოსახლეობის ნორმალური მოქალაქეობრივი განვითარებისათვის, არათუ არ ძალუძს წარმართოს ამ მხრივ კოლონიების ცხოვრება, არამედ უშუალოდ არც იცნობს მას.

კოლონისტების ამ განსაკუთრებულ მდგომარეობას ადგილი აქვს მხოლოდ კავკასიაში, მაშინ როცა შიდა გუბერნიებში კოლონიები ვერ კიდევ 1871 წელს სხვა გლეხობასთან თანაბარ საფუძველზე გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მიმაჩნდა რა აუცილებლად, შემეწყვიტა ეს არანორმალური წყობა, — წერდა კავკასიის მთავარმართებელი, — გასულ 1901 წელს მე მივმართე თხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მას სახელმწიფო საბჭოში გან-

<sup>35</sup> სსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 7, საქმე 2783, ფურც. 1.



სახილველად შეეტანა ჩემს მიერ შემუშავებული კანონპროექტი კოლონიების შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში დაუყოვნებლივ გადაცემის და ამიერკავკასიის გლეხთა დაწესებულებების დებულებით მათი საზოგადოებრივი თვითმმართველობებისათვის დამორჩილებისათვის“<sup>36</sup>.

1903 წლის 22 აპრილს მინისტრთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კავკასიის მთავარმართებლის თხოვნას და აზრი გამოთქვა სახელმწიფო საბჭოში ამ საკითხის სწრაფად გადაჭრის სასარგებლოდ<sup>37</sup>.

1903 წლის 10 ივლისს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა წარდგენილი პროექტი — ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების საგუბერნიო, სამაზრო და აგრეთვე ადგილობრივ საგლეხო საქმეთა დაწესებულებების გამგებლობაში გადაცემის შესახებ<sup>38</sup>.

ამ აქტთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო: „თბილისის და ელისავეტოპოლის გუბერნიების საზაზინო მიწებზე დასახლებული გერმანელი კოლონისტები გადაცემული იქნას საერთო საგუბერნიო და სამაზრო, და, აგრეთვე, ადგილობრივ საგლეხო საქმეთა ორგანიზაციების გამგებლობაში, ამასთანავე აღნიშნულ პირების მიმართ შენარჩუნებული იქნას კავკასიის მხარის კოლონისტთა წესდების ზოგიერთი მუხლები (1—14, 16—60, 61, 62)“<sup>39</sup>.

ამრიგად, ადგილობრივ გლეხობასთან იურიდიული გათანაბრების პირობებშიც კი გერმანელი კოლონისტების მიმართ ძალაში იქნა დატოვებული ძველი კანონმდებლობის ზოგიერთი მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა კოლონისტებისათვის პრივილეგიების მინიჭებას.

დადგენილებაში ლაპარაკი იყო აგრეთვე ზოგიერთ ცვლილება-დამატებაზე კოლონიების მმართველობაში:

„1. სოფლის „პრიკაზის“ დადგენილება მომრიგებელ მოსამართლესთან შეიძლება გასაჩივრებული იქნას 30-დღიანი ვადის განმავლობაში. იმავე ვადაში საჩივარი შეიძლება შეტანილი იქნას გუბერნიის ადგილობრივ საგლეხო საკრებულოში, ასევე საგუბერნიო საკრებულო არსებითად განიხილავს ამგვარ საქმეებს.

2. კოლონიების განაწილებას მომრიგებელ მოსამართლეთა უბნებს შორის (სამომრიგებლო განყოფილებებს შორის) და შემდეგ

<sup>36</sup> ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 194, д. 55, лл. 62—63.

<sup>37</sup> Там же, лл. 102—103.

<sup>38</sup> სსრ ცსსა, ფონდი 244, ანაწ. 6, საქმე 1101, ფურც. 5.

<sup>39</sup> იქვე.

ამ განაწილებაში ცვლილებებს შეტანას ახდენდა კავკასიის მთავარპარტებელი სამოქალაქო ნაწილში, შესაბამისი გუბერნატორების წარდგენით<sup>40</sup>.

ამის შემდეგ გერმანული კოლონიები საბოლოოდ გადაიტანა ადგილობრივ (სამაზრო) ხელისუფალთა გამგებლობაში. კოლონიებს მართვა-გამგეობა ამიერკავკასიაში ამ სახით შენარჩუნებული იქნა როგორც ცარიზმის ბატონობის, ისე ადგილობრივი ბურჟუაზიულ-ნაციონალური მთავრობების მმართველობის წლებში.

\* \* \*

ცალკეული კოლონიის უშუალო ხელმძღვანელობისათვის ყოველ მათგანში დაარსებიდანვე შექმნილი იყო ე. წ. „სოფლის პრიკაზები“, რომლებიც შედგებოდა „შულცის“ (მამასახლისი), ორი „ბაიზიცერის“ (მსაჯული) და დაჭირავებული სოფლის მწერლისაგან.

შულცსა და ბაიზიცერს ირჩევდნენ სასოფლო კრებაზე ხმის უმრავლესობით 2 ან 3 წლის ვადით; შემდეგ მათ კოლონიის ზედამხედველს, ან მისი შემცვლელი ჩინოვიკის წარდგენით ამტკიცებდა კოლონიების მმართველი ორგანო. ძალზე იშვიათი იყო შემთხვევა, რომ გერმანული კოლონიების შულცი ან ბაიზიცერი არ დაემტკიცებინოთ და ხელახლა ჩაეტარებინოთ არჩევნები. თუმცა ორივე ბაიზიცერს ერთი და იგივე უფლებები ჰქონდათ, ისინი იწოდებოდნენ „პირველ“ და „მეორე“ ბაიზიცერად.

საზოგადოებრივი საქმეები წყდებოდა სასოფლო კრებაზე. კრებაზე მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყოველი ოჯახის უფროს მამაკაცს, განურჩევლად იმისა, ფლობდა თუ არა იგი სახაზინო ნაღელს და, საერთოდ, გააჩნდა თუ არა მას მიწის ნაკვეთი. კრებაზე კოლონისტებს იწვევდა ათისთავი, რომელიც ჩამოვილიდა ქუჩებს, ხარის რეკვით იქცევდა ყურადღებას და შემდეგ აცხადებდა სასოფლო კრების მოწვევას.

სასოფლო კრებაზე ხშირად იმართებოდა გაცხარებული კამათი, მაგრამ ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას უყოყმანოდ ასრულებდნენ.

ზოგჯერ ეწყობოდა პატარა კერძო კრებები, რომელსაც იწვევდნენ მაშინ, როდესაც წყდებოდა საკითხი კერძო მიწის შეძენის შესახებ. ასეთ კრებებზე მონაწილეობდნენ მხოლოდ შესაძენი მიწის

<sup>40</sup> სსრ ცსსა, ფ. 244, ანაწ. 6, საქმე 1101, ფურც. 5—5ა.

მომავალი მესაკუთრენი<sup>41</sup>. სოფლის „პრიკაზები“ წყვეტდნენ ნაკლებად მნიშვნელოვან სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს<sup>42</sup>, რომლებისთვისაც მეორე და უმაღლესი ინსტანცია<sup>43</sup> კოლონიების ზედამხედველი, შემდგომში მისი შემცველი ჩინოვნიკები.

შულცი ვალდებული იყო მზრუნველი დაენიშნა ქვრივ-ობლებისათვის, მეთვალყურე — ზარმაცებისა და დაუდევრებისათვის. მას მათი ნათესავების თანხმობით, თვალყური უნდა ედევნებინა მათ მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის.

გარდა ამისა, შულცების და ბაიზიცირების მოვალეობას შეადგენდა:

ა) წაეჭეზებინათ კოლონისტები მიწის საუკეთესოდ დამუშავებასა და მოსავლიანობის გადიდებაში, თვალყური ედევნებინათ, რათა შრომისუნარიან კოლონისტებს ბეჯითად ეწარმოებინათ სამეურნეო სამუშაოები.

ბ) ცდილიყვნენ, რათა კოლონისტების ნაკვეთები ყველგან გაყოფილი ყოფილიყო სამ მინდვრად და ჩაეტარებინათ ცდები მათი შვიდ მინდვრად გაყოფისათვის.

გ) სამუშაო პერიოდის დადგომისთანავე ეუწყებინათ ყველა მცხოვრებისათვის, რათა ისინი დილაადრიან გასულიყვნენ მინდვრად და ემუშავნათ ბეჯითად. აღნიშნულის მეთვალყურედ გამოყოფდნენ ათისთავეებს.

დ) გაზაფხულსა და შემოდგომაზე დაეთვალაიერებინათ ყოველი მეურნის სახნავი მიწები და აეძულებინათ ისინი დროულად დამთავრებინათ თესვა.

ე) წაეჭეზებინათ კოლონისტები, გაემრავლებინათ საქონელი და ცხვარი, გაევრცელებინათ ბალ-ბოსტნეული კულტურების საუკეთესო ჯიშები, განსაკუთრებით შთაეგონებინათ მათთვის კარტოფილის გავრცელების სარგებლიანობა და ა. შ.<sup>43</sup>

შულცები, ბაიზიცირების დახმარებით, კრებდნენ ყოველგვარ გადასახადს და აბარებდნენ ხელისუფლებას, ანაწილებდნენ კოლონისტებს შორის საბეგრო სამუშაოებს და სხვა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შულცების ძალაუფლება ძლიერდებოდა. ხელი-

<sup>41</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 244, ანაწ. 7, საქმე, 492, ფურც. 11.

<sup>42</sup> სოფლის „პრიკაზის“ განჩენი საბოლოო იყო იმ შემთხვევაში, თუ დავა ეხებოდა ქონებას ღირებულებით არა უმეტეს 5 მანეთისა, უფრო დიდი თანხის შემთხვევაში შეიძლებოდა ვასაჩივრება კოლონიების ზედამხედველთან (სსსრ ცსსა, ფონდი 244, ანაწ. 7, საქმე 191, ფურც. 1).

<sup>43</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 13, ანაწ. 7, საქმე 2783, ფურც. 20—21.

სუფალთა და გამდიდრებული კოლონიტების ხელშეწყობით შულცები ცდილობდნენ თავისი ძალაუფლების განმტკიცებას. მაგრამ გლენობის სხვა კატეგორიებისაგან განსხვავებით, ხელისუფალნი მეტნაკლებად იცავდნენ კოლონიტებს გამდიდრებულ თანამოძმეთა ხელყოფისაგან. თუმცა გერმანელ კოლონიტებში შეიმჩნევა ფენებად დაყოფა, მაგრამ ანტაგონისტურ შეტაკებას „მჭონებელთა“ და „უჭონელთა“ შორის ადგილი არა ჰქონია, რაც განპირობებული იყო კოლონიტების ნაციონალური კარჩაეტილობით, მცირერიცხოვნებით და მათ შედარებით მაღალი ეკონომიური მდგომარეობით.

გერმანელი კოლონიტები, სარგებლობდნენ რა ცარიზმის მიერ მინიჭებული პრივილეგიებით, ძლიერდებოდნენ ეკონომიურად და წარმოადგენდნენ რუსეთის თვითმპყრობელობის დასაყრდენს ადგილებზე. ჰქონდათ რა განსაკუთრებული მმართველობა, კოლონიტები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გვერდის ავლით, უშუალოდ ემორჩილებოდნენ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას. ცარიზმის მიერ დაწესებული განსაკუთრებული მმართველობა კოლონიტებს იცავდა საგუბერნიო და სამაზრო ბიუროკრატიული ადმინისტრაციის ყოველგვარი ჩარევისაგან.

## 2. ამიერკავკასიის გერმანელ კოლონიტთა მიწათმფლობელობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა

XIX საუკუნის დამდეგს საქართველო და მთელი ამიერკავკასია ტიპურ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. ქვეყნის ეკონომიკაში თითქმის განუყოფლად იყო გაბატონებული სოფლის მეურნეობა, რომლის დონე მთელი რიგი პირობების გამო დაბალი იყო იმ დროის მოწინავე ქვეყნების სოფლის მეურნეობასთან შედარებით. ცარიზმის მოხელეების აზრით, ამიერკავკასიას და განსაკუთრებით საქართველოს, რუსეთის იმპერიაში შემავალ მხარეთა შორის უნიკალური მდგომარეობისა და პირობების გამო, განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. ცარიზმი ვარაუდობდა, რომ გარკვეული ღონისძიებების გატარების შემდეგ შეიძლებოდა ამიერკავკასია გადაქცეულიყო „რუსეთის ინდოეთად“. მეფის მთავრობა არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა ამიერკავკასია გამხდარიყო რუსეთისათვის იმ ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იაფი მიმწოდებე-

ლი, რომელიც რუსეთს ოქროს ფასად შემოჰქონდა საზღვარგარეთიდან<sup>44</sup>.

მაგრამ რუსეთის მოხელეთა აზრით, ამიერკავკასიის ადგილობრივი მოსახლეობა „სიზარმაცის“ და „უუნარობის“ გამო გამოუსადეგარი იყო სოფლის მეურნეობის გარდაქმნის და აღმავლობის საქმეში. სწორედ ეს მოტივი გამოიყენა ცარიზმმა აქ უცხო ელემენტს ჩამოსახლების საბაზად. ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს, კოლონიზაცია ისახავდა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ მიზნებს; თუმცა ოფიციალურად გამოცხადებული იყო, რომ კოლონისტებს ხელი უნდა შეეწყობოთ მხარის სამეურნეო აღმავლობისათვის.

გერმანელი კოლონისტების ძირითად საქმიანობას ამიერკავკასიაში მიწათმოქმედება და საერთოდ სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა<sup>45</sup>. ამიტომ, ბუნებრივია, მიწათმფლობელობას (მიწათსარგებლობას) გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მათ ეკონომიურ ცხოვრებაში. 1818 წელს მიღებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით ამიერკავკასიაში დასახლებული გერმანელი კოლონისტების თითოეულ ოჯახს (თბილისში დასახლებული ხელოსნების გარდა) 35 დესეტინა მხოლოდ სავარგული (УДОБНЫЙ) მიწა უნდა მიეღო<sup>46</sup>.

მეფის მთავრობამ კოლონისტებს მიწის მნიშვნელოვანი ნაკვეთები მისცა. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს სავარგული მიწების ის რაოდენობა, რომელიც თითოეულ ოჯახზე მოდიოდა ცალკეული კოლონიების მიხედვით.

გარდა ამისა, გერმანელმა კოლონისტებმა დიდი რაოდენობით მიიღეს არასავარგული მიწის ნაკვეთები (საძოვრები, საზაფხულო საცხოვრებელი ადგილები და სხვა).

„ცარიზმის ადმინისტრაციამ ზემო ზენებულ სოფლებში ადგილობრივი გლეხობა აყარა და გერმანელ კოლონისტებს მისცა საუკეთესო მიწები. გერმანელმა კოლონისტებმა თითოეულ ოჯახზე (კომლზე) დაახლოებით 35—60 დესეტინა მიწა მიიღეს. და ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივ გლეხობას: ქართველებს, აზერბაიჯანელთ, სომეხთ საშუალოდ 3—5 დესეტინა მიწაც კი არ ჰქონდა

<sup>44</sup> პ. გ უ ვ უ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, მონოგრაფიები, ტ. I, თბილისი, 1949, გვ. 648—655.

<sup>45</sup> გარდა თბილისის (კუყიის) კოლონიისა, სადაც ძირითადად ხელოსნები დასახლდნენ.

<sup>46</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 227, ანაწ. I, საქმე 27.

თბილისის გუბერნია

თბილისის კოლონია	1,78	დეკეტინა
ალექსანდერსდორფი	36,52	"
მარიენფელდი	35,00	"
პეტერსდორფი	35,00	"
ელიზავეტალი	35,43	"
ეკატერინენფელდი	27,92	"

ელისავეტპოლის გუბერნია

ანენფელდი	47,54	დეკეტინა
ელენენდორფი	35,81	" <sup>47</sup>

მიცემული სანადელოდ<sup>48</sup>, ნაწილი მიწებისა, რომლებზეც კოლონისტები დაასახლეს, ეკუთვნოდა ადგილობრივ თავადაზნაურობას, რომელთაც მიეცათ ფულადი კომპენსაცია ან სანაცვლო მიწები<sup>49</sup>.

აღნიშნული მიწებიდან ელისავეტპოლის გუბერნიის ორივე კოლონიის (ელენენდორფის და ანენფელდის) სახნავი და ბაღ-ვენახები სარწყავი იყო, ხოლო კოლონია ალექსანდერსპილფში, რომელიც ზღვის დონიდან ყველა გერმანულ კოლონიაზე მაღლა მდებარეობდა, მიწები საერთოდ არ ირწყვებოდა.

გარდა სანადელოდ მიცემული სახელმწიფო მიწებისა, გერმანელი კოლონისტები სრული საკუთრების უფლებით ფლობდნენ საკმაოდ დიდი რაოდენობით შექმნილ მიწებს. ეს ნაყიდი მიწები ორ კატეგორიად იყოფოდა: 1) ცალკეული კოლონისტების მიერ შექმნილი მიწის ნაკვეთები, რომლებიც მფლობელის სრულ საკუთრებაში იყო და 2) ცალკეული კოლონიების მთელი საზოგადოების მიერ შექმნილი მიწები, რომლებიც ამავე საზოგადოების შეხედულებით ნაწილდებოდა სახელმწიფო ნადელების მსგავსად. ცალკეული კოლონიები მიწებს იძენდნენ საზოგადოებრივი კაპიტალის<sup>50</sup>,

<sup>47</sup> МИЭБГКЗК, т. I, Вып. II, стр. 101.

<sup>48</sup> პ. გუგუშვილი, გერმანელი კოლონისტები და ადგილობრივი გლეხობა ამიერკავკასიაში. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1946, გვ. 193.

<sup>49</sup> ПГИАЛ, фонд. 1276, оп. 19, л. 129; სსსრ ცსსა, ფ. 12, ანაწ. 10, საქმე 194, ფურც. 1; ფ. 16, ანაწ. 1, საქმე 5821, ფურც. 1.

<sup>50</sup> საზოგადოებრივი კაპიტალი გერმანულ კოლონიებში შეიქმნა ხელისუფლების უშუალო მითითებით. იგი შედგებოდა ნებაყოფლობითი შენატანების, საზოგადოებრივი შემოსავლების, ჭარბების და სხვა თანხებისაგან. მთელი ეს თანხა ხმარდებოდა კოლონისტების საერთო საქმეს (იხ. სსსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. I, საქმე 15; ფონდი 241, ანაწ. 3, საქმე 328, ფურც. 1—3, 8).

ან სხვა საერთო თანხით. მიწის ეს ნაკვეთები საკმაოდ სოლიდურ ზომებს აღწევდა. მართო კოლონია ეკატერინენფელდის მიერ შექმნილი მიწები 1880-იან წლებისათვის 2794 დესეტინამდე აღწევდა.<sup>51</sup> ეს მიწები შექმნილი იყო ქართველი თავადებისაგან (ივანი ქაშაძე, კურ-ორბელიანი, ყაფლან ორბელიანი, ელისაბედ ბაგრატიონ-მუხრანსკი, ვახტანგ ორბელიანი, ჩოლოყაშვილები და სხვ.)<sup>52</sup>. სხვა გერმანულ კოლონიებთან გააჩნდათ მეტნაკლები რაოდენობის შექმნილი მიწის ნაკვეთები, თუმცა ზოგიერთ მათგანს უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე კოლონია ეკატერინენფელდს, მაგრამ სამაგიეროდ ამ კოლონიებში ცალკეულ მდიდარ კოლონისტებს მიწის საკმაოდ დიდი ნაკვეთები ეკავათ. კოლონია ელენენდორფის ცნობილ კოლონისტს ქ. ფორერს გასული საუკუნის 80-იან წლებში 600 დესეტინაზე მეტი მიწა ჰქონდა სრულ საკუთრებაში, ხოლო 1910 წლისათვის მისმა მამულმა 4 300 დესეტინას მიაღწია<sup>53</sup>.

რაც შეეხება სახაზინო ნაღვლებს, გერმანულ კოლონისტებს მათი სარგებლობის განსაკუთრებული წესი ჰქონდათ, რომელიც გამსხვევდებოდა ადგილობრივ გავრცელებული მიწათმფლობელობის წესებისაგან.

თუმცა გერმანული კოლონისტები მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთებს ფლობდნენ, მაგრამ ამ ნაკვეთების საზღვრები (და მასთან ერთად მათი სიდიდეც) იცვლებოდა მიწების ხელახალი გადანაწილებით, რომელსაც კოლონისტები გარკვეული პერიოდის შუალედებით, ან საჭიროების მიხედვით ატარებდნენ. მიწები ნაწილდებოდა კომლთა რაოდენობის მიხედვით, თვითეულ კომლში მამაკაცთა რიცხვის გათვალისწინებით<sup>54</sup>. ყოველ კოლონიაში მიწა იყოფოდა ე. წ. „მეურნეობებად“ (Wirtschaften); მეურნეობების რიცხვი თითქმის უცვლელი იყო და უდრიდა კოლონიის დაარსების დროს დასახლებულ კოლონისტთა (ე. წ. „ძირითად კომლთა“) რიცხვს. თითოეული „მეურნეობა“ არანაკლებ 35 დესეტინამდე მიწას შეიცავდა — ე. ი. მიწის იმ რაოდენობას, რომელიც მიეცათ კოლონისტებს ამიერკავკასიაში ჩამოსვლისას, მაგრამ შემდგომში ოჯახების გაყოფა-გამრავლებასთან ერთად „მეურნეობებიც“ იყოფა და XIX საუკუნის დასასრულისათვის, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც

<sup>51</sup> МИЭБГКЗК, т. I, вып. II, стр. 114—115.

<sup>52</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 226, ანაწ. I, საქმე 57, ფურც. 3; ფონდი 4, ანაწ. 2, საქმე 6; ფონდი 241, ანაწ. 3, საქმე 88.

<sup>53</sup> М. С в е ш н и к о в, Винодельческое хозяйство бр. Форер, Тифлис, 1911, стр. 3.

<sup>54</sup> «Кавказское сельское хозяйство», 1894, № 43, стр. 729.

ვხვდებით კოლონისტებს, რომლებიც სანადელო „მეურნეობის“ ნახევარს, ან მეოთხედსაც კი ფლობდნენ<sup>55</sup>. 60-იან წლებამდე კოლონისტებს „მეურნეობის“ გაყოფის უფლება არ ჰქონდათ და იგი მამისაგან მემკვიდრეობით გადაეცემოდა მხოლოდ უმცროს ვაჟს. 1864 წელს მთავარმართებელ დიდი მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის ბრძანებით კოლონისტებს ნება დაერთოთ, გაეყოთ „მეურნეობა“ ორად, მაგრამ ამ დონისძიებას კოლონისტები იშვიათად მიმართავდნენ. თუ ოჯახში ორზე მეტი ვაჟი იყო, „მეურნეობის“ ნახევრები ეძლეოდათ უფროს და უმცროს ვაჟებს, ხოლო შუათანებს ეძლეოდათ კომპენსაცია ფულით, ან შექმნილი მიწების ხარჯზე, რითაც ან თვით უნდა შეექმნათ საკუთარი მეურნეობა, ან ხელოსნობისათვის მოეკიდათ ხელი<sup>56</sup>. საკუთარი „მეურნეობის“ შექმნას მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილი კოლონისტები ზოგჯერ ვერ ახერხებდნენ და ქმნიდნენ უმიწო კოლონისტების, ე. წ. „ბაიზასების“<sup>57</sup> კატეგორიას. შემდგომში, განსაკუთრებით 70-იანი წლების შემდეგ, როდესაც კოლონისტებმა მთლიანად გადაიხადეს ზაზინის ვალი და ნადელს განაგებდნენ, როგორც საკუთარ მიწას, „მეურნეობის“ დაყოფა და მემკვიდრეებისათვის გადაცემა ხდებოდა მამის შეხედულებით და სურვილით. თუ ოჯახს ვაჟი არ ჰყავდა მემკვიდრედ, მემკვიდრე ხდებოდა პირველი დასიძებული მამაკაცი. ობლებს „მეურნეობებს“ მათ სრულწლოვანებამდე განაგებდნენ მზრუნველები.

ზემოთ აღნიშნული მიწის გადანაწილება გერმანულ კოლონიებში ეხებოდა მხოლოდ საზნავ-სათეს და სათიბ მიწებს. საკარმიდამო და მრავალწლიანი ნარგავებით (ვენახი, ხეხილის ბაღი და სხვა) გაშენებული ნაკვეთები გადანაწილებას არ ექვემდებარებოდა. საქოვრები და ტყეები ცალკეული კოლონიების ერთიან მფლობელობაში იყო და კოლონისტები განუყოფლად სარგებლობდნენ მათით<sup>58</sup>.

<sup>55</sup> ეს ეხებოდა მხოლოდ სანადელოდ მიცემულ მიწის ნაკვეთს და მხედველობაში არ იყო მიღებული მთელი კოლონიის, ან ცალკეული კოლონისტის მიერ შექმნილი მიწის ნაკვეთი.

<sup>56</sup> ეს ვრცელდებოდა მხოლოდ საზაზინო ნაკვეთზე, რაც შეეხება მამის დანარჩენ უძრავ-მოძრავ ქონებას, მას ვაჟები თანაბრად იყოფდნენ.

<sup>57</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 13, ანაწ. 7, საქმე 114, ფურც. 10—11, საქმე 207, ფურც. 2—3.

<sup>58</sup> И. Серебряков, Сельское хозяйство в Елисаветопольском уезде, Тифлис, 1862, стр. 85.



თუმცა გასული საუკუნის 80-იან წლებში გერმანულ კოლონი-  
ებში მნიშვნელოვანი რაოდენობით (სულ 163 კომლი) ითვლებო-  
და ზემოთ აღნიშნული უმიწო კოლონისტები („ბაიზანტიელები“). მაგრამ  
მათი მდგომარეობა ძირეულად განსხვავდებოდა უმიწო კოლონისტ-  
ობრივ გლეხთა მდგომარეობისაგან. მართალია, ამ 163 კომლისა-  
გან 45-ს საკარმიდამოც არ გააჩნდა, მაგრამ ისინი არც საპირობედ-  
ნენ მას, ვინაიდან მათ მიტოვებული ჰქონდათ კოლონიები და ხე-  
ლოსნობას ეწეოდნენ სხვადასხვა ქალაქებში (ძირითადად თბილის-  
სა და ელისავეტოლში). დანარჩენ 118 კომლს თუმცა სახაზინო ნა-  
დელი „მეურნეობა“ არ გააჩნდა, მაგრამ მრავალი მათგანი ფლობ-  
და მიწის მოზრდილ საკუთარ ნაკვეთს, ან მნიშვნელოვანი წილი  
ჰქონდა კოლონიის მიერ შეძენილ მიწის საერთო ნაკვეთში, ანდა  
ეწეოდა რაიმე სარფიან საქმიანობას. მათი ეკონომიური მდგომარე-  
ობა გაცილებით უკეთესი იყო ადგილობრივ არა თუ ღარიბი და სა-  
შუალო, არამედ ზოგიერთი მდიდარი გლეხის ეკონომიურ პირობებ-  
ზეც კი<sup>59</sup>. ამიტომ დიფერენციაციას იმ სახით, როგორც ეს იყო ად-  
გილობრივ გლეხობაში, კოლონისტებში ადგილი არ ჰქონია. მეფის  
მთავრობის ხელშეწყობით კოლონისტები წარმოადგენდნენ კარჩა-  
კეტილ კასტას, რომელთა მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო  
არა მარტო ადგილობრივ გლეხობასთან, არამედ თვით რუს კოლო-  
ნისტებთან შედარებითაც კი. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ  
გერმანელი კოლონისტები უკეთეს შემთხვევაში ინდუფერენტულად  
იყვნენ განწყობილნი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყის-  
ში ამიერკავკასიაში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების  
მიმართ.

მართალია, ცალკეულ კოლონიებში „მეურნეობის“ რიცხვი  
უცვლელი რჩებოდა, მაგრამ თვით მეურნეობების სიდიდე ზნირად  
მატულობდა მთავრობის მიერ დამატებით გამოყოფილი სანადელო  
მიწების ხარჯზე.

მხოლოდ სახელმწიფო სანადელო მიწის განაწილება ერთეულ  
მეურნეობად, ცალკეულ კოლონიებში სამი სხვადასხვა პერიოდის  
შედარებით, შემდეგ სურათს იძლეოდა<sup>60</sup> (იხ. ცხრილი 2).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცალკეულ კოლონიებში „მეურნეო-  
ბების“ რიცხვი წლების განმავლობაში ერთი და იგივე რჩებოდა.  
თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოლონია ანენფელდს ელისავეტ-

<sup>59</sup> სსსრ ცსსა ფონდი 13, ანაწ. 7, საქმე 114, ფურც. 9.

<sup>60</sup> იხ. სსსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. I, საქმე 95. ფურც. 54; საქმე 177, ფურ. 38; МИЭБГКЗК, т. I. вып. II, стр. 117.

კოლონიები	1854		1866		1884	
	ნად. სიდ.	მეურნ. რაოდ.	ნად. სიდ.	მეურნ. რაოდ.	ნად. სიდ.	მეურნ. რაოდ.
1. ალექსანდროსდორფი	32 4/13	26	32 1/4	26	56,42	26
2. მარიენფელდი	35	31	35	31	35	31
3. პეტრო. დო. ფი	35	17	35	17	44	17
4. ელიზა ეტალი	11 2/3	72	35	72	54	72
5. მარტინსენფელდი	34 1/9	95	34 1/9	95	44,2	95
6. ფრაიდენტალი	37	10	37	10	37	10
7. ელენენდორფი	24	118	35	118	71,57	118
8. ანენფელდი	67 2/3	52	67 2/3	51	52,1	77
9. ალექსანდროსკილფი	—	—	35	32	66,45	32

პოლის გუბერნიაში, სადაც მეურნეობების რიცხვი გაიზარდა 1860 წ. კოლონიაში ახლად ჩამოსახლებული 36 ოჯახის გამო, თუმცა ამ მიზეზით კოლონიაში თითოეული მეურნეობის სიდიდე შემცირდა 63 2/3 დესეტინიდან 52,1-მდე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან მიწის ფართობს შეიცავდა და სრულიად საკმარისი იყო ერთი ოჯახისათვის, რაოდენ მრავალრიცხოვანი არ უნდა ყოფილიყო იგი. აღსანიშნავია, რომ იმავე 1860 წელს ამიერკავკასიის ადმინისტრაციამ კოლონია ელენენდორფის მცხოვრებლებს დამატებით გამოუყო მნიშვნელოვანი მიწის ნაკვეთი — ძველად დასახლებული კოლონისტებისათვის 973 დესეტინა და 2061 კვ. საყენი და ახლად ჩამოსახლებულთათვის 776 დესეტინა და 1539 კვ. საყენი — სულ 1709 დესეტინა და 3600 კვ საყენი<sup>61</sup>.

მოყვანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ გერმანელი კოლონისტები ზომიერად იყვნენ უზრუნველყოფილნი მიწით და ყოვლად უსაფუძვლო იყო ზოგიერთი კოლონისტის ჩივილი მცირე-მიწიანობაზე. კოლონისტების დიდი უმრავლესობა საკუთარი ძალით მთლიანად ვერ ამუშავებდა ნადელს, ამიტომ ისინი, როგორც წესი, ქირაობდნენ და ექსპლოატაციას უწევდნენ ახლო-მახლო მცხოვრებ ადგილობრივ გლეხებს და რუს სექტანტებს; ანდა თავიანთთვის მეტად ხელსაყრელ პირობებში იჯარით აძლევდნენ მიწებს აღნიშნულ პირებს.

„კოლონისტებს საქართველოში ასახლებდნენ საუკეთესო მიწებზე და თანაც, მათ მიწებს დიდი რაოდენობით აძლევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი მიწების ფონდი ცოტა იყო და ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით გლეხები, ძლიერ სა-

<sup>61</sup> სსსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. I, საქმე 179, ფურც. 28.



კირიბედნენ მას. გარდა ამისა, გერმანელ და რუს კოლონისტებს მთავრობა აძლევდა მთელ რიგ შეღავათებს გადასახადის გუნჯობის კრედიტის მიცემისა და სხვა საქმეში მაშინ, როცა ადგილობრივ მოსახლეობა ყოველივე ამას მოკლებული იყო<sup>62</sup>.

კოლონისტების სანადელო მიწებით უზრუნველყოფა კარგად გამოჩნდება, თუ მას შევადარებთ სახაზინო ქართველი გლეხობის სანადელო მიწების რაოდენობას<sup>63</sup>, რომელიც, პროფ. ი. ანთელავას ცნობით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის გუბერნიის შიდაგენდა 17,67 დესეტინას, ხოლო ქუთაისის გუბერნიის შიდაგენდა 4,23 დესეტინას საშუალოდ ერთ კომლზე<sup>64</sup>. თუ გავითვალისწინებთ, რომ გერმანელი კოლონისტის ზემოთ აღნიშნული ნადელის შემადგენლობაში ძირითადად იანგარიშებოდა მხოლოდ ვარჯის მიწები (საკარმიდამო, ბალ-ვენახები, სახნავ-სათესი, ბოსტანი და სათიბი), ხოლო ქართველი გლეხის ნადელში გათვალისწინებულია როგორც სავარგული, ისე არასავარგული მიწები<sup>65</sup>, მაშინ ეს განსხვავება კიდევ უფრო დიდი იქნება. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანელ კოლონისტებს საკმაოდ დიდი რაოდენობით გააჩნდათ სხვადასხვა ფორმით შექმნილი მათ საკუთრებაში მყოფი მიწა მაშინ, როცა ადგილობრივ გლეხობას ასეთი მიწები უმნიშვნელო რაოდენობით ჰქონდა. მაგალითად, თბილისის გუბერნიის სახელმწიფო (სახაზინო) გლეხობის საკუთარი მიწა XIX საუკუნის დასასრულისათვის მათ სარგებლობაში მყოფი მიწის ფართობის მხოლოდ 1,14% შეადგენდა.

გერმანელი კოლონისტები საქართველოსა და ამიერკავკასიაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დამკვიდრდნენ, მაგრამ ცალკეული ჯგუფების ჩამოსახლება 80-იან წლებამდე გრძელდებოდა. როგორც კოლონია ანენფელდის მაგა-

<sup>62</sup> დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობაში რეფორმამდე საქართველოში (1830—1864 წწ.), თბილისი, 1959, გვ. 17.

<sup>63</sup> Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края, Тифлис, 1899, стр. 9.

<sup>64</sup> И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX в., т. II, Тбилиси, 1962, стр. 73.

<sup>65</sup> პროფ. ი. ანთელავას გამოანგარიშებით, თუ ნადელში გავითვალისწინებთ მხოლოდ დასამუშავებლად ვარჯის მიწებს (ტყისა და სხვათა გამოკლებით), მაშინ ქუთაისის გუბერნიის სახაზინო გლეხის სანადელო მიწა ერთ კომლზე საშუალოდ 2,7 დესეტინას შეადგენდა, რაც თვით მეფის მთავრობის მოხელეთა გაანგარიშებით მინიმალური ნორმის 25%—27% შეადგენდა (იხ. პროფ. ი. ანთელავა, აღნიშნული ნაშრომი, გვ. 75.).

ლითზე ვნახეთ, ახალჩამოსულებს მთავრობა სრულიად უზრუნველყოფდა მიწით, მაშინ როცა აგილობრივი, განსაკუთრებით მთიანი რაიონების (ფშავ-ხევსურეთი, რაჭა, სვანეთი) გლეხობა უმეცრობით იტანჯებოდა. თუმცა საქართველოში მოიპოვებოდა თავისუფალი მიწების ერთგვარი რაოდენობა, მაგრამ ადგილობრივ გლეხობას მასზე დასახლების უფლება არ ჰქონდა, რადგან იგი უცხოელი და რუსი კოლონისტებისათვის იყო გათვალისწინებული. ამიტომ ხშირად უმიწაწყლო ქართველი გლეხი იძულებული იყო მიეტოვებინა მშობლიური კუთხე და სხვა მხარეში, უმთავრესად ჩრდილოეთ კავკასიაში, საკმაოდ მძიმე პირობებში, ეძია თავშესაფარი<sup>66</sup>. ემიგრაციამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, XIX საუკუნის 70—80-იან წლებში, მიიღო. ამ მოვლენამ თავიდანვე მიიპყრო მოწინავე ქართველი საზოგადოების ყურადღება. ილია ჭავჭავაძემ სპეციალური სტატია მიუძღვნა გლეხთა გადასახლებას საქართველოდან<sup>67</sup>. იგი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ემიგრაციის მიზეზი „...ადგილ-მამულის ნაკლებობაა. ამ მოვლენამ ყველაზედ უწინ თუ არა, ყველაზე შესამჩნევად მაინც თავი იჩინა რაჭაში: — აყრა, მამულის, ბინის მოშლა და სხვაგან გადასახლება აქ დაიწყო იმ ზომით, რომ შეუძლებელია კაცმა ყური არ ათხოვოს... თუ ეს სამუდამო მიზეზი არ მოისპო, გადასახლება... იმ ზომამდე მიაღწევს, რომ დიდად საზრუნველი შეიქმნება მთავრობისა და საზოგადოებისათვის“<sup>68</sup>.

ილია აყენებდა საკითხს სასწრაფო ზომების შესახებ, რათა შეჩერებულიყო ემიგრაცია საქართველოდან. ასეთ ღონისძიებად მას მიაჩნდა გლეხობის მიწით უზრუნველყოფა თავისუფალი მიწების ხარჯზე. ხოლო თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, ზოგიერთგან სახაზინო ტყეების გაჩენვა და მათი გლეხობისათვის გადაცემა, „ძნელი საფიქრებელია, — წერდა ილია, — ამოდენა ტყეები იმისთანა ადგილზე არ იყოს, რომ შესაძლო იყოს გაიკაფოს, ახოები გამოიღოს და ნაკლებობა სახნავ-სათიბისა ამით შეივსოს“<sup>69</sup>.

<sup>66</sup> ვ. გ. უ. გ. უ. შ. ვ. ი. ლ. ი., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, მონოგრაფიები, ტ. I, თბილისი, 1940, გვ. 731; ალ. ბ. ე. ნ. დ. ი. ა. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წლებში, თბილისი, 1965, გვ. 62—63.

<sup>67</sup> ი. ჭ. ა. ვ. ჭ. ა. ვ. ა. ძ. ე., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 8, სახელგამი, თბილისი, 1957, „ემიგრაცია საქართველოდან“, გვ. 301—304.

<sup>68</sup> ი. ჭ. ვ. ე., გვ. 302—303.

<sup>69</sup> ი. ჭ. ვ. ე., გვ. 303—304.



მაშინ, როდესაც ამიერკავკასიაში მიწის ნაკლებობას განიცდიდა ყველა კატეგორიის ადგილობრივი გლეხი, გერმანელი [კოლონისტები] ტები ჰარბად იყვნენ უზრუნველყოფილი მიწით. მათ დაჰყენებდნენ შიდა შექმნილი საკუთარი მიწა, არამედ ხშირად სახელმწიფოსაგან მიცემული მიწაც იმდენი ჰქონდათ, რომ მას მთლიანად ვერ ამუშავებდნენ და საძოვრებად იყენებდნენ, ან იჯარით აძლევდნენ კერძო პირებს. თავისთავად ცხადია, რომ გერმანელი კოლონისტები არსა-სკიროებდნენ და თითქმის არც მიმართავდნენ მიწის იჯარით აღებას. კოლონისტები იჯარით მხოლოდ სათიბებს იღებდნენ მნიშვნელოვანი რაოდენობით; მაგრამ თიბვას ისინი ძირითადად ადგილობრივ მკვიდრთაგან დაქირავებული მუშახელის საშუალებით აწარმოებდნენ. მხოლოდ გამონაკლისის სახით ზოგიერთი კოლონიის თითო-ოროლა უმიწაწყო კოლონისტი („ბაიზასი“) იღებდა მიწას იჯარით მდიდარი კოლონისტების, ან მეზობელი მემამულეებისაგან. გერმანელი კოლონისტების მიწის რაოდენობა განუხრელად იზრდება როგორც ხაზინის მიერ ბოძებული<sup>70</sup>, ისე თვით კოლონისტების მიერ საკუთრებაში შექმნილი მიწების ხარჯზე. „ხაზინა... მის განკარგულებაში მყოფ მიწებს ანაწილებდა, არა ადგილობრივი მოსახლეობის (თუნდაც სახაზინო გლეხების) საჭიროების დასაკმაყოფილებლად, არამედ უმთავრესად რუსი და სხვა კოლონისტების უზრუნველსაყოფად“<sup>71</sup>.

მიწით უხვად უზრუნველყოფა იყო ძირითადი პირობა იმისა, რომ გერმანელი კოლონისტების ეკონომიური ცხოვრების დონე XX საუკუნის დამდეგისათვის საკმაოდ მაღალი იყო. ამასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვალ გოლიცინი თავის უქვეშევრდომი-ლეს მოხსენებაში 1897—1902 წლების ანგარიშის შესახებ წერდა: «В Закавказском крае проживает еще один разряд крестьян, это немецкие колонисты. Поземельный быт этих людей устроен еще в начале минувшего столетия отводом в общественную их собственность по 35 десятин плодородной земли на семейство. Каких-либо изменений в этом отношении в настоящее время не требуется: колонисты, пользуясь этой землей, живут более зажиточно и даже богато. Остается только закрепить за ними отведенные в надел земли путем выдачи им актов укрепления»<sup>72</sup>.

900-იან წლებში ამიერკავკასიის ადმინისტრაციაში სულ უფრო მტკიცდება ის მოსაზრება, რომ კოლონისტებისათვის სანადელოდ

<sup>70</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 16, საქმე 6891, ფურც. 3.

<sup>71</sup> И. Г. Ангелава, დასახ. ნ.შრ., გვ. 97.

<sup>72</sup> ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 194, д. 55, л. 62.

მიცემული მიწა გადაეცათ მათ სრულ საკუთრებაში. პირველ ხანებში ამ აზრს მხარს უჭერდნენ გერმანელი კოლონისტებიც. 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მათ ერთ-ერთ მოთხოვნად სანადგლო მიწის პირად საკუთრებაში გადაცემა წამოაყენეს; შავრამ შემდგომში, როცა კავკასიის ხელისუფლებმა პრაქტიკულად სცადეს ამ გადაცემის განხორციელება, კოლონისტთა ზედა ფენის ნაციონალისტური აგიტაციის შედეგად, გერმანელმა კოლონისტებმა სასტიკი უარი განაცხადეს სანადგლო მიწის მათ საკუთრებაში გადაცემაზე და ენერგიული ღონისძიებებით ჩაშალეს კიდევ ეს საქმე. კოლონისტების მიწის საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზი იყო შიში, რომ ცალკეულ კოლონისტთა პირად საკუთრებაში მყოფი მიწა შეიძლებოდა სხვა ერის წარმომადგენელთა ხელში გადასულიყო და ამით კოლონიების ერთიანი ეთნიკური შემადგენლობა დარღვეულიყო.

1912 წელს სახელმწიფო სათათბიროს აგრარულ საკითხთა კომისიაში კავკასიის მეფის ნაცვალმა წარადგინა კანონპროექტი: „კავკასიის მხარის სახაზინო მიწებზე დაფუძნებული მოსახლეობის მიწათმოწყობის შესახებ“. კანონპროექტი კოლონისტთა შესახებ ითვალისწინებდა:

1. ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტთა მიწები დაბეგრილიყო მიწის გამოსასყიდი გადასახადით.

2. ცალკეულ კოლონისტთა სარგებლობაში მყოფი მიწები უნდა გადასულიყო მათ პირად (და არა საზოგადოებრივ, როგორც აქამდე იყო) საკუთრებაში<sup>73</sup>.

როგორც ზემოთ ვნახეთ, აქამდე მიწა კოლონისტების საზოგადოებრივ საკუთრებაში იმყოფებოდა, რაც გამორიცხავდა მიწის ერთპიროვნული გასხვისების შესაძლებლობას. ამ კანონპროექტის გატარების შემთხვევაში კი კოლონისტებს საშუალება ეძლეოდათ სურვილისამებრ განეგოთ მიწის ნაკვეთი, რასაც „შეიძლებოდა დაშლადე მიეყვანა გერმანული კოლონიები, რადგან ეს ნაკვეთები ადვილად შეიძლებოდა მოხვედრილიყო, მაგალითად, სომეხთა, ქართველთა, თათართა და სხვათა მფლობელობაში“<sup>74</sup>.

ამიტომ გარკვეული აგიტაციის შემდეგ გერმანელმა კოლონისტებმა გადაჭრით უარყვეს კანონპროექტი. 1913 წლის ზამთარში მათ სპეციალური დეპუტაცია მიავლინეს პეტერბურგში, რომელსაც

<sup>73</sup> К. Э. Линдеман, Законы 2-го февраля и 13-го декабря 1915 г., Москва, 1916, стр. 37—38.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 38.

დაევალა ყოველგვარი საშუალება ეზმარა ამ კანონპროექტის დამტკიცების ჩასაშლელად. დეპუტაციამ შეაგროვა რუსეთის მთავრობის მიერ აღრე გამოცემული დადგენილებები და სხვა ამ ხასიათის მასალა კოლონისტთა საზოგადოებრივი მიწათმფლობელობის დამატკიცებად და ეს დოკუმენტები ცალკე ბროშურის სახით გამოასცა. ბროშურის ძირითადი მიზანი იყო დაემტკიცებინა აღნიშნული კანონპროექტის შეუსაბამობა და უკანონობა. ეს ბროშურა დაურთვეს სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს წევრებს და აგრეთვე გავლენიან გერმანოფილებს. ამ ღონისძიებებით დეპუტაციამ მიაღწია კანონპროექტის განხილვის საერთოდ შეჩერებას. მალე დაიწყო მსოფლიო ომი, რასაც მოჰყვა ახალი კანონპროექტები გერმანელ კოლონისტთა მიწათმფლობელობის შესახებ და კანონპროექტი ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტებისათვის სახაზინო მიწების სრულ საკუთრებაში გადაცემის შესახებ საბოლოოდ იქნა დასამარებული.

გერმანელი კოლონისტების მიწით უხვად უზრუნველყოფა არ შერყეულა თვით პირველი იმპერიალისტური მსოფლიო ომის წლებში (1914—1918), როდესაც გამოცემულ იქნა სპეციალური კანონები<sup>76</sup> (1915 წლის 2 თებერვლის და 13 დეკემბრის) გერმანიიდან გადმოსულთა და გერმანიის ქვეშევრდომთა მიწათმფლობელობის შეზღუდვისა და ლიკვიდაციის შესახებ. შეფის მთავრობის მოხელეები საკმაოდ ნელი ტემპით შეუდგნენ ამ კანონის გატარებას<sup>77</sup>.

1917 წლის თებერვლისათვის ამ მზრივ ძალზე ცოტა რამ იქნა გაკეთებული. თებერვლს რევოლუციის შემდეგ ჯერ დროებითი მთავრობის, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების მიერ ამ კანონების მოქმედება საერთოდ შეჩერდა<sup>78</sup>. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქნა გატარებული ღონისძიებები აღნიშნული მდგომარეობის მოსაწესრიგებლად<sup>79</sup>.

<sup>75</sup> Могут ли земли немецких колонии в Закавказском крае быть облагаемы выкупными платежами, Петербург, 1913.

<sup>76</sup> К. Э. Л и н д е м а й, Законы 2-го февраля и 13 декабря 1915 г., М., 1916; П. К. Ф о м е н к о, Закон 2 февраля 1915 года о немечком землевладении, Одесса, 1915.

<sup>77</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 224, საქმეები 1, 2, 3.

<sup>78</sup> ი ქ ე ე, ფონდი 224, საქმე 1, ფურც. 172.

<sup>79</sup> П. А. ТФИМЛ, ф. 13, д. 2794, л. 3.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გერმანელი კოლონისტების ამიერკავკასიაში ჩამოსახლების ოფიციალური მიზეზი იყო ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის დონის ამაღლებისათვის ხელის შეწყობა და მისი გადაქცევა რუსეთის მრეწველობის ნედლეულსადაც ზად. მეფის მთავრობის მოხელეთა აზრით, გერმანელ კოლონისტებს: 1) უნდა აემაღლებინათ აქ გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების დონე და მაგალითის მიმცემნი გამხდარიყვნენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის; 2) შემოეტანათ და აბორიგენებში დაენერგათ ახალი (უმთავრესად ტექნიკური) კულტურები, რომელთა მოყვანის შესაძლებლობას რუსეთის იმპერიაში შემაჯავალი მხარეებიდან მხოლოდ ამიერკავკასიის კლიმატური პირობები იძლეოდა. ეს კი რუსეთის მზარდ მრეწველობას შესაძლებლობას მისცემდა უარი ეთქვა, ან შეემცირებინა ზოგიერთი სახის ნედლეულის იმპორტი. გერმანელმა კოლონისტებმა ცარიზმის ვერცერთი ეს იმედი ვერ გაამართლეს, სამაგიეროდ ისინი გარკვეულ დრომდე ცარიზმის საიმედო პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ, რასაც მეფის მთავრობა არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ჩამოსახლების პირველ წლებში კოლონისტები, მთავრობის დიდი და ყოველმხრივი დახმარების მიუხედავად, მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ; ამის უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ გერმანელი კოლონისტები ნაკლებად იცნობდნენ ამიერკავკასიაში გავრცელებული კულტურების მოვლა-დამუშავების წესებს ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, გერმანელი კოლონისტების სამეურნეო წარმატებებს ხელს უშლიდა სექტანტური მოძრაობით გამოწვეული რელიგიური განხეთქილება, მომთაბარეთა თავდასხმები და სხვა.

XIX საუკუნის 40—50-იანი წლებიდან, როცა ამ ხელისშემშლელ მიზეზთა ნაწილი თანდათანობით გამოირიცხა, გერმანელმა კოლონისტებმა შესძლეს მეტ-ნაკლებად დახელოვნებულიყვნენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში — კოლონიებმა შეძლეს გარკვეული სამეურნეო-ეკონომიური წარმატებების მოპოვება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელმა კოლონისტებმა ადგილობრივ მოსახლეობაზე უმნიშვნელო გავლენა მოახდინეს, პირიქით კოლონისტებმა ბევრი რამ გადაიღეს მათგან, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

გერმანული კოლონიების სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მემინდვრობას და მევენახეობას ეკავა. XIX საუკუნის და-



სასრულისათვის მევენახეობა, როგორც უფრო შემოსავლიანი დარგი, გარკვეულ უპირატესობასაც აღწევს. მემინდერეობა (განსაკუთრებით მეზორბლეობა) სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების თბილისის მახლობლად მდებარე კოლონიებში: ალექსანდერსდორფში, მარიენფელდში, პეტერსდორფსა და ფრაიდენტალში. ამ კოლონიათაგან სასაქონლო პროდუქციის თვალსაზრისით ალექსანდერსდორფში წამყვანი ადგილი მებოსტნეობას და მებალეობას ეჭირა; აქ მოყვანილი ბოსტნეული და ხილი საკმაოდ მაღალ ფასებში იყიდებოდა თბილისში<sup>80</sup>. დანარჩენ სამ კოლონიაში, რომლებიც ფაქტიურად თითქმის ერთ კოლონიას წარმოადგენდნენ, სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი იყო მარცვლეული კულტურების მოყვანა, განსაკუთრებით მეზორბლეობა. მაგრამ XIX საუკუნის დასასრულისათვის აქაც მნიშვნელოვნად ვითარდება მევენახეობა და მემარცვლეობის ზეედრი წონა მცირდება. მევენახეობა წამყვანი დარგი იყო ელიზავეტალში, ეკატერინენფელდში, ელენენდორფსა და ჩენფელდში; ეს კოლონიები, განსაკუთრებით პირველი სამი, ყველაზე შეძლებულად ითვლებოდა ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიათა შორის. დაბოლოს, მეცხრე კოლონია — ალექსანდერსდორფი თავისი გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გამო სრულიად განსაკუთრებით იღვა — აქ მეურნეობის წამყვან დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა, სასოფლო-სამეურნეო კულტურები კი მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის მოჰყავდათ.

ზორბლის მოყვანა უმთავრესი იყო ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურიდან, რომელსაც გერმანელი კოლონისტები ჩამოსახლებისთანავე მისდევდნენ და რომლის ცოდნაც მათ სამშობლოდან ჩამოიტანეს. მართალია, შემდგომში იგი თანდათანობით შეავიწროვა მევენახეობამ, მაგრამ თვით XX საუკუნის დამდეგამდე ის მაინც რჩებოდა კოლონისტებს საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს დარგად, განსაკუთრებით თბილისის მახლობლად მდებარე კოლონიებში, რასაც ხელს უწყობდა თბილისის სამრეწველო განვითარება და მოსახლეობის ზრდა.

მეზორბლეობას თბილისის მახლობლად მდებარე კოლონიებში ხელს უწყობდა აგრეთვე საუკეთესო ნოყიერი შავნიადაგიანი მიწები, რომლითაც კოლონისტები საკმაოდ იყვნენ უზრუნველყოფილი. მიწებს დიდი რაოდენობა კოლონისტებს საშუალებას აძლევდა არ ეწარმოებინათ თესლბრუნვა. ნოყიერ მიწებზე 6—8

<sup>80</sup> 3. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, მონოგრაფიები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 502—503.

წლის განმავლობაში ითვისებოდა და კარგ მოსავალს იძლეოდა ხორბალი; შემდეგ მას ასვენებდნენ 1—2 წელიწადს და იყენებდნენ საძოვრებად. კოლონისტებმა თან ჩამოიტანეს მიწათმოქმედებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომელთაც ადგილობრივ პირობებში ბევრი ნაკლი გააჩნდათ ამიერკავკასიაში გაბატონებულ უძველეს ადგილობრივ სახვნელებთან და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებთან შედარებით, რის გამოც კოლონისტები იძულებული გახდნენ, უარეყოთ თან ჩამოტანილი მამაპაპური იარაღი და ქართული გუთანის გამოყენებინათ ოდნავ შეცვლილი სახით; მათ ასევე გადაიღეს სხვა ქართული სასოფლო-სამეურნეო იარაღები<sup>81</sup>.

მხოლოდ XIX საუკუნის 60—70-იან წლებში, როდესაც კავკასიის სოფლის მეურნეობის საიმპერატორო საზოგადოების ხელშეწყობით ამიერკავკასიაში ევროპიდან და რუსეთიდან შემოვიდა მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მათ შორის რკინის გუთნები, კოლონისტებმა ქართული გუთნები შეცვალეს<sup>82</sup>, თუმცა მშრალი დაბლობების მძიმე ნიადაგიანი მიწებისათვის ქართული გუთნის უპირატესობა ამკარა იყო თვით ამ ახალ გუთნებთან შედარებითაც<sup>83</sup>.

კოლონისტებს ძირითადად საშემოდგომო ხორბალი მოჰყავდათ; საგაზაფხულოს უფრო მცირე რაოდენობით თესავდნენ, მარცვლეულიდან ხორბლის გარდა მოყავდათ ქერი, შვრია, ჭვავი, სიმინდი.

საშემოდგომო ხორბლისათვის მიწას ხნავდნენ სექტემბერში, საგაზაფხულოსათვის — ერთი თვით ადრე. საშემოდგომო ხორბალს თესდნენ ოქტომბერში, საგაზაფხულოს — თებერვალში. ერთ დესეტინაზე ითვისებოდა ზორბალი ცხრა ფუთი, ქერი — თერთმეტი ფუთი. კოლონისტები პურს იღებდნენ ე. წ. ფოჩხიანი ცელით, ფერდობებზე ნამგალსაც ხმარობდნენ. პურის საღებავად პირველ ხანებში იყენებდნენ ცხენებს, რომელთაც პირდაპირ არბენინებდნენ კალოზე გაშლილ პურის ძნებზე და აყრევიანებდნენ მარცვალს. შემდგომში კოლონისტებმა ადგილობრივი მოსახლეობისაგან გადაიღეს კევ-

<sup>81</sup> ვ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 105—106.

<sup>82</sup> ამ გუთნებიდან უმთავრესად იყო: 1) დომბალის, 2) ინგლისურ-ბულგარული, 3) ი. ფ. ვიტეს მიერ კონსტრუირებული ე. წ. „კოლონისტების გუთანი“, 4) სამხრეთ-რუსული და სხვა.

<sup>83</sup> И. Иоселиани, 1850—1900, Обзор деятельности императорского Кавказского общества сельского хозяйства за 50 лет, вып. I, Тифлис, 1901, стр. 36.

რით ლეწვა<sup>84</sup>, კევრში ხარების ნაცვლად ცხენებს აბამდნენ. მხოლოდ 80—90-იან წლებში ზოგიერთი შეძლებული კოლონისტი ახერხებდა გამოეწერა საზღვარგარეთიდან სალენწი და სხვა სსოფლო-სამეურნეო მანქანები<sup>85</sup>.

ქვეყნის

პურის დაფქვას კოლონისტები წყლის წისქვილებსა და მარცხენა ნენ, რომელთა უმრავლესობა მათ, მთავრობის დახმარებით, საკუთრებაში ჰქონდათ შექმნილი. როგორც წესი, მოგების გადიდების მიზნით ხორბალს მარცვლად კი არ ჰყიდდნენ, არამედ ფქვილად გაჰქონდათ ბაზარზე, რადგან ტექნიკურად ჩამორჩენილ რუსეთში ფქვილი ხშირად 2—2,5-ჯერ უფრო ძვირი იყო მარცვალზე, მაშინ როცა გერმანიასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ფქვილის ფასი მხოლოდ 25—30%-ით აღემატებოდა ხორბლის ფასს<sup>86</sup>.

მათ დიდი რაოდენობით მოჰყავდათ კარტოფილიც, რომელსაც ხორბლისა და ვენახის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მათ ეკონომიკაში. ძირითადად საადრეო კარტოფილს თესდნენ, რადგან იგი გაცილებით ძვირად ფასობდა ბაზარზე<sup>87</sup>.

საერთოდ, კარტოფილი ერთადერთი კულტურა უნდა იყოს, რომელიც პირველად კოლონისტებმა გაავრცელეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თუმცა პირდაპირი ოფიციალური ცნობა ამის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ მას აღმსტურებს მრავალი მოგზაური და მკვლევარი, რომლებიც იმ პერიოდში ან მოგვიანებით იყვნენ აქ და მეტნაკლებად შეეხნენ ამიერკავკასიაში კარტოფილის გავრცელების საკითხს; მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია გამბა, რომელიც 1820—1824 წლებში საფრანგეთის კომსულად იყო თბილისში. გამბა ამიერკავკასიაში გერმანული კოლონიების შექმნის ცოცხალი მოწმეა და ამდენად სავარაუდოა, რომ სწორად გადმოგვცემს კოლონიების იმდროინდელ სამეურნეო ვითარებას: „გერმანელები ცხოვრობენ იმ სოფელში, რომელიც მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე გარეუბანს აკრავს, მათ ქალაქში შემოაქვთ

<sup>84</sup> С. Заваров, Засорение хлебов в Борчалинском уезде, КСХ, 1901, № 376, стр. 198, № 377, стр. 214; Август Фон-Гакстгаузен, Закавказский край, т. I. С.-Петербург, 1857, стр. 50.

<sup>85</sup> ЗКОСХ, 1863, № 2, отд. I, стр. 73—84.

<sup>86</sup> П. И. Ляшенко, Зерновое хозяйство и хлеботорговые отношения России и Германии в связи с таможенным обложением, Петроград, 1915, стр. 248—253.

<sup>87</sup> XIX საუკუნის დასასრულის მონაცემებით, თუ ფუთი ჩვეულებრივი კარტოფილი 80 კაპ. იყიდებოდა, საადრეო ფუთი ორი მანეთი, ე. ი. 2,5-ჯერ უფრო ძვირი ღირდა.

მწვანელი, ერბო, ლორი და სხვა ძეხვეული. ამ გერმანელთა მეტი ნაწილი ვიურტემბერგიდან არის გადმოსული. გერმანელთა ამ ახალშენს, აგრეთვე თბილისიდან 5 ვერსის მანძილზე მტკვრის მარჯვენა ცხენა ნაპირზე მდებარე ახალშენს უნდა უმაღლოდეს საქართველო-კარტოფილის გაშენებას<sup>88</sup>.

ამიერკავკასიაში გერმანელ კოლონისტთა მიერ კარტოფილის კულტურის გავრცელებას ადასტურებენ ცნობილი ენთოგრაფი ჰაქსტაუზენი<sup>89</sup> და მოგზაური ეიხვალდი<sup>90</sup>. კარტოფილის კულტურის პირველ მიმდევრებად ამიერკავკასიაში გერმანელ კოლონისტებს ასახელებენ აგრეთვე მორენასი<sup>91</sup>, შტუკენბერგი<sup>92</sup>, ევეციკი<sup>93</sup> და სხვები.

გერმანელი კოლონისტების მიერ ჩვენში კარტოფილის კულტურის პირველად გავრცელებას იზიარებს გ. ბადრიშვილიც<sup>94</sup>. მაგრამ მისი მოსაზრება, რომ კოლონისტებს „მოგზაურობის დროს უეჭველად თან მოჰქონდათ კარტოფილი“<sup>95</sup>, თუ ვიურტემბერგიდან არა ოდესის ან ხერსონის გუბერნიიდან მაინც და ეს კარტოფილის ტუბერები უნდა დაეთესათ პირველად ჩვენში, ჩვენი აზრით, ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან, როგორც ზემოთ ვნახეთ, კოლონისტებმა იმდენი გაჰიროვება და შიმშილი გადაიტანეს როგორც ოდესამდე, ისე ოდესის შემდეგ მოგზაურობის დროს, რომ საეჭვოა კარტოფილის ტუბერები კიდევ რომ წამოეღოთ, საქართველომდე ჩამოეტანათ. უფრო სავარაუდოა, რომ კარტოფილის თესლი კოლონისტებმა რუს ხელისუფალთაგან მიიღეს და მათივე ხელშეწყობით გავრცელეს. ამ დასკვნამდე მიდის პროფ. პ. გუგუშვილიც. იგი წერს: „კოლონისტებს გადმოსვლისთანავე და აწყობინეს (ხაზგასმა ჩვენია — გ. მ) კარტოფილის მოყვანა“<sup>96</sup>. ეს მით უფრო

<sup>88</sup> Gamba, Voyage dans la Russie meridionale, 2 vob., Paris, 1826, s. 19.

<sup>89</sup> Гакстгаузен, დასახ. ნაშრ., გვ. 50—58.

<sup>90</sup> Ed. Eichwald, დასახ. ნაშრ., გვ. 174—175.

<sup>91</sup> И. В. Гугушвили. К аннексионистско-колониаторской и аграрной политике царизма в Грузии, труды, Тбилиси, 1938, стр. 39—41.

<sup>92</sup> И. Штукенберг. Статистическое описание Закавказского края пер. с немец. С-Пб, 1859 стр. 24.

<sup>93</sup> О. Евецкий, статистическое описание Закавказского края, СПб. 1835, ст. 56.

<sup>94</sup> გ. მ. ბადრიშვილი, კარტოფილის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, საქ. სახ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოამბე, 1940, № 1, გვ. 78—79.

<sup>95</sup> იქვე.

<sup>96</sup> პ. ი. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 489.

სავარაუდოა, რომ, როგორც ცნობილია, ხელისუფლება იმ პერიოდში მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებდა რუსეთის იმპერიაში კარტოფილის გასავრცელებლად. ხოლო გერმანელ კოლონისტებს შემდგომშიც არაერთხელ დაუბრუნეს სხვადასხვა კულტურის თესლის მათი გავრცელების მიზნით. აქვე უნდა აღვნიშნოთ გერმანელ კოლონისტთა სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, რომ 1819 წელს შედგენილ უწყისში კარტოფილის ნათესები არ იხსენიება<sup>97</sup>, ხოლო შემდგომ წლებში შედგენილ ასეთ უწყისებში კარტოფილის კულტურას უკვე ვხვდებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებში გავრცელებული მემინდვრეობის წამყვანი კულტურების — ხორბლისა და კარტოფილის მოსავლიანობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის სხვადასხვა წლებში<sup>98</sup> (იხ. ცხრილი 3):

როგორც ცხრილიდან ჩანს, საგაზაფხულო ხორბლის რაოდენობა 70-იან წლებამდე თითქმის უთანაბრდება საშემოდგომო ხორბალს, ხოლო 80-იანი წლებისათვის მკვეთრად ჩამორჩება მას. 80-იანი წლებისათვის გერმანელი კოლონისტების მიერ მოყვანილი ხორბლის რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება; თუმცა ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, XIX საუკუნის დასასრულისათვის, პურზე მოთხოვნილების ზრდის მიუხედავად, პურის ფასი მნიშვნელოვნად ეცემა<sup>99</sup>. თუ გასული საუკუნის 60-იან წლებში კავკასიაში ჩეტვერტი<sup>100</sup> ხორბალი რვა-ცხრა მანეთად იყიდებოდა, საუკუნის მიწურულისათვის მისი ფასი 3 მანეთამდე დაეცა.

განსაკუთრებული ადგილი გერმანელი კოლონისტების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ეკირა მევენახეობა-მეღვინეობას. ეს განსაკუთრებით ითქმის ყველაზე დაწინაურებულ გერმანულ კოლონიებზე (ეკატერინენფელდი, ელიზავეტალი, ელენენდორფი).

ვენახების გაშენებას გერმანელმა კოლონისტებმა ჩამოსახლებისთანავე — XIX საუკუნის 20-იანი წლებიდანვე, მიჰყვეს ხელი. მართალია, ამ კულტურის დამუშავების ტრადიციული ცოდნა არ გააჩნდათ, მაგრამ აღსანიშნავია ის გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, რომელიც გერმანელმა კოლონისტებმა ვენახების გაშე-

<sup>97</sup> სსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ. I, საქმე 9791, ფურც. 6—7.

<sup>98</sup> სსრ ცსსა, ფონდი 226, ანაწ. I, საქმე 95, ფურც. 56; ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 242, ფურც. 8; ფ. 226, ანაწ. I, საქმე 247, ფურც. 50.

<sup>99</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 23, Тифлис. 1897, отд. II, стр. 108.

<sup>100</sup> ერთი ჩეტვერტი დაახლოებით უდრის 9 ჟუთს.

კულტურების დასახელება	წლები	კოლონიების დასახელება						ელისავეტპოლის გუბერნიის		სულ	
		თბილისის გუბერნია						ანენდელის	სულ		
		ალექსანდრ-სლორფი	მარიენდელის	პეტროს-ლოფი	ელიზაბეტის	გაბრიელის	ფაიფის				ელისავეტის
სავაზუხულო ხორბალი (ჩეტვერტი)	1854 — 1863 — 1870 — 1883 48	— — — 48	123 155 225 127	28 41 48 40	688 155 687 270	2313 1351 2763 345	15 11 82 12	— 39 125 386	— — — 290	82 63 95 —	3250 1790 4026 2148
საშემოდგომო ხორბალი (ჩეტვერტი)	1854 — 1863 — 1870 — 1883 1722	475 451 469 1722	791 483 629 1094	252 164 261 570	1226 1514 1237 4155	1125 660 1162 4161	66 72 160 266	— 56 — 73	1187 412 476 8740	553 269 316 1869	5676 4081 4710 22651
კარტოფილი (ჩეტვერტი)	1854 — 1863 — 1870 — 1883 2952	9 27 63 2952	215 316 448 795	63 173 215 287	1317 1937 2309 2114	1395 1728 1740 3100	59 62 96 128	— 81 104 322	940 499 651 4300	150 100 70 920	4149 4925 5698 14919

ნებასა და მოვლაში გამოიჩინეს. ეს კი განპირობებული იყო დიდი შემოსავლით, რასაც მევენახეობა იძლეოდა. სავარგული მიწების დიდი რაოდენობა კოლონისტებს საშუალებას აძლევდა სავენახედ შეერჩიათ საუკეთესო ნაკვეთები. საზოგადოდ, მთელი კოლონიის ვენახები ერთად იყო თავმოყრილი და შემოვლებული ჰქონდა ქვის მაღალი მესერი, რომელსაც ამენებდნენ და დაზიანების შემთხვევაში შეაკეთებდნენ ხოლმე საერთო სახსრებით; ცალკეული ოჯახების ნაკვეთები გამოყოფილი იყო კვლებით.

გერმანელმა კოლონისტებმა ძირითადად ქართული ვაზის ჯიშები გააშენეს: საფერავი, რქაწითელი<sup>101</sup>, შავ-გაბიტო, მწვანე და სხვა. ქართული სახელწოდებები მათ პირდაპირ თარგმნეს თავის ენაზე. გაშენებულ იქნა აგრეთვე ე. წ. „სპარსული“ ჯიშის რამდენიმე სახეობა, რომელიც შემდგომში საღვინე მასალად უვარგისობის გამო თანდათან შეამცირეს და მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის საჭირო რაოდენობით დატოვეს.

XIX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ გერმანელმა კოლონისტებმა გააშენეს აგრეთვე ევროპული ჯიშები: მუსკატი, მადერა და

<sup>101</sup> გერმანელები რქაწითელს „ორ-აბაზასაც“ უწოდებდნენ, რადგან ამ ჯიშის ძირველივე მოსავლის ღერო თუნგი ორ აბაზად (40 კაპ.) გაიყიდა მაშინ, როცა სხვა ღვინოები თუნგი 15-დან 30-მდე კაპიად იყიდებოდა.

იზაბელა, რომლებიც ევროპიდან გამოიწერეს მეფისნაცვალ ვორონ-  
ცოვის ბრძანებით და სხვებთან ერთად დაურიგეს კოლონისტებსაც.  
მაგრამ, რადგან ეს ჯიშები ძნელად ეგუებოდა ამიერკავკასიის კლი-  
მატურ პირობებს და ადგილობრივი მომხმარებელიც ნაკლებად  
ეტანებოდა, კოლონისტებმა მალე მიანებეს თავი მათ გავრცელებას  
და ძირითადად აშენებდნენ ადგილობრივ, უმთავრესად საღვინე ჯი-  
შის ვაზს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანელმა კოლონისტებმა ად-  
გილობრივი მოსახლეობისაგან გადაიღეს მარცვლეული კულტურე-  
ბის მოყვანა-დამუშავების ზოგიერთი წესი — ე. ი. იმ კულტურე-  
ბისა, რომელთაც ისინი საკმაოდ იცნობდნენ სამშობლოში, ამიტომ  
სრულიად ბუნებრივია, რომ მათ ადგილობრივ მკვიდრთაგან გადა-  
ეღოთ ვენახის გაშენება-დამუშავების წესები, რაც მათთვის თით-  
ქმის უცნობი იყო<sup>102</sup>. ღვინის დასაყენებლად კოლონისტები იყენებ-  
დნენ ადგილობრივისაგან განსხვავებულ ჭურჭელს — ზის კასრებს  
და როფებს<sup>103</sup>. რაც შეეხება ღვინის დაყენების ტექნოლოგიას, იგ-  
ქართულის მსგავსი იყო: კოლონისტები ღვინის დასაყენებლად იყე-  
ნებდნენ ჭაჭას.

გერმანელი კოლონისტები ვენახს ძირითადად თვით ამუშავებ-  
დნენ. ამ სამუშაოებში მონაწილეობას იღებდა ოჯახის ყველა შრო-  
მოსუნარიანი წევრი. ყოველ 3—4 წელიწადში ვენახებს პატივს აყ-  
რიდნენ, ხოლო ყოველი 5—6 წლის შემდეგ ღრმად ბარავდნენ.  
XIX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ კოლონისტთა დიდი უმრავ-  
ლესობა, შედარებით ღარიბთა გამოკლებით, ვენახში მძიმე სამუშა-  
ოებს (ბარვა, თოხნა, უფრო მოგვიანებით შეწამვლა და სხვ.) და-  
ქირავებული მუშა-ხელის საშუალებით აწარმოებდა. ვენახებს სიმ-  
წიფეში შესვლისას შეიარაღებული ყარაულებით იცავდნენ. იმდრო-  
ინდელ პრესასა და არქივში მრავლად მოიპოვება მასალები, რომ-  
ლებიც მოწმობენ, რომ ყურძნის მოპარვის შემთხვევაში კოლონის-  
ტები ხშირად ადამიანის სიცოცხლესაც კი არ ინდობდნენ<sup>104</sup>.

რთველის დაწყებისა და დამთავრების დროს აცხადებდა კო-  
ლონიის ადმინისტრაცია. რთველი, ჩვეულებრივ, იწყებოდა სექტემ-  
ბრის დასასრულს, ან ოქტომბრის დასაწყისში და გრძელდებოდა  
10—15 დღეს, რის შემდეგ ყარაული იხსნებოდა და კოლონისტი,

<sup>102</sup> იხ. ვაზ. «Кавказ», 1882, 26/XI, № 317.

<sup>103</sup> კასრები მზადდებოდა მუხის, ხოლო როფები ნაძვის ხის მასალისაგან.

<sup>104</sup> სსსრ ცსა თბილისში. ფონდი 226, ანაწ. 1, საქმე 138; ვაზ. «Неделю», 1880, № 31; ვაზ. «Кавказ», 1882, № 317.

რომელიც ამ ვადაში ვერ მოასწრებდა ვენახის დაკრეფას, შეიძლება ბოლო დაზარალებულიყო. რთველი ზეიმაღ იქცეოდა ხოლმე, სკოლები იხურებოდა, სახლებში რჩებოდნენ მხოლოდ ავადმყოფები და დიასახლისები. კოლონიის მთელი მოსახლეობა — დიდი და პატარა, ვენახებში მუშაობდა.

პირველ წლებში ყოველგვარი ყურძენი ერთად იწურებოდა, რაც იწვევდა ღვინის ხარისხის გაუარესებას. შემდგომში დაიწყეს თეთრი და შავი ყურძენის გარჩევა, ხოლო ზოგიერთი მდიდარი კოლონისტი (ფორერი<sup>105</sup>, ბილინგმაიერი, ჰუმელი და სხვა) სხვადასხვა ჯიშის ყურძენს განცალკევებით წურავდა. ყურძენის დაწურვა ხდებოდა სახლის ქვეშ მოწყობილ სარდაფში, ან სპეციალურად გადახურულ ნაგებობაში. ღვინოს წურავდნენ შემდეგნაირად: დიდ როფზე დგამდნენ უფრო მომცრო გადასატან როფს, რომელსაც ქვემოთ ნახვრეტი ჰქონდა — წვენი გამოასვლელად. პატარა როფში ყრიდნენ ყურძენს და წურავდნენ პირველ ხანებში შიშველი ფეხებით, ხოლო შემდგომში სპეციალური, ლურსმნით შემოქედილი იუფტის<sup>106</sup> ჩექმებით. შავ ყურძენს უფრო გულმოდგინედ წურავდნენ ფერის გამოსაცემად, რადგან ღვინო მით უფრო ფასობდა, რაც უფრო მუქი იყო. დიდ როფში ჩასულ წვენს აძლევდნენ ჰაქს, ხოლო მცირე დასაწური როფი გადაჰქონდათ მეორე დიდ როფზე, სადაც თავიდან იწყებოდა ეს პროცესი და ა. შ. როფებში მაჰარს 2—3 დღეს გულმოდგინედ ურევდნენ; აჩერებდნენ კიდევ 3—4 დღეს კარგი ამინდის, ან 8—10 დღეს ცუდი ამინდის დროს მანამ, ვიდრე ჰაქა ზევით არ წამოვიდოდა. დიდი როფების ფსკერზე გაკეთებული ნახვრეტებიდან სითხეს სპეციალური ხის ჭურჭლით ასხამდნენ სარდაფში მდგარ კასრებში, სადაც ღვინო იმყოფებოდა დაახლოებით ერი თვეს ადუღებამდე. კასრებს საცობის ნაცვლად ადებდნენ სპეციალურად შეკერილ ქვიშით სავსე პატარა ტომრებს დუდილის დროს წარმოქმნილი გაზის გამოსაყოფად. დუდილის დამთავრების შემდეგ კასრებს პირამდე ავსებდნენ და ჰერმეტიულად ხურავდნენ. ასეთ მდგომარეობაში ტოვებდნენ იანვრამდე, შემდეგ ღვინოს ახალ კასრებში გადაიღებდნენ და იგი უკვე მზად იყო გასაყიდად. ჰაქისაგან კოლონისტები ზდიდნენ არაყს, რომელსაც ისევე, როგორც ღვინის დიდ ნაწილს, ყიდდნენ.

<sup>105</sup> იხ. М. И. Свешников, დასახ. ნაშრომი.

<sup>106</sup> იუფტი (იუხტი-პოლანდიური წარმოშობის სიტყვა) — განსაკუთრებული მეთოდით დამუშავებული მოწითალო ტყავი; იხმარება მძიმე ფესხაცმლის ზედაპირის, სხვადასხვა თასების და უნაგირების დასამზადებლად.



გერმანული კოლონიებიდან მხოლოდ ეკატერინენფელდში მზადდებოდა საშუალო ღირსების ღვინო, დანარჩენი კოლონიების ღვინო თავისი თვისებებით საკმაოდ მდარე იყო და დიდხანს არ ინახებოდა. ცნობილი მეღვინე-აგრონომი პ. ვ. ძიუბენკო ამტკიცებს, რომ მე თვით მიხედვოდა მენახა მათში (გერმანულ კოლონიებში — ვ. მ.) არსებული დაწურვის წესები, და მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ კახეთში გაცილებით მეტი ცოდნა და მონდომებაა<sup>107</sup>. ამიტომ გერმანელი კოლონისტები, განსაკუთრებით ელისავეტპოლის გუბერნიის მცხოვრებნი, ჩქარობდნენ მის გაყიდვას, გერმანელებისაგან ღვინოს ყიდულობდნენ ღვინით მოვაჭრე სომხები, რომლებსაც კოლონტებით გაჰქონდათ იგი ბაქოს, ელისავეტპოლისა და განსაკუთრებით თბილისის ბაზრებზე, სადაც გარკვეული ფალსიფიკაციის შემდეგ ყიდდნენ კახურის სახელით<sup>108</sup>. XIX საუკუნის 80-იან წლებში ზოგიერთმა გერმანულმა კოლონიამ (ეკატერინენფელდი, ელენენდორფი, ელიზავეტალი) თბილისში საკუთარი ღვინოს სავაჭრო სარდაფები გახსნა. ამიერკავკასიის რკინიგზის გახსნამ განსაკუთრებით ხელი შეუწყო ელისავეტპოლის გუბერნიის კოლონიების (ელენენდორფი, ანენფელდი) ღვინოს გასაღებას.

მევენახეობა-მეღვინეობით მიღებული დიდი შემოსავალი ხელს უწყობდა გერმანულ კოლონიებში ამ დარგის განსაკუთრებით განვითარებას. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ვაზისა და ღვინის რაოდენობის ზრდას ცალკეულ გერმანულ კოლონიებში XIX საუკუნის მეორე ნახევრის ოთხი სხვადასხვა წლის მიხედვით (იხ. ცხრილი 4)<sup>109</sup>.

კოლონისტები მისდევდნენ ხეხილის ბაღების და ბოსტნების გაშენებასაც. გასული საუკუნის მიწურულისათვის თითოეულ კოლონიაში საშუალოდ 2000—3000 მსხმოიარე ხე იყო. მაგრამ ხილი და ბოსტნეული კოლონისტებს უმნიშვნელო რაოდენობით გაჰქონდათ ბაზარზე. მხოლოდ კოლონია ალექსანდერსდორფი წარმოადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს, რასაც ხელს უწყობდა თბილისთან მისი სიახლოვე. სხვა კოლონიებში გასასყიდად უმთავრესად გამზარ ხილს (ჩირს) ამზადებდნენ.

რიგ გერმანულ კოლონიებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეცხოველეობას. გარდა კოლონია ალექსანდერსპილფისა, სადაც მე-

<sup>107</sup> П. В. Дзюбенко, Виноделие на Кавказе, Тифлис, 1886, с. 39.

<sup>108</sup> И. Серебряков, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

<sup>109</sup> სსრ ცსსა, ფონდი 226, ანაწ. I, საქმე 95, ფურც. 56; ფონდი 416, ანაწ. 3. საქმე 242, ფურც. 8; ფონდი 226, ანაწ. I, საქმე 247, ფურც. 50; ფონდი 241, ანაწ. 3. საქმე 63, ფურც. 10.



	კოლონიების დასახელება									სულ
	წლები	ალექსანდროლორი	მარიენფელდი	კატერინდორფი	კატერინენფელდი	ფრაიენტალი	ელენდორფი	ანგელდორფი	ელენდორფი	
ვახის რაოდენობა (ცალობით)	1853	34050	110200	28800	196600	371600	15300	216300	41800	1014650
	1863	41600	113400	26600	345600	717099	22850	259500	67320	1493969
	1870	47400	128265	31400	308600	866100	43700	481000	88980	1995445
	1873	42600	133475	46400	321900	905600	45000	481000	90780	2066755
მიღებული ღირის რაოდენობა (თუხვობით)	1854	2113	7374	—	26880	97700	—	37350	7290	178707
	1863	6350	16200	7150	59620	58100	2050	57100	1400	220570
	1870	3700	17750	6400	72960	146400	4230	137000	5490	393930
	1873	1900	18650	6600	66010	164600	3680	135000	3910	400350

ურნეობის ძირითადი დარგი მეცხოველეობა იყო, ეს დარგი მნიშვნელოვნად იყო განვითარებული აგრეთვე ალექსანდერსდორფში, ელიზავეტალში, კატერინენფელდში, ელენდორფში. მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა მეცხოველეობას აგრეთვე ცალკეული მდიდარი კოლონისტების მეურნეობებში.

როგორც მონაცემებიდან<sup>110</sup> ჩანს, კოლონისტები მნიშვნელოვანი რაოდენობით აშენებდნენ მხოლოდ მსხვილფეხა რქიან საქონელს (უმთავრესად ძროხას) და ცხენებს. გამწვევ ძალად ხარჯს ნაკლებად იყენებდნენ, წვრილფეხა საქონელს კი თითქმის არ აშენებდნენ<sup>111</sup>. მხოლოდ ალექსანდერსპილფში ყავდათ იგი უმნიშვნელო რაოდენობით. თუმცა მელორეობის პროდუქტებს კოლონისტების ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა, გერმანელები მაინც ამჯობინებდნენ შემოდგომაზე ხელსაყრელ ფასებში შეეძინათ ღორები მეზობელი ქართველებისა და სომხებისაგან; ისინი ამზადებდნენ ღორს და სხვადასხვა სახის ძეხვეულს<sup>112</sup>, რომლის ნაწილიც ბაზარზე გაჰქონდათ და მნიშვნელოვანი მოგებით ყიდდნენ. მეცხოველეობის სხვა დარგები (მეფრინველეობა, მეფუტკრეობა) კოლონიებში, თუმცა საკმაოდ იყო განვითარებული, მაგრამ მისი პროდუქტები მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის გამოიყენებოდა და ბაზარზე არ გადიოდა.

<sup>110</sup> სსრ ცსსა, ფონდი 226, საქმე 95, ფურც. 54; საქმე 247, ფურც. 45; ფონდი 416, ანაწ. 3, საქმე 244.

<sup>111</sup> ჰაქსტაუზენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

<sup>112</sup> გ. ბუჩულაძე, გერმანელთა ახალშენები ამიერკავკასიაში, თბ., 1911, გვ. 30.

მეცხოველეობიდან კოლონიისტების მეურნეობაში წამყვანი ადგილი მეძროხეობის პროდუქტების დამზადებას ეკავა, რომლის სახეობაც ძირითადად კოლონიების გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავდა. მაგალითად, კოლონიები ალექსანდრესდორფი და ელიზავეტალი, რომლებიც თბილისთან ახლოს მდებარეობდნენ, ქალაქის მოსახლეობას უმთავრესად რძეს, ნაღებს, არაქანსა და კარაქს აწვდიდნენ<sup>113</sup>.

კოლონია ალექსანდრესპილფში, რომელიც თბილისიდან საკმაოდ იყო დაშორებული, ძირითადად შვეიცარიული ყველი მზადდებოდა.

გადმოსახლებისას ყველის დამზადება კოლონიებში არ იცოდნენ. 1865 წ. კავკასიის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის სამმართველოს უფროსის გენერალ-მაიორ კოლუბაკინის ინიციატივით, ალექსანდრესპილფის კოლონიებისათვის საზღვარგარეთიდან მოიწვიეს ყველის დამზადების შვეიცარიული ოსტატი ჩაბოლდი; ჩაბოლდს უნდა დამზადებინა კოლონიაში შვეიცარიული ყველი და ეს ხელობა ესწავლებინა კოლონიებისათვის, რაშიც მას ხაზინა უხდოდა წელიწადში 400 მანეთს; ჩაბოლდი ჩამოსული იყო ოთხი წლის ვადით; შემდგომში კონტრაქტი მას რამდენჯერმე გაუგრძელეს. კოლონიები ყოველდღიურად აბარებდნენ რძეს ყველის სახელოსნოში და ჩაბარებული რძის რაოდენობის პროპორციულად იღებდნენ ფულს, რომელიც ყველის გაყიდვით შემოდიოდა. ალექსანდრესპილფში მზადდებოდა საკმაოდ მაღალი ხარისხის ყველი, რომელიც ცნობილ „კუჩინბახის ყველს“ არ ჩამოუვარდებოდა. აქ დამზადებული ყველი ფუთი 12 მანეთად იყიდებოდა და კოლონიებში მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა, რაც ხელს უწყობდა ამ დარგის განვითარებას; თუ 1875 წელს დამზადებულ იქნა 334 ფუთი ყველი, ხოლო 1883 წელს 1089 ფუთი, მე-20 საუკუნის დამდეგს კოლონიაში წლიურად 2000 ფუთამდე ყველი მზადდებოდა<sup>114</sup>. წლიურად ყიდდნენ 100 ფუთამდე კარაქს და 30—40 სულ მსხვილფეხა საქონელს საზორცედ.

გერმანელ კოლონიისტებს უმთავრესად ადგილობრივი ჯიშის საქონელი ჰყავდათ. მთავრობის ხელშეწყობისა და წაქეზების მიუხედავად, მათ (მსხვილი კაპიტალისტური ტიპის მეურნეობების გამოკ-

<sup>113</sup> В. Д. Мочалов, Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в., Москва, стр. 204—205.

<sup>114</sup> იქვე, გვ. 207.

ლებით, ვერ შეძლეს მაღალპროდუქტიული ევროპული ჯიშის სი-  
ქონლის მოშენება.

საერთოდ, გერმანელი კოლონისტები ყოველგვარი დახმარებ-  
სა და შეღავათების, საკმაო ეკონომიური შესაძლებლობების მიუხე-  
დავად, ნაკლებ მიდრეკილებას იჩენდნენ სიახლეებისა და მეურნეო-  
ბების დონის შემდგომი აღმავლობისაკენ და კმაყოფილდებოდნენ  
იმ ეკონომიური მდგომარეობით, რასაც გარკვეული დროის შემდეგ  
მიიღწიეს.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის (მიწათმოქმედების) სხვა  
დარგებს, განსაკუთრებით ტექნიკური კულტურების მოყვანას, რაც  
გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლების ერთ-ერთი ოფიციალუ-  
რი მიზეზი იყო, მათ, მიუხედავად მთავრობის დიდი დახმარებისა  
და ხელისშეწყობისა, ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს, რად-  
გან ის დარგები მოითხოვდა დიდ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც  
კოლონისტებს არ გააჩნდათ, და დიდ მონდომებას, რომლის გარე-  
შეც ეს კულტურები არაჩენებადელურნი იყვნენ. კავკასიის ხელი-  
სუფლებმა რამდენიმე ცდა განახორციელეს, რათა დაენერგათ გერ-  
მანელ კოლონისტებში ტექნიკური კულტურები და სოფლის მეურ-  
ნეობის დარგები, რომელთა ნაწილიც გავრცელებული იყო ადგი-  
ლობრივ მოსახლეობაში, ხოლო ნაწილი სრულიად უცნობი იყო  
ამიერკავკასიისათვის.

1841 წელს გუბერნატორ ბარონ განის ინიციატივით ქ. ნუხა-  
ში გაიგზავნა 5 ყმაწვილი გერმანელი კოლონისტებისაგან. მათ  
უნდა შეესწავლათ მეაბრეშუმეობა. 1845 წლისათვის მარტო კო-  
ლონია ელენენდორფში ირიცხებოდა 26 კოლონისტის ოჯახი, რომ-  
ლებიც მეაბრეშუმეობას მისდევდნენ; მათ განკარგულებაში იყო  
140 000 თუთის ხე<sup>115</sup>. კოლონისტებს უფასოდ დაურიგეს საუკეთესო  
ჯიშის აბრეშუმის ჭიის თესლი, წაახალისეს ფულადი ჯილდო-  
თი; ექვს კოლონისტს, რომელთაც უფრო გამოიჩინეს თავი მეაბ-  
რეშუმეობაში, დაურიგეს ფულადი ჯილდო — თვითეულს 50 მა-  
ნეთის რაოდენობით<sup>116</sup>.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეაბრეშუმეობამ მაინც ვერ მოი-  
კიდა ფეხი გერმანელ კოლონისტებში. ამ 26 ოჯახის მიერ მოყვანი-  
ლი საუკეთესო მოსავალი 1845 წლისათვის სულ 4,5 ფუთ ნედლე აბ-  
რეშუმს შეადგენდა. 50-იანი წლებისათვის კოლონისტებმა თუთის  
ხეები გაჩეხეს და მის ნაცვლად ვენახები გააშენეს.

<sup>115</sup> სსსრ ცსსა; ფონდი 4, ანაწ. 3, საქმე 92, ფურც. 13.

<sup>116</sup> ი ქ ვ ე, ფურც. 2.

1848 წელს, კვლავ ხელისუფალთა ინიციატივით, კოლონისტებისათვის კუნძულ კუბადან გამოიწერეს თამბაქოს საუკეთესო ჯიშის თესლი, 2 გირვანქის რაოდენობით; თესლი კოლონისტებს დაურიგეს; მოსავალს თითქოს კარგი პირი უჩანდა; მაგრამ კოლონისტებს, არ გააჩნდათ რა თამბაქოს მოყვანის ცოდნა და გამოცდილება, ვერ შესძლეს მისი წესიერად მოვლა და სულ მიღებულ იქნა 13 გირვანქა თამბაქო. შემდგომ წლებში კოლონისტებმა უარი თქვეს თამბაქოს მოყვანაზე<sup>117</sup>.

1849 წელს კოლონისტებისათვის ჩინეთიდან გამოიწერეს მთის ფეტვის ბურღულის ერთ-ერთი სახეობა; უკვე ამოსული ფეტვი ცუდი მოვლის შედეგად გახმა და კოლონისტებს იგი აღარც დაუთესიათ<sup>118</sup>. იმავე 1849 წელს ერევნიდან ჩამოიტანეს იონჯა, რომელიც საქონლის საუკეთესო საკვებად ითვლება, მაგრამ კოლონისტებმა მისი დათესვაც კი არ მოსურვეს მიწის სიმცირის მიზეზით, თუმცა კოლონისტებს, როგორც ზემოთ ვნახეთ, მიწა იმდენი ჰქონდათ, რომ ხშირად დაუმუშავებელი რჩებოდათ. ასევე არ დაინერგა კოლონისტებში სპეციალურად მათთვის გამოწერილი ჰიმალაის ქერი<sup>119</sup>. ბოლოს, 1873 წელს ინდოეთიდან გამოიწერეს მალე მწიფებადი ტიბეტური ბრინჯი. ეს კულტურა 50 დღეში მწიფდება და სამშობლოში წელშიადში 3 მოსავალს იძლევა; კოლონიებში არც ეს კულტურა გავრცელებულა შემდგომში.

ამრიგად, ვერც ერთმა ახალმა კულტურამ, რომლის დანერგვასაც მთავრობა ცდილობდა, გერმანელ კოლონისტებში ფეხი ვერ მოიკიდა, მიუხედავად იმისა, რომ ხაზინამ ამ მიზნით მნიშვნელოვანი თანხები გაიღო და ხელისუფლებმა მთელ რიგ წამახალისებელ ღონისძიებებს მიმართეს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კოლონისტთაგან რამდენიმემ მსხვილი ბურჟუაზიული ტიპის მეურნეობა შექმნა ამიერკავკასიაში. მათ შორის აღსანიშნავია: ფორერის მეურნეობა ელისავეტპოლის გუბერნიაში, კუჩენბახის — კოჯრის მაზლობლად და თრიალეთში, ფონბახის — თბილისის მაზლობლად, ფივევს — ლოკინში, ჰეკმანის — თბილისისა და ბორჯომის მაზლობლად, ძმები რეგელების — ელისავეტპოლის გუბერნიაში<sup>120</sup> და სხვ. ამათგან პირველი ორი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, ხოლო დანარჩენი ნაკლებად არის

<sup>117</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 227, ანაწ. I, საქმე 47, ფურც. 6—7.

<sup>118</sup> იქვე, საქმე 6.

<sup>119</sup> იქვე, საქმე 50.

<sup>120</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 241, ანაწ. 3, საქმეები 11, 15, 86, 122, 340.

ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ კაპიტალისტურ მეურნეობებს კომპლექსური სახე ჰქონდათ; მეურნეობაში წამყვანი იყო ერთი რომელიმე დარგი (ფორერისაში მეღვინეობა და შვედურ ხეობა, კუჩინბახისაში — მესაქონლეობა და შვეიცარიულ სველის დამზადება, ფონბახის და ჰეკმანის მეურნეობებში — რძის და მისი პროდუქტების დამზადება და ა. შ.), ხოლო დანარჩენი დარგები დამხმარე იყო და ძირითადად მეურნეობის საჭიროებას აკმაყოფილებდა, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

ფივეგის მეურნეობა რამდენადმე გამსხვავდებოდა სხვა მეურნეობებისაგან; ფივეგი ავრონომად მუშაობდა ბარონ ნიკოლაის მეურნეობაში XIX საუკუნის 50-იან წლებში. 1864 წელს მან ბარონ ნიკოლაისაგან იჯარით აიღო ლოჭინის მამული. იმავე წელს მან კონტრაქტი<sup>121</sup> დადო კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საბჭოსთან აღნიშნულ მამულში სანიმუშო კომპლექსური მეურნეობის მოწყობის შესახებ, სადაც ყველა ზემოთ აღნიშნული მეურნეობისაგან გამსხვავებით, ფივეგი ვალდებულია კისრულობდა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის პრაქტიკულად ესწავლებინა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი იმდროინდელი დონის გათვალისწინებით, რის საფასურადაც კავკასიის სოფლის მეურნეობის საბჭო ათი წლის განმავლობაში წლიურად 5000 მანეთს გადაუხდიდა ფივეგს. ფივეგი მთელი რიგი წლების მანძილზე კარგად ართმევდა თავს დაკისრებულ ვალდებულებას.

საერთოდ, მეფის ზელისუფლება თავისი სამეურნეო პოლიტიკის შესაბამისად გამსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა ამ მსხვილ მეურნეობებს. ბარონ ა. ფონ-კუჩინბახს ამიერკავკასიაში ჩამოსვლისას არავითარი კაპიტალი არ გააჩნდა, მხოლოდ ზაზინის მიერ შეღავათიან პირობებში მიცემული სესხით შეძლო კუჩინბახმა თავისი მეურნეობის მოწყობა<sup>122</sup>. ასევე, როდესაც 1875 წლის ნოემბერში ბარონ კ. ი. ფონბახს ეპიზოტისაგან დაეზოცა საქონელი, ზაზინამ 10 000 მანეთი სესხი მისცა საკმაოდ შეღავათიან პირობებში<sup>123</sup>.

მეფის მთავრობა მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა გერმანელთა სხვა მსხვილ მეურნეობებსაც.

<sup>121</sup> ЗКОСХ, 1864, т. V, 26—30.

<sup>122</sup> სსსრ ცსსა, ფონდი 241, ანაწ. 3, საქმე 11, ფურც. 60—70.

<sup>123</sup> ი ქ ვ ე, საქმე 86, ფურც. 11.

კოლონისტთა სამეურნეო აღმავლობამ თავი იჩინა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ისინი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებში წარმატებით მონაწილეობდნენ.

1861 წელს თბილისში მოწყობილ გამოფენაზე ეკატერინენფელდელი ფრ. ცეიზერი ოქროს მედლით დააჯილდოვეს გაუმჯობესებული გუთნის წარმოდგენისათვის, ხოლო თბილისელი ი. კურცი კარგი ხეხილისა და ღვინისათვის — ვერცხლის მედლით<sup>124</sup>. 1862 წელს ანენფელდის და ეკატერინენფელდის კოლონისტებმა ლონდონის მსოფლიო გამოფენიდან მიიღეს „საპატიო დახასიათება“ გამოფენაზე აქედან გაგზავნილი პურის საუკეთესო ხარისხისათვის<sup>125</sup>.

1863 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენაზე ვერცხლის მედლები დაიმსახურეს:

1. იაკობ ბეპლემ (ეკატერინენფელდი) — ზორბლის, კარტოფილის და ღვინისათვის.
2. მარტინ ვაგნერმა (ეკატერინენფელდი) — ზორბლისათვის.
3. ქრისტიან ერდმანმა (ანენფელდი) — ბრინჯისა და ქუჩუთისათვის.
4. ჰენრიხ ჰუმელმა (ელენენდორფი) — კარგი ხარისხის ხილისათვის.
5. პრაქტიკული ხუტორის მმართველმა გუსტავ ფივეგმა — კარტოფილის, ბოსტნეულის და კარაქისათვის.

ქების სიგელები გადაეცათ:

1. იაკობ შმულცეს (ელენენდორფი) — კარტოფილისა და სიმინდისათვის.
2. ალექსანდრე კუჩენბახს — შვეიცარული ყველისა და კარაქისათვის.

ამავე გამოფენაზე ზემოთ დასახელებულმა ფრ. ცეიზერმა ქება დაიმსახურა წნების ორგინალური კონსტრუქციის წარდგენისათვის<sup>126</sup>.

1869 წელს თბილისში მოწყობილ მეცხოველეობის გამოფენაზე სპეციალური ჯილდო მიიღო მარიენფელდის კოლონისტის იაკობ ბროზეს მიერ წარმოდგენილმა ჩალისფერმა ცხენმა<sup>127</sup>.

შემდგომ წლებშიც გერმანელმა კოლონისტებმა არაერთხელ მოიპოვეს ჯილდოები თბილისსა თუ რუსეთში მოწყობილ გამოფე-

<sup>124</sup> ЗКОСХ, 1862, № 5—6, XVIII.

<sup>125</sup> 3. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 501.

<sup>126</sup> ЗКОСХ, 1864, № 5, გვ. 48—52.

<sup>127</sup> სსსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. I, საქმე 233, ფურც. 1.

ნებზე, ხოლო ზოგიერთი მდიდარი კოლონისტი (მაგალითად, კუჩენ-  
ბახი, ფორერი) წარმატებით მონაწილეობდა საერთაშორისო გე-  
მოფენებშიც<sup>128</sup>.

ცარიზმის აზრით, საქართველოში დასახლებულ გერმანულ კო-  
ლონისტებს უნდა გაეუმჯობესებინათ და განევითარებინათ სოფლის  
მეურნეობა, გაეშენებინათ ახალი კულტურები და დაენერგათ მი-  
წის დამუშავების ახალი სრულყოფილი მეთოდები. მაგრამ, მიუხე-  
დავად იმისა, რომ გერმანელი კოლონისტები უზვად იყვნენ უზ-  
რუნველყოფილნი მიწით, მთავრობა უწყევდა დიდ დახმარებას,  
აბორიგენტთან შედარებით აძლევდა შეღავათებს, მთავრობის იმე-  
დები მათ ვერ გაამართლეს. კოლონისტებმა უმნიშვნელო გავლენა  
მოახდინეს ადგილობრივ მოსახლეობაზე მაშინ, როცა ბევრი რამ  
გადაიღეს მისგან. «ცარიზმის იმედები იმის შესახებ, რომ დასახლე-  
ბული კოლონისტები საქართველოში განავითარებდნენ სოფლის  
მეურნეობას, მოაშენებდნენ მხარისათვის უცნობ კულტურებს, გა-  
მოიყენებდნენ ახალ სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და მიწის და-  
მუშავების გაუმჯობესებულ წესებს და ასეთი სამუშაოებებით გავ-  
ლენას მოახდენდნენ და აამაღლებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის  
სამეურნეო და კულტურულ დონეს, არ გამართლდა»<sup>129</sup>.

გერმანელი კოლონისტების ამიერკავკასიაში ჩამოსახლებას,  
ისევე როგორც საერთოდ XIX საუკუნეში საქართველოსა და ამი-  
ერკავკასიაში წარმოებულ კოლონიზაციას, მთელ რიგ უაღრესად  
უარყოფით შედეგებთან ერთად, ობიექტურად ზოგიერთი დადებითი  
მხარეც ქონდა. კოლონისტების მონაწილეობამ ქვეყნის სოფ-  
ლის მეურნეობაში ხელი შეუწყო ადგილობრივი გლეხობის დიფე-  
რენციაციის პროგრესულ პროცესს და სოფლად კაპიტალისტურ  
ურთიერთობების განვითარებას. «ამნიარად, — წერდა ვ. ი. ლე-  
ნინი, — გადასახლება აძლიერებს გლეხობის დაშლას გასვლის ად-  
ვილებში და ავრცელებს დაშლის ელემენტებს დასახლების ადგი-  
ლებში»<sup>130</sup>.

გერმანელმა კოლონისტებმა ხელი შეუწყეს კაპიტალისტურ  
ურთიერთობათა განვითარებას სოფლად. ეს მოვლენა გამსაკუთრე-  
ბით გაძლიერდა საგლეხო რეფორმის შემდეგ; კოლონიებში თავი-  
სუფალი, დაქირავებული მუშახელის სახით მუშაობდნენ ადგილობ-  
რივი გლეხები, რუსი სექტანტები და ზოგჯერ ლარიბი კოლონის-

<sup>128</sup> М. И. Свешников, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

<sup>129</sup> დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

<sup>130</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 3, გვ. 198.



ტები<sup>131</sup>. ცნობილია, რომ ამიერკავკასიაში ქალთა შრომა ნაკლებად იყო გამოყენებული სოფლის მეურნეობაში<sup>132</sup>. კოლონისტები იყენებდნენ ქალთა შრომას მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოებაში — ბოსტნების დამუშავება, პურის ლუწვა, ყურძნის კრეფა და სხვა.

კოლონისტებთან მუშაობა ერთგვარ დამატებით შემოსავალს აძლევდა ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ, ამასთანავე, შრომის პირობები გერმანულ კოლონიებში მეტად მძიმე იყო, ხოლო ანაზღაურება დაბალი. მძიმე შრომა იწვევდა დაჭირავებულთა დაავადებას, ხშირი იყო უბედური შემთხვევები. 1903 წლის 2 ივნისის კანონის — უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული მუშებთანათვის ფულადი ანაზღაურების — გამოსვლის შემდეგ კოლონისტებმა დიდი ფულადი გადასახადებისა და დამზღვევ საზოგადოებასთან შეხლა-შემოხლის თავიდან ასაცილებლად დააარსეს თავისი სპეციალური სადაზღვევო ფონდი, რომელიც, მათივე თქმით, სრულიად ამართლებდა თავის დანიშნულებას.

ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლოატაცია დიდ შემოსავალს აძლევდა კოლონისტებს და ამაღლებდა მათ ეკონომიურ მდგომარეობას.

#### გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიის ხელოსნობასა და ვაჭრობაში

საუკუნეების მანძილზე გამანადგურებელი შემოსევებისა და შინაფეოდალური ბრძოლების მიუხედავად, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ხელოსნობა და ვაჭრობა რუსეთთან შეერთების დროს საკმაოდ იყო განვითარებული.

XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის თბილისი წარმოადგენდა ამიერკავკასიის ხელოსნობის ცენტრს. თბილისელი ხელოსნები მუშაობდნენ არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის დასაკმაყოფილებლადაც. მათი ნაწარმის ერთი ნაწილი ამიერკავკასიის საზღვრებს გარეთაც გადიოდა. ამავე დროს თბილისი თანდათან მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრი ხდებოდა.

თბილისის და ამიერკავკასიის ზოგიერთი სხვა ქალაქის ხელოსნები გაერთიანებული იყვნენ ამქრებში, რომლებიც თავისი ორგანიზაციით ევროპულ და აღმოსავლურ ხელოსნურ ორგანიზაციებს ჰგავდნენ, თუმცა ზოგიერთი თავისებურებაც გააჩნდათ.

<sup>131</sup> სსრ ცსსა, ფონდი 13, ანაწ. I, საქმე 54, ფურც. 8.

<sup>132</sup> Б. Николан, А. П. О сельскохозяйственной промышленности в Тифлисском уезде, 1857, стр. 17.

XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ამიერკავკასიაში და კერძოდ თბილისში საკმაოდ მომრავლებულან რუსი და უცხოელი ხელოსნები<sup>133</sup>. უცხოელთაგან დიდი უმრავლესობა გერმანელი კოლონისტები იყვნენ, რომელთაც შემდგომში თანდათანობით უმეტესობა ნენ გერმანიიდან, თუ რუსეთის სხვა ქალაქებიდან ინდივიდუალურად ჩამოსული გერმანული წარმოშობის პირები.

სხვა ევროპელი ხელოსნების რაოდენობა ამიერკავკასიაში იმდენად მცირე ყოფილა, რომ ზოგიერთი მკვლევარი მხოლოდ რუსეთიდან და გერმანიიდან ჩამოსულ ხელოსნებს იხსენიებს:

« А между тем с присоединением Закавказья в Тифлис направилась масса ремесленников и торговцев как из центральных губерний Европейской России, так и из Южной Германии »<sup>134</sup>.

1818 წელს საქართველოში ჩამოსულ გერმანელ კოლონისტთა შორის იყვნენ შემდეგი სპეციალობის წარმომადგენლები:

1. მიწის მუშა	258	20. მეშუშე	1
2. საპნის მკეთებელი	1	21. შექმულე	1
3. მეცხვარე	2	22. შემაულე	3
4. მექოთნე	3	23. დურგალი	8
5. ფეიქარი	30	24. ზურო	12
6. შეკალათე	1	25. მეუნაგირე	1
7. შევენახე	42	26. მკინძავი	3
8. მეგვარჯილე	1	27. მიწის მზომელი	2
9. შეკასრე	10	28. მელურსმანე	1
10. ნემსის მკეთებელი	2	29. მესაათე	1
11. მეჩექმე	26	30. მასწავლებელი	4
12. დაბალი	2	31. თოფის ოსტატი	2
13. ყასაბი	9	32. ხარატი	1
14. მელულდე	3	33. შეწინდე	6
15. თერძი	26	34. „კარეტნიკი“ (ეტლის მკეთებელი)	3
16. კალატოზი	16	35. შეხელთათმანე	2
17. შეპურე	4	36. მეწისქვილე	1
18. მკედელი	9		
19. ზეინკალი	2		

სულ ————— 499<sup>135</sup>.

<sup>133</sup> Акты, т. IX, 520, стр. 604.

<sup>134</sup> С. А. Егизаров. Исследования по истории учреждений в Закавказии, ч. II, Городские цехи, Казань, 1891, стр. 332.

<sup>135</sup> ЦГИАЛ, ф. 140, оп. I, д. 271, лл. 54—55.

თუ სპეციალობის მქონე კოლონისტთა საერთო რიცხვს გამოვაკლებთ არაბელოსნური სპეციალობის მქონე პირთა (258 — მიწის მუშა, 42 — მევენახე, 2 — მეცხვარე, მზომელი, 4—მასწავლებელი,—სულ 308), მივიღებთ, რომ ჩამოსახლებისთანავე გერმანელ კოლონისტთა შორის იყო 191 ხელოსანი, რომელთა ძირითადი ნაწილი თბილისში დასახლდა<sup>136</sup>. ისინი 30-იანი წლებიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ თბილისის და ამიერკავკასიის ხელოსნურ წარმოებაში. თუმცა ზუსტი ცნობები 30-იან წლებში აქ მომუშავე არათუ გერმანელ, არამედ, საერთოდ ხელოსნების შესახებაც არ მოგვეპოვება, მაგრამ, როგორც ჩანს, კოლონისტი ხელოსნების ზვედრითი წილი თანდათან იზრდება გერმანიიდან, თუ რუსეთიდან ჩამოსული ხელოსნების ხარჯზე.

ჯერ კიდევ ერმოლოვს მოუწევია 1819 წ. ოთხი გერმანელი მკალავი. მათი ჩამოსვლა „უღარესად საჭირო იყო, როგორც ლაზარეთების, ისე თვით ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის“<sup>137</sup>. 1831 წელს პრუსიიდან თბილისში ჩამოსულან ძმები იოჰან--ლუდვიგ და კარლ ბარტილები. პირველი მათგანი ზეინკალი ყოფილა, ხოლო მეორე ვაჭარი<sup>138</sup>. 1837 წ. თბილისში ჩამოვიდა მექანიკოს-პიდროლოგი მერკელი, რომელმაც წყლის მიმწოდებელი მანქანა მოაწყო კუკიის და ალექსანდერსდორფის კოლონიების მიწების მოსარწყავად<sup>139</sup>. 30-იან წლებში თავრიდის გუბერნიის კოლონია ნოიპოფენუნგსტალიდან საქართველოში ჩამოსულა მეჩექმე ქრისტიან გოტლიბ რეცერი<sup>140</sup> და სხვ.

1846 წელს თბილისში 60 ხელოსანი ჩამოსულა. ადგილობრივი პრესა აღტაცებით შეზვედრია ამ ფაქტს<sup>141</sup>. ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები ჩამოსულთა ეროვნული შემადგენლობის შესახებ.

<sup>136</sup> როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავდაპირველად თბილისში (კუკიას) დასახლეს 49 ოჯახი, ე. ი. ხელოსნებას რიცხვი 50-მდე უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, გერმანელ ხელოსნებს თბილისში გადმოსვლა მე-19 ს. 20-იანი წლებიდანვე დაუწყიათ. ერთ იმდროინდელ ცნობაში აღნიშნულია, რომ „თბილისის მახლობლად (კუკიაში) კოლონისტ-ხელოსანთა 80-მდე ოჯახი ცხოვრობს“ (ЦИАЛ, ფ. 140, იმ. I, л. 271, л. 48). ამასთანავე, 30-იანი წლებიდან თბილისის სხვადასხვა უბანში (მაგ. რიყეში) გვხვდებთან გერმანელი ხელოსნები, რომლებიც კოლონიებიდან გადმოსულან თბილისში. შემდგომში მათი რიცხვი თანდათან იზრდება.


<sup>137</sup> სსსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ. 1, საქმე 2398, ფურც. 1.

<sup>138</sup> ი ქ ვ ე, ფ. 16, ანაწ. 1, საქმე 4448, ფურც. 5.

<sup>139</sup> სსსრ ცსსა, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე 4829.

<sup>140</sup> ი ქ ვ ე, ფ. 245, ანაწ. I, საქმე 148.

<sup>141</sup> ნ. რ. დ. ო. ნ. ა. ი. ა., თბილისის მრეწველობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (რეფორმის შემდგომი წანა), თბილისი, 1961, გვ. 104.



მაგრამ სავარაუდოა, რომ მათში მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ.

შემდგომ წლებში ჩამოსულ გერმანელ ხელოსანთა რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება. ამ პროცესს, ჩვენი აზრით, გარდა ამიერკავკასიაში ევროპულ საქონელზე მოთხოვნილების ზრდისა, ორი გარემოება უწყობდა ხელს: 1) წამხალისებელ ღონისძიებათა მიუხედავად, რუსეთიდან კვალიფიციურ ხელოსანთა ჩამოყვანა საჭირო რაოდენობით ვერ ხერხდებოდა<sup>142</sup>. 2) ევროპაში გამეფებული იყო პოლიტიკური რეაქცია; რევოლუციური გამოსვლები მარცხს განიცდიდნენ; ხელოსნების გარკვეული ნაწილი, როგორც დამარცხებული რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და სხვაგან ეძია თავშესაფარი. ერთ-ერთ ასეთ კუთხეს წარმოადგენდა ამიერკავკასია, სადაც ევროპულ ხელოსნობაზე მოთხოვნილება იმდენად იზრდებოდა, რომ კავკასიის ადმინისტრაცია ცდილობდა აქ მუდმივად დაესახლებინა ებრაელი ხელოსნებიც კი<sup>143</sup>, რომელთაც საიმპერიო კანონმდებლობით ზოგიერთ ქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ.

გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულში ამ მოვლენას— ამიერკავკასიაში უცხოელი ხელოსნების ჩამოსახლებას, იმდენად მნიშვნელოვანი ზასიათი მიუღია, რომ ქანდარმა შეფის ბენკენდორფის ყურადღება მიუბყრია. ბენკენდორფს ამ საკითხზე სპეციალური მიმოწერა უწარმოებია კავკასიის ადმინისტრაციასთან<sup>144</sup>. 1838 წლის 15 იანვრს წერილში ბარონ როზენისადმი იგი შემდეგ აზრს გამოთქვამდა:

«Находявшися за границу злоумышленники не перестают направлять вредное свое влияние на Россию, и признавая необходимою мерою предосторожности, усилить внимание начальств пограничных наших губерний на проезжающих труда иностранцев, особенно к ремесленникам, удостоверюсь, действительно-ли они занимаются теми ремеслами, под предлогом коих они приезжают»<sup>145</sup>.

ადგილობრივ ხელისუფლებასაც ამ მიმართულებით ზოგიერთი ღონისძიება გაუტარებია. მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფალთა ეს შემოფოთება უსაფუძვლო იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები, რომ ჩამოსულ გერმანელ (ან სხვა უცხოელ) ხე-

<sup>142</sup> ბ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. 5, გვ. 146.

<sup>143</sup> მ. სამსონაძე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, თბილისი, 1968, გვ. 28.

<sup>144</sup> სსსრ ცსსა, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე 5052, ფურც. 1.

<sup>145</sup> იქვე, საქმე 5051, ფურც. 2.

ლოსნებს ამ პერიოდში მონაწილეობა მიეღოთ მთავრობის საწინააღმდეგო რაიმე მოძრაობაში.

ჩამოსული ხელოსნების კონკურენციის გამო ადგილობრივი ხელოსნების შემოსავალი მნიშვნელოვნად ეცემა და მათი მდგომარეობა მკვეთრად უარესდება. ეს გარემოება იწვევდა მტრობას ადგილობრივ და ჩამოსულ ხელოსნებს შორის, რაც ზოგჯერ აშკარა შეტაკებამდე მიდიოდა.

თბილისელ ხელოსნებს მნიშვნელოვან კონკურენციას თბილისში მცხოვრები გერმანელი ხელოსნებიც უწევდნენ. ისინი რიცხოვნობრივად შედარებით ბევრი არ იყვნენ<sup>146</sup>, მაგრამ მათს ევროპული ტიპის ნაწარმზე მოთხოვნილება თანდათან იზრდებოდა. ამასთანავე ისინი თავის რაოდენობასთან შედარებით ფართო სამუშაოებს ასრულებდნენ, რადგან მრავლად ჰყავდათ ქვეოსტატები და შეგირდები, რომელთაც ფართო ექსპლოატაციას უწევდნენ. მაგალითად, მკერავ კარლ კუგლერს ჩამდენიმე ქვეოსტატი და შეგირდი ჰყოლია, რომელთა საშუალებით, გარდა მრავალრიცხოვანი შეკვეთისა, იჯარით ჰქონდა აღებული თბილისის გიმნაზიის პანსიონისათვის ტანსაცმლის შეკერვა.

1835 წლის იანვარში თბილისელმა თერძებმა საჩივარი შეიტანეს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის სახელზე, რომლითაც მოითხოვდნენ, რომ კოლონისტ-ხელოსნებს ან შეკვეთა არ აეღოთ ქალაქიდან, ან შესაბამისად გადასახადები გადაეხადათ<sup>147</sup>. მაგრამ როგორც მკერავი, ისე მეჩექმე კოლონისტები, ყოველნაირად ცდილობდნენ თავი აერიდებინათ გადასახადებისათვის. ისინი განგებ არ ამხელდნენ ხელოსანთა რაოდენობას და გადასახადის გამწერ მოხელეებს მთელი რიგი ღონისძიებებისათვის მიუშართავთ, რათა დაედგინათ, თუ რამდენი გერმანელი ხელოსანი მუშაობდა თბილისში<sup>148</sup>.

თავის მხრივ მოქალაქეები, იცავდნენ რა ამქრული ხელოსნობის ინტერესებს, გაზრდილი, მძიმე გადასახადებით ავიწროებდნენ კოლონისტ ხელოსნებს. 1834 წლის გადასახადი 11 კოლონისტ ხელოსანზე გაუწერიათ 102 მანეთი ვერცხ., რაც მნიშვნელოვნად აღე-

<sup>146</sup> მ. სამსონაძეს მოყავს ხელოსნების რაოდენობა: 5 მეჩექმე, 3 მკერავი, 3 მქუდილი (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 31), მაგრამეს ცნობები ზუსტი არ არის. სიაში, საიდანაც ეს ცნობები აქვს ამოღებული მ. სამსონაძეს, შეტანილია მხოლოდ ის ხელოსნები, რომლებიც ე. წ. სარეკრუტო გადასახადს იხდიან (სსსრ ცსსა, ფ. 16, საქმე 4883, ფურც.). მაგალითად, სიაში შეტანილი არ არის მეჩექმე ფრანკი, რომელიც იმავე პერიოდში იხსენიება (იქვე, ფურც. 6).

<sup>147</sup> სსსრ ცსსა, ფ. 16, საქმე 4883, ფურც. 4.

<sup>148</sup> მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

მატებოდა სხვა ხელოსნების წლიურ გადასახადს, ამასთანავე მხედველობაში არ იყო მიღებული თითოეული ხელოსნის შემოსავალი. მაგალითად, მოხუც მეჩექმე ფრანკზე, რომელიც უმთავრესად შეკეთებაზე მუშაობდა და თავს ძლივს ინახავდა, 10 მანეთ ვერცხ. შეუწერიათ. ასევე 10 მანეთი ვერცხლი უნდა გადაეხადა მეჩექმე მაიერსაც, რომელსაც საკმაოდ მოზრდილი სახელოსნო ჰქონდა, ექსპლოატაციას უწევდა შეგირდებსა და ქვეოსტატებს და ქალაქში საუკეთესო მეჩექმედ და მეტად შეძლებულ კაცად ითვლებოდა. ამ ორივე ხელოსანს ერთნაირი გადასახადი უნდა გადაეხადათ, თუმცა, როგორც გერმანული კოლონიების ზედამხედველი აღნიშნავდა, პირველის შემოსავალი უკანასკნელისას ისე შეეფარებოდა, როგორც 1 : 100<sup>149</sup>.

ამასთან ერთად კოლონისტ ხელოსნებს უსარგებლიათ იმით, რომ გადასახადების განაწილებას მათი წარმომადგენელი არ ესწრებოდა, თუმცა ასეთი წარმომადგენელი ე. წ. „დეპუტატი“ უნდა დასწრებოდა ყოველგვარ პროცესს, რომელიც კოლონისტებს ეხებოდა, მათ შორის თვით სასამართლოსაც; საჩივარი შეუტანიათ და კიდევ მიუღწევიათ იმისათვის, რომ აღიშნული გადასახადები გადასინჯული და შემცირებული ყოფილიყო.

ასეთი დამოკიდებულება შეიქმნა ადგილობრივ და უცხოელ ხელოსნებს შორის გასული საუკუნის 30-იან წლებში. ადგილობრივი მთავრობა გამოდიოდა რა რუსი ჩინოვნიკებისა და სამხედრო მოხელეების ინტერესებიდან, მხარს უჭერდა მოსულ ხელოსნებს და ყოველმხრივ ცდილობდა გაეძლიერებინა ისინი ამქრული ხელოსნობის ხარჯზე.

რუსი და უცხოელი ხელოსნების საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოზიდვის პოლიტიკა, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ჩაისახა, 30-იანი წლებიდან უკვე ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. გერმანელი ხელოსნების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან; ისინი უმთავრესად თბილისში საზღვებიან. თითო-ორი ხელოსანი ამიერკავკასიის სხვა ქალაქებშიც მოხვედრილან: ახალციხეში, გუმბრში (ალექსანდროპოლი), ნახჭევანში, განჯაში, ერევანში და სხვა. კოლონისტ ხელოსნებს მთავრობა ყოველნაირად უწყობდა ხელს<sup>150</sup>. მათ „კოლონისტ გლეხებთან შე-

<sup>149</sup> სსრ ცსა, ფ. 16, საქმე 4883, ფურც. 8, 17, 31; ფ. 226, ანაწ. 1, საქმე 3, ფურც. 3, 8, 15.

<sup>150</sup> კოლონისტ ხელოსნებს მხოლოდ ინსტრუმენტების შესაძენად დაუბრუნებელი სესხის სახით მიეცათ 1198 მან. და 37 კაპ. ვერცხლით (4794 მან. და 15 კაპ. ასიგნაციებით) (სცსათ, ფ. 2, ანაწ. 1, საქმე 1384, ფურც. 14).

დარებით, ჩვეულებრივად, უფრო მეტი მზრუნველობით ექცეოდნენ (ამარაგებდნენ ნედლეულით, იარაღ-ინსტრუმენტებით, ანიჭებდნენ დროებით შეღავათებს სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებთა გადასახადში და სხვა). უნდა ითქვას, რომ რუსმა და სხვა კოლონიზატორმა ჩვენში შემოიტანეს ზოგი ახალი ხელოსნური ხელობა<sup>151</sup>.

ადგილობრივი ამქრული ხელოსნობის წინააღმდეგობისაგან მოსული ხელოსნების დასაცავად 1843 წელს დაარსებული იქნა სპეციალური კომიტეტი «Комитет для заведывания прибывающими в Тифлисе ремесленниками», რომელსაც სათავეში ჩაუყენეს თბილისის სამუშაოთა უფროსი, ინჟინერ-პოლკოვნიკი სონინი. ხოლო თავდაპირველად სარეზერვო კაპიტალად 2000 მან. გამოუყვეს<sup>152</sup>.

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასია და კერძოდ თბილისი ხელოსნობის (განსაკუთრებით ევროპულის) ნაკლებობას განიცდიდა, რის გამოც 1844 წ. იმპერატორმა მთავარმართებელს დაავალა, გაეტარებინა ღონისძიებანი ამიერკავკასიაში რუსი და უცხოელი ხელოსნების მოსაზიდვად.

ევროპული ხელოსნობის მოზიდვას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა, რომელმაც მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ამ მიზნით. ერთ-ერთი ასეთი აქტი იყო 700-მდე ჯარისკაცი ხელოსნის მწყობარში დაბრუნება მოსული ხელოსნებისათვის კონკურენციის აცილების მიზნით. ვორონცოვის ეს ღონისძიება ორ მიზანს ისახავდა: ერთი მხრივ, ანელებდა ადგილობრივ ხელოსანთა ამქრის უკმაყოფილებას, მეორე მხრივ, კი გზას უხსნიდა რუს და უცხოელ მაღალკვალიფიციურ ოსტატებს.

აღნიშნული პოლიტიკის შედეგად ამიერკავკასიის ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, თანდათან ძლიერდება ახალი, ევროპული ყაიდის ხელოსნობა. 1846 წლის თბილისის გუბერნატორის ანგარიშში აღნიშნულია, რომ თბილისში გამრავლდნენ კარგი ხელოსნები — ადგილობრივი, რუსი და უცხოელი (მესაათე, მეხელთათმანე, მეჩექმე, მეეპოლეტე და სხვა), რომელთა მოქმედების არე შორს სცილდება მაზრის და გუბერნიის ფარგლებსო. მაგრამ თბილისისაკენ მომავალ ხელოსანთა ნაკადი არ წყდებოდა.

ადგილობრივი ხელისუფლება და პრესა ფართო რეკლამას უკეთებდნენ მოსულ ხელოსნებს.

ჩამოსული ხელოსნები არ იყვნენ გაერთიანებული რაიმე საერთო ორგანიზაციაში. მ. ვორონცოვმა 1852 წლის დასაწყისში აღ-

<sup>151</sup> პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. 5, გვ. 146.

<sup>152</sup> იქვე.

ძრა შეამდგომლობა კავკასიის კომიტეტის წინაშე ჩამოსული რუსი და უცხოელი ხელოსნებისათვის საერთო სამმართველოს დაარსების შესახებ. ვორონცოვს ამ სამმართველოს დებულების პროექტის წარმოდგენა<sup>153</sup>, რომელიც ეხებოდა ჩამოსულ ხელოსანთა რიცხვს, ეროვნულ და სოციალურ წარმოშობას, სამმართველოს ორგანიზაციას, მასში ჩაწერის წესებს, ოსტატების, ქარგლების და შეგირდების უფლება-მოვალეობას, სადაო საქმეების გადაწყვეტას და სხვა<sup>154</sup>.

კავკასიის კომიტეტმა ეს პროექტი დასკვნისათვის გადასცა საიდუმლო მრჩეველ ლანსკის. ლანსკის კავკასიის კომიტეტისადმი წარდგენილ თავის მოსაზრებებში ეს პროექტი არადაამკაყოფილებლად უცნია, მთელი რიგი ხარვეზების, განსაკუთრებით სტატისტიკური მონაცემების უზუსტობის გამო<sup>155</sup>. მიუხედავად ამისა, ვორონცოვს მაინც მიუღწევია პროექტის დამტკიცებისათვის 1852 წლის 4 ივნისს<sup>156</sup>.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო:

„1) თბილისში მცხოვრებ რუს და უცხოელ ხელოსანთაგან იქმნება განსაკუთრებული საზოგადოება, ანუ მმართველობა, რომელიც არ იყოფა ამქრებად ცალკეულ ხელობათა მიხედვით და არავითარ ურთიერთობაში არ იმყოფება ქართულ ამქრებთან.

2) ამ საზოგადოების მართვა-გამგეობისათვის იქმნება განსაკუთრებული სახელოსნო სამმართველო, რომელიც შედგება ხელოსანთა თავისა და ექვსი მამასახლისისაგან, რომელთაც ირჩევენ ხელოსნების კრებაზე კენჭისყრით, პირველს სამი, ხოლო უკანასკნელთ ირი წლის ვადით.

3) ხელოსანთა თავი ითვლება, როგორც სახელოსნო სამმართველოს, ასევე ხელოსანთა კრების თავმჯდომარედ.

4) ეს სამმართველო ემორჩილება თბილისის საზოგადოებრივ მმართველობას იმავე საფუძველზე, როგორც შიდა გუბერნიების ხელოსანთა თავები და სამმართველოები ემორჩილებიან საქალაქო სათათბიროებს.

5) ხელოსანთა თავს, ქალაქის მმართველობის წევრის უფლებით, მონაწილეობა უნდა მიეღო ქალაქის მმართველობის ყველ-

<sup>153</sup> ЦГИАЛ, ф. 187, оп. 37, л. 1012, л. 8.

<sup>154</sup> ი ქ ვ ე, ფურც. 8—10.

<sup>155</sup> მაგ., ვორონცოვის წარდგენილ პროექტში აღნიშნული იყო, რომ თბილისში „1851 წ. ითვლება 140 კაცამდე რუსი და გერმანელი ხელოსანი“. ეს რიცხვი ლანსკის, არც თუ უსაფუძვლოდ, არასწორად (შემცირებულად) მიუჩნევია.

<sup>156</sup> II ПСЗРИ, т. XXVII, № 26338.



სხდომაში, რომელზედაც ირჩეოდა საკითხები ხელოსნების შესახებ<sup>157</sup>.

დებულების მომდევნო მუხლებში ლაპარაკი იყო იმ წესებსა და დადგენილებებზე, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა სახელმწიფო სამმართველოს, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ადგილობრივ ხელოსნებს ამ სამმართველოში შესვლის ნება ეძლეოდათ და ა. შ.

მაგრამ ეს კანონი მთელ რიგ წინააღმდეგობებს წააწყდა კავკასიის კომიტეტის მხრივ, ზოლო ახალმა მუფისნაცვალმა ბარიატიმსკიმ ის არ გაატარა ცხოვრებაში იმ მოტივით, რომ რუსი და უცხოელი ხელოსნები აქ მცირე რაოდენობით იყვნენ. ამ აზრს იზიარებდა ს. ეგიაზაროვიც:

«Высочайшее повеление 1852 г. отклонено было потому, что контингент пришлого из России и из-за границы промышленного люда был невелик. Дело в том, что немцы, вышедшие из Южной Германии, привыкшие к цеховой системе у себя на родине, охотно поступали в амкарства, которые, в смысле свободной организации значительно превосходили замкнутые германские цехи в XVIII и XIX вв. Да и чисто русский элемент, привыкший к цеховой организации во внутренних губерниях, не избегал амкарств»<sup>158</sup>.

მაგრამ ამ კანონის გაუტარებლობის უმთავრესი მიზეზი იყო არა მოსული ხელოსნების სიმცირე, არამედ ის, რომ „ადგილობრივ ხელოსანთა შორის ამ ცდამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია“<sup>159</sup>.

რაც შეეხება ს. ეგიაზაროვის ცნობას, რომ მოსული ხელოსნები „ხალისით შედიოდნენ ამქრებში“, რამდენადმე სწორია რუსი ხელოსნების მიმართ, მაგრამ არა გერმანელი ხელოსნებისა. როგორც ზემოთ ვნახეთ, გერმანელი ხელოსნები, არა თუ არ შედიოდნენ ადგილობრივ ამქრებში, არამედ დიდი შეხლა-შემოხლაც ჰქონდათ მათთან. „თუ ზოგიერთი რუსი ხელოსანი, — აღნიშნავს მ. სამსონაძე, — მაინც შედიოდა ადგილობრივ ამქარში და ზოგჯერ საკმაო გავლენასაც აღწევდა იქ, უცხოელები ამის წინააღმდეგი იყვნენ და საკუთარი ინტერესების დასაცავად ისინი შეკავშირებას და საკუთარი ამქრის შექმნას იწყებენ“<sup>160</sup>. უცხოელების (გერმანელების) ამ ამქრებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჩამოსულ ხელოსანთა ერთიანი ორგანიზაციის შექმნის რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ, 1859 წ. 21 ოქტომბერს, გამო-

<sup>157</sup> С. Егизаров, დასახ. ნაშრ., გვ. 333.

<sup>158</sup> იქვე. გვ. 336.

<sup>159</sup> პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. 5, გვ. 167.

<sup>160</sup> მ. სამსონაძე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რედორმადიდ ხანაში, თბილისი, 1968, გვ. 41.

იცა ახალი კანონი, რომლითაც ისინი დატოვებული იქნენ ძველ მდგომარეობაში, ე. ი. უშუალოდ ქალაქის მმართველობის ქვეშეუფლებლობაში; მათ შეეძლოთ ემუშავათ ამქარგარეშე. ეს კანონი უდიდესი სიღარიბის დარტყმა იყო ამქრული ორგანიზაციის სიმტკიცეზე, ძირს უთხრიდა ამქრული ორგანიზაციის არსებობას და ქმნიდა პირობებს მისი დაშლისათვის.

ამქრობის გაუქმება დააჩქარა 1865 წლის ივლისის ამბებმა თბილისში, რომელიც „ამქართა გამოსვლის“ სახელით არის ცნობილი.

1867 წ. 5 აპრილს გამოიცა კანონი ამქრების შესახებ. კანონი ითვალისწინებდა ამქრების სრულ რეორგანიზაციას. სავაჭრო ამქრები სრულიად უქმდებოდა. შეიქმნა ხელოსანთა 17 ამქარი, რომლებშიც გაერთიანდნენ მონათესავე სპეციალობის ხელოსნები. ამის გარდა, დამტკიცდა მუშათა 4 არტელი. ამ კანონით ამქრებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა, ისინი დაუმორჩილეს იმავე წლის 17 ივნისის თბილისში გახსნილ სახელოსნო სამმართველოს („Ремесленная управа“), რომელიც მუდმივ კონტროლს გაუწევდა ამქრების საქმიანობას. იმავე 1867 წ. დებულებით, პირდაპირ დაკანონებული იყო ამ ახალი ამქრების დამოუკიდებლობის შეზღუდვა მინიმუმამდე და მათი დაქვემდებარება სახელოსნო სამმართველოსადმი.

დებულებაში ჩანს ის გარდაქმნები, რომლებიც ხელოსნურმა წარმოებამ განიცადა XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის. მასში პირდაპირ ფიქსირებულია ხელოსნების უფლება, დაიჭირონ ქარგლები და ექსპლოატაცია გაუწიონ მათ. ეს მომენტი კაპიტალისტური წარმოების ნიშნის შეჭრაა ხელოსნურ წარმოებაში. ქარგალი იქცევა დაქირავებულ მუშად. დებულება აკანონებდა ფასების, დაქირავებულის მუშების რაოდენობის და სხვათა შეუზღუდაობას.

ყოველივე ეს ხელსაყრელი იყო მოსული ხელოსნებისათვის. სწორედ ამის შემდეგ ვხვდებით ამქრებში გერმანელ ხელოსნებს, რომლებიც ზოგჯერ გვევლინებიან არა როგორც ამქრის რიგითი წევრები, არამედ უსტაბაშები, კანდიდატები და ხმოსნები (კოტრინი, ზომერი, კლოტცი, შვარცი და სხვა)<sup>161</sup>.

1845—1865 წლებში ხელოსნობა ამიერკავკასიისა და განსაკუთრებით თბილისში სწრაფად ვითარდება. თუმცა ზუსტი ციფრები ხელოსანთა რაოდენობის შესახებ ამ პერიოდში არ მოგვეპოვება, მაგრამ მკვლევარები (პ. გუგუშვილი, მ. სამსონაძე) მიახლოებით აღ-

<sup>161</sup> ნ. როდონაია, დასაბ. ნაშრ., გვ. 117.

გენენ ხელოსანთა რაოდენობას თბილისში: 1845 წელს დაახლო-  
ებით 2100-მდე, 1865 წ. 5600-მდე.

გ. ბაქრაძის აზრით, საქართველოს ხელოსნობა ძირითადად მო-  
სული ხელოსნების ხარჯზე იზრდებოდა<sup>162</sup>. ამ მოსაზრებას უარყოფს  
მ. სამსონაძე, რომელიც ამტკიცებს, რომ თბილისის და საქართვე-  
ლოს ხელოსნობა ძირითადად ადგილობრივი ელემენტის ხარჯზე  
იზრდებოდა. თავისი დებულების დასამტკიცებლად მ. სამსონა-  
ძეს მოჰყავს 1865 წ. ციფრობრივი მონაცემები საარქივო მასალები-  
დან. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ცნობილია,  
რომ მოსული ხელოსნები (გამსაკუთრებით გერმანელები) გადასახა-  
დების შემცირების მიზნით განგებ ამცირებდნენ ხელოსანთა რაო-  
დენობის ამსახველ ციფრებს. ამდენად მოსული ხელოსნების რიცხვი  
ზოგიერთ დოკუმენტში მნიშვნელოვნად უნდა იყოს შემცირებული.  
მაგ. მ. სამსონაძის მონაცემებით, 1865 წ. თბილისში მხოლოდ 2  
უცხოელი (გერმანელი) და 4 ადგილობრივი მეძებვე ოსტატია. მაგ-  
რამ, ჩვენი აზრით, უცხოელ ოსტატთა რიცხვი აქ ძალზე შემცირე-  
ბულია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეძებვეობა ერთ-ერთი  
მნიშვნელოვანი დარგი იყო გერმანელი კოლონისტების საქმიანო-  
ბაში, რადგან ძებვეულზე (ისევე, როგორც სხვა ევროპულ პროდუქ-  
ტებზე, მაგ. შვეიცარულ ყველზე) მოთხოვნილება მნიშვნელოვნად  
იზრდებოდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ მხოლოდ ორი ოსტატი მის-  
დევდა ასეთ სარფიან საქმიანობას<sup>163</sup>. ამდენად, თუ გ. ბაქრაძის მო-  
საზრება მთლიანად მისაღები არა, ანგარიშგასაწევი მაინც არის.

გერმანელ ხელოსანთა რიცხობრივი ზრდის შესახებ წლების  
მიხედვით ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. თუ გერმანელი კოლო-  
ნისტების ჩამოსვლისას მათ შორის იყო 191 ხელოსანი, რომელთა  
უმრავლესობა თბილისში დასახლდა, სხვადასხვა არაპიდაპირი ცნო-

<sup>162</sup> Г. К. Б а к р а д з е, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, Тбилиси, 1958, с. 23.

<sup>163</sup> პ. გუგუშვილს მოჰყავს ერთი საარქივო დოკუმენტი (სსსრ ცსსა, ფ. 26, ს. 4, ფურც. 99—100), რომელიც ერთგვარ პირობით წარმოდგენს ვეიქმნის ამა თუ იმ ერის წარმომადგენელ თბილისელ ხელოსანთა შორის ძირითადი დარგების განაწილების შესახებ. აქ გერმანელ ხელოსანთა ძირითად დარგად სწორედ მეძებვეობაა მიჩნეული. „ქართველები ეწევიან ადგილობრივი (აზიური) ტანისამოსის, ქუდების, ფეხსაცმლების, ტიკების (კუდების) დამზადებას, მისდევენ მეთორნეობას, პარიკმახერობას, დალაპობას; სომხები ამზადებენ ევროპულ ტანსაცმელს, მისდევენ ჯავარჩობას... ლეკები აწარმოებენ იარაღებს. . . ებრაელები არიან მკინძავეები; აისორები — მღებრები, გერმანელები და იტალიელები — მეძებვენი“. . . (პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მონოგრაფიები, ტ. 5, გვ. 222. ამასვე იზიარებს ნ. რ ო დ ნ ა ი ა ც, დასახ. ნაშრ., გვ. 145).

ბების<sup>164</sup> საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თბილისში 1865 წლისათვის დაახლოებით 250—300 გერმანელი ხელოსანი უნდა ყოფილიყო. თუ ამას დაემატებთ 130-მდე ხელოსანს გერმანულ კოლონიებსა და ამიერკავკასიაში სხვადასხვა ქალაქში მომუშავე გერმანელ ხელოსნებს, შეიძლება დავუშვათ, რომ საერთოდ ამერკავკასიაში მათი რიცხვი 1865 წლისათვის 600—650 კაცს აღწევდა. ეს რიცხვი შეიძლება გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ აქ გვაათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გერმანელ ხელოსანთა რიცხვი იზრდება არა მარტო შემდგომში ჩამოსულ ოსტატთა ხარჯზე, არამედ თვით მიწათმოქმედ კოლონისტთა ხარჯზეც, რომელთაგან ერთი ნაწილი უბრუნდება თავის ძველ ხელობას, როგორც უფრო შემოსავლიანს. მეორე ნაწილი კოლონისტებისა — ძირითადად შუათანა ვაყები, რომელთაც მემკვიდრეობით არ ერგოთ მიწის ნაკვეთი და ვერც შეძლეს მისი შექენა, იძულებული ხდებოდნენ ქალაქში საშოვარზე წასულიყვნენ. მათი დიდი ნაწილი სწავლობდა რაიმე ხელობას და ავსებდა ამიერკავკასიის ქალაქების (ძირითადად, თბილისის და ელისავეტპოლის) ხელოსანთა რიგებს.

ელენენდორფის შულცი გეორგ კოფუსი 1835 წ. ითხოვს გაათავისუფლონ ამ საპატრიო თანამდებობიდანაც კი, რადგან იგი არის ხელობით ეტლის მკეთებელი („კარეტნიკი“). როდესაც იგი დასახლდა საქართველოში, ეკიპაჟები ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში, ამიტომ იძულებული იყო ხელი მიეყო მიწათმოქმედებისათვის „და რადგანაც ამჟამად ეს ხელობა მნიშვნელოვან შემოსავალს იძლევა“, იგი ითხოვს: ღართონ მას ნება გადავიდეს თბილისში და გამოუყონ მას თავისუფალი ადგილი რიყეში სამოსახლოდ, სადაც უკვე ცხოვრობდნენ კოლონისტი-ხელოსნები. სანაცვლოდ იგი კისრულობდა კოლონიის განკარგულებაში გადაეცა მთელი თავისი მეურნეობა<sup>165</sup>.

კოლონიიდან ქალაქად ჩამოსული ხელოსნები კოლონიის წევრად ითვლებოდნენ მანამ, სანამ ქალაქის რომელიმე წოდებაში არ ჩაეწერებოდნენ. ეს კი ხშირად დიდხანს გრძელდებოდა. ეს ხელოსანი-კოლონისტები ვალდებული იყვნენ კოლონიის მცხოვრებთა თანაბრად ეხადათ გადასახადები, მაგრამ ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ამისათვის თავის არიდებას. გარდა ამისა, მათ უნდა გადაეხადათ ქალაქში წასასვლელი პასპორტის საფასური ორ მანეთამდე

<sup>164</sup> სტატისტიკური მონაცემებით თბილისში 1865 წ. ცხოვრობდა 1213 გერმანული წარმოშობის პირი (625—მამრ. 584—მდედრ. სსრ ცსსა, ფ. 414, ანაწ. 1, საქმე 4, ფურც. 36). ამ რიცხვში არ შედიან კოლონიიდან ჩამოსული ის ხელოსნები, რომლებიც დროებით იყვნენ ჩაწერილნი თბილისში.

<sup>165</sup> სსსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ. 1, საქმე 9999, ფურც. 1—2.

წელიწადში<sup>166</sup>. მაგრამ იმის შიშით, რომ წასული კოლონისტები-ხელოსნები სხვა გადასახადებს არ გადაიხდიდნენ, კოლონიის კონტრაქტის დევიზებიცა კლილობდა პასპორტის გაცემისას, რაც შეიძლება მეტი გაცდენების მიზეზი გახდეს. ყოველივე ამის შედეგად ხშირი იყო კონფლიქტი ქალაქად წასულ ხელოსნებსა და კოლონიის ადმინისტრაციას შორის<sup>167</sup>. კოლონიიდან წასულ ხელოსანთა რაოდენობა თანდათან იზრდება და 80-იან წლებში მნიშვნელოვან რიცხვს აღწევს. 1890 წლისათვის ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში წასული იყო მართენფელდიდან — 40 კაცი, ალექსანდერსდორფიდან — 38 კაცი, ფრაიდენტალიდან — 6 კაცი, პეტერსდორფიდან — 8 კაცი და ა. შ.<sup>168</sup>

გერმანულ ხელოსნებს (მოწაფეებად) უმთავრესად გერმანელი ყმაწვილები აყავდათ. იმავე გეორგ კოფუსს მოწაფედ აუყვანია გოტლიბ კერერი და პირობა დაუდია, რომ სამ წელიწადში შესწავლიდა ხელობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჯარიმა უნდა გადაეხადა<sup>169</sup>. მეუნაგირე პუგენტს კონტრაქტით მოწაფედ ჰყავდა ქვრივ მეზღერის ვაჟი<sup>170</sup>. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ მშობლები მკაცრად ადევნებდნენ თვალს თავიანთი შვილების მიერ ხელობის შესწავლას. ხოლო თუ მოწაფე ობოლი იყო, მაშინ ამ ფუნქციას მზრუნველი და კოლონიის ადმინისტრაცია („პრიკაზი“) ასრულებდნენ. კოლონია ელენენდორფის ერთ-ერთ შუამდგომლობაში კოლონიებს ზედამხედველისადმი აღნიშნულია, რომ ამ კოლონიის წევრი ობოლი ფრიდრიხ ლოკი უკვე თითქმის ერთი წელია მოწაფედ არის მეჩემე ფრიდრიხ კრომერთან ყარაღაჯში, მაგრამ როგორც მათ შეიტყვეს, კრომერი ლოკს, ხელობის სწავლების ნაცვლად, ბიჭად ამუშავებს თავის დუქანში. ამიტომ მზრუნველი და სოფლის ადმინისტრაცია ითხოვდნენ, ჩამოეშორებინათ ლოკი ხელოსან კრომერისაგან და გადაეყვანათ თბილისში, სადაც იგი შეძლებდა ხელობის შესწავლას დამთავრებას და დაიწყებდა დამოუკიდებელ მუშაობას<sup>171</sup>.

გერმანულ ხელოსანთა რიცხოვრივი ზრდის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენაც, რომ 40-იან და შემდგომ წლებში თბილისში, ადგილობრივ ხელოსანთა ამქრებისაგან თავდასაცავად შეი-

<sup>166</sup> სსსრ ცსსა, ფ. 244, ანაწ. 6, საქმე 1103; ანაწ. 7, საქმეები 76, 77, 196.

<sup>167</sup> იქვე, საქმეები 1096, 1103, 1108.

<sup>168</sup> იქვე, ანაწ. 7, საქმე 196.

<sup>169</sup> სსსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ. 1, საქმე 9963, ფურც. 12.

<sup>170</sup> სსსრ ცსსა, ფურც. 30.

<sup>171</sup> იქვე, ფურც. 62.

ქმნა რამდენიმე ე. წ. „უცხოელთა“ ამქარი, რომელშიც ძირითადად გერმანელები იყვნენ გაერთიანებული და ამიტომაც ამქრის მამასახლისად (უსტაბაშად) ყოველთვის გერმანელს ირჩევდნენ. ეჭვქვეშა დევ 1846 წელს ამქარს ქმნიან გერმანელი მეჩეკეები, ადგილზე კეთარ წესდებას და მამასახლისად ირჩევენ კარლ ბემლერს<sup>172</sup>.

60-იანი წლების დასაწყისში თბილისში ამქარი შეუქმნიათ გერმანელ მეფუნთუშეებს და მამასახლისად აურჩევიათ გერმანელი ქრისტეფორე კლოტცი<sup>173</sup>. ამავე ხანებში შეუქმნიათ გერმანელ ხელოსნებს ეტლის მკეთებლების ამქარიც, რომლის მამასახლისი კოტრინი ყოფილა<sup>174</sup>.

აღნიშნულ ამქრებს ჰქონდათ თავისი წესდებები, რომლებიც ადგილობრივი ამქრების წესდების გავლენით იყო შედგენილი. მაგრამ ამავე დროს მათში, ამქრული შუზღუდულობისაგან განსხვავებით, იგრძნობოდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვის გავლენით გამოწვეული ზოგიერთი თავისუფლება. მაგალითად, მეფუნთუშეთა ამქრის წესდება არ განსაზღვრავდა არც ქარგლის და არც შევირდის რაოდენობას, ხოლო დაჭირავებული მუშები კი რამდენიც სურდათ, იმდენი შეეძლოთ ჰყოლოდათ. საბუთი პირდაპირ მიუთითებს:

«Для удобства жителей, каждый булочник может посылать по городу неограниченное число разносчиков»<sup>175</sup>.

ეს უკანასკნელი ამქარი ძირითადად გერმანელი და რუსი ოსტატებისაგან შედგებოდა, თუმცა მასში არც ადგილობრივი ხელოსნების ყოფნა იყო გამორიცხული. რომ ამ ამქარში მოსული ხელოსნები წარმოადგენდნენ უმრავლესობას, ადასტურებს წესდების ერთ-ერთი მთავარი პუნქტი, რომლითაც ამქრის სალაროს ძირითადი დანიშნულება იყო ფულადი დახმარება გაეწია ამქრის წევრებისათვის სამშობლოში გასამგზავრებლად. მოსული, უმეტესად უცხოელი ხელოსნების მიერ ცალკე ამქრის შექმნა 40-იანი წლებიდან უკვე გავრცელებულ სახეს იღებს. ეს პროცესი 60-იან წლებამდე გრძელდება; მას შემდეგ, რაც 1867 წ. კანონით ადგილობრივი ამქრები ფაქტიურად დაშალეს, ზემოთ ხსენებული ტიპის ამქრების შექმნის საპირობეაც აღარ არსებობდა.

ხელოსნობის მთელ რიგ დარგებში გერმანელი ხელოსნები, ისევე როგორც მოსული ხელოსნების უმრავლესობა, ამქრული შეზღუ-

<sup>172</sup> ი ქ ვ ე. საქმე 9015.

<sup>173</sup> ი ქ ვ ე. ფონდი 26, ანაწ. 2, საქმე 1854.

<sup>174</sup> ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

<sup>175</sup> მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

დევებისაგან თავისუფალ დამოუკიდებელ სახელოსნოებში მუშაობდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, კოლონისტი ხელოსნის ფრიდრიხ რერხერის ტყავის სახელოსნო. რერხერი სხვადასხვა დასახელებით ზაკმაოდ მაღალი ხარისხის ტყავს ამზადებდა, რომელთაც 1850 წ. თბილისში მოწყობილ გამოფენაზე კარგი შეფასება მიუღლიათ<sup>176</sup>. ტყავის დამუშავების დარგში აღსანიშნავია, აგრეთვე, ბერნარდ კრაუსის სახელოსნო, კრაუსი 1842 წელს ჩამოვიდა თბილისში, ერთხანს სხვა ოსტატთან მუშაობდა ქირით. შემდეგ დაგროვილი ფულით საჭირო მოწყობილობა შეუძენია კოლონისტებისაგან და პატარა სახელოსნო მოუწყვია, სადაც ერთ დამზმარე მუშასთან ერთად მუშაობდა. მოგვიანებით იგი იწყებს ზრუნვას თავისი სახელოსნოს გაფართოებისათვის<sup>177</sup>.

ტყავის დამამუშავებელ წარმოებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბრანდტის მიერ 1862 წელს მოწყობილი სახელოსნო<sup>178</sup>. მასში ბრანდტის გარდა ორი ოსტატი და 5 მუშა მუშაობდა. აქ მზადდებოდა სხვადასხვა სახის ტყავეული, რისთვისაც თანდათან მეტ მანქანას იყენებდნენ. ამდენად ეს საწარმო კაპიტალისტური სახელოსნო იყო.

1843—46 წლებში თბილისის კოლონიასთან სანთლის და საპნის მნიშვნელოვანი საწარმო მოუწყვია ფრანც შულცს<sup>179</sup>. ცოტა მოგვიანებით საპნის დამამზადებელი საწარმო მოუწყვია ადოლფ ბაბის, სადაც 4 მუშა მუშაობდა.

1850 წ. თამბაქოს დამამზადებელი სახელოსნო გაუხსნია კოლონისტ ზალცმანს<sup>180</sup>.

1854 წ. ლიქიორის და სხვა დასაპირტული სასმელების წარმოებას შედგომია პრუსიელი კალაინი. მისი პროდუქცია საკმაოდ მაღალი ხარისხის ყოფილა. 60-იან წლებში კალაინს წარმოება გაუფართოებია, რისთვისაც ევროპაში შეუძენია საჭირო მანქანა-იარაღები<sup>181</sup>.

თბისს ქურქლოს მოზრდილი სახელოსნო ჰქონია კოლონისტ გეორგ ზაიცერს. იგი საკმაოდ კარგი ხარისხის ქურქელს ამზადებდა.

<sup>176</sup> ЦГИАЛ, Ф. 398, оп. 14. л. 4522, лл. 22—23.

<sup>177</sup> მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

<sup>178</sup> სსსრ ცსსა, ფ. 548, ანაწ. 2, საქმე 490, ფურც. 3.

<sup>179</sup> С. Г. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1888, стр. 107.

<sup>180</sup> დ. ცინცაძე, თამბაქოს ფაბრიკები საქართველოში მე-19 ს. მეორე ნახევარში. საქ. სახ. მუზ. მოამბე ტ. 25, 1968, გვ. 230.

<sup>181</sup> მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

1854 წელს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების თხოვნით მას გამოფენისათვის დაუმზადებია სხვადასხვა ფერის, ტიპის, მცალი ჭურჭელი, რომელთაც მნახველთა საერთო მოწონება დაუმატებიათ<sup>182</sup>.

ლუდის დამზადებას თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში გერმანელი კოლონისტების მიერ დაარსებული საწარმოებით ეყრება საფუძველი. 1850 წ. თბილისის კოლონიაში მცირე ზომის ლუდსაზარში დაუარსებია მადერს. მის მიერ გამოშვებულ შავ უხარისხო ლუდს ისევ კოლონისტები იძენდნენ<sup>183</sup>. 1865 წ. დაარსდა ვეტცელის ქარხანა, სადაც ბავარიულ ლუდს ამზადებდნენ. მალე იმავე გერმანულ კოლონიაში გაიხსნა ორი ლუდის ქარხანა დიტრიხის და გუტბროდისა<sup>184</sup>. ამ საწარმოებში 3—6 მუშა მუშაობდა და ძირითადად ხელით შრომა იყო გაბატონებული. შემდგომში მადერსა და დიტრიხს საკმაოდ გაუფართოებიათ თავიანთი საწარმოები. 90-იან წლებში ეს საწარმოები მანქანურ წარმოებაზე გადასულან<sup>185</sup>. დიტრიხს, გარდა ამ საწარმოსი, ლუდის მოზრდილი სავაჭროებიც ჰქონია.

80-იან წლებში ლუდის მოზრდილი საწარმო მოუწყვია ქრ. ფორერს ქ. ელისავეტპოლის მახლობლად<sup>186</sup>.

ლუდის წარმოებასთან ერთად გერმანელ კოლონისტებს მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიუღიათ ხელოვნური მინერალური წყლების და ლიმონათის დამზადებაშიც.

ხელოვნურ მინერალურ წყლებს ამზადებდა მხოლოდ ფარმაცევტი ზემელი. იგი ამზადებდა სხვადასხვა სახის ხელოვნურ მინერალურ წყალს: ვიშის, უნგრულს, კარლსბადის, ემსის და სხვა. 1881 წ. დაარსებულ მის საწარმოში მუშაობდა 5 მუშა, რომლებიც წლიურად 6000 მანეთის პროდუქციას ამზადებდნენ<sup>187</sup>. ზემელს მოუწყვია ხელოვნური ყინულის წარმოებაც<sup>188</sup>.

1879 წ. ლიმონათის „ქარხანა“ გაუხსნია ფრიც მადერს. საწარმოში მუშაობდა 6 მუშა და წლიური პროდუქციის ღირებულება

<sup>182</sup> სსსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. 1, საქმე 7, ფურც. 1, 2, 4.

<sup>183</sup> С. Гулишамбаров, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

<sup>184</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>185</sup> ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 145.

<sup>186</sup> А. С. Сумбат-заде. Промышленность Азербайджана в XIX в., Баку, 1964, стр. 337.

<sup>187</sup> С. Гулишамбаров, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

<sup>188</sup> იქვე, გვ. 138.



შეადგენდა 7 500 მანეთს. ასეთივე ქარხნები ჰქონიათ ლუდვიგ შპელცერს (გაიხსნა 1884, 3 მუშით და 5 000 მან. წლიური პროდუქციით) და ჰენრიხ ვენაგელს (გაიხსნა 1882 წ. 4 მუშით და 5 000 მან. წლიური პროდუქციით)<sup>189</sup>.

1886 წ. ქ. გორში ლიმონათის წარმოება მოუწყვია კარლ შებფს<sup>190</sup>. აღნიშნულ საწარმოებში საკმაოდ მდარე ლიმონათები მზადდებოდა, რომლებიც ზოგჯერ მავნე მინარევებსაც შეიცავდნენ<sup>191</sup>.

1860 წლიდან თბილისში არსებობდა ერნესტ ზომერის მექანიკური სახელოსნო, რომელიც ლითონის სხვადასხვა ნაკეთობებს აწვდიდა როგორც თვით ქალაქს, ისე მთელ ამიერკავკასიას. სახელოსნოში 10 ქარგალი და 12 შეგირდი მუშაობდა<sup>192</sup>. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სახელოსნოს მიერ 50 ცალი სიმინდის საფშენელი ხელის მანქანის დამზადება 1862 წ. აღნიშნული მანქანები მათ სოფლის მეურნეობის სამმართველომ შეუქვეთა, თითოეული 30 მანეთად. ეს მანქანა 1862 წლის საშემოდგომო გამოფენაზე წარუდგინიათ და საერთო მოწონება დაუმსახურებია, შემდგომში ზომერს თავისი წარმოება მნიშვნელოვნად გაუფართოებია.

60-იანი წლების ბოლოსათვის მექანიკური სახელოსნო გაუხსნია პრუსიელ ფრანკენს, სადაც ძირითადად აწარმოებდნენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების დამზადება-შეკეთებას.

70-იანი წლების ბოლოსათვის იგი ფრანკენის ქვრივის ლეიზა ფრანკენის ხელში გადასულა. ამ დროისათვის აქ 8 მუშა მუშაობდა; სახელოსნო წლიურად 4000 მან. პროდუქციას აწარმოებდა.

1883 წელს თბილისში მექანიკური სახელოსნო გაუხსნია ემანუილ შვარცს. თვით შვარცი აქ ფიზიკურად არ მუშაობდა. იგი სახელოსნოს ნაწარმით ვაჭრობდა. სახელოსნოში 12 მუშა მუშაობდა, მათ შორის 8 მცირეწლოვანი. საწარმოს წლიური პროდუქცია 10 000 მანეთს შეადგენდა.

1900 წლისათვის შედარებით მსხვილი საწარმო (მექანიკური ძრავის გარეშე) გაუხსნია ბებლეს. ამ მსხვილ სახელოსნოში მუშაობდა, ერთი წყაროს ცნობით, 13—14, ხოლო მეორესი — 21 მუშა. ასევე წლიური პროდუქცია ერთ შემთხვევაში ნაჩვენებია 5—6 ათასი მან, ხოლო მეორეში 10 000 მან. ამ საწარმოში 1901 წლიდან გაზის ძრავაც ჩნდება<sup>193</sup>.

<sup>189</sup> ცსსა, ფ. 204, საქმე 654, ფურც. 23—27.

<sup>190</sup> იქვე.

<sup>191</sup> С. Гулишамбаров, დასახ. ნაშრ., გვ. 137.

<sup>192</sup> ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

<sup>193</sup> იქვე, გვ. 133.

მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ გერმანელი ხელოსნები ავეჯის წარმოებაშიც. 1846 წელს ფრიდრიხ ზაიტცერს თბილისში დაუარსებია ავეჯის სახელოსნო, რომელიც შემდგომში თანდათან გაუფართოებია და 80-იანი წლებისათვის უკვე კაპიტალისტურ საწარმოდ უქცევია. საწარმო ამზადებდა ყოველგვარ ავეჯს და მაღალი ხარისხის პარკეტს. აქ ამ დროისათვის მუშაობდა 40 მუშა, მათ შორის 15 მცირეწლოვანი. ფაბრიკის წლიური პროდუქცია 40 000 მან. შეადგენდა.

1877 წელს ავეჯის სახელოსნო გაუხსნია რენცს. აქ მზადდებოდა: კარ-ფანჯარები, მაგიდები, სკამები, კარადები. საწარმოში მუშაობდა 6 კაცი, რომლებიც წლიურად 7000 მანეთს პროდუქციას ამზადებდნენ.

ეტლების წარმოებაში აღსანიშნავია მეორე გილდიის ვაქრის ანდრია კოტრინის საწარმო, რომელიც 1884 წელს დაარსდა. იგი წელიწადში 10 ეტლს და 40 საზიდარს ამზადებდა — სულ 10 400 მან. ღირებულების პროდუქციას. კოტრინის საწარმოში 20—24 კაცი მუშაობდა. სახელოსნო მდებარეობდა თბილისის გერმანელთა კოლონიაში კოტრინის საკუთარ სახლში.

ეტლების დამამზადებელი უფრო მცირე სახელოსნო ჰქონდა დავით მაიერს.

გარდა ამიერკავკასიის ქალაქებისა, გერმანელი ხელოსნები მნიშვნელოვანი რაოდენობით იმყოფებოდნენ თვით გერმანულ კოლონიებშიც. სადაც ხელოსნობა ერთგვარი სპეციფიკურობით ხასიათდებოდა.

ჩამოსახლებისთანავე გერმანულ კოლონიებში შეიქმნა სოფლის მეურნეობისათვის ისეთი აუცილებელი სახელოსნოები, როგორიც იყო სამჭედლოები და სადურგლოები. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კოლონიებში ხელოსნობის ისეთი დარგების განვითარებას, როგორიც იყო მეფურგონეობა და მეკასრეობა. კოლონისტების მიერ დამზადებული ფურგონები იხმარებოდა არა მარტო კოლონიებში, არამედ მის გარეთაც და თანდათან უფრო პოპულარული ხდებოდა ადგილობრივ მოსახლეობაში. 80-იანი წლებიდან გერმანელი კოლონისტების მიერ დამზადებული ფურგონები გაჰქონდათ კასპიის ზღვის აღმოსავლეთითა<sup>194</sup>. ფურგონების დამზადება განუზრვლად იზრდება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, — განსაკუთრებით თურქეთთან ომების პერიოდში სახელმწიფო დაკვეთებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი რაოდენობით

<sup>194</sup> Ф. Циммер, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

ფურგონებს აწარმოებდნენ ელენენდორფში, ეკატერინენფელდსა და ელიზავეტალში. მარტო კოლონია ელენენდორფში მზადდებოდა წელიწადში 300-ზე მეტი ფურგონი. ამ დარგის განვითარება გამოწვეული იყო ფურგონების მაღალი ფასით. გერმანული ფურგონი 200—300 მანეთად იყიდებოდა; ხოლო რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომის დროს სამხედრო უწყება მასში 300—500 მან. იხდიდა<sup>195</sup>. მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად ვითარდება მეკასრეობაც.

გერმანულ კოლონიებში სხვადასხვა წლების მიხედვით ხელოსნების რაოდენობის შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი 5<sup>196</sup>:

ცხრილი 5

კოლონიების დასახელება		ალექსანდრე-სლორფი	მარინენფელდი	პეტერს-დორფი	ელიზავეტალი	ეკატერინენფელი	ფრაიდენშტატი	ალექსანდრისკოლფი	მანეხ-დორფი	ანენფელდი	სულ
ხელოსნობის დარგები	წლები										
ღვრულები	1854	1	2	—	3	2	—	—	2	1	11
	1863	—	2	—	2	2	—	1	4	1	12
	1873	—	1	—	2	2	—	1	9	—	15
ხუროები	1854	1	—	1	3	3	1	—	—	—	9
	1863	—	—	—	5	5	1	2	—	1	14
	1873	—	—	—	4	5	1	5	—	1	16
მეკასრეები	1854	1	1	—	2	1	—	—	3	1	9
	1863	—	2	—	2	4	—	2	4	1	15
	1873	—	2	1	4	2	—	1	4	1	15
მკედლები	1854	1	1	—	5	3	—	—	6	1	17
	1863	1	1	2	4	4	—	2	8	2	24
	1873	4	1	2	6	7	—	—	20	2	42
კალატოზები	1854	1	—	—	6	—	—	—	7	—	14
	1863	—	2	3	4	—	—	3	2	—	14
	1873	—	—	2	5	—	1	2	—	1	11
მეჩეკეები	1854	—	2	1	2	1	—	—	3	—	9
	1863	—	4	2	1	1	2	2	3	1	16
	1873	—	2	1	2	2	1	2	2	1	13
მკერავები	1854	—	—	—	2	2	—	—	3	—	7
	1863	—	1	1	1	3	1	—	3	1	11
	1873	—	1	—	—	2	—	—	3	2	8
ეტლის (ანუ ფურგონის) მკეთებლები	1854	—	—	—	4	2	2	—	5	—	13
	1863	1	1	1	3	2	1	1	9	1	20
	1873	3	2	1	3	5	1	1	31	1	48
ხარატები	1854	—	—	—	2	—	—	—	—	—	2
	1863	—	—	—	—	1	—	1	—	—	1
	1873	—	—	—	1	—	—	1	—	—	2

<sup>195</sup> МНЭБГКЗК, т. I, вып. II, 1885, стр. 128, 135.

<sup>196</sup> სსსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. 1, საქმე 95, ფურც. 55; ფ. 416, ანაწ. 3, საქმე 242, ფურც. 7; ფ. 241, ანაწ. 3, საქმე 63, ფურც. 9.

აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, რომ 20 წლის მანძილზე ხელოსანთა რიცხვი გერმანულ კოლონიებში, განსაკუთრებით ფურცონის მკეთებელთა და მჭედელთა, მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული წლების მიხედვით ყველა დარგის ხელოსანთა საერთო რაოდენობა გერმანულ კოლონიებში შემდეგ სურათს იძლეოდა: 1854 წ. — 91 ხელოსანი, 1863 წ. — 128 ხელოსანი, 1873 წ. — 172 ხელოსანი<sup>197</sup>.

1873 წლის შემდეგ ასეთი დაწვრილებითი ცნობები გერმანულ კოლონიებში ხელოსანთა რაოდენობის შესახებ აღარ მოგვეპოვება. მაგრამ მაინც გვაქვს ცალკეული მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ხელოსნობა ამ კოლონიებში მნიშვნელოვნად უნდა განვითარებულიყო როგორც ძველი დარგების გაფართოების, ისე ახალი დარგების წარმოქმნის შედეგად. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ხელოსანთა რაოდენობა ბორჩალოს მაზრის 2 გერმანულ კოლონიაში (ეკატერინენფელდი, ალექსანდერსპილფი) 1888 წელს და მისი შეფარდება ამავე მაზრის ხელოსანთა საერთო რაოდენობასთან<sup>198</sup> (იხ. ცხრილი 6):

ცხრილი 6

ხელოსნობის დარგები	დურგლები	ხურბები	ზეინკლები	მეთუნეშტები	მეურავები	მეჩქმეები	მკედლები	ნალბანდები
კოლონისტ ხელოსნები	12	11	5	2	2	4	14	5
დანარჩენი ხელოსნები	54	130	11	6	48	24	88	76

თუ ამ მონაცემებს შევადარებთ 1873 წ. მონაცემებთან ამ ორი კოლონიის შესახებ, დავინახავთ, რომ გაზრდილა ძველი დარგების ხელოსანთა რაოდენობა. 1888 წელს კოლონიებში გაჩნდნენ ისეთი დარგების ხელოსნები, რომლებიც ადრე არ გვხვდებოდნენ — ზეინკლები, მეთუნეშტები; მოხდა ზოგიერთი ხელოსნური დარგის დიფერენციაცია — მჭედლობას გამოეყო ნალბანდობა.

გერმანულ კოლონიებში მომუშავე ზოგიერთი დარგის (მეფურგონეები, მეკასრეები, მჭედლები) ხელოსნები მუშაობდნენ არა მარ-

<sup>197</sup> 1873 წ. უწყისში ხელოსნების რიცხვში ჩათვლილია ორი ყველის მკეთებელი კოლონისტი ალექსანდერსპილფიდან.

<sup>198</sup> სსსრ ცსსა, ფ. 415, ანაწ. 1, საქმე 320, ფურც. 59.

ტო თავისი კოლონიის, არამედ მეზობლად მდებარე სოფლებს მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.<sup>199</sup> მნიშვნელოვნად იყო განვითარებული გერმანულ კოლონიებში მეფორნეობა (НЗВ03). მეფორნეობას უმთავრესად თბილისის მახლობლად მდებარე კოლონიების (განსაკუთრებით ალექსანდრისდორფის) შედარებით ღარიბი კოლონისტები მისდევდნენ. ხელისუფალთა ზრუნვა არც ამ დარგში მოკლებია კოლონისტებს — ისინი განთავისუფლებული იყვნენ მეფორნეობისათვის ბაჟის გადახდისაგან<sup>199</sup>. თავისი ფურგონებით კოლონისტებს გადაჰქონდათ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ტვირთები. გადაზიდვის ფასი საკმაოდ მაღალი იყო. ერთი ოთხცხენიანი ფურგონის ერთი სამუშაო დღით დაქირავება საშუალოდ 5 მან. ღირდა, ხოლო მანძილის მიხედვით დაქირავებისას ცხენ/ვერსტი 4 კაპიკი, ე. ი. ოთხცხენიანი ფურგონის მიერ ყოველ ვერსტზე ტვირთის გადატანა 16 კაპიკი ღირდა<sup>200</sup>. ამიერკავკასიაში ტრანსპორტის ნაკლებობის პირობებში მეფორნეობა მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა კოლონისტებს. მაგალითად, 1856 წლის დასაწყისში თბილისის გუბერნიის კოლონისტებს ელისავეტპოლიდან თეთრ წყაროში თბილისზე გავლით გადაუზიდავთ 2 082 ჩეტვერტი საბაზინო პურის ფქვილი და ბურღული, ჩეტვერტი 3 მან. და 50 კაპ., რაშიც სულ მიუღიათ 7 287 მან.<sup>201</sup>

კოლონისტებს ბეგარის სახით ევალებოდათ გარკვეული რაოდენობის და საზის (უმთავრესად, სამხედრო) ტვირთების გადატანაც (подводная повинность), მაგრამ ისინი, როგორც წესი, ნაკლებად ასრულებდნენ ამ ბეგარას.

80-იანი წლების დასასრულისათვის, ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით, მეფორნეობის მნიშვნელობა ეცემა და იგი თანდათან მცირდება.

ადგილობრივისაგან განსხვავებით, მოსულ ხელოსნებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა დაქირავებული შრომის გამოყენება. 60-იანი წლებისათვის ერთ გერმანელ ოსტატზე საშუალოდ 4—5 ჭარგალი, შეგირდი და მუშა მოდიოდა. ყველა ესენი უნდა განეხილოთ, როგორც დაქირავებული მუშები<sup>202</sup>. მაგრამ მუშათა

<sup>199</sup> სსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. 1, საქმე 53.

<sup>200</sup> სსრ ცსსა, ფ. 244, ანაწ. 7, საქმეები, 117. 511, ფურც. 9—10.

<sup>201</sup> სსრ ცსსა, ფ. 239, ანაწ. 1, საქმე 554, ფურც. 31—32.

<sup>202</sup> ე. ხ. ო. შ. ტ. ა. ა., დამუშავებული მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. 30—60-იან წლებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1958, გვ. 156.

რაოდენობა ყველგან თანაბარი არ იყო. ამ დროიდან გერმანელი ხელოვნებისაგან, რომლებიც თავისუფალი იყვნენ ამქრულე კაპიტალისტური საწარმოები, რომლებშიც 10 და მეტი დაქირავებული მუშა მუშაობდა. ასეთები იყო, მაგალითად: შვარცის სახარაზო სახელოსნო, სადაც დაქირავებული იყო 12 ქვეოსტატი და 2 შევირდი; გეკ-შტეტერის სასარაჯო სახელოსნოში 6 ქვეოსტატი და 4 შევირდი მუშაობდა, ბებლეს მექანიკურ სახელოსნოში — 21 მუშა, ზაიტცერის ავეჯის სახელოსნოში—25 ქვეოსტატი და 15 შევირდი და ა. შ.

დამახასიათებელია, რომ დროთა ვითარებაში ასეთი ტიპის სახელოსნოთა რაოდენობა თანდათან იზრდება. ძველ სახელოსნოთა ადგილს ახალი სახელოსნოები იჭერენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ თანდათან ირღვევა ძველი, ამქრულ ტრადიციებზე დამყარებული, ხელოსნობა, ხოლო მის ადგილს თვისობრივად ახალი, წვრილი საქონლური წარმოება იჭერს. ამ უკანასკნელის არსებითი დამახასიათებელი ნიშანი ბაზრისათვის თავისუფალი წარმოება იყო. იგი ვითარდება საქალაქო ცხოვრების ზრდისა და ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ „წვრილი სასაქონლო წარმოების ტენდენცია იზრება დაქირავებული შრომის სულ უფრო მეტი გამოყენებისაკენ, კაპიტალისტური სახელოსნოების შექმნისაკენ“<sup>203</sup>, რასაც ამიერკავკასიაში მთელი XIX ს. მანძილზე აქვს ადგილი და რაშიც გარკვეული როლი გერმანელმა ხელოსნებმაც ითამაშეს.

წვრილი საქონლური წარმოების განვითარებას კაპიტალისტური საწარმოების დაარსებამდე მივყავართ. ვ. ი. ლენინი წერდა: „წვრილ საქონელმწარმოებელთა მიერ შედარებით მსხვილი სახელოსნოების დაარსება წარმოადგენს მრეწველობის უფრო მაღალ ფორმაზე გადასვლას. დაქაჩასული წვრილი წარმოებიდან იქმნება კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია“<sup>204</sup>.

ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, რომ გერმანელ ოსტატთა სახელოსნოების უმრავლესობა წვრილ-საქონლურ წარმოებას განეკუთვნებოდა, ხოლო მათი ნაწილი უკვე შედარებით მსხვილ სახელოსნოებს წარმოადგენდა, სადაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა აშკარა ნიშნებს ვხვდებით. ეს უკვე 4—5 მუშაიან სახელოსნოებზედაც ითქმის. მართალია, ეს სახელოსნოები, როგორც წესი, მათ მე-

<sup>203</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 404.

<sup>204</sup> იქვე, გვ. 413.

პატრონე ოსტატს იმდენ შემოსავალს არ აძლევდნენ, რომ განთავსუფლებულიყო ფიზიკური შრომისაგან, მაგრამ გარკვეულ მოგებას მაინც ჰქონდა ადგილი, რაც ხელსაყრელ პირობებში წარმოების შემდგომი გაფართოებას საწინდარი იყო.

მარქსი მიუთითებს, რომ კაპიტალისტური წარმოება იწყება მას შემდეგ, როცა მეწარმის კაპიტალი იმ მინიმუმს აღწევს, რაც აძლევს მას საშუალებას, იყოლიოს მუშათა გარკვეული რიცხვი, რომელთა მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულებების მასა საქმარისია თვითონ ექსპლოატატორის გასათავისუფლებლად ხელით შრომისაგან, წვრილი ხელოსნის კაპიტალისტად გადასაქცევად<sup>205</sup>.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩვენ გვაქვს გერმანელ ხელოსანთა საწარმოს გაფართოებისა და კაპიტალისტური სახელოსნოების წარმოქმნის არაერთი მაგალითი. სტატისტიკაში ზმირად ისინი იხსენიებიან როგორც „ფაბრიკები“ და „ქარხნები“, მაგრამ მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი იმსახურებს ამ სახელწოდებას. ამ უკანასკნელთა მფლობელები კი უკვე ხელოსნები კი არა, კაპიტალისტები არიან და, მართლაც, ზოგჯერ ისინი „ფაბრიკანტებად“ იხსენიებიან.

მეორეს მხრივ, ადგილი აქვს კაპიტალისტური განვითარებით გამოწვეულ აუცილებელ საწინააღმდეგო პროცესსაც; მრავალი წვრილი გერმანელი ხელოსანი კოტრდება და იძულებული ხდება საწარმო დახუროს, ან სხვას გადასცეს.

გერმანელ კოლონისტთა მიმართ ამ მხრივ საილუსტრაციოდ ლუდის წარმოება განვიხილოთ. 80-იანი წლებისათვის აქ თუ, ერთი მხრივ, ვეტცელი, მადერი და დიტრიხი აფართოებენ წარმოებას, გუტბროდი იძულებული გახდარა საწარმო სხვისთვის (ნ. ლორთქიფანიძისათვის) გადაეცა. ამავ დროს ვეტცელის, მადერის და დიტრიხის ქარხნებში ვხვდებით დაქირავებულ გერმანელ მუშებს. მართალია, მათ შედარებით მაღალი თანამდებობები ეჭირათ (ბუხჰალტერი, მოლარე, მთავარი ოსტატი, ოსტატი), რაც შეიძლება გერმანული ნაციონალიზმით აიხსნას, მაგრამ მაინც დაქირავებულნი იყვნენ, რომლებიც განიცდიდნენ ექსპლოატაციას და რომელთა საარსებო წყაროს მათი პირადი შრომა წარმოადგენდა. დაწვრილებითი ცნობები ამ დაქირავებულ მუშების შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ყოფილი სახელოსნოს მფლობელი იყო. ამგვარად, აქ ადგილი აქვს გარკვეულ დიფერენციაციას.

<sup>205</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბილისი, 1954, გვ. 420.

ამიერკავკასიის ვაჭრობაში გერმანელმა კოლონისტებმა შედარებით უმნიშვნელო როლი ითამაშეს. საშუაშაველო ვაჭრობას ისინი თითქმის არ ეწეოდნენ. კოლონისტების მონაწილეობა ამიერკავკასიის ვაჭრობაში ძირითადად გამოიხატებოდა საკუთარი ნაწარმის — ხელოსნების თუ სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციაში. 1836 წელს შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში გადასახადების გაწერის შესახებ ლაპარაკია იმ კოლონისტებზე, რომლებიც ერთსა და იმავე დროს „ქ. თბილისში ეწევიან ხელოსნობას და ვაჭრობას“<sup>206</sup>.

ვაჭართა ცალკე ფენა, როგორც ასეთი, გერმანელ კოლონისტთაგან თითქმის არ ჩამოყალიბებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ XIX ს. მიწურულს თბილისში ჩამოსულ თითო-ორილა გერმანელი ვაჭრის, ან სავაჭრო კომპანიის საქმიანობას (მაგ. აუფერმანი, მაიერის სავაჭრო სახლი და სხვ.). ამიტომაც ცნობები გერმანელი კოლონისტების სავაჭრო საქმიანობის შესახებ ამიერკავკასიაში ძალზე მცირე მოგვეპოვება.

საკუთარი ნაწარმით ვაჭრობა-გასაღებას გერმანელი ხელოსნები, ბუნებრივია, იწყებენ ამიერკავკასიაში ჩამოსახლებიდანავე, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტებით XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა მათ შეძლეს მიეღწიათ პირველი სამეურნეო წარმატებებისათვის.

როგორც ზემოთ ვნახეთ, კოლონისტებს მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა ისეთი პროდუქტებით ვაჭრობა, როგორიც იყო სხვადასხვა ხელოსნური ნაწარმი, ღვინო, კარტოფილი, ფქვილეული, მეცხოველეობის პროდუქტები და სხვა. მაგრამ გაყიდული პროდუქტების, ან მიღებული თანხის რაოდენობის დადგენა სხვადასხვა წლებისათვის შეუძლებელი ხდება ცნობების უქონლობის გამო.

ვაჭრობისას კოლონისტები ცდილობდნენ მაქსიმალური მოგების მიღებას და ხშირად არ ერიდებოდნენ არსებული კანონების დარღვევასაც.

1841 წ. ქ. ელისავეტპოლის სააქციზო სამმართველოს გამგემ წიკლაურმა საჩივრით მიმართა გერმანული კოლონიების სამმართველოს უფროსს ენკელმანს<sup>207</sup>, საჩივარში ნათქვამი იყო, რომ კოლონისტები დიდი რაოდენობით ყიდიან ღვინოს და არაყს, ამავე დროს

<sup>206</sup> სსსრ ცსსა, ფ. 16, საქმე 4883, ფურც. 22.

<sup>207</sup> სსსრ ცსსა, ფ. 227, ანაწ. I, საქმე 23, ფურც. 1—2.



ცდილობენ მის მალულად გატანას კოლონიიდან ქალაქის გავლით და არ იხდიან 1834 წლის 11 ნოემბრის კანონით დადგენილ სააკტებს. ზოგადსახადს, რის გამოც ხაზინა მნიშვნელოვან თანხას კარგავს. ჩვენთვის ცნობილი არ არის, როგორ დამთავრდა ეს საჩივარი, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, პირადი შემოსავლას გადაღების სურვილით შეპყრობილი კოლონისტები ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ სახელმწიფო კანონმდებლობას.

ასევე თბილისის მაზრის სამმართველოს მდივანმა არეშევმა ელიზავეტალში მივლინებისას გამოარკვია, რომ კოლონიაში მაგარი სასმელებით ვაჭრობა წარმოებდა სათანადო ნებართვის გარეშე, როდესაც არეშევმა მოინდომა აეძულებინა სასმელების გამყიდველნი შეეძინათ ვაჭრობისათვის საჭირო ნებართვა, კოლონისტები არ დაემორჩილნენ მას. მხოლოდ გუბერნიის ხელისუფალთა ჩარევით იქნა მოწესრიგებული ეს საქმე<sup>208</sup>.

კოლონისტები ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ, რაც შეიძლება ძვირად გაეყიდათ საქონელი. თბილისში არსებული მებაღეობის სახელმწიფო სასწავლებლის 1851 წ. ანგარიშ-მოსხენებაში ნათქვამია, რომ „საშუალო მოსაელიანობის დროს თბილისელი (გერმანელი) კოლონისტები არ მორცხვობენ დაადვან მეტად მაღალი ფასები თავიანთი ბაღების პროდუქტებზე, ხოლო მომხმარებელნი, რამდენადაც საშუალება არა აქვთ იყიდონ სხვაგან, — კოლონისტებისაგან, როგორც იტყვიან, ყიდულობენ ზილს თავის წონა ოქროთი თუ არა, ვერცხლით მაინც“<sup>209</sup>.

გერმანულ კოლონიებში 50-იანი წლებიდან ჩნდება ღუქნები, საყასბოები და სხვა სავაჭრო ობიექტები, ამ ობიექტებში თვით კოლონისტები თითქმის არ ვაჭრობდნენ; უმეტეს შემთხვევაში ისინი იჯარით აძლევდნენ მოსულ პირებს.

კოლონიებში მოსული უცხო ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის კოლონიებს სპეციალური დადგენილება-წესდებებიც კი შეუქმნავენ. განვიხილავთ ერთ-ერთ მათგანს — კოლონია ეკატერინენფელდის საზოგადოების კრების მიერ 1864 წლის 30 იანვარს მიღებულ დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს 79 კოლონისტი-მეურნე და ამოწმებს სოფლის „პრიკაზი“.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ყველა უცხო პიროვნება, რომელიც კოლონიაში ეწევა ვაჭრობას, ან ხელოსნობას, ვალდებულია,

<sup>208</sup> სსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. I საქმე 235, ფურც. 4—5—11—12.

<sup>209</sup> ЗКОСХ, 1858, № 1, 124. (ციტირებულია პ. გუგუშვილის წიგნიდან, მონოგრაფიები, ტ. I, გვ. 502—503).

თავისი წარმოების შესაბამისი თანხა გადაიხადოს კოლონიის საზოგადოების სასარგებლოდ. ამასთანავე: 1) ღვინით და არყით ვაჭრობა ეკრძალება ყველას, გარდა ყასბისა, მასაც მხოლოდ იმიტომ, რომ ზაფხულობით კოლონიაში დიდძალი მუშახელია და მოთხოვნილება ღვინოზე დიდია. მაგრამ ამასთანავე სასტიკად აკრძალულია მეზობელ აზრებიაჩანულ ან სომხურ სოფლებში შესყიდული ღვინის გაყიდვა. ეკატერინენფელდში შეიძლება გადაყიდულიყო მხოლოდ ადგილობრივი, კოლონისტებისაგან შესყიდული ღვინო.

2) ეკრძალებოდა კოლონიაში ხორბლის და ქერის, აგრეთვე დიდი რაოდენობით მარილის გაყიდვა; ამასთანავე ყველაფერი, რაც სავაჭროდ შემოდის კოლონიაში, უნდა მიეყიდათ უშუალოდ კოლონისტებისათვის და არა გადაყიდველებისათვის.

3) ყველა ყასაბი ვალდებული იყო მთელი წლის განმავლობაში ჰქონოდა გასაყიდად ახალი ხორცი, რომლის ფასი არ უნდა ყოფილიყო თბილისის ბაზრის ფასებზე მაღალი.

4) დასაკლავი საქონელი უნდა ყოფილიყო ჯანმრთელი, რასაც ამოწმებდა სოფლის „პრიკაზი“, ან მის მიერ გამოყოფილი პირი.

5) განსაკუთრებით საინტერესოა დადგენილების ეს მუხლი, რომლითაც კოლონიაში მოსულ ყველა ვაჭარს და ხელოსანს ეკრძალებოდა ვენახის ან სახნავ-სათესის იჯარით აღება. ყველა მათგანს თავი უნდა შეენახა თავისი ხელობით. თუ რომელიმე კოლონისტი დაარღვევდა დადგენილების ამ მუხლს და საიდუმლოდ მისცემდა იჯარას ზემოთ აღნიშნულ რომელიმე პირს, ორივე მხარე — იჯარის ამღებიც და მიმცემიც, დიდი თანხით ჯარიმდებოდნენ.

6) კოლონისტი, რომელიც ბითუმად, ხეებზევე გაყიდდა თავის ხილს, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვალდებული იყო დასწრებოდა ხილის კრეფას.

7) უცხო პირებს, რომლებიც არ ეწეოდნენ ვაჭრობას ან ხელოსნობას, ეკრძალებათ კოლონიაში ცხოვრება<sup>210</sup>.

დადგენილებიდან აშკარად ჩანს, რომ კოლონისტები ცდილობდნენ გაესაღებინათ საკუთარი პროდუქტები, რისთვისაც ისინი კრძალავდნენ მეზობელი სოფლებიდან იმ პროდუქტების შემოტანას, რომლებიც მათ გასაყიდი რაოდენობით გააჩნდათ. დადგენილებიდან ჩანს, აგრეთვე, რომ ზაფხულობით ე. ი. გაცხოველებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოების დროს კოლონიაში დიდძალი მოსული მუშახელი იყო, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს კოლონისტების მიერ მეზობელი გლეხების შრომის ექსპლოა-

<sup>210</sup> სსსრ ცსსა, ფ. 240, საქმე 1185, ფურც. 2—3.



ტაციას. დადგენილება უსპობდა მოსულ ვაქარს და ხელოსანს შემოსავლის დამხმარე წყაროს, და აიძულებდა მას მაქსიმალურად ეშრომა თავისი სპეციალობით და ამით მეტი სარგებლობა მოეგნა ქრისტონისათვის და სხე.

კოლონიებში სავაჭრო დუქნებს იჯარით უმთავრესად ადგილობრივი მცხოვრებლები იღებდნენ. 90-იან წლებში მარიენფელდში დუქანი იჯარით ჰქონია ლაჩინოვს<sup>211</sup>, 450 მანეთად წელიწადში. 1900 წლიდან იგი მიხეილ ვართანოვს აუღია იჯარით, მაგრამ იჯარის ფასი მოუმატებიათ 550 მანეთამდე წელიწადში<sup>212</sup>. 1903 წ. ადგილობრივ კოლონისტს ალბერტ ნიკოლასს უნებართვოდ გაუხსნია სავაჭრო დუქანი მარიენფელდში, მაგრამ მასრის ადმინისტრაციას დაუეკტინებია მოსთვის, რათა თავიდან აეცილებინა ვართანოვის საჩივარი ხელშეკრულებს დარღვევაზე<sup>213</sup>.

კოლონია ალექსანდრისდორფის დუქანი იჯარით ჰქონია ადებული ქუთაისელ ვაქარს ივანე თხილაძეს. იჯარის ვადა 8 წელი ყოფილა (1892—1900), წელიწადში 300 მანეთის გადახდით<sup>214</sup>.

კოლონია პეტრისდორფის დუქანი რიგი წლების მანძილზე იჯარით ჰქონდა ადებული სილნაღის მცხოვრებ სარქის პარსელოვს (პარსელოვს), რომელიც წელიწადში 450 მანეთს იხდიდა კოლონიის სასარგებლოდ. იჯარის ამდებნი ვალდებული იყვნენ საიჯარო თანხა წინასწარ შეეტანათ წლის დასაწყისისათვის<sup>215</sup>.

სავაჭრო ობიექტების იჯარით გაცემის შედეგად შემოსული თანხა შედიოდა „საზოგადოებრივი კაპიტალის“ შემადგენლობაში და ხმარდებოდა კოლონიების საერთო საქმეს.

მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდნენ სავაჭრო დუქნების სხვა გერმანული კოლონიებიც. მაგალითად, ეკატერინენფელდის დუქანი 80-იანი წლებიდან ყოველწლიურად 700 მან. შემოსავალს აძლევდა კოლონიას<sup>216</sup>.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მნიშვნელოვან სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებენ ცალკეული გამდიდრებული კოლონისტები, რომლებმაც მსხვილი კაპიტალისტური ტიპის მეურნეობები შექმნეს. ფორერი, ჰუმელი, კუჩინბახი და სხვები ამიერკავკასიის ბაზ-

<sup>211</sup> სსსრ ცსსა, ფ. 244, ანაწ. 7, საქმე 178, ფურც. 1.  
<sup>212</sup> იქვე, საქმე 450, ფურც. 2.  
<sup>213</sup> იქვე, საქმე 529, ფურც. 3.  
<sup>214</sup> იქვე, საქმე 172, ფურც. 13.  
<sup>215</sup> იქვე, საქმე 451; 535, ფ. 2.  
<sup>216</sup> Н. Никифоров, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

რით უკვე აღარ კმაყოფილდებოდნენ და დიდი რაოდენობით გაჰქონდათ თავისი ნაწარმი რუსეთსა და საზღვარგარეთაც კერძოდ რუსეთში რეზერვმა 1910 წ. მხოლოდ რუსეთის შიდა გუბერნიებსა და ციმბირში გაიტანეს 450 000 ვედრო ღვინო. ღვინის უკეთ ტრანსპორტირებისათვის მათ საკუთარი სარკინიგზო პლატფორმაც კი მოუწყვიათ<sup>217</sup>.

მნიშვნელოვან სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ ცალკეული გამდიდრებული კოლონისტი ხელოსნებიც. სახელოსნოს თანდათანობით გაფართოება და მისი საწარმოდ გადაქცევა მათ საშუალებას აძლევდათ, აღარ ემუშავათ ფიზიკურად და ძირითადად დაკავებული ყოფილიყვნენ საკუთარი ნაწარმის რეალიზაციით. ზემოთ დასახელებული ხელოსან-მრეწველები: მევეჯე ფრიდრიხ ზაიცერი, ლუდის ქარხნის მფლობელები ადოლფ მადერი და ფრიდრიხ ვეტცელი, საზეინკლო მექანიკური საწარმოს მფლობელი ემანუელ შვარცი, 80-იანი წლებიდან მოიხსენიებიან როგორც ვაჭრები და არ არის გამორიცხული, რომ გარდა თავისი საკუთარი საწარმოს პროდუქციისა, სხვა ანალოგიური საწარმოების პროდუქციის რეალიზაციასაც ახდენდნენ<sup>218</sup>.

სავაჭრო საქმიანობასთან ერთგვარად დაკავშირებული იყო ლუთერანული ეკლესიაც. მართალია, ის უშუალოდ არ აწარმოებდა სავაჭრო ოპერაციებს, მაგრამ თავის შენობებს იჯარით აძლევდა ვაჭრებს, რისგანაც მნიშვნელოვან შემოსავალს ღებულობდა. მართო თბილისის ლუთერანულ ეკლესიას ჰქონდა გაქირავებული რამდენიმე შენობა. ეკლესიის კუთვნილ შენობაში მიხეილის და კირკის (დღევანდელი პლეხანოვის და მარჯანიშვილის) ქუჩების გადაკვეთაზე იყო მოთავსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანებით ცნობილი მოვაჭრის ე. აუფერმანის მაღაზია<sup>219</sup>. ეკლესიის კუთვნილ შენობებში იყო მოთავსებული ა. ალახვერდიანის საბაყლო მაღაზია<sup>220</sup> და „პოლონური კომიტეტის“ მიერ გახსნილი საჩაიე<sup>221</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ გერმანელი ხელოსნების მოღვაწეობას ამიერკავკასიაში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ სოფლის მეურნეობაში გერმანელმა კოლონისტებმა ბევრი ვერაფერი სარგებლობა ვერ მოუტანეს ქვეყანას, გერმანელი ხელოსნების, ისევე როგორც საერთოდ მოსული ხელოსნების საქმიანობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში გარკვეულად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა,

<sup>217</sup> С. Свешников, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

<sup>218</sup> Б. როდონაია, დასახ. ნაშრ., გვ. 33, 36, 37, 51.

<sup>219</sup> სსსრ ცსსა, ფ. 1727, საქმე 92.

<sup>220</sup> იქვე, საქმე 110.

<sup>221</sup> იქვე, საქმე 98.

რადგან, ჯერ-ერთი, ისინი ხელოსნობის ახალ დარგებს წერგავდნენ, ზრდიდნენ მოწაფეებს და ა. შ. ხოლო, რაც მთავარაა, ამერიკული შეზღუდულობისაგან თავისუფალ ამ ხელოსნებს მეტი შესაძლებლობა და მისწრაფება ჰქონდათ თავიანთი სახელოსნოების უფრო რაციონალურად მოწყობისა, რის გამოც ახალი კაპიტალისტური ურთიერთობა მათში უფრო ჩქარა იკაფაუდა გზას.

რაც შეეხება ვაჭრობას, აქ გერმანელ კოლონისტთა როლი უმნიშვნელო იყო და ძირითადად მხოლოდ საკუთარი ნაწარმის გაყიდვასა და სავაჭრო ობიექტების იჯარით გაცემაში გამოიხატებოდა.

გერმანულ კოლონისტთა სასწავლებლები, საზოგადოებრივი  
დაწესებულებები და ორგანიზაციები

ამერიკაეკასიის გერმანულ კოლონიებში საზოგადოებების ხარჯზე მათი დაარსებიდანვე მოწყობილი იყო სასწავლებლები. სართიქალაქთან მდებარე კოლონიებს მარიენფელდსა და პეტერსდორფს (უფრო მოგვიანებით ფრაიდენტალსაც) ერთი საერთო სასწავლებელი ჰქონდათ, რაც გამოწვეული იყო ამ ორ უკანასკნელში კომლთა მცირერიცხოვნებით. ეს სასწავლებლები არსებობდნენ ლუთერანულ ეკლესიასთან და იმყოფებოდნენ ადგილობრივი პასტორის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ<sup>222</sup>. სასწავლებლებს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ამერიკაეკასიის კოლონისტთა სინოდი. სხვადასხვა კოლონიის სასწავლებლებში სწავლის ხანგრძლივობა და სასწავლო პროგრამები განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან. სასწავლებლებს თითო მასწავლებელი ჰყავდათ, რომლებიც ასწავლიდნენ ზოგად საგნებს. საღვთო სჯულს ასწავლიდა პასტორი.

1832 წელს ამერიკაეკასიის გერმანული კოლონიების სინოდის ყრილობაზე განიხილეს სასწავლებლების მდგომარეობა და მიიღეს გადაწყვეტილება მოეხდინათ სასწავლებლების რეორგანიზაცია იმ მიზნით, რომ ყველა სასწავლებელს ჰქონოდა ერთი და იგივე პროგრამა. აღნიშნული პროგრამის შედგენა დაევალა ობერპასტორს ბონვიჩს<sup>223</sup>. პროგრამას საფუძვლად უნდა დაედებოდა ვიურტემბერგის სამეფოში არსებული საგანმანათლებლო სისტემა<sup>224</sup>.

ამავე პერიოდში გატარდა კოლონიების მმართველობის რეორგანიზაცია. მმართველობის ახალი სისტემა ითვალისწინებდა კოლო-

<sup>222</sup> სსსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ. 1, საქმე 5397, ფურც. 10.

<sup>223</sup> ЦГИАЛ, ф. 733, оп. 82, д. 25, л. 1.

<sup>224</sup> „ქვე“.

ნისტთა სასწავლებლების სხვა უწყებისათვის გადაცემის შესაძლებლობას. ამიტომ ამერიკაეკსპიის გერმანელ კოლონისტთა სინოდის ყრილობის დავალებით ობერპასტორმა ბონვიჩმა თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, — დაეტოვებინათ ამერიკაეკსპიის გერმანული სასწავლებლები სინოდის, ე. ო. კოლონიების სასულიერო წოდების მეთვალყურეობის ქვეშ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკმაყოფილა ობერპასტორის ეს თხოვნა<sup>225</sup>. ამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ისინი 90-იან წლებამდე.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია კოლონიების სასწავლებელთა და მათში მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა ამ რეორგანიზაციის შემდეგ, 1834 წელს<sup>226</sup> (იხ. ცხრილი 7).

ცხრილი 7

კოლონიების დასახელება	სასწავლებელთა რაოდ.	მასწავლებ. რაოდ.		მოსწავლეთა რაოდენობა	
		მამაკ.	ქალი	ვაჟი	გოგონა
1. ახალი თბილისი	1	1	—	19	17
2. ალექსანდრეს-დორფი	1	1	—	9	8
3. ელიზაბეტალი	1	1	—	45	40
4. მარენფელდი	1	1	—	15	8
5. პეტროს-დორფი	1	1	—	31	39
6. ეკატერინენფელდი	1	1	—	66	57
7. ელენდორფი	1	1	—	66	57
სულ	6	6	—	185	169

სულ—354

გერმანული კოლონიების სასწავლებლებში კლასთა რაოდენობა სხვადასხვა იყო და პერიოდების მიხედვით 4-დან 8-მდე აღწევდა<sup>227</sup>. ბავშვები სწავლობდნენ შესაბამისად 8-დან 12-მდე, ან 6-დან 15 წლამდე. სწავლას ამთავრებდნენ კონფირმაციით. სწავლა იწყებოდა პირველ სექტემბერს და გრძელდებოდა მაისის შუა რიცხვებამდე. სწავლისაგან თავისუფალ დროს ბავშვები გაყავდათ ყანებსა და ბაღ-ვენახებში, სადაც ისინი ეცნობოდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს.

სასწავლებლები მოთავსებული იყო ქვით ნაგებ ფართო, ნათელ შენობებში, რომლებიც ძირითადად ხაზინის ხარჯზე იყო აგებული.

<sup>225</sup> ЦГИАЛ, ф. 733, оп. 82, л. 25, п. 5.

<sup>226</sup> სსსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ. 1, საქმე 10008, ფურც. 6.

<sup>227</sup> სსსრ ცსსა ფ. 2, ანაწ. 1, საქმე 2072, ფურც. 89, 141.

მხოლოდ 1830 წლის მარტიდან 1833 წლის აგვისტომდე ლუთერანული ეკლესიების და სასწავლებლების (ე. წ. პასტორატების) მშენებლობაზე ამიერკავკასიაში ხაზინამ 27 859 მან. და 55 კაპ. ვერცხლით დახარჯა<sup>228</sup>. სკოლის შენობაშივე იმყოფებოდა ბინა მასწავლებლებისათვის, კეთილმოწყობილ ბინას გააჩნდა დამხმარე სათავსოები. იქვე, ეზოში იყო სოფლად საჭირო ყველა დამხმარე ნაგებობა და მიწის ნაკვეთი. ასე რომ, მასწავლებელს შეეძლო თავისუფალ დროს სოფლის მეურნეობისათვის მიეყო ხელი. მასწავლებელი კოლონიტებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და პასტორის შემდეგ ყველაზე საპატიო პიროვნებად ითვლებოდა.

ზოგიერთი კოლონიიდან საზოგადოების ხარჯზე დროგამოშვებით ერთი-ორ საუკეთესო მოსწავლეს გზავნიდნენ საშუალო სასულიერო სასწავლებლებში (თბილისში, სარეპტაში, ხოლო მოგვიანებით ზოგჯერ გერმანიაშიც). ეს კეთდებოდა იმ მიზნით, რომ მასწავლებლის მიერ რაიმე მიზეზით სკოლის დატოვების შემთხვევაში მუდამ ჰყოლოდათ შემცვლელი ადგილობრივი კადრი. 70-იანი წლებიდან გამსაკუთრებით ხშირდება კოლონიებიდან მასწავლებლების გაგზავნა გერმანიაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ხოლო ზოგჯერ გერმანიიდანაც იწვევდნენ მასწავლებლებს. მაგალითად, 1870 წელს გერმანიიდან თბილისის პეტრე-პავლეს ლუთერანულ სასწავლებელში მასწავლებლად მოუწვევიათ ვინმე შვარცი. იმავე წლის ოქტომბერში შვარცს წერილობითი თხოვნა გაუგზავნია თბილისის ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესიის საბჭოსათვის — აღმოეჩინათ მისთვის ფულადი დახმარება, რათა ვიურტემბერგის მთავრობისათვის გადაეხადა ის ვალი, რომელიც მას ეკისრებოდა განათლების მიღებისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების საზღაურად. შვარცის ეს თხოვნა დაუკმაყოფილებიათ და მისთვის შეწირულების სახით სათანადო თანხა შეუგროვებიათ<sup>229</sup>.

კოლონიებში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი დიდი იყო, მასწავლებელს დამხმარედ უნიშნავდნენ მოადგილეს. ამასთანავე მასწავლებელი კოლონიებში ითვლებოდა ე. წ. „ისტერადაც“, ე. ი. პასტორის მოადგილედ და უფლება ჰქონდა შეესრულებინა ზოგიერთი რელიგიური აქტი<sup>230</sup>. მოგვიანებით, როდესაც ამიერკავკასიის გერ-

<sup>228</sup> სსსრ ცსსა, ფ. 1727, ანაწ. 1, საქმე 25.

<sup>229</sup> იქვე, საქმე 22, ფურც. 3.

<sup>230</sup> П. Луппов, Немецкие начальные школы в России, Петроград, 1916, стр. 25.



მანული კოლონიების სკოლებში გაჩნდა 4—5 მასწავლებელი, კისტერის როლს ასრულებდა საღვთო სჯულის (თუ მას პასტორი არ ასწავლიდა), ან გერმანული ენის მასწავლებელი. კისტერს ნიშნავდნენ პასტორის რეკომენდაციით, ან ირჩევდნენ კოლონისტთა ერთო კრებაზე<sup>231</sup>. ზოგჯერ მასწავლებლები შეთავსებით ასრულებდნენ კოლონიის მწერლის მოვალეობასაც. მასწავლებლის ხელფასი დამოკიდებული იყო მოსწავლეთა რიცხვზე, კოლონიის შეძლებაზე, მასწავლებლის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე და მერყეობდა 300—დან 1700 მანეთამდე წელიწადში<sup>232</sup>.

მასწავლებლის ხელფასი და, საერთოდ, სასკოლო ხარჯები ნაწილდებოდა კოლონიის საზოგადოებაზე და იკრიბებოდა სხვა გადასახადების მსგავსად. საზოგადოების კრება განსაზღვრავდა ამ გადასახადის სიდიდეს და გადახდის ფორმას. საზოგადოებრივ თანხებს ამ საქმეში არ იყენებდნენ. ხშირად კოლონისტები აღწევდნენ, რომ მასწავლებელთა ნაწილს ხელფასი დანიშნოდა ხაზინის ხარჯზე, ან მიეცათ მათთვის ერთდროული დახმარება<sup>233</sup>.

კოლონისტთა სკოლებში მასწავლებლის დანიშვნას და მოხსნას, კოლონისტებთან შეთანხმებით, აწარმოებდა სახალხო სასწავლებელთა ისპექტორი. საღვთო სჯულის მასწავლებლის დანიშვნა ხდებოდა კოლონისტთა სინოდის რეკომენდაციით. ამ აქციებს საბოლოოდ ამტკიცებდა სახალხო სასწავლებლების დირექტორი<sup>234</sup>.

გერმანულ კოლონისტთა სკოლების მასწავლებელთა მნიშვნელოვან ნაწილს დაბალი განათლება ჰქონდა და ზოგჯერ პედაგოგიური მოღვაწეობის ფორმალური უფლებაც კი არ გააჩნდა. მათი დანიშვნა სკოლებში მხოლოდ ადგილობრივ საზოგადოებათა თხოვნით ხდებოდა<sup>235</sup>.

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე სწავლება ამიერკავკასიის გერმანულ სკოლებში მხოლოდ და მხოლოდ გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა. გერმანული ენის გარდა, ასწავლიდნენ არითმეტიკას, გეოგრაფიას და საღვთო სჯულს. სხვა ენებს ცალკე საგნის სახითაც კი არ გადიოდნენ.

<sup>231</sup> А. Ренников, Золото Рейна, О немцах в России, Петроград, 1915, стр. 84—85. სსსრ ცსსა. ფ. 1694, ანაწ. 1, საქმე 33, ფურც. 2.

<sup>232</sup> И. Дмитриенко, Грамотность в немецких колониях, «Юридический вестник», 1888, сентябрь, стр. 124.

<sup>233</sup> სსსრ ცსსა, ფ. 8, ანაწ. 1, საქმე 649, ფურც. 14—15.

<sup>234</sup> В. Фармаковский, Начальная школа министерства народного просвещения, С-Пб., 1900, стр. 43—44.

<sup>235</sup> П. Луппов, დასახ. ნაშრ., გვ. 42.



გერმანელი კოლონისტების პრივილეგიური მდგომარეობა ამიერკავკასიის სხვა ერებთან შედარებით ნათლად გამოვლინდა სასკოლო განათლების დარგშიც. მეფის მთავრობა თავიდანვე ალმაცერად უყურებდა ამიერკავკასიის ეროვნულ სკოლებში მოძღვრებით ენების სწავლებას. ერთ ხანს მის შესწავლას აუცილებლად თვლიდა მოხელეთა და თარჯიმანთა კადრების მოსამზადებლად, მაგრამ 60—70-იანი წლების რეფორმების შემდეგ დაიწყო ნაციონალური ენების სასტიკი დევნა. ამ მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართული ენის მდგომარეობა საქართველოს სკოლებში. „1873 წლიდან ქართული ენა გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში<sup>236</sup> დატოვებული იქნა მხოლოდ დაბალ კლასებში და ისიც არასავალდებულოდ. როგორც დაწყებით, ისე სამრევლო სკოლებში ამიერიდან ქართული ენა რჩებოდა სასწავლო საგნად, ხოლო სხვა საგნები ისწავლებოდა რუსულ ენაზე. მთავარი ადგილი გიმნაზიების სასწავლო გეგმაში ეკირა საღმრთო სჯულს, ლათინურსა და რუსულ ენას. ქართული ენა ისწავლებოდა ბოლო გაკვეთილზე“<sup>237</sup>.

გერმანულ კოლონიებში კი სულ სხვა მდგომარეობა იყო. გერმანელმა კოლონისტებმა, უმთავრესად მამაკაცებმა, მეტ-ნაკლებად იცოდნენ ადგილობრივი ენები (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული), რომელიც მათ პრაქტიკულად სჭირდებოდათ დაქირავებულ მუშახელთან ურთიერთობისათვის. მაგრამ მათ ამ დრომდე თითქმის არ იცოდნენ რუსული ენა, რაც გამოწვეული იყო მათი პრივილეგიური მდგომარეობით და ნაციონალური კარჩაკეტილობით. რუსული ენის ცოდნის აუცილებლობა თანდათან აშკარა ხდებოდა, რასაც თვით კოლონისტებიც გრძნობდნენ.

კოლონიებში რუსული ენის შესწავლის აუცილებლობა მწვავედ დაისვა 60-იანი წლების რეფორმების და გამსაკუთრებით სასამართლოს რეფორმის გატარების შემდეგ. თუ ადრე კოლონისტების ინტერესებს სასამართლოში დებუტატის სახით იცავდა კოლონიების ზედამხედველი, ამ რეფორმით კოლონისტებს თვით უნდა დაეცვათ სასამართლოში თავისი უფლებები და ინტერესები.

1869 წელს კოლონისტების მდგომარეობის გაცნობის მიზნით, ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებში იმოგზაურა სახელმწიფო ქონებათა მთავარი სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა

<sup>236</sup> ამ დროისათვის საქართველოში იყო ორი გიმნაზია — თბილისსა და ქუთაისში, და ერთი რეალური სასწავლებელი — თბილისში.

<sup>237</sup> ა. კ. კ ე ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკ.), თბილისი, 1954, გვ. 215.

მ. ასტაფიევმა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლონისტების მიერ რუსული ენის სუსტ ცოდნას. ამასთან დაკავშირებით, მან უბრალოდ გერმანული კოლონიების ზედამხედველს წარუდგინა თავისი მოსაზრებანი კოლონიებში რუსული ენის გავრცელების შესახებ<sup>238</sup>. კოლონიების ზედამხედველის აზრით, კოლონიებში რუსული ენის გასავრცელებლად საუკეთესო და ერთადერთი საშუალება იყო კოლონისტთა სკოლებში რუსული ენის სწავლების შემოღება, რაც ორი გზით შეიძლებოდა განხორციელებულიყო: გაეგზავნათ კოლონისტთა სოფლებში რუსი მასწავლებლები, ან კოლონიის სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე გერმანელი ყმაწვილი გაეგზავნათ თბილისის ან რომელიმე სხვა სასწავლებელში, სადაც ისინი საფუძვლიანად შეისწავლიდნენ რუსულ ენას და შემდეგში დაბრუნდებოდნენ კოლონიებში რუსული ენის მასწავლებლად<sup>239</sup>.

აღნიშნული წინადადებები განიხილეს კოლონისტების საერთო კრებებზე, რომლებზეც მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინა ასტაფიევს<sup>240</sup>. შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, კოლონისტები თანხმდებოდნენ და აუცილებლადაც მიაჩნდათ თავიანთ სკოლებში რუსული ენის სწავლების შემოღება. მაგრამ ისინი კოლონიებში ამ მიზნით რუსი მასწავლებლების გაგზავნის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ და ოფიციალურად ამ უარს მოსალოდნელი დიდი ხარჯებით ხსნიდნენ. მაგრამ უარის ფაქტიურ მიზეზს წარმოადგენდა იმის შიში, რომ რუსი მასწავლებლები რუსულ გავლენას შეიტანდნენ კოლონიებში. კოლონისტები თანხმდებოდნენ მეორე წინადადებაზე და ითხოვდნენ ზაზინის ხარჯზე ყოველი კოლონიიდან თავისი სურვილით გაეგზავნათ 2—2 ყმაწვილი თბილისის რომელიმე სასწავლებელში 4—5 წლით და მას შემდეგ, რაც ისინი საფუძვლიანად შეისწავლიდნენ რუსულ ენას, დაებრუნებინათ კოლონიებში რუსული ენის მასწავლებლად, სასწავლებელში რუსული ენის შემოღებაზე თანხმობასთან ერთად, კოლონისტები მოითხოვდნენ: «Чтобы наш немецкий язык и школа не были стеснены. Мальчика, который будет обучен русскому языку на счет казны, мы определим учителем в нашу школу, но с тем, чтобы дети наши обучались немецкому языку, а способнейшие русскому, ибо мы опасаемся, что если все обучение в нашем школе будет на русском — мы наконец совсем позабудем наш немецкий язык»<sup>241</sup>.

<sup>238</sup> სსსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. 1, საქმე 186, ფურც. 1

<sup>239</sup> იქვე.

<sup>240</sup> იქვე, ფურც. 11.

<sup>241</sup> იქვე.

ხელისუფლება, რომლის, როგორც კოლონისტთა ერთ-ერთ მიმართვაში იყო აღნიშნული, „მამობრივ ზრუნვას მათ ყოველგვარ საპრობლემაზე ისინი ყოველთვის გრძნობდნენ“<sup>242</sup>, დაეთანხმა კოლონისტების ყველა მოთხოვნას<sup>243</sup>. ამ შეთანხმების შესაბამისად, გერმანული კოლონიების სკოლებში შემოიღეს რუსული ენის სწავლება, ისიც მხოლოდ ვაჟებისათვის. რუსული ენის კარგად სწავლების მიზნით გამოცემული იქნა სპეციალური ინსტრუქცია „გერმანული სასწავლებლების რუსული ენის მასწავლებლებისათვის“<sup>244</sup>. ამ ინსტრუქციით რუსული ენის მასწავლებელი ვალდებული იყო: ჩაეტარებინა კვირაში 30 გაკვეთილი, რომელიც მოდიოდა სამ კლასზე; ესწავლებინა ბავშვებისათვის სწრაფი კითხვა, მართლწერა, თავისუფალი თარგმნა გერმანულიდან რუსულ ენაზე და პირიქით და ა. შ. მას თვეში ეძლეოდა 60 მანეთამდე ხელფასი<sup>245</sup>.

რუსული ენა მაინც საკმაოდ სუსტად ვრცელდებოდა გერმანულ კოლონიებში. ამასთან დაკავშირებით პ. ბასიხინი 1900 წელს წერდა: «Преподавание в школах ведется на немецком языке и только небольшая часть времени уделяется знакомству детей с русской речью. Знакомство это, впрочем настолько поверхностно, что в колонии понимают русский язык и говорят на ломанном русском наречии лишь взрослые, и то лишь мужчины. Напротив, большая часть немцев недурно владеет туземными языками: грузинским, армянским и татарским»<sup>246</sup>.

სახალხო განათლების სამინისტრომ 1903 წლის ცირკულარული ბრძანებით კოლონისტ მოსწავლეთა შორის რუსული ენის ცოდნის გასაძლიერებლად რიგი ღონისძიება დასაზა: 1) უნდა მიეზიდათ კოლონისტები რუსულ სამასწავლებლო სემინარიებში და კურსებზე, სადაც მათ სახელმწიფო ხარჯზე ენიშნებოდათ სტიპენდია და ეძლეოდათ ერთდროული დახმარება; 2) უნდა მოეწყოთ რუსული ენის მასწავლებელ კოლონისტთა მოკლევადიანი კურსები და ყრილობები; 3) უნდა მოეწყოთ რუსული ბიბლიოთეკები კოლონისტთა სკოლებში; 4) ფულადი და სხვა სახის ჯილდოებით წაეხალისებინათ ის პირები, განურჩევლად წარმოშობისა და თანამდებობისა, რომლებიც ხელს უწყობდნენ რუსული ენის გავრცელებას კოლონისტთა სკოლებში, 5) მოეწყოთ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ექსკურსიები


<sup>242</sup> სსრ ცსსა, ფ. 226, ანაწ. 1, საქმე 186, ფურც. 11.

<sup>243</sup> სსრ ცსსა ფ. 7, ანაწ. 1, საქმე 1829, ფურც. 3.

<sup>244</sup> სსრ ცსსა, ფ. 1694, ანაწ. 1, საქმე 43, ფურც. 3—4.

<sup>245</sup> იქვე.

<sup>246</sup> П. Басихин, დასახ ნაშრომი, გვ. 21.



შიდა რუსეთში, ისტორიული ადგილების გაცნობის და რუსული ენის პრაქტიკული ცოდნის გაუმჯობესების მიზნით<sup>247</sup>.

გერმანული კოლონიების სკოლებისათვის რუსული წავლებელთა კადრების მოსამზადებლად ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებიდან შიდა რუსეთის ზოგიერთ კოლონიაში იხსნება ე. წ. — ცენტრალური სასწავლებლები. XX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის იმპერიაში უკვე არსებობდა ამ ტიპის 17 სასწავლებელი, სადაც შერჩევით იგზავნებოდნენ ყმაწვილები კოლონიის სკოლის დამთავრების შემდეგ. მეფის მთავრობა ცდილობდა გადაექცია ეს სასწავლებლები კოლონიების რუსიფიკაციის ერთ-ერთ საშუალებად, მაგრამ ამ ცდამ უშედეგოდ ჩაიარა<sup>248</sup>.

80-იანი წლებიდან კოლონისტთა სკოლების პროგრამები ფართოვდება. შემოიღეს ისტორიის (მეტად შეზღუდული), სიმღერის მუსიკისა და ტანვარჯიშის (გიმნასტიკის) გაკვეთილები; ამასთან დაკავშირებით მასწავლებელთა რიცხვიც 4—5-მდე გაიზარდა. სიმღერის და მუსიკის გაკვეთილების ჩასატარებლად სკოლებს გააჩნდათ მუსიკალური ინსტრუმენტები, როიალები, ხოლო ზოგიერთებს ორლანიც. სიმღერის და მუსიკის გაკვეთილებზე სწავლობდნენ სპეციალურად შერჩეულ საერო და სასულიერო ნაწარმოებებს<sup>249</sup>.

ამავე დროიდანვე ზოგიერთი შეძლებული კოლონისტი თავის ბავშვებს კოლონიის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას ავრძელებინებდა გიმნაზიაში, ან რომელიმე სხვა საშუალო ტიპის სასწავლებელში.

გარდა კოლონიებში არსებული დაწყებითი სკოლებისა, ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტებს გააჩნდათ სხვა ტიპის სასწავლებლებიც. 1850 წ. 1 იანვარს თბილისის პეტრე-პავლეს ლუთერანულ ეკლესიასთან გაიხსნა საშუალო სასულიერო სასწავლებელი<sup>250</sup>. ამ სასწავლებელში არაგერმანელი ბავშვებიც სწავლობდნენ. იგი მდებარეობდა მიხეილის (ეზლანდელი პლუხანოვის) ქუჩაზე, ლუთერანული ეკლესიის გვერდით<sup>251</sup>.

1850 წელსავე თბილისში გაუხსნიათ გერმანელი კოლონისტების სახელოსნო სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ სხვადასხვა ხე-

<sup>247</sup> С. И. А н и ц ы ф е р о в, Справочная книга по низшему образованию, С-Пб., 1905, I, стр. 69—70.  
<sup>248</sup> А. Р е н н и к о в, დასახ. ნაშრ., გვ. 369.  
<sup>249</sup> სსსრ ცსსა, ფ. 1694, ანაწ. 1, საქმე 46.  
<sup>250</sup> ი ქ ვ ე, საქმე 3.  
<sup>251</sup> ი ქ ვ ე, საქმე 1, ფურც. 1.

ლობას. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო 1889 წელს სკოლა დაუ-  
ხურავთ<sup>252</sup>.

1888 წელს სახალხო განათლების სამინისტრომ გერმანულ პროექტი გერმანელ კოლონისტთა დაწყებითი სკოლების ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარების და მათი სასწავლო პროგრამების გადამუშავების შესახებ<sup>253</sup>. პროექტი გასაცნობად გაეგზავნა კავკასიის მთავარმართებელს სამოქალაქო დარჯში და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს. მათ მიერ გაკეთებული მცირე შენიშვნებით და დამატებებით სამინისტრომ პროექტი მიიღო და დასამტკიცებლად წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს<sup>254</sup>.

1892 წლის 30 მარტს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა აღნიშნული პროექტი<sup>255</sup>. ამ პროექტით ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტთა სკოლები პროტესტანტულ-ლუთერანული ეკლესიის დაქვემდებარებიდან გადაეცა სახალხო განათლების სამინისტროს. ამავე დროს გადამუშავებული იქნა ამ სკოლების პროგრამა. ახალი პროგრამით მეტი ყურადღება ეთმობოდა რუსეთის ისტორიის და გეოგრაფიის შესწავლას<sup>256</sup>. იმავე 1892 წელს გამოიცა სახალხო განათლების სამინისტროს დადგენილება, რომლითაც გერმანელ კოლონისტთა სკოლებში უნდა შემოღებულიყო ყველა საგნის, გარდა საღვთო სჯულის და გერმანული ენისა, რუსულ ენაზე სწავლება<sup>257</sup>. მაგრამ ეს გადაწყვეტილება ცხოვრებაში პრაქტიკულად არ გატარებულა<sup>258</sup>. კოლონისტებმა სხვადასხვა საბაბით შეძლეს მისი თავიდან აცილება. საგნების რუსულ ენაზე სწავლების საწინააღმდეგოდ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კოლონისტები ასახელებდნენ იმას, რომ ეს მოვლენა ზიანს მიაყენებდა მთავარ სასწავლო საგანს — საღვთო სჯულს, შეარყევდა რელიგიის საფუძვლებს კოლონიებში, რასაც შეიძლებოდა არასასურველი შედეგი მოჰყოლოდა როგორც კოლონიებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის<sup>259</sup>.

მალე დაიწყო 1905 წლის რევოლუცია, რაც ამ მხრივ კარგად გამოიყენეს კოლონისტებმა და შეძლეს ამ, მათთვის მეტად არახელსაყრელი დადგენილების ფორმალური გაუქმებაც<sup>260</sup>.

<sup>252</sup> სსსრ ცსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქმე 3142, ფურც. 14.

<sup>253</sup> სსსრ ცსსა ფ. 422, ანაწ. 1, საქმე 3251, ფურც. 1.

<sup>254</sup> იქვე.

<sup>255</sup> იქვე, ფ. 17, ანაწ. 1, საქმე 3142, ფურც. 1, 3.

<sup>256</sup> იქვე, ფ. 422, ანაწ. 1, საქმე 3251, ფურც. 16.

<sup>257</sup> П. Луппов, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

<sup>258</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>259</sup> А. Клаус, დასახ. ნაშრ., გვ. 420.

<sup>260</sup> П. Луппов, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

1900 წელს სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული იქნა რუსეთში მცხოვრებ უცხოელთა დაწესებითი განათლების მოწყობის წესდების ახალი პროექტი<sup>261</sup>. იმავე წლის დეკემბერში ეს პროექტი დაეგზავნათ განათლების ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს. მათ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეეძლოთ შენიშვნები შეეტანათ პროექტში. პროექტი განიხილეს ამიერკავკასიის განათლების ორგანოებშიც. თავის პასუხში სამინისტროსადმი 1901 წლის 22 იანვარს თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა დირექტორი და კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველი წერდნენ, რომ პროექტი მისაღებია ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების სკოლებისათვის გარდა ერთი (17) მუხლისა, რომელიც ითვალისწინებდა ერთ მასწავლებელს არა უმეტეს 80 მოსწავლეზე. შენიშვნის ავტორების აზრით, საჭირო იყო ერთი მასწავლებელი არა უმეტეს 60 მოსწავლეზე<sup>262</sup>.

ამ შენიშვნით წესდების პროექტი იმავე წელს იქნა გატარებული ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების სკოლებში. ახალი წესდებით კოლონისტთა ყოველგვარი დაწესებითი სკოლა კვლავინდებურად რჩებოდა სახალხო განათლების სამინისტროს გამგებლობაში; კოლონისტთა ყოველ საზოგადოებას შეეძლო გაეხსნა ერთი, ან რამოდენიმე დაწესებითი სასწავლებელი, თუ კოლონიაში იყო ბავშვთა სათანადო რაოდენობა და გააჩნდათ საამისო სახსრები; თუ რომელიმე საზოგადოებას არ გააჩნდა სკოლის მოსაწყობად საჭირო თანხა, მას შეეძლო შეთანხმებოდა სხვა უახლოეს საზოგადოებას და საერთო ძალით მოეწყობა სასწავლებელი. კოლონისტთა დაწესებითი სასწავლებლის გასახსნელად საჭირო იყო სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორის ნებართვა, მაგრამ მისი დახურვა შეიძლებოდა მხოლოდ სასწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით, რომელიც ამ საკითხს უთანხმებდა გუბერნიის ადმინისტრაციას. სასწავლებლის შესანახად საჭირო თანხებს განსაზღვრავდა საზოგადოების საერთო კრება და ამტკიცებდა სახალხო სკოლების დირექტორი; საზოგადოება ვალდებული იყო სკოლისათვის გამოეყო სათანადოდ მოწყობილი შენობა, უზრუნველყო მასწავლებლები და ა. შ. ამ წესდებით კოლონისტთა დაწესებით სკოლებში სავალდებულოდ ითვლებოდა შენდევნი სასწავლო საგნები: სამღვთო სჯული, მშობლიური

<sup>261</sup> სსსრ ცსსა, ფ. 422, ანაწ. 1, საქმე 6934, ფურც. 1.

<sup>262</sup> იქვე, ფურც. 2.

(გერმანული) ენა, რუსული ენა, სუფთა წერა, არითმეტიკა, ისტორია, გეოგრაფია, მუსიკა და სიმღერა, ტანვარჯიში<sup>263</sup>.

ამ წესდების მიხედვით იყო მოწყობილი ამიერკავკასიის გერმანული სასწავლებლები არა მარტო ცარიზმის ბატონობის პერიოდში, არამედ წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური მთავრობების მმართველობის პერიოდშიც, თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

სასკოლო ქსელის განვითარება გერმანულ კოლონიებში ხელს უწყობდა კოლონისტთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის ზრდას, რომელიც XX საუკუნის დამდეგისათვის ყოველ 100 კაცზე 85 შეადგენდა. ამ მხრივ გერმანელი კოლონისტები წინ იდგნენ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ყველა ერზე, რაც მათი მაღალი მატერიალური მდგომარეობით უნდა აიხსნას, რომ ეს ასე იყო, კარგად ჩანს მოსწავლეთა და წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიდან გერმანულ კოლონისტთა ცალკეულ ჯგუფებს შორის — წერა-კითხვის მცოდნენი გაცილებით მეტი იყვნენ მიწათმფლობელ კოლონისტთა შორის, ვიდრე უმიწო („ბაიზასთა“) შორის: მიწისმფლობელთა ყოველ 100 ოჯახზე მოდიოდა — წერა-კითხვის მცოდნე — 88, მოსწავლე — 63. უმიწო კოლონისტთა ყოველ 100 ოჯახზე მოდიოდა — წერა-კითხვის მცოდნე — 80, მოსწავლე — 42.

ამასთან დაკავშირებით დმიტრიენკო წერდა: «Грамотность велика в той группе населения, где экономическое состояние среднего двора выше. Немцы же, имеющие самое большое количество земли в пользование, посева и скота на наличный двор само собой разумеется, помимо других всевозможных причин, имеют больше оснований быть гораздо грамотнее всех остальных групп... населения»<sup>264</sup>.

1911 წელს კოლონისტებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგით მოიპოვეს სასკოლო განათლების დარგში. ახლად გამოცემული დადგენილებების („რუსეთის იმპერიაში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლების შემოღების შესახებ“) თანახმად, მათ მოახერხეს ყოველ 50 სასკოლო ასაკის ბავშვზე წელიწადში 390 მან. დახმარება მიეღოთ ხაზინიდან<sup>265</sup>.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებში საზოგადოების ხარჯზე არსდება ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის მკითხველი იხდიდა 50 კაპ. წელი-

<sup>263</sup> სსსრ ცსსა, ფ. 422, ანაწ. 1, საქმე 6934, ფურც. 4—6.

<sup>264</sup> И. Дмитриенко, დასახ. ნაშრ., გვ. 128—129.

<sup>265</sup> О всеобщем обучении в России, СПб., 1907, с. 20—22.

წადში. გარდა საზოგადოებრივისა, კოლონიებში არსებობდა სასკოლო, საეკლესიო და ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბიბლიოთეკები. მაგალითად, 1893 წელს კოლონია ელენენდორფში შექმნილ „გერმანულ საკრებულოს“ ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომელიც დაარსებისთანავე 300 წიგნს შეიცავდა. ბიბლიოთეკას გერმანიიდან და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან გამოწერილი ჰქონდა 12-მდე ეურნალი და გაზეთი<sup>266</sup>.

ბიბლიოთეკებს განაგებდნენ თვით კოლონიები, ან ის დაწესებულება-ორგანიზაციები, რომელთაც ისინი ეკუთვნოდნენ, კოლონისტთა ბიბლიოთეკების ფონდების შემადგენლობა და ზასიათი აშკარად მეტყველებდა, რომ მათი მიზანი იყო აღეზარდათ და განემტკიცებინათ კოლონისტებში და გამსაკუთრებით ახალგაზრდობაში ე. წ. „გერმანული სული“. ბიბლიოთეკებში მოიპოვებოდა მხოლოდ გერმანულ ენაზე დაბეჭდილი წიგნები. ამ წიგნების დიდი უმრავლესობა ეხებოდა პრუსიის და გერმანიის სამხედრო ისტორიას, პრუსიის სამეფო სახლის ისტორიას და ა. შ.

1890 წელს ამიერკავკასიის კოლონისტთა ბიბლიოთეკები, მათ შორის საეკლესიოებიც, დაუმორჩილეს შინაგან საქმეთა სამინისტროს<sup>267</sup>. 1901 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეამოწმა გერმანულ კოლონისტთა ბიბლიოთეკების ფონდები და დაადასტურა, რომ ბიბლიოთეკებში იყო მხოლოდ გერმანული წიგნები, რომლებიც ძირითადად გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ და რელიგიურ ისტორიას ეხებოდნენ: „გერმანელთა ბრძოლა თავისუფლებისათვის“, „თავადი ბისმარკი“ და სხვა. ბიბლიოთეკებში ძალზე ცოტა იყო სათავგადასავლო, მოგზაურობის ამსახველი წიგნები; თითქმის არ იყო წიგნები რუსეთისა და ამიერკავკასიის ისტორიის, გეოგრაფიისა და ლიტერატურის შესახებ, ხოლო თუკი რამ ამ მხრივ მოიპოვებოდა (უმთავრესად რელიგიური ხასიათის), ისიც მხოლოდ გერმანელი ავტორების<sup>268</sup>.

„თუ ბიბლიოთეკების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ვიფიქროთ, — წერდა 1901 წლის 5 მაისს, ამ შემოწმებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრი დურნოვო კავკასიის მთავარმართებელს, — რომ კოლონისტებმა სრულიად არ იციან და არც აინტერესებთ თავისი სამშობლოს — რუსეთის ისტორია და ბედი. ისინი ცხოვრობენ გერმანიის ბედის წარსული და აწმყო დიდებით“<sup>269</sup>.

<sup>266</sup> Ф. Циммер, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

<sup>267</sup> სსსრ ცსსა, 422, ანწ. 1, საქმე 17038, ფურც. 1—2.

<sup>268</sup> იქვე.

<sup>269</sup> იქვე.



ამ შემოწმების შემდეგ გერმანული კოლონიების ადმინისტრაციას მიუთითეს — შეევსოთ ბიბლიოთეკების ფონდები წიგნებით, რომლებიც ასახავდნენ რუსეთის და კავკასიის ისტორიას, გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას და სხვა; მაგრამ მდგომარეობა უცვლელი დარჩა თვით პირველი მსოფლიო ომის დროსაც კი.

\* \* \*

მნიშვნელოვან როლს გერმანულ კოლონისტთა ცხოვრებაში ასრულებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ-რელიგიური და კულტურულ-სამეურნეო ორგანიზაციები, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვნენ. მათ შორის აღსანიშნავია: „თბილისის გერმანელთა საკრებულო“, „თბილისის ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესიის სკოლასთან არსებული საქველმოქმედო საზოგადოება“, რუსეთის ევანგელიკურ-ბიბლიური საზოგადოების კავკასიის კომიტეტი“, „თბილისის ქალთა ევანგელიკურ-ლუთერანული საქველმოქმედო საზოგადოება“, „ამიერკავკასიის ევანგელიკურ-ლუთერანულ მოძღვართა და მასწავლებელთა საქვრივ-ობლო სალარო“, „მოზარდთა ევანგელიკური საზოგადოება თბილისში“ და სხვა<sup>270</sup>.

ამ საზოგადოებებიდან უძველესი იყო „თბილისის გერმანელთა საკრებულო“, რომელიც დააარსეს 1852 წლის 1 იანვარს. „საზოგადოების დაარსების მიზანს წარმოადგენს, — ნათქვამი იყო საზოგადოების წესდების პირველ პარაგრაფში, — ორი რამ: უპირველეს ყოვლისა, დროის გატარება წესიერების ფარგლებში, მეორეს მხრივ, განათლებულ ადამიანთა დაახლოება და მათ შორის სასარგებლო ცოდნის სრულყოფა“<sup>271</sup>. „თბილისის გერმანელთა საკრებულოს“ (ისევე, როგორც ყველა სხვა გერმანული საზოგადოების) წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ლუთერანული სარწმუნოების მიმდევარი, ე. ი. ამიერკავკასიის სინამდვილეში მხოლოდ გერმანული წარმოშობის პირი. ამდენად ეს საზოგადოებები, ფაქტიურად გერმანულ კოლონისტთა კარჩაკეტილ ნაციონალურ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ.

„თბილისის გერმანელთა საკრებულოს“ წესდება ავალდებულებდა საზოგადოების წევრებს, განსაკუთრებული პატივი ეცათ „რელიგიის, მთავრობისა და ხელისუფლებისათვის“<sup>272</sup>. წესდებიდან ამჟამად ჩანს ორგანიზაციის კონსერვატიულ-მონარქიული ხასიათი.

<sup>270</sup> სსსრ ცსსა, ფონდები — 1508, 1499, 1739, 1726, 1740, 1742.

<sup>271</sup> სსსრ ცსსა, ფ. 1508, ანწ. 1, საქმე 1, ფურც. 1.

<sup>272</sup> იქვე.

სულ წესდება შედგებოდა 42 მუხლისაგან; შემდეგ მუხლებში ჩამო-  
თვლილი იყო „საქრებულოს“ წევრთა უფლება-მოვალეობანი, მი-  
ღება-გარიცხვის, დაჯარიმების, ხელმძღვანელობის არჩევის, საქრებ-  
ულოს“ მიერ ჩატარებულ საღამოებზე მოქცევის წესებს<sup>273</sup>  
და სხვა<sup>274</sup>. 1870 წელს წესდება გადაამუშავეს და კიდევ დაუმატეს  
რვა მუხლი.

საზოგადოებას ხელმძღვანელობდნენ მამასახლისები, რომელ-  
თაც ყოველწლიურად ირჩევდნენ ფარული კენჭისყრით. მოგვიანე-  
ბით ერთ-ერთი მამასახლისი ჩვეულებრივ მეტი გავლენით სარგებ-  
ლობდა და ხშირად ერთბიროვნულად ხელმძღვანელობდა საქრებუ-  
ლოს. მამასახლისები ვალდებული იყვნენ თვალყური ედევნებინათ:  
საზოგადოების წევრთა მიერ წესდების დაცვისათვის, საზოგადოების  
ქონების დაცვისა და დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. საჭი-  
როების შემთხვევაში მამასახლისები იწვევდნენ საერთო კრებას,  
რომლის შესახებაც წინასწარ აცხადებდნენ სამი კვირით ადრე. ამ  
ხნის განმავლობაში ყველა წევრს შეეძლო წარმოედგინა რაიმე წი-  
ნადადება, რომელსაც მამასახლისები აცნობდნენ კრებას. კრება  
განიხილავდა ამ წინადადებებს და იღებდა გადაწყვეტილებებს.

საარჩევნო კრება იმართებოდა ყოველი წლის იანვრის პირველ  
შაბათს ნაშუადღევს 4 საათზე. კრება იხილავდა შემდეგ საკითხებს:

- ა) წინა წლის ფულადი თანხების შემოსავალ-გასავლის შემო-  
წმება და საზოგადოების ქონების ინვენტარიზაცია.
- ბ) სალაროს მდგომარეობის შემოწმება.
- გ) შემოსავლის ნაწილის საქველმოქმედო მიზნებისათვის გამო-  
ყენება.
- დ) საქრებულოს მამასახლისების, ან წევრების მიერ წამოყენე-  
ბული წინადადებების განხილვა და მათზე გადაწყვეტილებების გა-  
მოტანა და ა. შ.

კრების დასასრულს ირჩევდნენ მამასახლისებს<sup>274</sup>.

საზოგადოება თავისი წევრებისათვის აწყობდა საზეიმო საღა-  
მოებს, მეჭლისებს. მაგრამ იმ საბაბით, რომ საზოგადოების წევრე-  
ბი ლუთერანული სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ, საზეიმო საღა-  
მოები იმართებოდა მხოლოდ გერმანული დღესასწაულების გამო:  
გერმანიის ისტორიის ღირსშესანიშნავ თარიღთან, გერმანიის საიმ-  
პერატორო გვარის წევრთა, ან რომელიმე გერმანელი მოღვაწის  
დაბადების დღესთან დაკავშირებით. მაგალითად, 1895 წელს საზო-

<sup>273</sup> იქვე, ფურც. 1—15.

<sup>274</sup> იქვე, ფურც. 3—4.

ვადობამ დიდი ზემოთ აღნიშნა ბისმარკის დაბადების 80 წლის-  
თავი<sup>275</sup>.

გერმანიის გავლენა ამ საზოგადოებაზე სხვა შემთხვევაშიც  
ვლინდებოდა. ცნობილია, რომ გერმანიის იმპერიის მიერ დამპყრო-  
ბლური ომების და მილიტარისტული პოლიტიკის წარმოების პერი-  
ოდში — ე. ი. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის და-  
საწყისში გერმანიაში ფართოდ ვრცელდება ტანვარჯიშია (გინას-  
ტიკის) საზოგადოებები და წრეები. მათი მიზანი იყო აღეზარდათ  
„სულიერად და ფიზიკურად ძლიერი. თაობები“<sup>276</sup>, რომელთაც ძალ-  
ზე საჭიროებდა მილიტარისტული გერმანიის აგრესიული არმია. ეს  
ნოვლენა, როგორც ჩანს, არც ამიერკავკასიის გერმანელი კოლონის-  
ტებისათვის დარჩენილა უცნობი. 90-იან წლებში „თბილისის გერ-  
მანულ საკრებულოსთან“ გახსნილა ტანვარჯიშის განყოფილება, რომელსაც საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა და მნიშვნელო-  
ვან თანხებს ახმარდა<sup>277</sup>.

საერთოდ, „თბილისის გერმანელთა საკრებულო“, ისევე რო-  
გორც ამიერკავკასიის სხვა გერმანული საზოგადოებები, მნიშვნე-  
ლოვან ქონებას და ფულად თანხებს ფლობდა. „საკრებულოს“ მხო-  
ლოდ მოძრავი ქონება 1897 წელს რუსეთის მეორე დამზღვევი სა-  
ზოგადოების მიერ 6000 მანეთად იქნა შეფასებული. ამ საზოგადო-  
ებათა სალაროები, როგორც არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობდ-  
ნენ, გერმანიის ხაზინის ხარჯზეც ივსებოდა<sup>278</sup>.

კოლონისტთა ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი საქველ-  
მოქმედო ხასიათს ატარებდა. მაგალითად, „ქალთა ევანგელიკურ-  
ლუთერანული საზოგადოება“ მიზნად ისახავდა „დახმარება გაეწია  
თბილისში მცხოვრებ ლუთერანული სარწმუნოების მიმდევარი  
ხელმოკლე ოჯახებისათვის“. დახმარებას უწევდნენ სურსათ-სანოვა-  
გის, ტანსაცმლის, ერთდროული, ან პერიოდული ფულადი თანხის  
მიცემით, სამსახურში მოწყობით, მოხუცების სპეციალურ თავშესა-  
ფარში მოთავსებით და სხვა.

საზოგადოების ფულად თანხაზე წარმოდგენისათვის მოვიყვანთ  
საზოგადოების ორი სხვადასხვა ფინანსური წლის ანგარიშს. 1900  
წელს საზოგადოების სალაროს შემოსავალი შეადგენდა 7866 მანეთს

<sup>275</sup> ი ქ ვ ე. საქმე 3.

<sup>276</sup> К. Д. Петряев, Очерки по истории Германии начала XX века (1900—1914 гг.), Одесса, 1959, стр. 137.

<sup>277</sup> სსსრ ცსსა, ფ. 1508, ანწ. 1, საქმე 2.

<sup>278</sup> А. В е л и ц ы н, Немецкие завоевание на юге России, Русский Вест-  
ник, 1890, № 1—2, стр. 161.

და 32 კაბ., გასაველი 6 467 მანეთს და 18 კაბ., სალაროს წლიური ნამატი 1 399 მან. და 14 კაბ. 1913 წელს საზოგადოების შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შეადგენდა 9 735 მან. და 37 კაბ., გასაველი 6 483 მან. და 57 კაბ., ხოლო სალაროს წლიური ნამატი 3 251 მან. და 70 კაბ. 1914 წლის პირველ იანვრისათვის საზოგადოების სალაროში ძირითადი კაპიტალის სახით ირიცხებოდა 18 808 მან. და 59 კაბ.<sup>279</sup>, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა იყო.

საზოგადოებების საშემოსავლო თანხები დგებოდა: საწევრო შენატანებისაგან, ნებაყოფლობითი შენაწირებისაგან, სხვადასხვა კულტურულ-სამანათლებლო ღონისძიებების (კონცერტები, საჯარო ლექციები, საქველმოქმედო საღამოები) შემოსავლებისაგან, ძირითადი კაპიტალის პროცენტებისაგან<sup>280</sup>.

ანალოგიურ მიზნებს ისახავდნენ „ამიერკავკასიის ევანგელიკურ-ლუთერან მოძღვართა და მასწავლებელთა საქვრივ-ობლო სალარო“<sup>281</sup>, „რუსეთის ევანგელიკურ-ბიბლიური საზოგადოების კავკასიის კომიტეტი“<sup>282</sup>, „მოზარდთა ევანგელიკური საზოგადოება თბილისში“<sup>283</sup>, „რუსეთის ევანგელიკურ-ლუთერანული სამრევლოების თბილისის საოლქო კომიტეტი“<sup>284</sup> და სხვ.

აღნიშნულ საზოგადოებებს გააჩნდათ თავისი წესდებები, რომელთაც ამტკიცებდა კავკასიის მეფისნაცვალი (მთავარმართებელი), ჰქონდათ თავისი ბეჭდები. საზოგადოებებს მფარველობდნენ გავლენიანი პირები, ზოგჯერ დიდი მთავრებიც კი; ისინი სარგებლობდნენ ხელისუფალთა ყოველგვარი დახმარებით და ხელისშეწყობით.

90-იან წლებში მსგავსი საზოგადოებები ე. წ. საკრებულოები შეიქმნა ცალკეულ გერმანულ კოლონიებშიც: ეკატერინენფელდში, ელენენდორფში<sup>285</sup> და სხვა. ეს საზოგადოებები ხელმძღვანელობდნენ კოლონიის კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებას, აარსებდნენ ბიბლიოთეკებს, იწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს (მათ შორის ნაწილს

<sup>279</sup> სსსრ ცსსა, ფ. 1741, საქმე 6, 7, 8, 9, 10.

<sup>280</sup> სსსრ ცსსა, ფ. 1741, საქმე 6, ფურც. 3.

<sup>281</sup> სსსრ ცსსა, ფ. 1742, ანაწ. 1 საქმე 1, ფურც. 1—5.

<sup>282</sup> ი ქ ვ ე, ფონდი 1740, ანაწ. 1. საქმეები 1, 3, 5.

<sup>283</sup> ი ქ ვ ე, ფონდი 1726, ანაწ. 1, საქმე 349, ფურც. 3—4; ფ. 12, ანაწ. 7, საქმე 1098, ფურც. 1, 5, 6.

<sup>284</sup> ი ქ ვ ე, ფ. 1693, საქმეები 1, 3, 22, 23.

<sup>285</sup> ი ქ ვ ე, ფ. 13, ანაწ. 3, საქმე 2298, ფურც. 34—36.

გერმანიიდან), აყალიბებდნენ სხვადასხვა წრეებს, ორგანოებს, მომღერალთა გუნდებს და სხვა. ყოველივე ეს კეთდებოდა პანგერმანიზმის იდეების აშკარა, თუ ფარული ქადაგების ფუნქციის გერმანულთა უპირატესობის ხაზგასმით აღნიშვნით.

მაშინ, როცა გერმანელთა ორგანიზაციები ამიერკავკასიაში ხელისუფალთა ყოველგვარი დახმარებით და ხელშეწყობით სარგებლობდნენ, ადგილობრივ ეროვნებათა ორგანიზაციები სასტიკ დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ. მთავრობა არა თუ დევნიდა სხვადასხვა ეროვნულ ორგანიზაციებს, არამედ ყოველ მხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა მათი შექმნისათვის და ჩანასახშივე ჩაეხშო ისინი. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ ხელისუფალთა დამოკიდებულება სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, რაც განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოვლინდა, თურქეთში სომეხთა ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებით. რეპრესიების და გენოციდის პოლიტიკა, რასაც თურქი ასიმილატორები ატარებდნენ სომხური მოსახლეობის მიმართ, ბუნებრივია განსაკუთრებულ თანაგრძნობას იწვევდა ამიერკავკასიაში მცხოვრებ სომეხთა შორის. ამიერკავკასიის სომეხთა შორის იწყება მოძრაობა სხვადასხვა სახის წრეების შესაქმნელად, რომელთა მიზანი იყო მატერიალური და მორალური დახმარება გაეწიათ მძიმე მდგომარეობაში მყოფი თანამოძმეებისათვის. თუმცა რუსეთის მთავრობა საერთაშორისო ასპარეზზე ცდილობდა თურქეთის სომეხებისათვის შეექმნა ფიზიკური არსებობის გარანტია, მაგრამ ამასთანავე უიშობდა, რომ თურქეთში მცხოვრებ სომეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით შეიძლებოდა ასეთივე მოძრაობა დაწყებულიყო რუსეთში მცხოვრებ სომეხებს შორის ერთიანი, დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს შესაქმნელად. ეს კი ცარიზმისათვის მიუღებელი იყო. ამიტომ მეფის მთავრობა კავკასიის მთავარმართებელს ავალებდა გაეტარებინა ღონისძიებები, რომ ძირშივე აღეკვეთა სომეხებს შორის დაწყებული ეს მოძრაობა.

კავკასიის ადმინისტრაციის მიერ ამ მხრივ მიღებულ გადაწყვეტილებებს კარგად ასახავს კავკასიის მთავარმართებლის კონფიდენციალური წერილი თბილისის გუბერნატორ ა. გროსმანისადმი 1883 წლის 16 დეკემბერს:

«... Во исполнении высочайшей воли объявленной мне министром Внутренних дел, установить по вверенной вам губернии самый строгий надзор за деятельностью существующих в ней армянский частных обществ; проверить основания и цель их учреждения и закрыть те из них, которые уклоня-



ются от этой цели, или преследуют иную, не разрешенную правительством. Вместе с тем, прошу ваше превосходительство обязать теперь же все благотворительные и иные армянские частные общества представлением ежемесячных отчетов о поступающих к ним денежных взносах и о производимых расходах, возложив на одного из состоящих в вашем распоряжении чиновников фактическую проверку этих отчетов. При этом, чтобы не подавать указанной мерой армянам повода жаловаться за гонение их национальности, что было бы негласно, как выше изложено, с видами правительства, я нахожу полезным распространить, конечно, только для вида, особый административный надзор и на других не армянские общества, за исключением состоящих под покровительством высочайших особ, представляя ближайшую организацию этого надзора вашему усмотрению»<sup>286</sup>.

წერილიდან ამკარაა, რომ ხელისუფალთ სულ მცირე საბაბით შეეძლოთ დაებრალებინათ რომელიმე არასასურველი ორგანიზაციისათვის „დასახული მიზნიდან გადახვევა“ და დაეხურათ იგი, ხოლო არსებულნი მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ. ასეთსავე პოლიტიკას ატარებდა ცარიზმი ამიერკავკასიის სხვა ერთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართაც. მაგრამ მეფის მოხელეები გრძნობდნენ, რომ ასეთ დიფერენციულ მიდგომას შეიძლებოდა აღშფოთება გამოეწვია არა მარტო ამიერკავკასიის ერების წარმომადგენელთა შორის, არამედ ყოველ პროგრესულ ადამიანში. ამიტომ ცარიზმის მოხელენი თვალთმაქცურად აცხადებდნენ, რომ უნდა გაეტარებინათ ყოველგვარ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე „ადმინისტრაციული ზედამხედველობის“ პოლიტიკა, თუმცა ეს ფორმალურადაც არ ეხებოდათ იმ საზოგადოებებს, რომლებიც განსაკუთრებით მაღალ პირთა მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ; ასეთები კი მხოლოდ ზოგიერთი გერმანული და რუსული შავრაზმული ორგანიზაციები იყვნენ.

გერმანელ კოლონისტთა სასწავლებლები და ზემოდასახელებული მრავალრიცხოვანი საზოგადოებები ხელს უწყობდნენ კოლონისტთა განკერძოებულ, აბორიგენთაგან განცალკევებულ ცხოვრებას. კულტურულ-სამეურნეო დაწესებულებების სახით არსებული ეს ორგანიზაციები ფართო ნაციონალისტურ პროპაგანდას ეწეოდნენ ამიერკავკასიის გერმანულ მოსახლეობაში. ეს ნაციონალისტური ორგანიზაციები, ეწეოდნენ რა კოლონიებში „ნაციონალური სკოლის“ განმტკიცებას, წარმოადგენდნენ აგრეთვე ჭაშუშურ-დივერსიული მუშაობის ცენტრებს.

<sup>286</sup> სსსრ ცსსა, ფ. 17, ანწ. 2, საქმე 170, ფურც. 3—4.

5. ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტების ყოფა-  
ცხოვრება და წინ-ჩვეულებანი  
(ეთნოგრაფიული ცნობები)

ა. დასახლების ტიპები. XIX საუკუნის 50-იან წლებამდე ამიერკავკასიის გერმანელი კოლონიები გარეგნულად არაფრით განსხვავდებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა სოფლებსაგან: ვიწრო, ქუჩიანი ქუჩები, მიწური, ბანიანი ქოხნახები — ასეთი იყო კოლონიების გარეგნული სახე<sup>287</sup>. ამ დროიდან ხელისუფლები კოლონიების ეკონომიურ კეთილდღეობაზე ზრუნვასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევენ მათ კეთილმოწყობას. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღოდა ამ მხრივ ზემოხსენებულ ა. ფადეევს, ჯერ როგორც კოლონიების კეთილმოწყობის სპეციალური კომისიის თავმჯდომარეს (1847 წლიდან)<sup>288</sup>, ხოლო შემდეგ როგორც სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციის მეთაურს, რომლის გამგებლობაშიც გადავიდნენ გერმანული კოლონიები 1850 წლიდან.

ფადეევი პირადად დადიოდა კოლონიებში და ყოველმხრივ აქვზებდა კოლონისტებს აემუნებინათ ფართო, ნათელი ევროპული ტიპის სახლები, გაეყვანათ სწორი და ფართო ქუჩები და საერთოდ ეზრუნათ კოლონიის კეთილმოწყობაზე. მას, ვინც ძველი მიწურის ადგილზე სწრაფად ააშენებდა ახალ და ლამაზ სახლს, უწევდნენ ყოველმხრივ დახმარებას და აძლევდნენ ფულად ჯილდოს. კოლონიების კეთილმოწყობას ხელს უწყობდა კოლონისტების მზარდი ეკონომიური კეთილდღეობაც. მაგრამ მიუხედავად ასეთი ხელშეწყობისა, კოლონიებში თვით XX საუკუნის დამდეგსაც გვხვდება მიწური ისლით გადახურული სახლები<sup>289</sup>.

ბატონყმურ უღელში მგმინავ ადგილობრივ გლეხობას ოცნებაც არ შეეძლო ასეთ ხელშეწყობა-დახმარებაზე. თუმცა როგორც ზემოთ ვნახეთ, ადგილობრივი გლეხობა ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც თავისი უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობით ძლიერ განსხვავდებოდა გერმანელი კოლონისტებისაგან.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიის ყოველგერმანულ კოლონიაში, მისი სიდიდის მიხედვით, იყო ერთი ან რამდენიმე სწორად დაგეგმილი ფართო ე. წ. მთავარი ქუჩა. ქუჩები პარალელურად იყვნენ განლაგებული და ერთმანეთს უერთდებოდნენ

<sup>287</sup> Dr. Eduard Eichwald, დასახ. ნაშრ., გვ. 75; Н. Никифоров, დასახ. ნაშრ., გვ. 123; А. М. Фадеев, დასახ. ნაშრ., გვ. 18 და სხვა.

<sup>288</sup> სსსრ ცსსა, ფ. 16, ანაწ. 1, საქმე 9525, ფურც. 1—2.

<sup>289</sup> სსსრ ცსსა, ფ. 244, ანაწ. 7, საქმე 422, ფურც. 4.

პერპენდიკულარული უფრო ვიწრო ქუჩებით. ზოგჯერ ქუჩებს  
ჰქონდა ტროტუარები. ქუჩის ნაპირას ჩამწკრივებული იყო ხეები,  
რომელთა დარგვა გათვალისწინებული იყო კოლონისტთა წყარების  
342—347 მუხლებით. კოლონისტები ვალდებული იყვნენ ხეებზე და-  
ერგათ აგრეთვე სახლების, ბაღების, ვენახების, დამხმარე შენობე-  
ბის, საკარმიდამოების, კალოების და სხვათა გარშემო, რაც ძირი-  
თადად ქარისა და ხანძრისაგან თავდასაცავად იყო გათვალისწინებუ-  
ლი. 1889 წლის 17 თებერვლით დათარიღებულ ცირკულარულ  
ბრძანებაში აღნიშნულია, რომ კოლონისტები ნაკლებად ასრულე-  
ბენ ამ მოვალეობას: რგავენ მცირე რაოდენობის უხეირო ნერგებს,  
არ უვლიან მათ, რის გამოც ნერგები იღუპება. ხელისუფალნი ამ წე-  
რილით ავალებენ კოლონიის ადმინისტრაციას მკაცრი ყურადღება  
მიაქციონ ამ ნაკლის გამოსწორებას<sup>290</sup>.

უფრო მდიდარ კოლონიებში ქუჩები მოკირწყლული იყო. კო-  
ლონიის შუაგულში იყო მოზრდილი მოედანი, სადაც მოთავსებული  
იყო კოლონიის სამმართველო, ეკლესია, სკოლა, სასტუმრო, სავაჭ-  
რო წერტები და საზოგადოებრივი შენობები: პურის საცხობი, „პუ-  
რის მაღაზია“ (საერთო ბეღელი) და სხვა.

კოლონიის გეგმიან განაშენიანებას ზშირად განიხილავდნენ, რო-  
გორც რაღაც განსაკუთრებულს, გერმანელებისათვის დამახასიათე-  
ბელს და მასში ხედავდნენ „გერმანული ნაციონალური ხასიათის“  
სპეციფიკურ გამოვლინებას. მაგრამ სინამდვილეში, თვით კოლონის-  
ტების სამშობლოში— შუა და სამხრეთ გერმანიაში სასოფლო და-  
სახლების ადგილობრივ ფორმას წარმოადგენდა ე. წ. „შეჯგუფებუ-  
ლი სოფელი“ („Kuchevoe selo“—Haufendorf), რომელშიც გლეხ-  
თა სახლები და საკარმიდამოები განლაგებული იყო უწყსრიგოდ.  
სწორი ქუჩები მის გასწვრივ ჩამწკრივებული სახლებით (Strassendorf)  
გერმანიაში ჩნდება მხოლოდ გვიანდელი კოლონიზაციის რაიონებ-  
ში და წარმოადგენდნენ კოლონიზაციის მომწყობთა ნების გამოხა-  
ტულებას<sup>291</sup>. ასეთივე წარმოშობის იყო ამიერკავკასიის გერმანული  
კოლონიების გარეგანი ფორმა; საარქივო მასალები ადასტურებენ,  
რომ კოლონიის მთლიანი და ცალკეული საკარმიდამოების დაგეგ-  
მვა, საზოგადოებრივი, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების და-  
პროექტება და მათი კოლონიის ტერიტორიაზე განაწილება კოლო-  
ნისტებს მიცემული ქონდათ ადმინისტრაციული ორგანოების გან-

<sup>290</sup> სსსრ ცსსა, ფ. 244, ანაწ. 7, საქმე 115, ფურც. 1.

<sup>291</sup> В. М. Жирмунский, Итоги и задачи диалектологического и этно-  
графического изучения немецких поселений СССР, «Советская этнография»,  
Ленинград, 1933, № 2, стр. 109—110.



კარგულებით. თუმცა, როგორც ჩანს, ეს დაგეგმვა-დაპროექტება  
ხდებოდა გერმანული არქიტექტურის ეროვნული მოტივების გათვა-  
ლისწინებით. XX საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელი ვერ-  
მანელი კოლონისტის საცხოვრებელი სახლის ტიპის ქიმუხალებზე  
ხდებოდა თანდათანობით. ამასთანავე რუსეთის იმპერიის სხვადა-  
სხვა ადგილზე მცხოვრებ გერმანელ კოლონისტთა საცხოვრებელი  
და სამეურნეო ნაგებობანი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთი-  
მეორისაგან, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ადგილობრივი არ-  
ქიტექტურული სტილის გავლენით (მაგ. აივნები, ამიერკავკასიის  
გერმანელ კოლონისტთა სახლებზე).

ქუჩის პირას, ორივე მხარეს, ფრონტონით ქუჩისკენ ჩამწკრივე-  
ბული იყო კოლონისტთა სახლები, რომელთაც უმთავრესად ქვისა-  
გან აგებდნენ. კედლებს შიგნით და გარეთ ლესავდნენ და ღებავდ-  
ნენ. ცალკეულ კოლონიებში სახლები თითქმის ერთნაირი, ტიპური  
იყო; ზოგიერთ უფრო მდიდარ კოლონისტს ორსართულიანი სახლი  
ჰქონდა. სახლის სახურავი მაღალი და ძალზე დაქანებული იყო, რაც  
ხელს უწყობდა წვიმის და თოვლის სწრაფად ჩამორეცხვას. საცხოვ-  
რებელი ბინა უმთავრესად 3—4 ოთახისა და სამზარეულოსაგან შედ-  
გებოდა. ოთახებიდან ერთი სასტუმრო იყო, ერთი სასადილო, 1—2  
საწოლი. სახლის ქვემოთ ამოთხრილი იყო სარდაფი, რომლის თავი  
თაღებით იყო გადაყვანილი. სარდაფი მარნის მოვალეობას ასრუ-  
ლებდა, მასში ღვინიან კასრებს ინახავდნენ. საცხოვრებელი ბინის  
ზემოთ, სახურავის ქვეშ, მოთავსებული იყო სხვენი, რომელიც სახუ-  
რავის შგავსად საკმაოდ მაღალი იყო. სხვენი რამდენიმე ნაწილად  
იყოფოდა და ბედლის მოვალეობას ასრულებდა, აქ ინახავდნენ  
კოლონისტები ყოველგვარ სურსათ-სანოვაგეს: პურს, ქერს, სი-  
მინდს, შაშხს, ხილს და სხვა.

კოლონისტთა სახლს ფსადსა და ერთ-ერთ გვერდზე ჰქონდა  
ღია აივანი, რომელსაც ლამაზად გამოჭრილი რიკულებიანი მოაჯი-  
რი ჰქონდა.

როგორც აღვნიშნეთ, სამზარეულო, საკუქნაო, ბეღელი და მა-  
რანი კოლონისტებს საცხოვრებელ შენობაში ჰქონდათ თავმოყრი-  
ლი. ეზოში, სახლის მოშორებით დამხმარე შენობებიდან მხოლოდ  
თავლა-ბოსელი იდგა, რომელსაც მიშენებული ჰქონდა პატარა სა-  
თავსო შინაური ფრინველისა და წვრილფეხა საქონლისათვის.

გერმანელ კოლონისტებს ჰქონდათ ბინის ავეჯი: მაგიდები, სე-  
ლის სკამები, სხვადასხვა დანიშნულების კარადები, საწოლები, 1—2  
ტახტი, მუთაქებით. ავეჯი, უმთავრესად, კუსტარული წესით იყო.

დამზადებული<sup>292</sup>. კედელი და იატაკი დაფარული იყო ხალიჩებით. ზოგიერთ მდიდარ კოლონისტს ჰქონდა ფიზგარმონი, ან ფორტებიანო, რომელთაც უმთავრესად გერმანიიდან იწერდნენ. კედელზე ჰქონდათ ჩარჩოში ჩასმული რელიგიური შინაარსის მქონე ნახატები, გერმანიის და რუსეთის იმპერატორების, ბისმარკის, ლუთერის და მისი მოწაფის მელანქტონის სურათები<sup>293</sup>. სამზარეულოში ჰქონდათ პატარა ქურა, რომელზეც ერთდროულად ორი ქვაბი თავსდება.

ბ. კოლონისტების გარეგნობა და სალაპარაკო ენა. გერმანელი კოლონისტები საშუალო ტანისა და მკვრივი აგებულების იყვნენ. ი. პანტიუხოვის გამოკვლევით, XIX საუკუნის ბოლოსათვის კოლონისტი მამაკაცის საშუალო სიმაღლე იყო: თბილისის გუბერნიაში 1700—1710 მმ, ხოლო ელსავეტოპოლის გუბერნიაში — 1662 მმ<sup>294</sup>. კოლონისტებმა მძიმე სიარული იცოდნენ, სახე ჭანმრთელი და ფეროვანი ჰქონდათ, თმები უმთავრესად მუქი ქერა ან შავი, თვალები ცისფერი ან ღია თაფლისფერი, კბილები უმრავლესობას დაზიანებული ჰქონდა<sup>295</sup>.

კოლონისტები მოკლედ იკრეჭდნენ თმას. ქალიშვილები ატარებდნენ ნაწნავეებს, ხოლო ქალები სხვადასხვა მოდაზე იყენებდნენ თმებს. XIX საუკუნის მიწურულამდე წვერ-ულვაშის მოშვება თითქმის ცოდვად ითვლებოდა, ამავე საუკუნის მიწურულიდან კი ახალგაზრდები ხშირად უშვებდნენ წვერ-ულვაშს, ხოლო ულვაშებს უმრავლესობა ატარებდა.

ანთროპოლოგიურად ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტები მეტად ახლოს იდგნენ თავის ვიურტემბერგელ და ბადენელ თანამოძმეებთან<sup>296</sup>. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ შერევა ქორწინების გზით გერმანელ კოლონისტებსა და გარშემო მცხოვრებ მოსახლეობას შორის თითქმის არ ხდებოდა.

<sup>292</sup> Das neue Russland, 1929, № 7—8, s. 41.

<sup>293</sup> Н. К и р и ч е н к о, Год у немецких колонистов, Кубанский сборник, 1900, т. 6, стр. 15.

<sup>294</sup> И. И. П а н т ю х о в, Антропологические наблюдения на Кавказе, «Записки Кавказского отдела русского географического общества», 1893, кн. 15, стр. 121; е г о ж е, О росте некоторых племен закавказского края. «Медицинский сборник», № 49, 1889, стр. 185.

<sup>295</sup> И. И. П а н т ю х о в, К статистике кавказской патологии, «Медицинский сборник», № 61, 1898, стр. 64.

<sup>296</sup> И. А. Д о л ь б е р г, Антропологические данные о немцах-колонистах, «Русский антропологический журнал», т. 18, вып. 3—4, 1929, стр. 24—28.

ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტები ლაპარაკობდნენ შვაბურ დიალექტზე, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ლიტერატურული გერმანული ენისაგან. ამ დიალექტს თითქმის არც განიხილანაზი გრძნობების გამომატველი სიტყვები, სამაგიეროდ მათში მრავალად არის ტერმინები, რომლებიც ლიტერატურულ ენაში გამაზვიადებელ, ან კნინობით შინაარსს ატარებენ.

გ. კოლონისტების ჩაცმულობა. 80-იან წლებამდე კოლონისტები ატარებდნენ ტიპიურ შვაბურ კოსტუმს — ლურჯ ქურთუკს, რომელზეც ორ მწკრივად იყო დაკერებული თეთრი ძვლის ღილები, მის შიგნით იცვამდნენ ფართო და გრძელ ჟილეტს და ატარებდნენ ფართო და მოკლე შარვლებს. ქუდები გამოირჩეოდა დიდი კოკარდით. მამაკაცები ძირითადად ხმარობდნენ ჩექმებს, ხოლო ქალები შალის წინდებს და უხეში ტყავის ფეხსაცმელებს. ქალებს ეცვათ მუქი ფერის გამოყვანილი გრძელი კაბები და ატარებდნენ იმავე ფერის წინსაფრებს. თავს იკრავდნენ შავი ან ფერადი აბრეშუმის თავსაფრით<sup>297</sup>.

80-იანი წლებიდან ნაციონალური „შვაბური“ ტანსაცმელი თანდათან გაქრა და კოლონისტები იცვამდნენ იმდროინდელ ქალაქებში გავრცელებულ ევროპულ სამუშაო და სადღესასწაულო კოსტუმს. მუშაობის დროს კოლონისტები ხმარობდნენ შინსაკეთებ ჩალის ქუდებს და თხელლანჩიან მსუბუქ ფეხსაცმელს. ამ დროიდანვე კოლონისტებში ვრცელდება ტილოს ტანსაცმელიც. მამაკაცები ატარებდნენ სხვადასხვა ფერის ტილოს ხალათებს, ხოლო ქალები თეთრი, ან ნაცრისფერ ტილოს კაბებსა და კოსტუმებს<sup>298</sup>.

დ. კოლონისტების საცვები — ჩამოსახლების პირველ ხანებში გერმანელი კოლონისტები შედარებით ცუდად იკვებებოდნენ<sup>299</sup>. განსაკუთრებით ბევრს ჰამდნენ ხილს, ზოგჯერ მკვებესაც, რაც ხშირად იწვევდა მათს ავადმყოფობას. ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაწვდის ს. ი. ვიტე თავის მოგონებაში. სერგეი ვიტე და მისი ძმა ბორისი მამას და ბაბუას სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით ხშირად დაჰყავდა ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებში. აქ მათ ზოგჯერ უხდებოდათ კოლონისტების ოჯახებში სადილობა. კოლონისტებს ისეთი უცნაური საქმელები ჰქონდათ,

<sup>297</sup> I a k o v H u m m e l. Das Heimatkundliche Museum zu Helenendorf, Moskau, Zentral — Völkerverlag, 1929.

<sup>298</sup> В. Ф. М и л л е р, Систематическое описание коллекции Дашковского этнографического музея, вып. II, М., 1899, стр. 13.

<sup>299</sup> Закавказский Вестник, 1848, № 30—32.

რომ ბავშვები არც თუ იშვიათად ხშირად მშვიდობიანი რჩებოდნენ. ამ საქმელებს შორის ს. ვიტე ასახელებს შავი ქლიავის სუბს, ნანადირევის ხორცს მურაბით და სხვა<sup>300</sup>.

70-იანი წლებიდან კოლონისტების ეკონომიური კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, მათი სუფრაც ნაირფერი და უხვი ხდებდა. ამ დროიდან კოლონისტების მთავარი საკვები ხორცი იყო, რომელსაც დღეში სულ მცირე ორჯერ იღებდნენ. გარდა ხორცისა, ძირითადი საკვები პროდუქტები იყო: ფქვილეული, რძე, კარაქი, ყველი, კვერცხი, კარტოფილი, ბოსტნეული, ყავა, ჩაი და ა. შ. სადილი 2—3 თავი ხორციანი კერძისაგან შედგებოდა. ხორცს თითქმის არ წვავდნენ, სამაგიეროდ ხშირად ამზადებდნენ მწვადს, ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულის მსგავსს. განსაკუთრებით პოპულარული იყო ვაზის ლერწზე აგებული მწვადი. კოლონისტების საყვარელი იყო ღორის ქონით შემზადებული ფქვილის კვერები. დილით სვამდნენ მდარე ხარისხის ე. წ. „კოლონისტების“ ყავას, უფრო იშვიათად ჩაის. ხორციან ვახშამს ყოველთვის აყოლებდნენ ჩაის. კოლონისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ადგილობრივ მკვიდრთაგან შექმნილი ცხვრის (გუდის) ყველი. სადესერტოდ კოლონისტები მრავლად ამზადებდნენ სხვადასხვა სახის მურაბებს.

საუზმის გარდა, ყოველ ჰამის დროს სუფრაზე მოჰქონდათ ღვინო, რომელიც გასაყიდ ღვინოზეც კი ბევრად მდარე იყო, რადგან წარმოადგენდა წყალდასხმული ჰაკის ნაწურ მკავე წვენს. ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად, კოლონისტები ღვინოს სვამდნენ არა მარტო სახლში სადილობის დროს, არამედ ყანა-ვენახში მუშაობის და მგზავრობის დროსაც, ამიტომ სამგზავრო ჩანთით ყოველთვის ატარებდნენ ღვინით სავსე თიხის დოქს. გარდა ღვინისა, კოლონისტები სასმელად ხმარობდნენ არაყსა და ლუდს<sup>301</sup>.

ე. გერმანელი კოლონისტების ოჯახი. ურთიერთობა გერმანელ კოლონისტებს შორის. გერმანელ კოლონისტებში ოჯახის მეთაურად ითვლებოდა მამა, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებოდა ოჯახის ყოველი წევრი. ყოველგვარ ოჯახურ სამუშაოს: ბავშვების მოვლას, სადილის გაკეთებას, სახლის დალაგებას, რეცხვას, კერვას, პირუტყვისა და ფრინველის მოვლას და სხვა ასრულებდა ოჯახის დიასახლისი. ამასთან ერთად

<sup>300</sup> С. Ю. Витте, Воспоминания, т. I, М., 1960, стр. 45.

<sup>301</sup> J. Hummel, Heimatbüchlein der deutschen in Transkaukasien, Pöckowsk, 1926, s. 15.

იგი ფიზიკურადაც მუშაობდა ქმრის გვერდით. ბავშვები იზრდებოდნენ მკაცრ, რელიგიურ გარემოში. მათ სწავლასთან ერთად, პატარაობიდანვე აჩვევდნენ შრომას. ქორწინებამდე შვილები მშობლების სახლში რჩებოდნენ. დაქორწინების შემდეგ ვაჟი ეყოფოდა ოჯახს. მშობლები ეხმარებოდნენ მას საკუთარი სახლის აშენებასა და მეურნეობის შექმნაში. მანამდე კი ცოლიან ვაჟს გამოუყოფდნენ ცალკე ოთახს. შესაძლებლობის შემთხვევაში მშობლები ეხმარებოდნენ გათხოვილ ქალიშვილსაც.

კოლონიტები ნათესაობას სუსტად იცავდნენ. მაგალითად, ნებადართული იყო ქორწინება ბიძაშვილებს შორის, ორ ძმას შეეძლო ორი დის შერთვა. ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში მამაკაცი ხშირად ცოლისდას ირთავდა. ამ მოვლენას იმით ამართლებდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში დედინაცვალი მეტ ყურადღებას მიაქცევდა გერებს (დისწულებს).

თანასოფლელის რაიმე უბედურების: სიკვდილის, დასახიჩრების, ხანძრის, მოსავლის რაიმე მიზეზით განადგურების და სხვა შემთხვევაში კოლონიტები მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ დახარალებულს. დახმარება ძირითადად წარმოებდა კოლონიის საერთო ქონების („პურის მაღაზიები“, საზოგადოებრივი კაპიტალი) ხარჯზე.

ვ. კოლონიტთა საქორწინო წესჩვეულებანი. გერმანულ კოლონიებში ქორწილები, როგორც წესი, იმართებოდა გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში, როცა ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო მოთავდებოდა. ქორწილს წინ უსწრებდა ნიშნობა, რომელიც სრულდებოდა ეკლესიაში, პასტორის თანდასწრებით. ქორწინებაში გადამწყვეტ როლს მშობლები თამაშობდნენ, ამიტომ ამ აქტის დროს უფრო მატერიალურ მხარეს უწევდნენ ანგარიშს, ვიდრე გრძნობებს. მაგალითად, ეკატერინენფელდელი კოლონიტები ერიდებოდნენ ქალი გაეთხოვებინათ ელიზავეტალში, რომელიც შედარებით უფრო ღარიბ კოლონიად ითვლებოდა<sup>302</sup>.

ნიშნობასა და ქორწინებას წინ უსწრებდა მაშვლობა. როდესაც ქალ-ვაჟის ოჯახები შეთანხმდებოდნენ ქორწინებაზე, ვაჟის ოჯახი მაშვლებს გზავნიდა ქალის სახლში. მაშვლების მიწვევით ქალის მამა მიდიოდა სიძის ოჯახის სანახავად და თუ მას ოჯახი მოეწონებოდა, იქვე შეთანხმდებოდნენ ნიშნობის და ქორწილის თარიღის შესახებ. ქორწილი ინიშნებოდა არა ნაკლებ სამი კვირით ადრე. დასა-

<sup>302</sup> ე. მ. კაკულიას ნაშრომიდან.

ქორწინებელი ქალი უნდა ყოფილიყო არა ნაკლები 17, ხოლო ვაჟი — 20 წლის<sup>303</sup>.

ქორწინება იწყებოდა ეკლესიაში ჯვრისწერით. დედოფალს ახლდა ორი დობილი, ხოლო ნეფეს ორი ძმობილი. დედოფალს თავზე ედგა ხელოვნური ყვავილების გვირგვინი. ხოლო ნეფეს მკერდზე ჰქონდა თეთრი ბაბთა. თუ დედოფალი ნაქვრივალი ან შენაცდენი იყო, მას ამ სამკაულის ტარების უფლება არ ჰქონდა; თუ ამ მხრივ ორივე მხარე „სცოდავდა“ (ამის შესახებ პასტორი იგებდა ნიშნობის დროს აღსარების თქმით), ქორწინება იმართებოდა ოთხშაბათობით, საეკლესიო ზარების რეკვის გარეშე. საერთოდ კი ქორწინების დღედ მიღებული იყო სამშაბათი ან ხუთშაბათი და საქორწინო პროცესიას თან ახლდა საეკლესიო ზარების რეკვა.

სხვა ქრისტიანული მიმდინარეობებისაგან გამსხვავებით ლუთერანულ ეკლესიაში ჯვრისწერის დროს ნეფე-დედოფალი ბეჭდებს არ ცვლიდნენ. თუ დასაქორწინებელი რამდენიმე წყვილი იყო, პასტორი ყველას ერთად წერდა ჯვარს.

ეკლესიაში საქორწინო რიტუალის შემდეგ სტუმრები მიდიოდნენ დედოფლის მშობლების სახლში, სადაც იმართებოდა ქორწილი, სმა-ქამა და სიმღერა, ცეკვები და ყოველგვარი გართობათამაშობანი აკრძალული იყო<sup>304</sup>. სიმღერები ძირითადად რელიგიური ხასიათის იყო. ქორწილს აუცილებლად ესწრებოდა პასტორი. ქორწილის დედოფლის სახლში გადახდა და ცეკვა-გართობის აკრძალვა სრულიად განასხვავებდა ამიერკავკასიის გერმანული კოლონიისტების საქორწინო რიტუალს როგორც თვით გერმანიაში, ისე რუსეთის სხვა გერმანულ კოლონიებში არსებული საქორწინო წესებისაგან. იქ ქორწილს იხდიდნენ ვაჟის ოჯახში და ცეკვა-თამაშიც ნებადართული იყო<sup>305</sup>. ეს განსხვავებანი ამიერკავკასიის კოლონიისტებში სექტანტური მოძღვრების გადმონაშთები უნდა ყოფილიყო.

ქვრივ მამაკაცებს ექვსი თვის, ხოლო ქვრივ ქალებს ცხრა თვის განმავლობაში ხელმეორედ დაქორწინების უფლება არ ჰქონდათ<sup>306</sup>.

ზ. მიცვალეზულის კულტი. მიცვალეზულთა დასამარხავად გერმანელ კოლონიისტებს ჰქონდათ სასაფლაო, რომელიც ეკლესიისაგან განცალკევებით, კოლონიის გარეთ მდებარეობდა. სასაფლაოს შემოვლებული ჰქონდა ქვის გალავანი ან მაგარი ხის მე-

<sup>303</sup> E. Г. Кагаров, Материалы по этнографии немцев Повольжья, доклады АН СССР, 1929, вып. 14, стр. 262—264.

<sup>304</sup> Ф. Циммер, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

<sup>305</sup> E. Г. Кагаров, დასახ. ნაშრ., გვ. 267.

<sup>306</sup> Fr. Schrenk, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

სერი. სასაფლაომდე კუბო აუცილებლად თავდახურული უნდა წავ-  
ლოთ. კოლონისტები მიცვალებულს სასაფლაომდე სპეციალური ეტ-  
ლით (ბალდაზინიანი კატაფალკით) მიასვენებდნენ. ეს ეტლი მთელი  
კოლონიის საერთო კუთვნილება იყო და მასში ქირას არ მხდებოდა.  
ცხენებს კატაფალკაში რიგ-რიგობით აბამდნენ. დამარჯვის პროცესს  
ერთი კაცი ხელმძღვანელობდა.

მიცვალებულს გალობით მიყვებოდნენ სკოლის მასწავლებლები  
და მოსწავლეები. მიცვალებულს სასაფლაომდე აცილებდა თითქმის  
მთელი კოლონია, უმეტესად ქალები და აგრეთვე მამაკაცებიც, თუ  
ისინი შინ იმყოფებოდნენ. სასაფლაოზე პასტორი ამბობდა სიტყვას,  
რომლითაც ქირისუფლებს ანუგეშებდა, შემდეგ იგი მიწას დააყრა-  
და კუბოს და მიცვალებულს სამარეს აბარებდნენ. დაკრძალვის  
შემდეგ ხალხი თავ-თავის სახლში მიდიოდა. მიცვალებულს არ  
უმართავდნენ ქელებს, პანაშვიდს, ორმოც დღეს და წლისთავს.

თვითმკვლელებს კოლონისტები განსაკუთრებულ ადგილზე, სა-  
საფლაოს გარეთ კრძალავდნენ. მკვდრად შობილი ბავშვები შებინ-  
დებისას უნდა დაემარხათ.

ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტები პირველი  
მსოფლიო ომის და ინტირპენციის წლებში

პირველი მსოფლიო ომი, როგორც ცნობილია, წარმოიშვა იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის შედეგად. ეხებოდა რა მის აღმოცენებას, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „შეიარაღების ზრდას, ბაზრებისათვის ბრძოლის უკიდურესად გამწვავებას მოწინავე ქვეყნების კაპიტალიზმის განვითარების უახლესი იმპერიალისტური, სტადიის ეპოქაში, ყველაზე ჩამორჩენილი, აღმოსავლეთ ევროპის მონარქიების დინასტიურ ინტერესებს აუცილებლად უნდა გამოეწვიათ და კიდევაც გამოიწვიეს ეს ომი“<sup>1</sup>.

1914 წელს გაჩაღებული ომი იყო სხვა საშუალებით გაგრძელება და განვითარება იმ იმპერიალისტური დაპყრობითი პოლიტიკისა, რომელსაც მანამდე, მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ მეომარი სახელმწიფოები. ათეულობით წლის განმავლობაში ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, იტალიის და მეფის რუსეთის მთავრობები ეწეოდნენ კოლონიების ძარცვას, სხვა ერების ჩაგვრას, საკუთარ მუშათა მოძრაობის ჩახშობას და მისიწრაფოდნენ მსოფლიოს ახალი გადანაწილებისაკენ.

ომის აღმოცენებაში დამნაშავენი იყვნენ ყველა ქვეყნის იმპერიალისტები, მაგრამ მთავარი როლი ამ სისხლისღვრის გაჩაღებაში, რასაც მოჰყვა მილიონობით ადამიანის დაღუპვა და არნახული ნგრევა, ითამაშა კაიზერულმა გერმანიამ.

სიტუაციაში, როდესაც მსოფლიო განაწილებული იყო და იღვა საკითხი მისი გადანაწილების შესახებ, გამწვავებული იმპერიალისტური კონფლიქტის კომპრომისული გადაწყვეტა შეუძლებელი იყო, „ან ერთმა უნდა აიღოს ხელი თავისი კოლონიების ფლობაზე ან მეორემ. ასეთი საკითხები კაპიტალისტების ამ სამყაროში ნება-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 15.



ყოფლობით არ წყდება, ამის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ  
ომით<sup>2</sup>.

გერმანელი იმპერიალისტების პოლიტიკური დამყარების მიზნით  
ექსპანსიის გეგმებში ამიერკავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს ექვემდებარებოდა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის გერმანელი მილი-  
ტარისტები პირველხარისხოვანი პლაცდარმის როლს აკუთვნებდნენ  
აღმოსავლეთისაკენ შეტევაში. ამავე დროს გერმანული კაპიტალი  
სულ უფროდაუფრო მეტ დაინტერესებას იჩენდა ამიერკავკასიით.  
თუმცა გერმანიის კაპიტალის ამიერკავკასიაში დამკვიდრების ცდებს  
აღრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს პროცესი განსაკუთრებით ძლი-  
ერდებოდა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ამავე დროს ადგილი  
აქვს შრომის ერთგვარ განაწილებას: თუ ამიერკავკასიაში მცხოვრე-  
ბი გერმანელი კოლონისტები ცდილობდნენ გაბატონებული მდგო-  
მარეობა დაეკავებინათ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში, საზღვარგა-  
რეთიდან შემოსული გერმანული კაპიტალი ფებს იკიდებდა მრეწ-  
ველობაში, უმთავრესად სამთამადნო მრეწველობაში.

გერმანულ კაპიტალისტთა ყურადღებას უმთავრესად ბაქოს ნავ-  
თობი და ჭიათურის მანგანუმი იპყრობდა.

ემზადებოდნენ რა მსოფლიოს ომისათვის, გერმანელი იმპერია-  
ლისტები ოცნებობდნენ ხელში ჩაეგდოთ ბაქოს ნავთობიანი რაიონ-  
ი. ბაქოს ნავთობის მრეწველობაში შეჭრას გერმანული კაპიტალი  
XIX საუკუნის დასასრულიდან ცდილობდა<sup>3</sup>. იგი აქ ფებს იკიდებდა  
ისეთი მსხვილი ნავთობსარეწი ფირმების მეშვეობით, როგორც  
იყო — „ძმ. ნობელების ამხანაგობა“ და „ლიანოზოვის ნავთსარეწი  
ამხანაგობა“. 1883 წელს გერმანიაში ბაქოდან ნავთობპროდუქტე-  
ბის შემოზიდვის გასაადვილებლად ბერლინში დააარსეს სააქციო-  
ნერო საზოგადოება „დოიჩ-რუსიშე ნავთობ-იმპორტ-გეზელშაფტ“.  
1900-იანი წლებიდან გერმანული კაპიტალი აძლიერებს დაწოლას  
ბაქოს ნავთობის მრეწველობაში. ისარგებლეს რა ფირმა „ნობელის“  
ფინანსური სიძნელეებით, გერმანული ბანკები „დისკონტო გეზელ-  
შაფტ“ და „ბერლინერ ჰანდელს გეზელშაფტს“ თანდათან გაბატონ-  
დნენ მასში. „დისკონტო გეზელშაფტმა“ თანდათანობით შეიძინა  
„ძმ. ნობელების ამხანაგობის“ აქციათა დიდი ნაწილი. 1912 წლი-  
სათვის მის ხელში იმყოფებოდა „ნობელის“ ფირმის აქციათა 40  
პროცენტამდე. „ძმ. ნობელების ამხანაგობა“ იმდენად მჭიდროდ იყო

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 24, გვ. 492.

<sup>3</sup> А. А. Фурсенко, Нефтяные тресты и мировая политика, М.-Л., 1965, стр. 139—194, 408—432.



დაკავშირებული გერმანულ კაპიტალთან, რომ მისი ანგარიშები იბეჭდებოდა არა მარტო რუსულ, არამედ გერმანულ ენაზე. გერმანელი კაპიტალისტები ცდილობდნენ „მ. ნობელის ბანკის“ საშუალებით გაბატონებულიყვნენ კავკასიის ნავთობის სხვა ფორმებშიც. კავკასიის ნავთობის მრეწველობაში გასაბატონებლად და ნავთობის გერმანიაში გაზიდვის გასაადვილებლად გერმანელები ერთ დროს სანაოსნო არხსაც აპროექტებდნენ მდინარე დნებრსა და დასავლეთ დვინას შორის. ამ არხით შეერთდებოდნენ შავი და ბალტიის ზღვები; იგი თითქმის ორჯერ შეამოკლებდა 7450 კილომეტრს 3890 კილომეტრამდე—კავკასიიდან გერმანიაში ნავთობის გადასაზიდ სანაოსნო ვზას.

მაგრამ ბაქოს ნავთობის მრეწველობაში მეტად ძლიერი პოზიციები ეკავა ინგლის-საფრანგეთის კაპიტალს, რომელმაც საბოლოოდ შეძლო გერმანელი კონკურენტის დამარცხება. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის გერმანიის კაპიტალის პოზიციები ბაქოს ნავთობის მრეწველობაში მნიშვნელოვნად შესუსტდა და მისი წილი ამ მრეწველობის სააქციო კაპიტალის მხოლოდ 3% შეადგენდა<sup>5</sup>.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურის მანგანუმს საერთაშორისო მასშტაბით. პირველ მსოფლიო ომამდე ჭიათურა იძლეოდა მანგანუმის მსოფლიო ექსპორტის 30—50%. გერმანიის მზარდი მეტალურგია და ქიმიური მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული ჭიათურის მანგანუმზე<sup>6</sup>. 1913 წლისათვის ჭიათურის მანგანუმის მთელი ექსპორტის 38% გერმანიაზე მოდიოდა. მანგანუმის მადანზე გერმანიის მრეწველობის მოთხოვნილების 60% ჭიათურა აკმაყოფილებდა<sup>7</sup>. ქართველ მრეწველთა ენერგიული ლონისძიებების მიუხედავად, უცხოური კაპიტალი სხვადასხვა გზით სულ უფროდაუფრო მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში<sup>8</sup>. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა გერმანული კაპიტალისტური საზოგადოება — „გელზენკირხენი“

<sup>4</sup> Л. Я. Эвентов, Иностраный капитал нефтяной промышленности России 1874—1917, М. -Л., 1925, стр. 15—17.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 126.

<sup>6</sup> გ. მარვიანი, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში, მარგანეცის მრეწველობა, თბილისი, 1968, გვ. 193—194, 260—310.

<sup>7</sup> ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 19, д. 1221, л. 4, 23.

<sup>8</sup> Там же, ф. 37, оп. 68, л. 354, лл. 8—9.

10. გ. მანჯალაძე

რომელიც, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, გერმანიის სამთა-  
მადნო მრეწველობის ყველაზე დიდი საწარმო იყო<sup>9</sup>. ჯერლხენჟერტს-  
ნის საზოგადოება გაძლიერებით ყიდულობდა მანგანუმს<sup>10</sup>. ადგილობრივი  
ადგილობრივი მრეწველებისაგან და გაჰქონდა გერმანიაში. გარდა  
ამისა, ეს ფირმა შესყიდვის და გრძელვადიანი იჯარების გზით ისა-  
კუთრებდა ქიათურის მანგანუმის საბადოთა მნიშვნელოვან ნაწილს.  
1914 წლისათვის ამ საფირმო საზოგადოების განკარგულებაში იყო  
ქიათურის მანგანუმის საბადოთა 25%, ხოლო მისი ქონება საქართველოში  
შეფასდა 2 678 858 მანეთად. ერთ დროს ეს გერმანული  
ფირმა ცდილობდა საკუთარი ნავსადგური აეშენებინა ქობულეთ-  
თან<sup>10</sup>.

ასევე ენერჯიულად მოქმედებდა ქიათურაში კიდევ ორი გერ-  
მანული კაპიტალისტური საზოგადოება — „კავკასიის საბადოთა ამ-  
ხანაგობა“ და „გილერტი“<sup>11</sup>. 1914 წელს ამ სამი ფირმის განკარ-  
გულებაში იყო 626 დესეტ. საბადო<sup>12</sup> (ადგილობრივი ქართველი  
მრეწველები კი ეწეოდნენ 1124 დესეტ. საბადოების ექსპლოატა-  
ციას). გერმანული ფირმების მალარობები განლაგებული იყო მღვი-  
მევში, პერევისში, რგანსა და ითხვისში. ჰქონდათ მარგანეცის გა-  
მაუხვებელი ორი ფაბრიკა, რომლებიც წლიურად უშვებდნენ 13  
ბლნ ფუთ გარეცხილ მადანს<sup>13</sup>. მოგვიანებით, მსოფლიო ომის და-  
წყების შემდეგ, როდესაც დადგა საკითხი მანგანუმის მრეწველო-  
ბაში გერმანული საწარმოების ლიკვიდაციის შესახებ, გამოირკვა  
მანგანუმის ექსპორტსა და გაყიდვაში კიდევ ერთი გერმანული  
სამთამადნო საზოგადოების — „დოიჩე კაიზერის“ მონაწილეობა<sup>14</sup>.

აღსანიშნავია, რომ ომის დროს გერმანელი იმპერიალისტები  
ცდილობდნენ ხელიდან არ გაეშვათ ქიათურის მანგანუმი, შე-  
ენარჩუნებინათ მანგანუმის საწარმოები შვედური ფირმის „ვინტერ-  
ვიკენსის“ საშუალებით. ამ შვედურმა ფირმამ მოულოდნელად განა-  
ცხადა, რომ მან შეიძინა გერმანული ფირმების საწარმოები ქიათუ-  
რაში და რუსეთის მთავრობას სთხოვდა ნებართვას, დაეწყო მარგა-  
ნეცის საბადოთა ექსპლოატაცია. რუსეთის მინისტრთა საბჭომ უარყო

<sup>9</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 252.

<sup>10</sup> ЦГИАЛ, ფ. 1276, оп. 10, д. 297, л. 2.

<sup>11</sup> ЦГИАЛ, ფ. 37, оп. 77, д. 398, л. 4.

<sup>12</sup> Там же, ფ. 37, оп. 68, д. 354, л. 5.

<sup>13</sup> ალ. ბენდიანიშვილი, ქართული ეროვნული ბურჟუაზია და უცხო-  
ური კაპიტალი 1879—1921 წწ. ქიათურის სამრეწველო რაიონში, „მაცნე“, 1963,  
№ 2, გვ. 107.

<sup>14</sup> К. Н. Корнштейн, დასახ. ნაშრ., გვ. 17.



ეს თხოვნა, რადგან „ექვობდა ამ გარიგების სინამდვილეში“. შემდგომში დადასტურდა, რომ ეს იყო ფიქტიური გარიგება.<sup>15</sup> გერმანული კაპიტალი ცდილობდა შექრილიყო ამიერკავკასიის მეურნეობის სხვა დარგებშიც. ძმ. სიმენსების ფირმას ეკუთვნოდა ამიერკავკასიის სპილენძის მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი ფლობდა მრავალ საბადოს და მოზრდილ ქარხანას ქეღაბეგში. გერმანულ კაპიტალს წამყვანი პოზიციები ეკავა აგრეთვე ამიერკავკასიის ქიმიურ მრეწველობაში, ელექტროენერჯის წარმოებაში, ტრანსპორტში და სხვ.<sup>16</sup>

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კავკასიის აღმინისტრაციამ რამდენიმე ღონისძიება გაატარა გერმანული კოლონიების მიმართ. შექმნილ სიტუაციაში გერმანული კოლონისტები განსაკუთრებით ყურადღებას საჭიროებდნენ, რადგან მათი საკმაოდ მჭიდრო კავშირთიერთობა გერმანიასთან ქმნიდა რუსეთის ინტერესთა საწინააღმდეგო მოქმედების საშიშროებას. მაგრამ ცარიზმის ამ ღონისძიებებს უფრო საზოგადოებრივი აზრის დამშვიდების ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომებისა, რაც რუსეთის მმართველ წრეებში ძლიერი გერმანოფილური გავლენით იყო გამოწვეული.

პირველი ასეთი ღონისძიება იყო ამიერკავკასიის კოლონიების გერმანული სახელწოდებების შეცვლა. ეს ღონისძიება გატარდა 1914 წლის ოქტომბერში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულარულ ბრძანების შედეგად<sup>17</sup>. ამის შემდეგ გერმანულმა კოლონიებმა შემდეგი სახელწოდებები მიიღეს<sup>18</sup>:

1. თბილისის გუბერნიაში:

- კოლონია ალექსანდრესლორფი — ალექსანდროვსკოე
- კოლონია პეტერსლორფი — პეტროვსკოე
- კოლონია მარიენფელდი — მარინო
- კოლონია ფრაიდენტალი — ვესიოლოე
- კოლონია ელიზავეტალი — ასურეთი
- კოლონია ეკატერინენფელდი — ეკატერინოვკა

<sup>15</sup> ЦГИАЛ, ф. 37, оп. 77, д. 398, л. 6—7.  
<sup>16</sup> об. Б. Брандт, Иностранные капиталы, их влияние на экономическое развитие страны, ч. I—IV, СПб., 1898—1901; П. В. Оль, Иностранные капиталы в России, Пг-д, 1922.  
<sup>17</sup> სსსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 7, საქმე 2753, ფურც. 1.  
<sup>18</sup> იქვე, ფურც. 87; გაზ. «Кавказ», 20. 1. 1916.

კოლონია ალექსანდერსპილდი — ალექსანდროვკა  
დასახლება იაკოვლი — იაკოვლევა  
დასახლება ტრაუბენბერგი — ახალი ალავეჯი

## 2. ელისავეტპოლის გუბერნიაში:

კოლონია ელენენდორფი — ელენინო  
კოლონია ანენფელდი — ანინო  
სოფელი აიგენფელდი — პეტროვკა  
სოფელი გრიუნფელდი — ზელიონაია პოლიანა  
სოფელი ტრაუბენფელდი — ვინოგრადნოე პოლე.

## 3. სოხუმის ოლქში:

სოფ. ვნადენბერგი — დუბოვსკოე  
სოფ. ნაიდორფი — სუვოროვსკოე<sup>20</sup>.

1915 წლის ნოემბრიდან მეფისნაცვლის ბრძანებით გერმანულ კოლონიებში... კოლონისტებზე თვალყურის სადევნებლად და მათ მიერ ომთან დაკავშირებით შესაძლო მავნე საქმიანობის აღსაკვეთად“ დანიშნეს სახელმწიფო მამასახლისები და მწერლები. მათ განკარგულებაში იმყოფებოდნენ „სტრაჟნიკები“, რომელთა რიცხვს განსაზღვრავდა გუბერნატორი<sup>21</sup>.

აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნეს როგორც რუსი (ტარასოვი, გრიგორიევი, სმირნოვი და სხვ.), ისე ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლები (ლუარსამიძე, გარაყანიძე, ურდულაძე, პალიევი, აგაიანცი, ჩუგუზოვი და სხვა). ამ მოხელეებს კოლონისტების ხარჯზე დაენიშნათ ხელფასი თვეში 30—40 მანეთის რაოდენობით<sup>22</sup>. მათ თვალყური უნდა ედევნებინათ კოლონიების ადმინისტრაციების და თვით კოლონისტების საქმიანობისათვის და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების გამოვლინების შემთხვევაში მიეღოთ ზომები, ან ეცნობებინათ ზემდგომი ორგანოებისათვის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ თანამდებობებზე გასაგზავნი პირები საგულდა-

<sup>19</sup> „ასურეთი“ და „ალავარი“ ამ ადგილების ძველი ქართული სახელწოდებები იყო.

<sup>20</sup> აღნიშნულ გერმანულ დასახლებასთან ერთად გერმანული სახელწოდება შეეცვალა თბილისის მაზრის ქართულ სოფელ პეტერბურგს, რომელსაც ადგილის ძველი სახელწოდების მიხედვით ეწოდა „აგურის საყდარი“.

<sup>21</sup> სსსრ ცსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქმე 8372, ფურც. 1.

<sup>22</sup> ი ქ ვ ე, ფურც. 6, 13; ფ. 13, ანაწ. 22, საქმე 322, ფურც. 1.

გულოდ შეარჩიეს, მათ შორისაც აღმოჩნდნენ გერმანოფილები. 1916 წლის იანვარში გერმანიის სასარგებლოდ ფართო ავტოკრატის წარმოებისათვის სამსახურიდან გაათავისუფლეს და პასუხისმგებლობა მიჰკისრეს ასურეთში მომუშავე „სახელმწიფო შწერალი“ დირკო<sup>23</sup>.

ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტებს კარგად ესმოდათ ის ორჭოფული მდგომარეობა, რაც მათ შეექმნათ რუსეთ-გერმანიის ომის გამო. მათთვის სრულიადაც არ იყო საიდუმლო, რომ იმყოფებოდნენ გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ; თუმცა როგორც პოლიციის და ქანდაკების მოხელეთა საიდუმლო მოხსენებებშია აღნიშნული, ეს მეთვალყურეობა ძნელდებოდა კოლონიების კარჩაქეტილობის და მათი ერთიანი ეთნიკური შემადგენლობის გამო<sup>24</sup>.

ომთან დაკავშირებულ შექმნილ ანტიგერმანულ ატმოსფეროში პირველ ხანებში კოლონისტები ცდილობდნენ სახელმწიფოს ეჭვი არ შეეტანა მათს ლოიალურ განწყობილებაში, ამიტომ მათ ომის დაწყებისთანავე სამხედრო უწყებას გადასცეს მოთხოვნილი ცხენების და ფურგონების რაოდენობა, სამხედროვალდებული კოლონისტები დროულად გამოცხადდნენ გასაწვევ პუნქტებში<sup>25</sup>, ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებში დაიწყეს ფულის შეგროვება წითელი ჯვრისათვის — ლაზარეთის გასახსნელად, კოლონიების ადმინისტრაცია ყოველმხრივ ცდილობდა ხაზი გაესვა სახელმწიფოსადმი თავის ერთგულებისათვის და ა. შ. 1914 წელს 23 სექტემბერს ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების ობერპასტორმა გაინცელმანმა ეკატერინენფელდიდან უქვეშევრდომილესი დეპეშა გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს<sup>26</sup>.

<sup>23</sup> ი ქ ვ ე, ფურც. 62, 65—66.

<sup>24</sup> ი ქ ვ ე, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3316, ფურც. 5; ფ. 95, ანაწ. 1, საქმე 511, ფურც. 503.

<sup>25</sup> როგორც ცნობილია, საყოველთაო სამხედრო სავალდებულოთა სამსახური რუსეთის იმპერიაში შემოიღეს 1874 წ. 10 წლის შემდეგ, 1884 წლიდან იგი გავრცელდა ამიერკავკასიის მუხრებლებზე და მათ შორის გერმანელ კოლონისტებზეც. მაგრამ კოლონისტები არც ამ ბევრით დაუტყვირთავეთ ძლიერ. 1888 წ. თბილისის გუბერნიის 768 ახალწიულთა შორის მხოლოდ 4 კოლონისტი იყო (სსსრ ცსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქ. 2748, ფურც. 18). 1900 წ. ელისავეტპოლის გუბერნიის 1100 ახალწიულს შორის 8 იყო კოლონისტი (სსსრ ცსსა, ფ. 12, ანაწ. 8, საქ. 3008, ფურც. 6—16). მოგვიანებით გერმანელი კოლონისტები სისტემატურად არიდებდნენ თავს სამხედრო ბევარს.

<sup>26</sup> სსსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3160, ფურც. 51.

ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთ-გერმანიის ეკონომიური წინააღმდეგობების გამწვავების გამო რუსეთის ლიტერატურასა და პრესაში დაიწყო კამპანია ე. წ. „გერმანული ძალმომრეობისაგან“ განთავისუფლებისათვის. იგი გამოხატავდა რუსეთის ბურჟუაზიის და მემამულეთა ზოგიერთი წრის ინტერესებს. ბურჟუაზიის ეს ნაწილი ცდილობდა განთავისუფლებულიყო უცხოური კონკურენციისაგან, ხოლო მემამულეები მნიშვნელოვან მიწის ფართობს იძენდნენ რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში, სადაც მათ ძლიერ მეტოქეობას უწევდნენ გამდიდრებული გერმანელი კოლონისტები.

პირველ მსოფლიო ომამდე ლიტერატურასა და პრესაში დაწყებული კამპანიამ „გერმანული ძალმომრეობის“ წინააღმდეგ ომის დაწყების შემდეგ ოფიციალური ხასიათი მიიღო და გამოიხატა მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებში. ეს ღონისძიებები გატარებული იქნა როგორც მიწათმფლობელობაში, ისე მრეწველობასა და ვაჭრობაში და თვითეული მათგანი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა.

გერმანული მიწათმფლობელობის შეზღუდვა მეფის მთავრობამ ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დაწყებამდე სცადა. ამ მიზნით 1910 წლის 14 ივლისს მთავრობამ მესამე სახელმწიფო სათათბიროს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი დასავლეთის გუბერნიებში (კიევის, ვოლინის და პოდოლსკის) უცხოელთა მიწათმფლობელობის შეზღუდვის შესახებ<sup>27</sup>. მაგრამ კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა ოქტიაბრისტების პარტია, რომელშიც მრავლად იყვნენ გერმანული წარმოშობის პირები. რადგან ოქტიაბრისტები ერთ-ერთ წამყვან პარტიას წარმოადგენდნენ მესამე სახელმწიფო სათათბიროში, 1911 წლის 18 მაისს მთავრობამ უკან წაიღო ეს კანონპროექტი.

მალე, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შემდეგ, 1912 წ. მთავრობამ კვლავ შეიტანა კანონპროექტი უცხოელთა მიწათმფლობელობის შეზღუდვის შესახებ მცირეოდენი ცვლილებებით — აღნიშნულ გუბერნიებს დაემატა ბესარაბიის გუბერნია. 1913 წლის დასაწყისში ოქტიაბრისტებმა რამდენიმე თათბირი მიუძღვნეს ამ კანონპროექტის განხილვას.

1913 წ. 23 იანვარს მოსკოვში ა. გუჩკოვის თავმჯდომარეობით გამართულმა თათბირმა მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება,

<sup>27</sup> С. Шелухин, Закон 14-го июля 1910 года и поселяне-собственники (колонисты), Одесса, 1913.

რომ ყოველი ღონისძიებით ჩაეშალათ აღნიშნული კანონპროექტის მიღება<sup>28</sup>. მთავრობამ, რომელიც ნაკლებ დაინტერესებას იჩენდა ამ კანონპროექტით, მალე კვლავ უკან წაიღო იგი „შემდგომად გზად“ მუშავეების მიზნით<sup>29</sup>.

იმპერიალისტური ომის დაწყებამ გამოიწვია გლეხთა მოძრაობის გაძლიერება რუსეთის იმპერიაში. გუბერნატორები თავის მოხსენებებში შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი სულ უფრო ხშირად აღნიშნავდნენ, რომ „გლეხებს შორის ძლიერდება მისწრაფება მიიღონ დამატებითი ნაღელი შემამულეთა მიწების ხარჯზე“<sup>30</sup>. გერმანელთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციაში მეფის მთავრობა ხედავდა საშუალებას, გლეხობა ჩამოეშორებინა რევოლუციური ბრძოლისაგან, აგრარული გამოსვლებისაგან ესხნა მემამულეთა სამფლობელოები. ამ ღონისძიების გატარებით მმართველი წრეების ერთი ნაწილი იმედოვნებდა, შეექმნა მიწების გარკვეული ფონდი, რომლითაც მანევრირება საშუალებას მისცემდა თავიდან აეცილებინა აგრარული რევოლუცია. თავადაზნაურობის გაერთიანებული საბჭოს თავმჯდომარე ა. სტრუკოვი თვლიდა, რომ „ეს ღონისძიება ასი წლით უზრუნველყოფს რუს მემამულეებს აგრარული უწყესრიგობებისაგან“<sup>31</sup>.

მიწის ამ ფონდის შესაქმნელად მეფის მთავრობამ უკვე 1914 წლის შემოდგომიდან იწყო კანონპროექტის შემუშავება, რომლებიც მიმართული იყო გერმანული წარმოშობის პირების მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. 1915 წლის 2 თებერვალს გამოცემული იქნა სპეციალური კანონი გერმანული წარმოშობის პირთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის შესახებ<sup>32</sup>. ეს კანონპროექტი ეზებოდა მხოლოდ დასავლეთ საზღვრებთან განლაგებულ რაიონებს 100—150 კილომეტრიან ზოლში (რაც მოტივირებული იყო საზღვდრო მოსაზრებით). იგი არ ვრცელდებოდა ამიერკავკასიისა და ვოლგისპირეთის გერმანულ კოლონიებზე. შემდგომი დამუშავების შედეგად კანონპროექტის მოქმედების სფერო ფართოვდებოდა. 1915 წლის 2 მა-

<sup>28</sup> К. Э. Линдеман, დასახ. ნაშრ., გვ. 7—8.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>30</sup> А. В. Беркевич, Крестьянство и всеобщая мобилизация в июле 1914 года. «Исторические записки», т. 23, стр. 30.

<sup>31</sup> В. С. Дякин, Первая мировая война и мероприятия по ликвидации так называемого немецкого засилья, «Первая мировая война», М., 1968, стр. 228.

<sup>32</sup> იხ. П. К. Фоменко, დასახ. ნაშრ., К. Э. Линдеман, დასახ. ნაშრ.



ისს, აღნიშნული კანონის მინისტრთა საბჭოში განხილვისას, მის წინააღმდეგ გამოვიდა ზოგიერთი მინისტრი. 1915 წლის 13 დეკემბერს გამოვიდა ახალი კანონი გერმანული მიწათმფლობელების ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც თითქმის მთელი რუსეთის იმპერიის ზე. მათ შორის ამიერკავკასიაზეც, ვრცელდებოდა<sup>33</sup>.

აღნიშნული კანონმდებლობებით გერმანელი კოლონისტები იყოფოდნენ სამ კატეგორიად:

1. გერმანიის ქვეშევრდომები;
2. რუსეთის ქვეშევრდომები, რომელთაც ეს ქვეშევრდომობა მიიღეს 1880 წლის 1 იანვრის შემდეგ.
3. რუსეთის ქვეშევრდომები, რომელთაც ეს ქვეშევრდომობა მიიღეს 1880 წლის 1 იანვრამდე.

პირველ კატეგორიას ეკრძალებოდა უძრავი ქონების და მიწების შეძენა როგორც ქალაქად, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ უძრავი ქონება ქალაქად, მაგრამ ქალაქგარეთ არსებული მათი უძრავი ქონება და მიწები უნდა გაესხვისებინათ ექვსი თვის განმავლობაში. ისინი ინარჩუნებდნენ ცხოვრების, ვაჭრობის და სხვა საქმიანობის უფლებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

კოლონისტების მეორე კატეგორიას ეკრძალებოდა, შეეძინათ უძრავი ქონება მომავალში. მათ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ უძრავი ქონება როგორც ქალაქად, ისე ქალაქგარეთ, მაგრამ მიწები უნდა გაესხვისებინათ 10-დან 16-მდე თვის ვადაში. ისინი ინარჩუნებდნენ მემკვიდრეობის უფლებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

კოლონისტების მესამე კატეგორიას 1915 წლის 2 თებერვლის კანონი არ შეუხებია, მაგრამ 13 დეკემბრის კანონით, მათ 10—16 თვის ვადაში უნდა გაესხვისებინათ მათ მფლობელობაში მყოფი მიწები, მათ შორის სახელმწიფო ნაძელები. მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა გაესხვისებინა გერმანელ კოლონისტთა მიწები, მიუხედავად იმისა, თუ როდის მიიღეს მათმა წინაპრებმა რუსეთის ქვეშევრდომობა<sup>34</sup>.

აღნიშნული კანონმდებლობით მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის მთელი სიძიძიე თავს უნდა დატყდომოდა კოლონისტთა დაბალ ფენებს — რიგით კოლონისტებს და კულაკობის ნაწილს. მსხვილ მიწათმფლობელებზე ეს კანონები პრაქტიკულად არ ვრცელდებოდა.

<sup>33</sup> სსსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 5073, ფურცელი 2; «Кавказское слово», 12 января 1917.

<sup>34</sup> სსსრ ცსსა, ფ. 224, ანაწ. 1, საქმე 1.

ლიკვიდაციას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის მსხვილი მამულები, რომელთა მფლობელებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს 1830 წლის შემდეგ<sup>35</sup>. გარდა ამისა, ლიკვიდაციას არ ექვემდებარებოდა იმ ოჯახების მიწები, რომელთა წევრებს აღმავალი ან დაღმავალი ხაზით, მიღებული ჰქონდათ საბრძოლო ჯილდოები, ან ოფიცრებად მსახურობდნენ რუსეთის არმიასა და ფლოტში<sup>36</sup>. ჯარისკაცებსა და მათ შთამომავლებზე აღნიშნული შეღავათები არ ვრცელდებოდა.

1916 წელს სათათბიროს სპეციალურ კომისიაზე გამოსულმა სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა გენერალმა მ. ლეონტიევმა აშკარად მოითხოვა, რომ „ბრძოლა ეწარმოებინათ არა ცალკეულ პირთა წინააღმდეგ, არამედ დაბალი კლასის მკვიდრო მასის — კოლონისტების წინააღმდეგ“<sup>37</sup>.

გერმანელი კოლონისტების მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისათვის ზედამხედველობის გასაწევად დანიშნენ სპეციალური მეთვალყურენი, რომელთაც ევალეზობდათ პერიოდულად შემოეგლოთ მათდამი მინდობილი ტერიტორია და თვალყური ედევნებინათ ამ ლიკვიდაციის მიმდინარეობისათვის; ზედამხედველებს პერიოდული ანგარიშები უნდა წარედგინათ ამ ტერიტორიების ხელისუფალთათვის. კავკასიაში ასეთ მეთვალყურედ დანიშნეს ბაქოს ვიცე-გუბერნატორი ა. მაკაროვი<sup>38</sup>.

გერმანელ კოლონისტთა მიწები, მთავრობის აზრით, უნდა გადასულიყო ომის მონაწილე გლეხების გარკვეული კატეგორიის — ფრონტელების (და არა მთელი გლეხობის) ხელში. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა შეეტანა განხეთქილება გლეხთა მოძრაობაში.

1915 წლის 2 თებერვლის კანონი კოლონისტებს აიძულებდა მიწა ვაეყიდათ საჯარო ვაჭრობით. ასეთი წესი რუსეთის იმპერიის გლეხობას ამ მიწების შექმნის მეტად მცირე შესაძლებლობას უტოვებდა. იმავე წლის გაზაფხულზე მინისტრთა საბჭომ შიში გამოთქვა, რომ ომის დამთავრებისთანავე აუცილებლად დადგებოდა საკითხი გლეხობის მიწით უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ, რაც შეიძლებოდა „შინაგან რყევათა წყარო გამხდარიყო“. რადგან საჯარო ვაჭრობით კოლონისტთა მიწები გლეხობის (მით უმეტეს

<sup>35</sup> В. С. Дякин, დასახ. ნაშ., გვ. 229.

<sup>36</sup> სსსრ ცსსა, ფ. 224, ანაწ. 1, საქმე 1, ფურც. 34.

<sup>37</sup> В. С. Дякин, დასახ. ნაშ., გვ. 229.

<sup>38</sup> სსსრ ცსსა, ფ. 224, ანაწ. 1, საქმე 1, ფურც. 1—5.

ფრონტელებს) ხელში თითქმის არ ხვდებოდა<sup>39</sup>, მიწათმოქმედების მინისტრის კ. კრივოშენინს წინადადებით მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ კოლონისტების მიწები შეეძინა საგლეხო ბანკს [და შემდგომად] ენარჩუნებინა საომარი მოქმედების დამთავრებამდე, ხოლო შემდგომად მისგან შეიძენდნენ გლეხობის გარკვეული კატეგორიები. ამ ღონისძიებით, მინისტრთა საბჭოს წევრთა უმრავლესობა ფიქრობდა, შეეჩერებინათ კოლონისტთა მიწების შესყიდვა მსხვილ მიწათმოქმედელთა მიერ, რომელსაც შეეძლო გამოეწვია მღელვარება გლეხობაში, ხოლო „ეს მოძრაობა, დაწყებული გერმანელთა მიწების შესყიდვის წინააღმდეგ პროტესტის ნიადაგზე შეიძლებოდა ადვილად გადაქცეულიყო საყოველთაო აგრარულ ხანძარად“<sup>40</sup>. 1915 წლის 13 დეკემბრის კანონით კოლონისტთა მიწები საგლეხო ბანკს უნდა შეეძინა.

ამიერკავკასიაში გერმანელთა მიწათმოქმედებლობის ლიკვიდაციის პრაქტიკული განხორციელება 1916 წლის პირველი თვეებიდან დაიწყო. ამ დროისათვის შეადგინეს ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტთა გასასხვისებელი მიწების პირველი, არასრული სია (იხ. ცხრილი 8)<sup>41</sup>.

გერმანელი კოლონისტები მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებდნენ ზემოთდასახელებული კანონპროექტების ჩასაშლელად.

პოლიციის დეპარტამენტის ცნობით, რუსეთის იმპერიაში არსებობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი საიდუმლო ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ როგორც გერმანია-ავსტრიის, ისე რუსეთის ქვეშევრდომი გერმანული წარმოშობის პირები: მრეწველები, კაპიტალისტები, ვაჭრები, მიწათმოქმედებლები, კოლონისტები და სხვა<sup>42</sup>. აღნიშნულ პირებს საკმაოდ დიდი საწევროები შეჰქონდათ, რის გამოც ორგანიზაცია მნიშვნელოვან თანხებს ფლობდა.

იმავე ცნობით, ამ ორგანიზაციის მიზანი იყო ჩაეშალა გერმანიის ინტერესების საზიანოდ რუსეთის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები, დაეცა რუსეთის ავტორიტეტი მოკავშირე და ნეიტრალურ ქვეყნებში, რისთვისაც ა) მოესყიდა რუსეთის პრესა,

<sup>39</sup> გერმანელთა მიწათმოქმედებლობის ლიკვიდაციის მოწინააღმდეგეები არც თუ უსაფუძვლოდ სდებდნენ ბრალს მთავრობას, რომ კოლონისტთა მიწებს ძირითადად თავდაზნაურთა წარმომადგენლები იძენდნენ (გრაფი ტატიშჩევი, გრაფი აპრაქსინი, კრივოშენინი და სხვა) (იხ. К. Э. Линдеман, დასახ. ნაშრ., გვ. 98).

<sup>40</sup> ЦГИАЛ, ф. 1276, оп. II, д. 1176, лл. 115—118.

<sup>41</sup> სსსრ ცსსა, ფ. 153, ანაწ. I, საქმე 3368, ფურც. 1—2.

<sup>42</sup> სსსრ ცსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქმე 70, ფურც. 2.

	დღეღტ.	კვ. საფ.
1. ფრაიდენტალი— (გესიოლოგ)	397	3690
2. ალექსანდერსდორფი— (ალექსანდროვსკოე)	1134	1116
3. მარინფელი— (მარინსკოე)	1341	1308
4. პეტერსდორფი— (პეტროვსკოე)	711	622
5. ვიკტორინენფელი— (ვიკტორინოვკა)	8025	2640
6. ელიზავეტალი— (ასურეთი)	3180	690
7. ალექსანდერსპილფი— (ალექსანდროვკა)	1230	1440
8. ვლენენდორფი (ვლენინო)	6678	—
9. ბარონ ა. ა. კუჩენბახი—	794	2220
10. ბარონ კ. ხ. კუჩენბახის მემკვიდრეები	810	800
11. ფ. ფ. პროტკერის მემკვიდრეები	2225	1150
12. ვ. ი. ალმენდიჯერი—	1163	5640
ს უ ლ:	27690	1316

ბ) გავლენა მოეხდინა სახელმწიფო სათათბიროზე, გ) გამოეცა და გავერცხლებინა რუსეთსა და მის მოკავშირე ქვეყნებში ამ სულისკვეთებით დაწერილი ბროშურები<sup>43</sup>. იქვე აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაციამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია თავის საქმიანობაში.

ორგანიზაციის ერთ-ერთ გავლენიან წევრს წარმოადგენდა მოსკოვში მცხოვრები სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ყოფილი პროფესორი კ. ლინდემანი, რომელსაც გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდა სხვადასხვა რაიონებში მცხოვრებ კოლონისტებთან. მას მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა აზიერკავკასიის გერმანელ კოლონისტებთანაც<sup>44</sup>. ლინდემანი განსაკუთრებით ინტერესს იჩენდა კავკასიის კოლონიებისადმი<sup>45</sup>.

<sup>43</sup> სსსრ ცხსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქმე 70, ფურც. 2.

<sup>44</sup> ი ქ ვ ე, ფ. 153, ანაწ. 1, საქმე 2711, ფურც. 47—49.

<sup>45</sup> ი ქ ვ ე.

ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის შედეგი იყო, თითქოს, ის სხვები, რომელიც 1916 წლის ზაფხულში გავრცელდა გერმანულ კოლონისტებში — რომ გერმანელთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის კანონპროექტის ჩაწლა სახელმწიფო სათათბიროში გარანტირებული იყო; რომ სათათბიროს ზოგიერთი წევრი (მაგალითად — ლიუცი ბერგმანი, შეიენდორფი) უკვე დათანხმდნენ ამას; რომ ამ ჩაშლისათვის ხელშესაწყობად საჭიროა სპეციალური დელეგატების გაგზავნა პეტერბურგში, რომლებიც იმოქმედებდნენ ფულით და სხვა საშუალებებით<sup>46</sup>.

1916 წლის ივნისში ზემოთ დასახელებული საკითხების გასახილველად და ფულის შესაგროვებლად ამიერკავკასიის კოლონისტებმა საიდუმლო კრება მოაწყვეს კოლონია ელენენდორფში<sup>47</sup>. კრებას თავმჯდომარეობდა ადგილობრივი პასტორი ფონ ენგელჰარდტი, დელეგატების სახით ენსურბოდნენ ამიერკავკასიის ყველა კოლონიის გავლენიანი კოლონისტები. კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი განხილულ საკითხების ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად გადაწყვეტას<sup>48</sup>.

აღნიშნული ორგანიზაციის არსებობის შესახებ სხვა ოფიციალური ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მოვლენათა შემდგომი მსვლელობა ერთგვარად ადასტურებს, რომ კოლონისტთა და საერთოდ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ გერმანული წარმოშობის პირთა ინტერესების დაცვა გარკვეულად ორგანიზებული იყო.

მაგრამ გერმანელთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის კანონების ცხოვრებაში მთელი სისრულით გატარებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელს უშლიდა მიწების იძულებით გასხვისების მომენტი. ეს უკანასკნელი დღის წესრიგში აყენებდა შემამულეთა მიწების ამგვარად გადაწაწილებასაც და ლახავდა კერძო საკუთრებას ხელშეუხებლობის „წმინდათაწმინდა“ პრინციპს. ამის შესახებ ღვარძლიანად აფრთხილებდნენ მთავრობას კადეტები. „თქვენ სცდებით, — აცხადებდა სათათბიროს ტრიბუნიდან პ. ნ. მილიუკოვი, — კოლონისტთა მიწები ცოტაა, და ის ვინც დაიწყებს კოლონისტთა მიწებით, აუცილებლად გაათავებს თქვენი მიწებით“<sup>49</sup>.

<sup>46</sup> სსრ ცსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქმე 70, ფურც. 2—3.

<sup>47</sup> იქვე.

<sup>48</sup> იქვე, ფ. 94, ანაწ. I, საქმე 511, ფურც. 478.

<sup>49</sup> «Государственная дума. Четвертый созыв. Стенографические отчеты. Сессия IV», ч. I, стр. 397.



გერმანელთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის კანონების წინააღმდეგ გამოვიდნენ „მემარცხენე“ პარტიებიც — ტრუდოვნიკები<sup>50</sup> და სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები). სათათბიროში დარღვევების ციის კანონების წინააღმდეგ გაილაშქრეს ამ პარტიების ლიდერებმა კერენსკიმ და სკობელევმა. „კანონპროექტის განხილვისას ჩვენ გიჩვენებთ თქვენ, — მიმართავდა ა. კერენსკი, — კანონის მომხრეებს, რომ თქვენ, რომლებიც ვითომდა იცავთ საკუთრების წმიდათაწმიდა პრინციპს, სინამდვილეში გინდათ გაატაროთ კანონი კოლონისტი-გლეხების მიწის ნაკვეთების იძულებით განსხვისების შესახებ... თქვენ არა მარტო კერძო საკუთრების პრინციპის, არამედ უფლებების და სამართლანობის დამრღვევენიც ხართ“<sup>51</sup>. ტრუდოვიკების და მენშევიკების გამოსვლა ლიკვიდაციის კანონების წინააღმდეგ ამ პარტიების წვრილბუჩქუაზიული ბუნებით უნდა აიხსნას, რის გამოც ისინი კერძო საკუთრების პრინციპის ძალდატანებით დარღვევის წინააღმდეგნი იყვნენ<sup>51</sup>.

ამ გამოსვლების გავლენით სახელმწიფო სათათბირომ კანონპროექტების განხილვა განუსაზღვრელი ვადით გადადო, რაც ამ ორგანოში გერმანელთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის კანონპროექტების დასაშარებას უდრიდა<sup>52</sup>.

მაგრამ ეს კანონპროექტები (1915 წლის 2 თებერვლის და 13 დეკემბრის) წინა კანონპროექტებისაგან — 1910 და 1912 წწ. — გან-

<sup>50</sup> К. Э. Линдеман, Прекращение землеуладения и землепользования поселян-собственников, М., 1917, стр. 89.

<sup>51</sup> კ. ლინდემანის აზრით, „მემარცხენეები“ იმიტომ გამოვიდნენ ამ კანონების გატარების წინააღმდეგ, რომ მას შხარს უჭერდნენ „მემარცხენეები“ (იხ. კ. ლინდემანი, დასახ. ნაშრ., გვ. 88). ეს არ არის სწორი, რადგან, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ კანონებს საკმაოდ შრავ: ლრიცხოვანი მოწინააღმდეგე ჰყავდა მემარცხენეებშიც — ოქტიანობისტების (გუჩკოვის) და სხვათა სახით. აღნიშნული კანონების წინააღმდეგ გამოვიდა ცნობილი რეპუბლიკანური შულგინიც, რომელმაც სპეციალური სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „კიევიანიში“ (იხ. «Киевлянин» 25/VI, 1916). რაც შეეხება კერენსკის გამოსვლას, შესაძლოა ამ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ მიზეზთან ერთად, პირადი დამოკიდებულებაც თამაშობდა გარკვეულ როლს. კერენსკი წლების მანძილზე იყო ცნობილი გერმანული ფირმის — „კ. შპანი და შვილების“ იურისკონსულტი. ეს ფირმა ეწეოდა ჩაშუშურ საქმიანობას გერმანიის სასარგებლოდ (იხ. М. Д. Бонч-Бруевич, დასახ. ნაშრ., გვ. 78). შემდგომშიც კერენსკის არაერთხელ გაუწევია მფარველობა გერმანიის დაზვერვის აგენტების და მათი ხელშემწყობი პირებისათვის. 1917 წლის გაზაფხულზე კერენსკიმ სიყვდილს გადაარჩინა რასპუტინის მეგობარი, ცნობილი გერმანოფილი პროტოპოპოვი და გერმანიის ჩაშუშვი ყოფილი სამხედრო მინისტრი სუხოლინოვი (Д. Сейдаметов и Н. Шляпников. დასახ. ნაშრ., გვ. 69).

<sup>52</sup> «Новое время», 20.VI. 1916.

სხვაეებით სახელმწიფო კანონმდებლობის 87 მუხლის მიხედვით (საომარ მდგომარეობასთან დაკავშირებით) მინისტრთა კაბინეტის ექვსი წევრი და ატარებდა კიდევ სახელმწიფო სათათბიროს მიერ მათი უარყოფის მიუხედავად. თვით მინისტრთა საბჭოში მისი წევრების უმცირესობა — ტრეპოვი, ნაუშოვი, საზონოვი და გრაფი ივანტიევი — განსაკუთრებული აზრის იყო. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მინისტრთა საბჭოს წევრთა უმრავლესობის მიერ დასახულ გერმანელთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის გზას შეეძლო „გამოეწვია არანაკლები არეულობა“, ვიდრე რევოლუციურ აგიტაციას გლეხებს შორის 1905 წელს. ამიტომ უმცირესობა მოითხოვდა, რომ ლიკვიდაცია გაეტარებინათ სამხედრო ხელისუფლებს, რაც, მათი აზრით, მემამულეებს ააცილებდა საშიშ პრეცედენტებს<sup>53</sup>.

უახლოესმა მოვლენებმა დაადასტურეს უმცირესობის შიში — „გლეხები — აღნიშნავდნენ ჟანდარმთა ადგილობრივი ხელისუფალნი თავის მოხსენებებში, — ხშირად განმარტავენ თავის უფლებებს არა მარტო ე. წ. გერმანელთა მიწებზე, არამედ მემამულეთა მიწებზეც“<sup>54</sup>.

მიწების ჩამორთმევის შიშით შექმნილ გაურკვეველ სიტუაციაში კოლონისტები არ აწარმოებდნენ ხვან-თესვას. მათ ხელში კი რუსეთის იმპერიის სათესი ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფებოდა. ეს მოვლენა კიდევ უფრო აუარესებდა რუსეთის სხვადაც მძიმე სასურსათო მდგომარეობას. პურის და სურსათის ნაკლებობას განსაკუთრებით დიდი ქალაქები განიცდიდნენ. ამიტომ უკვე 1916 წლის გაზაფხულისათვის მინისტრთა საბჭო იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება, რომ იმ კოლონისტებს, რომლებიც ვანაგრძობენ ხვან-თესვას, მიწებს შეუნარჩუნებდნენ სულ მცირე ორი წლით<sup>55</sup>. ეს დადგენილება ტელეგრაფით სასწრაფოდ აცნობეს გუბერნატორებს კოლონისტებისათვის გამოსაცხადებლად.

ეს გადაწყვეტილება ვრცელდებოდა მხოლოდ სახვან-სათეს მიწებზე, რომლებზეც უმთავრესად ხორბალი ითესებოდა. ამიტომ 1916 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის გერმანელმა კოლონისტებმა თხოვნით მიმართეს მინისტრთა საბჭოს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გავრცელებულიყო ვენახებზეც, რომელთაც მათ მეურნეობაში მნიშვნელოვანი ფართობი ეკავათ. თუმცა ამიერკავკასიის კოლონისტებმა თავის თხოვნაზე ფორმალურად უარი მიიღეს, ფაქ-

<sup>53</sup> В. С. Дякин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 230.

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> «Речь», 21 Мая 1916 г.

ტიურად მათ ვენახები, ისევე როგორც სხვა მიწის ნაკვეთები, ომის დამთავრებამდე ხელუხლებლად შეინარჩუნეს<sup>56</sup>.

მიუხედავად სამხედრო თვალსაზრისით გამოწვეული მსხვილი ბრძოლებისა, რასაც გერმანიასთან ომის პირობებში კოლონისტები და განსაკუთრებით მსხვილი მეურნეობების მფლობელები ქმნიდნენ. სალიკვიდაციო პოლიტიკა არა მარტო კარგავდა ცარიზმისათვის თავის მნიშვნელობას, არამედ მისთვის საშიშვლაც ხდებოდა. გერმანელთა მიწების ლიკვიდაცია მისი გაქიანურების გამო — აღნიშნავდა მთავრობის წარმომადგენელი 1916 წლის სექტემბერში, — თითქოს „მუდმივად მოაგონებს მოსახლეობას იძულებითი განსხვების პრინციპის არსებობას“. შესაძლოა, ამით აიხსნება მეფის მთავრობის ერთ-ერთი უკანასკნელი აქტი. 1917 წლის იანვარში იუსტიციის მინისტრმა ნ. დობროვოლსკიმ „ითხოვა“, ხელახლა განეხილათ საკითხი მენონიტი კოლონისტების მიწის საკუთრების ლიკვიდაციის შესახებ, რაზედაც დაუყოვნებლივ მიიღო ნიკოლოზ II თანხმობა<sup>57</sup>. რადგან მენონიტები კოლონისტთა საერთო საკუთრებაში მყოფი მიწების მნიშვნელოვან წილს ფლობდნენ, როგორც ჩანს, მეფის მთავრობა ვარაუდობდა, მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებიდან არჩენ კოლონისტებზეც გავრცელდებოდა. ამით ცარიზმის ბიუროკრატიაში არაოფიციალურად აღიარა მის მიერ ფართოდ მოთქმებული და რეკლამირებული გეგმის ჩაშლა. დროებით მთავრობას არც უცდია ამ საკითხის ახლებურად გადაჭრა. მან საერთოდ შეაჩერა ყოველგვარი სალიკვიდაციო ღონისძიებები მიწათმფლობელობის დარგში, რაც მოვლენათა წინა მსვლელობის ლოგიკური დასასრული იყო<sup>58</sup>.

• • •

გერმანელი კოლონისტები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რუსეთში გერმანიის დაზვერვის ძირგამომთხრელ საქმიანობაში. ამ მხრივ არც ამიერკავკასიის კოლონისტები წარმოადგენდნენ გამოწვევას.

ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი გერმანიის თბილისის საკონსულოსთან, რომელიც წარმოადგენდა ამიერკავკასიაში გერმანიის ჯაშუშური მუშაობის

<sup>56</sup> К. Э. Шилеман. Прекращение землевладения и землепользования поселян: — с. БТВЕРНИКОВ, М., 1917, стр. 86.  
<sup>57</sup> ЦИАЛ, ф. 1276. оп. 12, 1455, л. 8.  
<sup>58</sup> სსსრ ცსსა, ფ. 224, საქმე 1, ფურც. 172—173.





ცენტრს<sup>59</sup>. საკონსულომ განსაკუთრებით გაააქტიურა მოქმედება ამ მიმართულებით 1911 წლის აპრილიდან, მას შემდეგ, რაც [გერმანიის] კონსულად თბილისში დაინიშნა გრაფი შულენბურგ [ფონ ბერგ] მას დიდ დახმარებას ამ საქმეში უწევდა გერმანიის კონსული ერზე-რუმში ედგარ ანდერსი<sup>61</sup>, რომელიც ფონ შულენბურგის შემდეგ მეორე კაცად ითვლებოდა გერმანელთა კავკასიის ჯამუსურ ორგანიზაციაში. გერმანიის დახვეწა ჯამუსურ საქმიანობაში იყენებდა არა მარტო გერმანიის, არამედ სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლებსაც.

მას შემდეგ, რაც ფონ-შულენბურგმა ომის დაწყებასთან დაკავშირებით დატოვა თბილისი, ამიერკავკასიაში გერმანელ ჯამუსთა ცენტრი გახდა შვეიცარიის საკონსულო, სადაც კონსულის თანამდებობაზე მოკალათდა გერმანიის საკონსულოს ყოფილი მდივანი ბარონი დრაჰენფელსი. 1915 წლის გაზაფხულზე ჯამუსური საქმიანობისათვის დრაჰენფელსი რუსეთს მთავრობის მოთხოვნით გაათავსულფლეს კონსულის თანამდებობიდან<sup>62</sup>. მის შემდეგ შვეიცარიის კონსულად თბილისში დაინიშნა ასევე გერმანიის ჯამუსში რობერტ მაიერი<sup>63</sup>. თბილისში დანიის ვიცე-კონსულის თანამდებობა ეჭირა გერმანიის ქვეშევრდომს პენრიხ ვარნეკეს. 1914 წლის 3 ოქტომბერს ვარნეკე დაკავებული იქნა ჯამუსური საქმიანობისათვის<sup>64</sup>. ნორვეგიის ვიცეკონსულად ბათუმში მუშაობდა გერმანიის ქვეშევრდომი ი. გილერტი. 1915 წლის დასაწყისში იგი ქედაბეჭში დააპატიმრეს ჯამუსობისათვის<sup>65</sup>.

ამიერკავკასიაში გერმანული ნაციონალიზმის და შოვინიზმის იდეური წყარო იყო გაზეთი „კაუკაზიშე პოსტ“-ი, რომელიც თბილისში გერმანულ ენაზე გამოდიოდა. მის გარშემო თავმოყრილი გერმანიის აგენტები ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ ეპოქმედათ გერმანიის იმპერიალიზმის სასარგებლოდ<sup>66</sup>.

ეს გაზეთი დაარსებული იქნა 900-იან წლებში ამიერკავკასიაში მცხოვრებ გერმანელთა მომსახურების მიზნით. პირველ ხანებში გაზეთის მუშაობა ძირითადად შეესაბამებოდა მისი დაარსების ოფი-

<sup>59</sup> სსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3965, ფურც. 1.

<sup>60</sup> ი ქ ვ ე, საქმე 3908, ფურც. 52, 126.

<sup>61</sup> ი ქ ვ ე, ფ. 153, ანაწ. I, საქმე 2768, ფურც. 53—58.

<sup>62</sup> ი ქ ვ ე, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3745, ფურც. 11.

<sup>63</sup> ი ქ ვ ე, საქმე ა078, ფურც. 1—2.

<sup>64</sup> ი ქ ვ ე, ფურც. 17, ანაწ. 2, საქმე 1143, ფურც. 353.

<sup>65</sup> ი ქ ვ ე, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3760, ფურც. 14.

<sup>66</sup> ი ქ ვ ე, ფ. 13, ანაწ. 29, საქმე 431, ფურც. 23—24.

ციალურ მიზნებს: გაზეთში ქვეყნდებოდა მასალები ამიერკავკასიის ცხოვრებიდან, გერმანული კოლონიების შესახებ, ადგილებზე და საერთაშორისო ქრონიკა და სხვა. გაზეთმა მალე მიიბყრო გერმანიის იმპერიალიზმის წარმომადგენელთა ყურადღება და მისი რედაქცია თანდათან შეივსო გერმანიის აგენტებით. 1907—1909 წლებში გაზეთს რედაქტორობდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის მეგობარი არტურ ლაისტი<sup>67</sup>. 1909 წელს ა. ლაისტი, როგორც თვით აღნიშნავს, „ველარ შეეგუა ამ გაზეთის თანამშრომლების შეხედულებებს და უარი განაცხადა მის რედაქტორობაზე“<sup>68</sup>. 1909 წლიდან გაზეთს რედაქტორობდა გერმანიის სამხედრო დაზვერვის ემისარი მოსლერი<sup>69</sup>. სწორედ ამ დროიდან იქცევა „კაუკაზიშე პოსტი“ პანგერმანიზმის იდეების მქადაგებლად, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, როცა 1912 წლის 21 მარტიდან მისი რედაქტორი და გამომცემელი გახდა ამიერკავკასიის გერმანელ ნაციონალისტთა ბელადი პასტორ-ადიუნქტი (პასტორის მოადგილე) იოჰან შლეინინგი<sup>70</sup>.

ომის წინ „კაუკაზიშე პოსტი“ ხშირად აქვეყნებდა პანგერმანული მიმართულების სტატიებს და მოუწოდებდა ამიერკავკასიაში მცხოვრებ გერმანელებს ყოველმხრივ გაეწიათ დახმარება „ფატერლანდისათვის“. მაგალითად, „კაუკაზიშე პოსტის“ 1913 წლის 25 დეკემბრის ნომერში მოთავსებული იყო სტატია „ჩვენი გერმანული საზოგადოებების ეროვნული ამოცანები“<sup>71</sup>. სტატიაში მოცემული იყო „იმ მილიონობით აღამიანის“ სამოქმედო პროგრამა, „რომელთა ეროვნება არ ემთხვევა სახელმწიფო ქვეშევრდომობას“ (ე. ი. გერმანელი კოლონისტების — გ. მ.) და გაკეთებული იყო ასეთი დასკვნა: „სიყვარული საკუთარი ხალხისადმი რელიგიური რწმენის მსგავსად უფრო ღრმაა, ვიდრე სახელმწიფო კუთვნილების ამსტრაქტული გრძნობა“, ამიტომ, აქედან გამომდინარე, გერმანელ კოლონისტებს ყოველმხრივ უნდა შეეწყოთ ხელი გერმანიის წარმატებებისათვის, თუნდაც იმ ქვეყნის ინტერესთა საზიანოდ, სადაც ისინი ცხოვრობდნენ<sup>72</sup>.

<sup>67</sup> სსსრ ცსსა, ფ. 153, ანაწ. I, საქმე 2784, ფურც. 2—3.

<sup>68</sup> ი ქ ვ ე; ამ საქმესთან დაკავშირებით ა. ლაისტი ომის დაწყების შემდეგ 1914 წლის 30 ივლისს (ძვ. სტ.) დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს „ბრალდების უქონლობის გამო“.

<sup>69</sup> სსსრ ცსსა, ფ. 94, ანაწ. I, საქმე 721, ფურც 108—109.

<sup>70</sup> ი ქ ვ ე, საქმე 722, ფურც. 238.

<sup>71</sup> «Kaukasische Post», 15/XII 1913.

<sup>72</sup> სსსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 29, საქმე 431, ფურც. 23; ფ. 94, ანაწ. I, საქმე 722, ფურც. 238.

რადგან შლეინინგს მრავალი თანამდებობა ეკირა და უკირდა ყველა მათგანის შესრულება, გაზეთის სახელმძღვანელოდ მან გერმანიიდან სპეციალურად ჩამოიყვანა ვინმე კარლ ფიშერი. ომის დაწყების შემდეგ „კაუკაზიმე პოსტის“ გამოსვლა რამდენიმე ხნით შეჩერდა და შემდგომში ისევ განახლდა. ამ დროისათვის შლეინინგის პანგერმანისტულმა მოღვაწეობამ ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. შლეინინგი აყალიბებდა სხვადასხვა ნაციონალისტურ კავშირებს, ფულს აგროვებდა გერმანიის არმიის საკვირებისათვის და სხვა<sup>73</sup>. ომის დაწყების შემდეგ გამოირკვა, რომ შლეინინგი გერმანიის თბილისის საკონსულოს მეშვეობით მნიშვნელოვან თანხებს იღებდა გერმანიის ზაზინიდან — ე. წ. „პრესის საკვირების ფონდიდან“. მხოლოდ 1913 წელს მას გერმანიის მთავრობისაგან ამ ზაზით მიუღია 1500 მარკა<sup>74</sup>.

შლეინინგის მოქმედებამ იმდენად აშკარა სახე მიიღო, რომ მისი თავმსუფთად დატოვება შეუძლებელი გახდა, პრესაში მის წინააღმდეგ გამოქვეყნდა რამდენიმე დიდი სტატია<sup>75</sup>. 1914 წლის შემოდგომაზე შლეინინგი დააპატიმრეს და გადაასახლეს ტობოლსკის გუბერნიაში ომის დამთავრებამდე. მაგრამ მისმა მფარველებმა არა მარტო გადასახლების ადგილზე შეუქმნეს საკმაოდ კომფორტული პირობები, არამედ თბილისშიც მთელი გადასახლების პერიოდში შეუწარმოეს ის მრავალი თანამდებობა ხელფასით, რომელთაგან იგი უზარმაზარ თანხას იღებდა<sup>76</sup>.

შლეინინგის თანამზრახველები გერმანიის სპარაგებლოდ ჯაშუსობაში იყვნენ ა. მოსლერი, სასტუმრო „ლონდონის“ მფლობელი ე. რიხტერი, კავკასიის მუზეუმის ბიბლიოთეკარი ია. შემდეგ დირექტორის მოადგილე რიხარდ შმიდტი, კომისიონერი გერმან მედიკინოთეატრ „აპოლოს“ (ახლანდელი „ოქტომბერი“) მფლობელი კონსტანტინე ზურკოვი, თბილისის ფოსტის გადაზიდვის განყოფილების უფროსის მოადგილე ა. ფალკი, რ. შვარცი, კ. შტილერი, ეკატერინენფელდის მამასახლისი ი. აღმენდიგერი და სხვა<sup>77</sup>.

<sup>73</sup> ი ქ ე ე, ფ. 153, ანაწ. I, საქმე 2850.

<sup>74</sup> ი ქ ე ე, ფ. 94, ანაწ. I, საქმე 722, ფურც. 239.

<sup>75</sup> «Голос Кавказа», 31 VII—1914, 24 II—1915.

<sup>76</sup> შლეინინგი იღებდა როგორც პასტორ-ადიუნქტი — 800 მან. წელიწადში, როგორც ლუთერანული სკოლის გამგე — 1000 მან., როგორც მასწავლებელი 500 მან.; იგი ხელფასს იღებდა თბილისის სხვადასხვა მასწავლებლებიდან, როგორც გერმანული ენის მასწავლებელი. ვარდა ამისა, ნაი. ეკლეოდა ბინის ქირისათვის 600 მან. (სსსრ ცსსა, ფ. 153, ანაწ. I, საქმე 2850, ფურც. 4043, ფ. 1967, ანაწ. I, საქმე 83).

<sup>77</sup> სსსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3302, 3363, ფურც. 13—14; 3819, ფურც. 10, 30; 3718, ფურც. 2, 6; 153, ანაწ. I, საქმე 2912, ფურც. 1—2

შლეინინგს და აღნიშნულ პირებს მკიდრო კავშირი ჰქონდათ, ერთი მხრით, გერმანიის თბილისის საკონსულოსთან, მეორე მხრით, ამიერკავკასიის გერმანულ კოლონიებთან.

ომის წინ და ომის წლებში გერმანიის სასარგებლოდ სხვადასხვა სახის ჯაშუშურ მუშაობას ამიერკავკასიაში იმდენად ფართო ხასიათი მიუღია, რომ ამ წლებში, მიუხედავად კავკასიის კონტრდაზვერვის სუსტი მუშაობისა<sup>78</sup>, მრავალი გერმანელი ჯაშუში იქნა მნიშვნელოვანი და დასჯილი. თუმცა სასჯელის უმაღლესი ზომა ჯაშუშობისათვის ითვალისწინებდა მხოლოდ ჩრდილოეთ გუბერნიებში თავისუფალ გადასახლებას ომის პერიოდში.

ა. მოსლერის თბილისში ჩამოსვლისთანავე უნდადრმა სამმართველოსათვის ცნობილი გახდა, რომ იგი გერმანიის სამხედრო დაზვერვის აგენტი იყო. მოსლერი დროგამოშვებით ხვდებოდა გერმანიის კონსულს გრაფ შულენბურგ ფონ ბერგს, რომლისგანაც სხვადასხვა დავალებას და მითითებებს იღებდა. შეხვედრის ადგილი იყო

<sup>78</sup> კავკასიაში ისევე, როგორც მთელ რუსეთში, კონტრდაზვერვის მუშაობა მეტად უხეიროდ იყო დაწყებული. 1911 წლამდე უცხოეთის დაზვერვის წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდა ქადაგების სამმართველო, რომელსაც უცხოეთის აგენტებად უმთავრესად რევოლუციონერები მიაჩნდა. 1911 წლის ოქტომბერში გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს ბრძანებით კავკასიის არმიის შტაბთან დაარსდა კონტრდაზვერვის განყოფილება, რომლის უფროსად დაინიშნა როტმისტრი ბელიცი. ეს მცირერიცხოვანი განყოფილება ცუდად იყო დაკომპლექტებული და მომარაგებული. მაგალითად, განყოფილებას არ გააჩნდა სპეციალური კარაბები სხვადასხვა კართოების შესანახად და ერთი ავტომანქანაც კი.

კონტრდაზვერვის საქმიანობისათვის ხელი უნდა შეეწყობა ქადაგების სამმართველოს და პოლიციის განყოფილებებს (ოხრანკა), მაგრამ ისინი უფრო ხელს უშლიდნენ კონტრდაზვერვის წარმოებას, ვიდრე ეხმარებოდნენ. აღმოჩენდნენ თუ არა რევოლუციური მოძრაობის რაიმე კვალს, ოხრანკა ვანგაშის სტეხია „გერმანიის დაზვერვის საქმიანობის“ შესახებ და ცრუ კვალზე აყენებდა კონტრდაზვერვის, რომლის ისედაც სუსტ შემადგენლობას ამაოდ უხდებოდა ენერჯის ხარჯვა. ამიტომ ე. წ. „გერმანული შპიონაჟის“ შესახებ შედგენილი ბევრი იმდროინდელი დოკუმენტი გაზვიადებულად წარმოგვიდგენს გერმანიის დაზვერვის საქმიანობას, ან საერთოდ არ შეეფერება სინამდვილეს. ამის გამო ეს დოკუმენტები მეტად ფრთხილ მდგომარეობაში უნდა დავაინახოთ. ამიერკავკასიაში კონტრდაზვერვის სუსტი ორგანიზებლობის და მუშაობის შედეგს უნდა მივწეროთ ის ფაქტები, რომ, როდესაც 1916 წელს გერმანიის თბილისის საკონსულოს თანამშრომელთა ჯაშუშური საქმიანობის გამოძიებისათვის კონტრდაზვერვის განყოფილებას მოსთხოვეს ის მასალები, რომლებიც აღმოჩენილი იქნა 1914 წ. აგვისტოში გერმანიის საკონსულო შენობის და კონსულ ფონ შულენბურგის ბინის ვახტანგის შედეგად, გამოირკვა, რომ ამ მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვალოდ დაიკარგა (ЦГВИА, ფ. 2000, დ. 15, დ. 163, შ. 4, 5, 7, 16, 22, 28; სსსრ ცსსა, ფ. 94, ანაწ. I, საქმე 511, ფურც. 1—13; ფ. 153, ანაწ. I, საქმე 3114, ფურც. 210, 211, ?57).

სასტუმრო „ლონდონი“, რომლის პატრონი რიხტერი აგრეთვე მონაწილეობდა ამ შეხვედრებში. მოსლერი ხშირად დადიოდა გერმანულ კოლონიებში, განსაკუთრებით ეკატერინენფელდში კოლონიებში მოსლერი აგროვებდა ფულს გერმანიის არმიის სასარგებლოდ, ხვდებოდა გერმანელ სამხედრო ჯაშუშებს და სხვა<sup>79</sup>. მაგალითად, 1914 წლის ივლისში მოსლერი ეკატერინენფელდში კოლონისტ გ. ბრემერის სახლში შეხვედრია კავკასიაში დაზვერვის მიზნით ჩამოსულ გერმანიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკს ფონ-პლატოს<sup>80</sup>; შეხვედრაში მონაწილეობა მიუღია პასტორ ჰენრიხ ჰენცელს. მოსლერი ახლო ურთიერთობაში იყო ბარონ კუჩინბახთან (შვილთან), რომლის მამულისაკენ შემდეგ გამგზავრებულია ფონ პლატო. 1911 წ. მოსლერის ბინაში, სალდათის ბაზართან, იმყოფებოდა „საზღვარგარეთ გერმანიზმის დაცვის საზოგადოების“ მოგზაურ-ინსპექტორი კ. ეიფე<sup>81</sup>.

თბილისის ფოსტის მოხელე ა. ფალკი ადრე ცნობალ ჯაშუშ მისიოდგოვთან ერთად მსახურობდა სასაზღვრო ქალაქ ვერჰოლოვში და ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა მასთან<sup>82</sup>. 1915 წ. იგი თბილისში გადმოიყვანეს. იმავე წლის შემოდგომაზე ფალკმა ბაქოს სადგურში დიდი ხნით შეაფერხა რამდენიმე ათეული ვაგონი, რომლებშიც მოქმედი არმიისათვის განკუთვნილი სხვადასხვა ტვირთი იყო<sup>83</sup>. ამის შემდეგ ფალკი აიძულეს დაეტოვებინა სამსახური, მაგრამ მალე კვლავ მოეწყო თბილისის ფოსტამტში. ფალკიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანულ კოლონიებთან, სადაც ხშირად „უხდებოდა სიარული სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით“.

გარდა თბილისისა, გერმანიის აგენტების ყურადღებას იპყრობდა ამიერკავკასიის სხვა ქალაქებიც, განსაკუთრებით ბათუმი, რომელსაც მეტად დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა.

ცნობილია, რომ გერმანიის სამხედრო დაზვერვების აგენტები სხვადასხვა სახის საწარმოს მშენებლობის საბაზით ნეიტრალური და მოწინააღმდეგე ქვეყნების ტერიტორიაზე (ბელგიაში, შოტლანდიაში) წინასწარ აგებდნენ ბეტონის ფუნდამენტებს გერმანიის არმიის მძიმე ქვემეხებისათვის<sup>84</sup>. ასეთი საძირკვლები გერმანულ კოლონის-

<sup>79</sup> სსრ ცსსა, ფ. 94, ანაწ. I, საქმე 721, ფურც. 87, 108, 109.

<sup>80</sup> იქვე, საქმე 722, ფურც 161.

<sup>81</sup> იქვე, საქმე 721, ფურც. 110.

<sup>82</sup> იქვე, ფ. 153, ანაწ. I, საქმე 2711, ფურც. 211.

<sup>83</sup> იქვე, ფ. 153, ანაწ. I, საქმე 2711, ფურც. 214, 217.

<sup>84</sup> იქვე, ფ. 94, ანაწ. I, საქმე 722, ფურც. 497.

ტებს მრავლად ჰქონდათ წინასწარ მომზადებული რუსეთის საზღვრისპირა ტერიტორიებზედაც<sup>85</sup>. ასეთივე ფუნდამენტების მშენებლობას ბათუმში, ფანერის ქარხნის მშენებლობის სახით (თუმცა ამისთვის ბათუმში სრულიად არ იყო ხელსაყრელი პირობები) აწარმოებდა გერმანიის დაზვერვის აგენტი გ. მეი. ხოლო როდესაც 1914 წლის შემოდგომაზე მეი დააპატიმრეს, როგორც გერმანიის ჯაშუსი, აღნიშნული მშენებლობა განაგრძო გერმანიის სზვა აგენტმა შურმა<sup>86</sup>. ბათუმში ბელგიური პასპორტით მოქმედებდა გერმანიის ჯაშუსი ლ. გაი. გაი ჯაშუსური და კომერციული საქმიანობით მკიდროდ იყო დაკავშირებული ზემოთ დასახელებულ მთავროდთან, რომელიც რამდენიმეჯერ ჩამოსულა მასთან ბათუმში<sup>87</sup>.

მსოფლიო ომის პირველ დღეებში მოჩვენებითი „ლოიალობის“ შემდეგ ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტები სულ უფრო და უფრო მეტად ამკლავებდნენ სიმბატიებს გერმანიის აპკერიალიზმისადმი და ზშირად საბოტაჟს უწყევდნენ ხელისუფლების სამხედრო ღონისძიებებს.

ომის პირველი ხანების შემდეგ გერმანელი კოლონისტები სისტემატურად არიდებდნენ თავს სამხედრო ბეგარას. 1915 წ. გასაწვევთა სიებში შეტანილი 4 ელიზავეტალელი კოლონისტი საერთოდ არ გამოცხადდა გასაწვევ პუნქტზე<sup>88</sup>. კოლონისტი დეზერტირები და გერმანიის ის ქვეშევრდომები, რომლებიც ასაკის გამო სამხედრო ტყვეებად უნდა გამოეცხადებინათ<sup>89</sup>, გერმანულ კოლონიებში იმალებოდნენ<sup>90</sup>.

სამხედრო სარდლობა, ბუნებრივია, ნაკლებად ენდობოდა კოლონისტებს გერმანიის ფრონტზე, ამიტომ მათ ძირითადად ზურგის სამსახურში იყენებდნენ, ან თურქეთის ფრონტზე გზავნიდნენ. მაგრამ კოლონისტები ზშირად ახერხებდნენ გერმანიის ფრონტზე მოხვედრას, სადაც ისინი პირველი შესაძლებლობისთანავე ტყვედ ბარ-

<sup>85</sup> И. Никитский, П. Софинов, დასახ. ნაშრომი.

<sup>86</sup> სსსრ ცსსა, ფ. 94, ანაწ. 1, საქმე 722, ფურც. 497—498.

<sup>87</sup> იქვე, ფ. 153, ანაწ. 1, საქმე 2925, ფურც. 158.

<sup>88</sup> იქვე, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3624, ფურც. 11, 19.

<sup>89</sup> რუსეთისა და გერმანიის წარმომადგენელთა 1915 წ. იანვრის შეთანხმებით მონიალმდევის ტერიტორიაზე მყოფი ორივე ქვეყნის წარმომადგენელთათვის უნდა მიეცათ საზღვარგარეთ დაუბრკოლებლივ გამგზავრების უფლება. ეს შეთანხმება არ ეხებოდა მხოლოდ სამობილიზაციო ასაკის ჯანმრთელ მამაკაცებს (აგრ 17—45 წწ., ხოლო შემდეგ 16—55 წწ.), რომლებიც სამხედრო ტყვეებად ცხადდებოდნენ (სსსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 3159, ფურც. 9, 62).

<sup>90</sup> სსსრ ცსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქმე 1143, ფურც. 48.



დებოდნენ. ასე მოიქცა, მაგალითად, იულიუს გოტლიბის ძე ფორერი, წოდებით პრაპორშჩიკი; თავისი რაზმით, რომელიც შემთავრდა კოლონისტებისაგან შედგებოდა, უნდა გამგზავრებულიყო ამერიკის ფრონტზე, მაგრამ გზად სადგურ ელისავეტპოლში რაზმმა დებოში ატეხა. ფორერმა და რამდენიმე კოლონისტმა „მონანიების მიზნით“ გერმანიის ფრონტზე გაგზავნა ითხოვეს, სადაც ისინი პირველსავე ბრძოლაში ტყვედ დანებდნენ<sup>91</sup>. მაგრამ იულიუს ფორერის შემდგომი ბედი მოწმობს, თუ რამდენად „შემთხვევითი“ იყო ეს ტყვედ ჩავარდნა. იგი მთელი ომის განმავლობაში არხენად ცხოვრობდა თავისი ცოლის ოჯახში — ქ. ფრანკფურტში<sup>92</sup>.

საინტერესოა გოტლიბ ფორერის სიძის ადოლფ კესლერის „მოღვაწეობაც“. ა. კესლერის მამა 70-იან წლებში ჩამოვიდა ამიერკავკასიაში და დასახლდა კოლონია ელენენდორფში. ა. კესლერმა განათლება გერმანიაში მიიღო. რამდენიმე წლით გერმანიაში ყოფნის შემდეგ დაბრუნდა ამიერკავკასიაში, აქ დაქორწინდა ფორერის ქალიშვილზე და ერთხანს ელენენდორფში ცხოვრობდა. შემდეგ კესლერი კვლავ გაემგზავრა მეუღლითურთ გერმანიაში, სადაც ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა—იგი კაიზერ ვილჰელმის სასახლის პასტორი გახდა. კესლერს ხშირი მიმოწერა ჰქონდა ფორერებთან და მოხუც დედასთან, რომელიც აგრეთვე ელენენდორფში ცხოვრობდა<sup>93</sup>. კესლერის დაწინაურება ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რასაც გერმანიის მმართველი წრეები ამიერკავკასიის გერმანელ კოლონისტებს ანიჭებდნენ.

ფორერების და ამიერკავკასიის სხვა მსხვილ მიწათმფლობელ კოლონისტთა მამულები გერმანიის დაზვერვის დასაყრდენი პუნქტები იყო. 1915 წლის ზაფხულში ქრისტეფორ და გოტლიბ ფორერებს ეწვიათ 15 გერმანელი ინჟინერი, რომლებსაც თან ჰქონდათ სპეციალური ხელსაწყოები. გერმანელი სპეციალისტები თითქმის ერთ თვეს დარჩნენ ფორერებთან და სწავლობდნენ ელისავეტპოლის მიდამოებს<sup>94</sup>. გერმანელი „სტუმრები“ ხშირად ეწვეოდნენ ამიერკავკასიის სხვა კოლონისტებსაც. სხვადასხვა დროს კოლონიებს ეწვივნენ ამიერკავკასიაში დაზვერვის მიზნით ჩამოული გერმანიის გენერალური შტაბის ოფიცრები: პორუჩიკი ლანგე, კაპიტანი ფონ

<sup>91</sup> სსსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 3625, ფურც. 55—56, 69—70.  
<sup>92</sup> ი ქ ვ ე, ფ. 153, ანაწ. 1, საქმე 2925, ფურც. 165.  
<sup>93</sup> ი ქ ვ ე, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 3625, ფურც. 55—56, 69—70.  
<sup>94</sup> ი ქ ვ ე, ფ. 94, ანაწ. 1, საქმე 722, ფურც. 299.

ვესტარბი, ლეიტენანტი ფონ ციცივეიჩი, პოლკოვნიკი ფონ პლატო, კაპიტნები რაუში და გეი და სხვა<sup>95</sup>.

მაგრამ გერმანელი კოლონისტები მარტო გერმანელი მშენებლები ბისათვის ხელშეწყობით როდი კმაყოფილდებოდნენ. მსინე... დებდნენ და ზოგჯერ ასრულებდნენ კიდევ სხვადასხვა სახის დივერსიებს, ხელისუფალთ უმაღლესდნენ სხვადასხვა სარეკვიპაციო საქონელს და ა. შ.

შემოწმებული ცნობებით, აღნიშნულ ფორერებს ომის დასაწყისში სამხედრო საქიროებისათვის გერმანიაში გადაუგზავნიათ 2 მილიონი მან., მათვე მოუშადადებიათ გეგმა მდ. მტკვარზე კურდამირთან, ევლახთან და ძეგამთან სარკინიგზო ხიდების აფეთქების შესახებ<sup>96</sup>.

ფორერებმა მოახერხეს აგრეთვე მიეღოთ დაკვეთა გალიციის მოქმედი არმიისათვის ღვინის მიწოდებაზე. ღვინის მიღებისას სახელმწიფო წარმომადგენლის მიერ შემჩნეული იქნა, რომ კასრებში ჯერ ასხამდნენ ფარკვეული რაოდენობის წყალს, ხოლო შემდეგ ავსებდნენ ღვინით<sup>97</sup>. მაგრამ ფორერები არც ამას დასჯერდნენ, შემდგომში მათ გალიციაში გაგზავნეს მოწამლული ღვინო, რომლისგანაც ასეულობით რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა<sup>98</sup>.

როდესაც აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით გაჩნრიკეს ფორერების მამული, საწყობში აღმოჩნდა რამოდენიმე ათასი ლიტრი სპირტი, რომელზეც არ იყო გადახდილი სააქციზო გადასახადი<sup>99</sup>. საერთოდ გერმანელი კოლონისტები ცდილობდნენ გადაემაღათ ყველაფერი, რაც მოქმედ არმიას ესაქიროებოდა და ომთან დაკავშირებით შეიძლებოდა მობილიზებული ყოფილიყო. 1914 წლის შემოდგომაზე ალექსანდერსდორფელ და სხვა კოლონიის კოლონისტებს აღმოუჩინეს გადამალული ცხენები და ფურგონები<sup>100</sup>.

1915 წლის შემოდგომაზე პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ მარიენფელდის კოლონისტები დიდი რაოდენობით ყიდულობენ ღორებს, შაშხავენ ღორის ზორცს და საიდუმლოდ გერმანიაში გზავნიან<sup>101</sup>. ეს ცნობა კავკასიის ხელისუფლებას ფანტასტიკურად მიუჩნევია და

<sup>95</sup> სსსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქმე 722, ფურც. 341.

<sup>96</sup> ი ქ ვ ვ, ფურც. 191.

<sup>97</sup> ი ქ ვ ვ, ფ. 94, ანაწ. 1, საქმე 722, ფურც. 353.

<sup>98</sup> И. Никитинский, и П. Софинов, Немецкий шпионаж в России во время войны 1914—1918 гг., М., 1942, стр. 69.

<sup>99</sup> «Тифлисский листок», 15/X 1914.

<sup>100</sup> სსსრ ცსსა, ფ. 153, ანაწ. 1, საქმე 2755, ფურც. 221—222.

<sup>101</sup> «Голос Кавказа», 23/IX 1915.



მისი შემოწმება, ისიც მოგვიანებით, დაუვალეებით არა კონტრა-  
ზვერვის განყოფილებისათვის, არამედ თბილისის მაზრის ადმინისტრაციისათვის, რომელსაც თვით კოლონისტთა ჩვენებების საფუძველზე უარუყვია ეს ცნობა<sup>102</sup>. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავს პრეცედენტებს იმ პერიოდში მრავლად ჰქონდა ადგილი, ჩვენ სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია კოლონისტთა ასეთი მოქმედება<sup>103</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ამიერკავკასიის კოლონისტები გარკვეულ სიტუაციაში პოტენციურ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ და ქმნიდნენ ერთგვარ საშიშროებას. სწორედ ამიტომ კავკასიის ადმინისტრაციამ იწყო გერმანელი კოლონისტებისათვის ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორთმევა, 1915 წლის იანვარში მხოლოდ ეკატერინენფელდელ კოლონისტებს ჩამოართვეს 27 სანადირო თოფი, 135 „ბერდანის“ ტიპის ზიშტიანი საბრძოლო შაშხანა, და ვაზნები მნიშვნელოვანი რაოდენობით. მაგრამ მალე დაადგინეს, რომ მათ სანაცვლოდ რუსეთ-თურქეთის ფრონტზე მყოფ კოლონისტები ამიერკავკასიის კოლონიებში გზავნიან ტყვიამფრქვევებს და თურქულ „მაუზერის“ ტიპის შაშხანებს ვაზნებით. ამ ცნობასთან დაკავშირებით კოლონია ეკატერინენფელდში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, მართალია, ტყვიამფრქვევები ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ კოლონისტებს მრავლად აღმოაჩნდათ თურქული შაშხანები, ვაზნები და ტყვიამფრქვევის ლენტები. ამ ინციდენტთან დაკავშირებით დასაჯეს მისი მხოლოდ ერთი მონაწილე — პ. ბიდლინგმაიერი, რომელსაც სამი თვის პატიმრობა მიუსაჯეს<sup>104</sup>. ეს ფაქტი ერთხელ

<sup>102</sup> სსსრ ცსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქმე 692, ფურც. 4—5.

<sup>103</sup> 1915 წ. დეკემბერში ინგლისის დახვეწილ დაადგინა, რომ სრული საზღვაო ბლოკადისა და თურქეთში ბამბის მარაგის შეზღუდული რაოდენობის მიუხედავად, გერმანიის მრეწველობა მნიშვნელოვანი რაოდენობით იღებდა ბამბის ნედლეულს. შემდეგი კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ ბამბის ნედლეულს გერმანიაში რუსეთის შუა აზიის რაიონებიდან გზავნიდნენ გერმანელი აგენტები მარშრუტით: შუა აზია — ავღანეთი — ირანი — თურქეთი — გერმანია (ЦГВИА ф. 2000, оп. 1, дело 3806, лл. 27, 33); 1915 წ. აღმოაჩინეს, რომ ფირმა „შტუკენი და კომპანია“ ამიერკავკასიიდან და შუააზიიდან მატყლს გზავნიდა გერმანიაში. მატყლს თავს უყრიდნენ კრასნოვოდსკში. აქედან ფირმის წარმომადგენელი თურქეთის ქვეშევრდომი გულბეკიანი მატყლს შხუნებით გზავნიდა ენზელში, საიდანაც ნეიტრალური ქვეყნების მეშვეობით იგზავნებოდა გერმანიაში (სსსრ ცსსა, ფ. 153, ანაწ. 1, საქ. 2925, ფ. 134); ამიერკავკასიელი გერმანელები ნეიტრალურ შევეციაში ჰიათურიდან მანვანუმის მალანს გზავნიდნენ ამანათების სახით. შევეციიდან ეს „ამანათი“ ი გერმანიაში გაჰქონდათ.

<sup>104</sup> სსსრ ცსსა, ფ. 17, ანაწ. 1, საქმე 8348, ფურც. 3—4, 21, 24. 42—44.

კიდევ ადასტურებს, რომ გერმანელი კოლონისტები პოტენციურად დამხმარე სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ გერმანიის მილიტარიზმისათვის. სხვა ქვეყნებში და მათ შორის ამიერკავკასიაში მცხოვრები გერმანელი კოლონისტების შეიარაღებული ძალის სახით გამოყენება თვით გერმანიის გენერალური შტაბის მიერ იყო დაგეგმილი. ცნობილი გერმანელი მილიტარისტი ლუდენდორფი ამასთან დაკავშირებით წერდა: „აგრეთვე ვიმედოვნებდი უშუალოდ მიმელო ახალწვეულნი აღმოსავლეთის გერმანელი მოსახლეობიდან“<sup>105</sup>. ასევე საქართველოში გერმანელების სადაზვერვო და ჯაშუშური საქმიანობის შესახებ 1918 წლის მაისში შედგენილ ცნობაში აღნიშნულია: „არის ცნობები, რომ ამიერკავკასიაში... გერმანელები ადგილობრივი მცხოვრებლებიდან შეადგენენ არმიას“, რომლის ბართვი ადგილობრივი გერმანელი კოლონისტები უნდა ყოფილიყვნენ. ამასთანავე ოკუპანტები აპირებდნენ სხვადასხვა პროდუქტის და საქონლის რეკვიზიციას, რომლის „უმეტესი ნაწილი განიკუთვნება გერმანიის ჯარებისათვის, შემდეგ კოლონისტებისათვის და ...ნაშთი დანარჩენი მოსახლეობისათვის“<sup>106</sup>.

საქართველოში გერმანიის ჯარების შემოსვლის შემდეგ (1918 წ. მაისი) გერმანელი კოლონისტები გამსაკუთრებით გააქტიურდნენ. გერმანელი კოლონიზატორების შემოსვლას ქართველი ხალხის მტრულად შეხვდა. ერთ-ერთ საიმედო დასაყრდენს ოკუპანტებისათვის გერმანელი კოლონისტები წარმოადგენდნენ. გერმანელმა ინტერვენტებმა შემოსვლისთანავე გამოაცხადეს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა გერმანელი სამხედრო ტყვის და სამხედროვალდებულის მობილიზაცია. ამასთან დაკავშირებით მენშევიკური ოფიციაში გაზეთი „ბორბა“ იტყობინებოდა: „თბილისში გამოცხადებულია გერმანიის ქვეშევრდომთა „რეგისტრაცია“ 17 წლიდან 45 წლის ასაკამდე. ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ გერმანელები ბატონპატრონობენ ამიერკავკასიაში ისე, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში“<sup>107</sup>.

გერმანელი იმპერიალისტები საქართველოს უყურებდნენ, როგორც მათ კოლონიურ ქვეყანას. მათ ზელთ ივდეს ამიერკავკასიის რკინიგზა, აგრეთვე საქართველოს საზღვაო ნავსადგურები. კონტრო-

<sup>105</sup> Э. Людендорф, Мои воспоминания о войне 1914—1918 гг., т. 2, М. 1924, стр. 221.

<sup>106</sup> გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წ., დოკუმენტების და მასალების კრებული. შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა მ. ვაბრიჩიძემ, თბილისი, 1942, გვ. 36—37.

<sup>107</sup> გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წ., გვ. 68.



ლი დააწესეს ფოსტა-ტელეგრაფზე, ბანკებზე, სახელმწიფო დაწესებულებებზე. უხეშად ერეოდნენ საქართველოს შინაგარეულ საქმეებში. სათანადო ცნობებს საქართველოს სახალხო მეურნეობის მდიანობის, სხვადასხვა ნედლეულის და საქონლის მარაგის შესახებ ისინი უმთავრესად გერმანელი კოლონისტების საშუალებით იგებდნენ. „საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელი კოლონისტები, რომელთა შორისაც საქმაოდ ბევრი ჯაშუში და დივერსანტი იყო, გერმანიის ჯარების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. ბორჩალოს მაზრის კულაკებმა თავი აიშვეს და გააორკეცეს ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვა“<sup>108</sup>.

მაგრამ გერმანელ ინტერვენტთა ძალადობა, ისევე როგორც ადგილობრივ მემამულეთა და კაპიტალისტთა მიერ ჩაგვრა, აძლიერებდა რევოლუციურ განწყობილებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. საქართველოში ამ დროს ადგილი ჰქონდა მუშათა მლეღვარებას, პოლიტიკურ გაფიცვებს და გლეხთა რევოლუციურ აჯანყებებს, რომლებიც სისხლში ჩაახშვეს გერმანიის ჯარების დახმარებით<sup>109</sup>. „დათარეშობდნენ აგრეთვე გერმანელ კოლონისტთაგან, უმთავრესად კულაკთა შვილებისაგან ჩამოყალიბებული დამხმარე რაზმები, რომლებიც ანგარიშს უსწორებდნენ ღარიბ გლეხობას“<sup>110</sup>.

ინტერვენტები გერმანელ კოლონისტთა წაქეზებით და თანლებით თვითნებურად ანიარაღებდნენ მოსახლეობას, ძარცვავდნენ და ხვრეტდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ. მაგალითად, 1918 წლის 10 ივლისს გერმანელმა ჯარისკაცებმა და კოლონისტებმა განაიარაღეს სოფელ კოდის მცხოვრებნი. მიუხედავად იმისა, რომ „მცხოვრებლებმა ყველამ ნებაყოფლობით ჩააბარეს 150 ცალი თოფი ვაზნებითურთ, შემდეგ თვით ჯარისკაცები შეუღდნენ ჩხრეკას და წაიღეს ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ, სახელდობრ: ხანჯლები, დანები, ხანჯლები უმთავრესად ვერცხლით იყო მოჭედილი. სოფელში ზოგიერთ ქალებს შეეშინდათ და გაიქცნენ, ამ ქალებს სცემეს“<sup>111</sup>.

14 ივლისს ასურეთელმა კოლონისტებმა 25 კაცის შემადგენლობით, 15 გერმანელი ჯარისკაცისა და ერთი გერმანელი ოფიცრის

<sup>108</sup> ა. ს უ რ ვ უ ლ ა ძ ე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1918 წწ.), თბილისი, 1957, გვ. 494.

<sup>109</sup> Wipert von Blücher, Deutschlands, Weg nach Rappalo, Wiesbaden, 1951, s. 124.

<sup>110</sup> Е. Ф. Лудшувейт, Турция в годы первой мировой войны 1914—1918 гг., М., 1966, стр. 251.

<sup>111</sup> გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წ., გვ. 67.

თანხლებით, განაიარაღეს რამდენიმე სოფელი თეთრი წყაროს რაიონში, ამ აშბაუთან დაკავშირებულ პატაკში საგარეთუბნო რაიონის კომისარი თბილისის მაზრის უფროსს წერდა: „ამასთან ვაპირებდეთ ბისას გლეხების მიმართ იყენებდნენ მკაცრს რეპრესიულ ზომებს, ქალებსა და მამაკაცებს როზგებით სცემდნენ და სისხლს ადენდნენ, კლავდნენ გლეხების ძაღლებს, იჭრებოდნენ სახლებში და ახდენდნენ ჩხრეკას. გლეხობა ტერორიზებულია. იყო მილიციელების განაიარაღების რამდენიმე შემთხვევა. გერმანელები სრულიად არ უწყვეტ ანგარიშს აღმინისტრაციას და აცხადებენ, რომ თვითონ ისინი კარგად დაამყარებენ წესრიგს ჩვენში. მიუხედავად ჩემი არაერთგზის თხოვნისა, მითხრას, თუ რა საფუძველზე ახდენენ ისინი გლეხების განაიარაღებას და სცემენ მათ, გერმანელმა ოფიცერმა განაცხადა, რომ ისინი მოქმედებენ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით და ამის შესახებ ყველამ იცისო. თვით მე ვიყავი მოწამე იმისა, თუ როგორ სცემდნენ გერმანელები გლეხებს იქამდე, რომ ისინი უგრძნობლად ეცემოდნენ მიწაზე. მე შემატყობინეს, რომ ნაცემი გლეხები ვერ უძლებდნენ ასეთ წამებას და კვდებოდნენ. ამის გამო ჩემს რაიონში მდებარე განაპირა სოფლების გლეხები აღშფოთებული არიან გერმანელთა ასეთი საქციელით და მათ განაცხადეს, რომ იარაღით დაიცავენ თავიანთ ღირსებასა და თავისუფალი მოქალაქის სახელს; გთხოვთ, დიდი ექსცესების თავიდან ასაცილებლად მიიღოთ სასწრაფო ზომები გლეხთა განაიარაღების ასეთი ბარბაროსული წესების აღსაკვეთად“<sup>112</sup>.

ასეთივე სისასტიკით განაიარაღეს კოლონისტებმა და გერმანელმა ოკუპანტებმა ხატისთელეთის, მუხრანთელეთის, წალაქურის, სოღანლულის და სხვა სოფლების გლეხობა<sup>113</sup>. გერმანელები ყველა ამ შემთხვევაში ადგილობრივ ხელისუფალთ უკრძალავდნენ ყოველგვარ ჩარევას, ხოლო ამ უკანასკნელთა საჩივარზე, რომ მათ ასეთ პირობებში მუშაობა არ შეუძლიათ, მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხა: „რაც შეეხება მოსახლეობის განაიარაღებას, გერმანელთა სამხედრო რაზმს უფლება აქვს მოაღინოს ეს განაიარაღება დამოუკიდებლად, თუ თქვენ პირადად საჭიროდ დაინახავთ ჩატარებულ იქნას რომელიმე სოფლის განაიარაღება, თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ეს გერმანელთა აღნიშნული რაზმის თანხმობით“<sup>114</sup>.

<sup>112</sup> გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 69—70.

<sup>113</sup> Ш. Чхетия, Германский империализм и Грузия, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, 1944, XII-В, გვ. 147.

<sup>114</sup> გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 73.



ცხადია, ასეთ პირობებში ხელისუფალთა მიერ გერმანელთა თარეშისაგან გლეხების დაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ამასთან იმ დასახლებულ პუნქტში შესვლისას კოლონისტთა და ინტერვენტთა გაერთიანებული რაზმები, მარტო განიარაღებით და ზემოთ აღნიშნული სხვა ძალადობით არ ემაყოფილებოდნენ. ამ შემთხვევაში ისინი ჩვეულებრივ ართმევდნენ მოსახლეობას მოსავლის დიდ ნაწილს და ადებდნენ მათ ფულად კონტრიბუციას. ყოველივე ეს ტარდებოდა უკიდურესი სისასტიკის და მხეცობის პირობებში.

მაგალითად, 1918 წლის 1 აგვისტოს „ადგილობრივმა ნემსებმა ასურეთის საზოგადოებისა სოფელ ბოგვში ძალით მოაგროვეს ხორბალი 60 ფუთი და უბრძანეს თავისი ურმით ჩაეტანათ ასურეთში“. ამ დროს მათ მიუსწრო თეთრიწყაროს რაიონის კომისარმა, რომელმაც დააკავა ეს ხორბალი და ჩაქეტა ბოგვის კანცელარიაში. მაშინ კოლონისტებმა დახმარებისათვის მიმართეს გერმანელთა ჯარის რაზმს, რომლის ლეიტენანტმა სოფელს გაუგზავნა ბრძანება, — „თუ დაუყოვნებლივ არ ჩაიტანთ იმ 60 ფუთ ხორბალს ასურეთში, მთელ სოფელს გავანადგურებთ“. ამასთან დაკავშირებით რაიონის კომისარი ზემდგომ ორგანოს თბილისში წერდა: „ვინაიდან ხალხი მათგან არაერთხელ დარბეულა, რასაც ნათლად ღალადებენ ოქმები მათგან წარმოდგენილი, მთხოვეს შუამდგომლობა თქვენს წინაშე, დაიფაროთ გლეხები მათი აწიოვებისაგან და დასახლებული 60 ფუთი ხორბალი საქმის სრულ გამოორკვევამდე დარჩეს კანცელარიაში, სადაც ეხლა იმყოფება“<sup>115</sup>. 8 აგვისტოს იმავე რაიონის სოფელ კოსალარში კოლონისტებმა და ჯარისკაცებმა ძალით წაართვეს გლეხებს 2600-ზე მეტი ძნა<sup>116</sup>; გერმანელთა მეორე რაზმმა სოფელ კასუმლოს საზოგადოებას „ჩამოართვეს 65 ფუთი ხორბალი და დამატებით მოითხოვეს ცხრა ათასი მანეთის გადახდა ჯარიმის სახით“<sup>177</sup>. 13 აგვისტოს „გერმანელთა რაზმი, რომელიც მოვიდა სოფელ სარვანში“ მოითხოვდა „კოლონისტების სასარგებლოდ 150 000 მანეთის გადახდას სამი საათის ვადაში“, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ მთელი სოფლის გადაწვას<sup>118</sup>. ასევე დაბეგრეს შულავერის, მუხრანის და სხვა სოფლების გლეხები. სოფელ მუხრანს გერმანელებმა კონტრიბუციის სახით 35 000 მანეთის გადახდა მოსთხოვეს, ხოლო როცა მცხოვრებთა თხოვნით ამ საკითხის გასარკვევად იქ

<sup>115</sup> გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წ., გვ. 76.  
<sup>116</sup> იქვე, გვ. 78—79.  
<sup>117</sup> იქვე, გვ. 80.  
<sup>118</sup> იქვე, გვ. 81.

მივიდა მცხეთის რაიონის კომისარი, გერმანელებმა იგი მის მხლებელ მილიციელთან ერთად განაიარაღეს და დააპატიმრეს<sup>119</sup>.

ინტერვენტთა და კოლონისტთა ასეთი თარეში, სულ უფრო და უფრო მეტ უკმაყოფილებას იწვევდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში. თვით მენშევიკური მთავრობის ორგანო გაზეთი „ერთობა“ 1918 წ. 25 სექტემბრის ნომერში იძულებული იყო ელიარებინა: „ჩვენს რედაქციას აუარებელი კორესპონდენციები მოსდის სხვადასხვა კუთხიდან, განსაკუთრებით იმ მხარეებიდან, სადაც გერმანელთა კოლონიები იყო და ყველა ერთხმად უჩივიან იმ გერმანელ ჯარის უდიერ მოპყრობას, რომელნიც კოლონისტთა სოფლებში არიან დაბანაკებულნი.

აქ რასაკვირველია ის კი არ არის გასაკვირი, რომ გერმანელები იცავენ კოლონისტებს, ხალხის უკმაყოფილებას ბადებს ის გარემოება, რომ ხშირად ეს ჯარი ერევა ცალმხრივად ნემეც კოლონისტთა და მეზობელ სოფლების ურთიერთობაში, თავის ძალით ასამართლებს ამათ, არბევს ქართულ, სომხურ, ან თათრულ სოფლებს კოლონისტების სასარგებლოდ, თვით ასამართლებს და ახდევინებს მათ ჯარიმას. არა ერთხელ ყოფილა მაგალითი, რომ კომისრის ჩარევასაც კი ვერ გადაურჩენია საქართველოს მოქალაქე ვლენჯაცობა ფიზიკურ შეურაცხყოფისაგან.

გერმანელებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ საქართველო ოსმალეთი არაა, რომ ქართველი მოქალაქე ფიზიკურ სასჯელს ვერ შეეგუება, თვით რუსის კანონსაც კი, რომელიც სოფლებს შიდა რუსეთში როზგავდა, ჩვენში ეს სასჯელი არ გადაუტანია“<sup>120</sup>.

გერმანიის მისიამ სცადა კოლონისტთა თავაშეებული მოქმედება და პრივილეგიური მდგომარეობის დაკანონება სათანადო ხელშეკრულებით, რომელიც უნდა დადებულიყო გერმანიასა და საქართველოს შორის. „მთელი ეს ურთიერთობა, რომელიც შეიქმნა ოკუპანტებსა და კოლონისტებს შორის ერთის მხრით და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მეორეს მხრით ფონ-კრესს სურდა განემტკიცებინა სპეციალური ხელშეკრულებით“<sup>121</sup>.

ფონ-კრესმა ამიერკავკასიის გერმანელთა ნაციონალურ საბჭოსთან ერთად შეიმუშავა ამ ხელშეკრულების პროექტი. მის პირველ მუხლში ნათქვამი იყო: „გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლობას კავკასიაში, რომელსაც თავისი მუდმივი რეზიდენცია აქვს

<sup>119</sup> გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წ., გვ. 86.

<sup>120</sup> იქვე, გვ. 114—115.

<sup>121</sup> Д. Е. Енукидзе, Крах империалистической интервенции в Закавказье, Тбилиси, 1954, стр. 112.

თბილისში და აგრეთვე დიპლომატიურ და საკონსულოების წარმომადგენლებს, რომლებიც განსაკუთრებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება დაარსდნენ საქართველოს ტერიტორიაზე; გარდა თავის სხვა მოვალეობებისა, უფლება ეძლევათ დაიცვან საქართველოში მცხოვრები გერმანელი კოლონისტების ინტერესები განურჩევლად იმისა საქართველოს ქვეშევრდომები იქნებიან ისინი, თუ რუსეთის“<sup>122</sup>.

ხელშეკრულების მეორე მუხლით, — „საქართველოს პოლიციის აგენტების დასახმარებლად, გერმანელ კოლონისტებს სამხედროვალდებულთაგან შეუძლიათ შექმნან ადგილობრივი მილიცია. საქართველოს მთავრობა თანახმაა, რომ მილიციის ორგანიზაცია მოახდინოს გერმანიის საიმპერატორო დელეგაციამ და, რომ მას უფლება ექნება ამ მიზნით საქართველოს გერმანულ დასახლებებში გაგზავნოს ცალკეული გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები“.

მესამე მუხლი ითვალისწინებდა, რომ „საქართველოს მთავრობა ვალდებულდება იღებს არ შეცვალოს რუსეთის იმპერატორთა ის ბრძანებულებები, რომლებიც ეხებიან საქართველოში მცხოვრებ გერმანელ კოლონისტებს, და აგრეთვე შეუნარჩუნოს მათ თავისუფლებანი და პრივილეგიები, განსაკუთრებით თვითმმართველობის უფლება, მისცეს მათ რწმენის თავისუფლება და ყოველგვარი კულტურული ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობა“.

მეოთხე მუხლით გერმანელ კოლონისტებს შეეძლოთ მიეღოთ გერმანიის ქვეშევრდომობა; ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო გაეთავისუფლებინა ისინი თავის ქვეშევრდომობიდან.

მეექვსე მუხლით საქართველოს მთავრობას ვალდებულება ჰქონდა აეღო, არ გამოეყენებინა საქართველოს გერმანელი კოლონისტების მიმართ რუსეთის იმპერიაში 1915 წლის 2 თებერვალსა და 15 დეკემბერს გამოცემული კანონები (გერმანიის და მისი მოკავშირეების ქვეშევრდომთა და აგრეთვე რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელების მიწათმფლობელობის შეზღუდვის შესახებ).

მერვე მუხლი ადგენდა, რომ II და III მუხლებში გათვალისწინებული მილიციის და კულტურულ-ტექნიკური დაწესებულებების (სკოლების, ეკლესიების, გზების, კანალიზაციის კოლონიების ფარგლებში და სხვა) შესანახავი ზარჯებისათვის გერმანული კოლონიების საზოგადოებებს უფლება ჰქონდათ თავის განკარგულებაში

<sup>122</sup> სსსრ ცსსა, ფ. 3, საქმე 10, ფურც. 16—17.

დაეტოვებინათ ამ საზოგადოებების წევრთა მიერ გადახდილი სა-  
ხელმწიფო გადასახადების ნაწილი<sup>123</sup>.

შემდგომი მუხლები ნაკლებმნიშვნელოვანი იყო და შენედა  
ცალკეულ წვრილმან საკითხებს<sup>124</sup>.

გათვალისწინებული იყო, რომ ხელშეკრულება ძალაში შევი-  
დოდა ხელმოწერის დღიდანვე, ხოლო მისი რატიფიკაცია უნდა  
მომხდარიყო სამი თვის განმავლობაში.

უკვე მარტო ის ფაქტი, რომ გერმანიის საოკუპაციო ხელისუფ-  
ლებმა მენშევიკურ „მთავრობას“ წარუდგინეს ასეთი ხელშეკრულე-  
ბა, მიუთითებს, რომ ისინი არაფრად აგდებდნენ ამ მთავრობას.  
გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლები გერმანიის ქვეშევრდომთა  
ინტერესების დაცვასთან ერთად მოითხოვდნენ მიეცათ მათთვის სა-  
ქართველოს ქვეშევრდომ გერმანელ კოლონისტთა ინტერესების და-  
ცვის უფლებაც; უფრო მეტიც, მენშევიკურ მთავრობას წინადადე-  
ბას აძლევდნენ, ნება დაერთოთ გერმანელი კოლონისტებისათვის  
უარი ეთქვათ საქართველოს ქვეშევრდომობაზე და ამავე დროს  
დარჩენილიყვნენ საცხოვრებლად საქართველოს ტერიტორიაზე. და-  
ბოლოს ნაციონალისტ-კოლონისტებს უნდა მიეღოთ შესაძლებლობა  
მენშევიკური მთავრობის ხარჯზე შეექმნათ საკუთარი მილიცია. ამ-  
რიგად, ინტერვენტები ვარაუდობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე  
გერმანიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელობით გერმანელი კოლო-  
ნისტებისაგან შეექმნათ „სახელმწიფო სახელმწიფოში“.

ხელშეკრულების ეს პროექტი ერთხელ კიდევ ადასტურებდა, თუ  
რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გერმანელი იმპერიალისტები სა-  
ზღვარგარეთ და კერძოდ ამიერკავკასიაში არსებულ კოლონიებს.

1918 წლის 6 ოქტომბერს ამ საკითხზე საგარეო საქმეთა ში-  
ნისტრის მოხსენების მოსმენის შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ  
დაადგინა: „გერმანიის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი შეთანხმე-  
ბის პროექტი, გერმანელ კოლონისტთა უფლებებზე, გამსახილვე-  
ლად გადაეცეს საგარეო საქმეთა, იუსტიციის და მიწათმოქმედების  
სამინისტროების წარმომადგენელთაგან შექმნილ კომისიას“<sup>125</sup>. მაგ-  
რამ ეს მხოლოდ საკითხის ფორმალური განხილვა იყო. იმ პირო-  
ბებში, რა თქმა უნდა, მენშევიკურ მთავრობას არ შეეძლო უარი  
ეთქვა გერმანიის დელეგაციის მოთხოვნებზე, რაოდენ თავზედურიც  
არ უნდა ყოფილიყო ისინი. მხოლოდ საომარ ფრონტებზე მდგომა-

<sup>123</sup> სსსრ ცსსა, ფ. 3, საქმე 10, ფურც. 16—17.

<sup>124</sup> იქვე.

<sup>125</sup> იქვე.





რეობის მევეთრმა გაუარესებამ, როცა გერმანია იძულებული ვადა თავი დაენებებინა საქართველოს გერმანელ კოლონისტებზე ზრუნვისათვის და ეფიქრა საკუთარი ტერიტორიის დაეცემცხორებე ქვეშევრდომების დაცვაზე, ჩამალა აღნიშნული ხელშეკრულების დადება გერმანელი კოლონისტებისათვის ფართო უფლებების მიცემის შესახებ.

გერმანელ დამპყრობლებს დიდხანს არ უბატონიათ ამიერკავკასიაში. 1918 წლის 9 ნოემბერს გერმანიაში დაიწყო რევოლუცია, რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო ვილჰელმი II, ხოლო 11 ნოემბერს გერმანიის იმპერიალიზმის წარმომადგენლები იძულებული იყვნენ კომპიენის ტყეში ხელი მოეწერათ დაზავებაზე, რომლითაც გერმანია თავს დამარცხებულად სცნობდა. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „ჭერ იგი (გერმანიის იმპერიალიზმი — გ.მ.) უზომოდ გაიბერა ევროპის სამ მეოთხედზე, სიმსუქნით გასივდა, შემდეგ კი იქვე გასკდა და თან მეტად საშინელი სიმყრალე დატოვა“<sup>126</sup>.

განიცადა რა დამარცხება დასავლეთის ფრონტზე, გერმანია იძულებული იყო დაეტოვებინა ამიერკავკასია. 1918 წლის 25 დეკემბერს გემით „ვარნა“ ფოთიდან გაემგზავრნენ გერმანიის ჯარების უკანასკნელი ნაწილები. 1919 წლის 7 იანვარს გერმანიის დელეგაციამ სრული შემადგენლობით დატოვა თბილისი და ფოთის გავლით გაემართა გერმანიისაკენ.

საქართველოს საზღვრების დატოვებამდე გერმანიის დელეგაციამ მოასწრო ერთხელ კიდევ გამოეჩინა დაინტერესება ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტების მდგომარეობით. 1919 წლის 10 იანვარს თავის უკანასკნელ მიმართვაში საქართველოს მთავრობისადმი ფონ-კრესი გამოთქვამდა პროტესტს იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა რესპუბლიკის ფარგლებიდან გაეძევებინა ყველა გერმანელი. თავის პასუხში მთავრობის თავმჯდომარის მდივანი აღნიშნავდა, რომ არავითარი ბრძანებულება არ ყოფილა საქართველოდან გერმანელთა გასაზღვრების შესახებ და მთავრობა თავის თავზე არ აიღებს ამგვარ ინიციატივას<sup>127</sup>.

მენშევიკური მთავრობა არა თუ არ ზღუდავდა კოლონისტულაკებს, არამედ ყოველმხრივ უწყობდა მათ ხელს, „კულტურულ მეურნეობათა დაცვის“ საბაბით. გერმანელი ინტერვენტების წაშლის შემდეგ, ცხადია, ისინი ძველებურად ვედარ დათარეშობდნენ ახლო-მახლო სოფლებში, მაგრამ მზად ყავდათ შეიარაღებული

<sup>126</sup> ვ. ი. ლენინი, თბზ., ტ. 28, გვ. 179.

<sup>127</sup> Д. Енукидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

რაზმები თითქოსდა „თავდასაცავად“<sup>128</sup>. ამავე დროს კოლონისტები ყოველგვარი შეფერხების გარეშე განაგრძობდნენ თავის სამეურნეო და სარეწაო-საავაპრო საქმიანობას. ისინი ძველებურად უწყვეტდნენ სასტიკ ექსპლოატაციას ადგილობრივ მოსახლეობას და მდიდრდებოდნენ მათ ზარჯზე. ეს ექსპლოატაცია უფრო მძიმდებოდა ომისა და ინტერვენციის წლებში სამეურნეო ნგრევით და მოუსაგელიანობით, რაც ამწვავებდა ურთიერთობას მდიდარ კოლონისტებსა და მათ მიერ ექსპლოატირებულ მასებს შორის. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ 1918 წ., ჯერ კიდევ გერმანელების ოკუპაციის დროს, აჯანყებულმა გლეხებმა დაარბიეს ფონ კუჩენბახის მამული<sup>129</sup>.

1919 წ. ივნისში ამიერკავკასიის გერმანულმა კოლონიებმა და ლუთერანულმა ეკლესიამ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს ამიერკავკასიაში გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლების და ლუთერანული სამრევლოს შექმნის 100 წლისთავი<sup>130</sup>.

1920 წლისათვის გერმანელებმა განაახლეს ეკონომიური ურთიერთობა საქართველოსთან. ამ წელს საქართველოდან გატანილი 17 700 000 ფუთი მანგანუმიდან მნიშვნელოვანი წილი გერმანულ ფირმებზე მოდიოდა<sup>131</sup>.

ამიერკავკასიის გერმანელთა „ეროვნული საბჭო“ და მისი ორგანო „კაუკაზიშე პოსტი“ გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდნენ ამიერკავკასიის ქვეყნების გერმანიასთან დაახლოების სპარაგებლოდ. „კაუკაზიშე პოსტი“ მენშევიკურ მთავრობას ურჩევდა მიწების სპეციალური ფონდის გამოყოფას და იქ გერმანიიდან კიდევ ახალი კოლონისტების ჩამოსახლებას<sup>132</sup>. ამიერკავკასიის გერმანელი კოლონისტების ასეთ საქმიანობას გარკვეული წვლილი მიუძღვოდა მასში, რომ 1920 წლისათვის გერმანიაში მრავლად აღმოჩენილან საქართველოში გადმოსახლების მსურველნი. მიწათმოქმედების მინისტრის მოხსენების გამო ამ საკითხზე 1920 წელს 11 ნოემბერს მენშევიკურმა მთავრობამ შემდეგი დადგენილება მიიღო: „დაევალოს მიწათმოქმედების სამინისტროს სთხოვოს საქართველოს

<sup>128</sup> J. Hummel, Heimat-Büchlein, der Deutschen in Transkaukasien, Pokrowsk, 1926, s. 38.

<sup>129</sup> ბ. ვ ე ვ შ ვ ი ლ ი, გერმანელი კოლონისტები და ადგილობრივი. . . 83- 212.

<sup>130</sup> სსსრ ცსსა, ფ. 1694, ანაწ. 1, საქმე 40.

<sup>131</sup> ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ეროვნული ბურჟუაზია და . . . 83- 111.

<sup>132</sup> «Kaukasische Post», 1918, № 39.

წარმომადგენლობას ბერლინში გამოგზავნოს ცნობა გადმოსახლე-  
ბის მსურველთა სპეციალობებისა და რაოდენობის შესახებ<sup>133</sup>. ეს დო-  
კუმენტი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რამდენად ნაქლებად ეს-  
მოდათ მენშევიკებს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები. მა-  
შინ როდესაც ქართველ გლეხს მიწის ნაკლებობით სული ეხუთებო-  
და, ზოლო მუშები და ინტელიგენცია უმუშევრობით იტანჯებოდ-  
ნენ, მენშევიკური მთავრობა თანახმა იყო გერმანელი კოლონისტები  
მიეღო.

თუ როგორ ესახებოდათ ამიერკავკასიის გერმანელ კოლონის-  
ტებს საქართველო-გერმანიის ურთიერთობა მომავალში, კარგად  
გვიჩვენებს „კაუკაზიშე პოსტის“ 1920 წლის 13 მაისის ნომერში გა-  
მოქვეყნებული სტატია შავი ზღვის მნიშვნელობის შესახებ<sup>134</sup>. სტა-  
ტია მიესალმებოდა მენშევიკურ მთავრობის პირველ ღონისძიებებს  
შავი ზღვის საკაბოტაჟო მიმოსვლის გამოცოცხლების შესახებ და  
ამასთანავე აყენებდა საკითხს გერმანია-საქართველოს დამაკავშირე-  
ბელი ახალი გზის შესახებ. ამ გზით საქართველოს ნავსადგურები  
ფოთი და ბათუმი დაუკავშირდებოდა დუნაის შესართავს და შემ-  
დეგ დუნაის გზით და ავსტრიით — გერმანიას. ამის შედეგად „ინ-  
გლისისა და საფრანგეთის გვერდის ავლით, ჩვენი ღვთიური ქვეყანა  
მიიღებდა იაფ და კარგ საქონელს“. ამასთანავე „ნიჟიერ და ბეკით  
ქართველ ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცემოდა იაფი და მო-  
ხერხებული გზით სწავლა-განათლება მიეღო გერმანიის უმაღლეს  
საწავლებლებში“<sup>135</sup>. ამრიგად, „კაუკაზიშე პოსტის“ აზრით, საქარ-  
თველო-გერმანიის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებით საქართვე-  
ლო მნიშვნელოვან სარგებლობას ნახავდა. თუმცა გაზეთი არაფერს  
წერდა ამ დაახლოების ნამდვილი მიზნის შესახებ, მაგრამ ძნელი მი-  
სახვედრი არ არის, რომ მისი ნამდვილი მიზანი იყო საქართველოსა  
და ამიერკავკასიის გადაქცევა გერმანული საქონლის გასაღებზე ბაზ-  
რად და ნედლეულის (პირველ რიგში მანგანუმის და ნავთობის) მი-  
მწოდებელ წყაროდ. ამასთანავე ამიერკავკასიის გერმანელ კოლო-  
ნისტთა მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ ეს გზა ხელს შეუწყობდა  
რა გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების განმტკი-  
ცებას ამიერკავკასიაში, საშუალებას მისცემდა ამიერკავკასიის გერ-  
მანულ კოლონიებს შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ ადრე

<sup>133</sup> კ. ჩ ა რ კ ე ი ა ნ ი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური  
პოლიტიკის შესახებ, თბილისი, 1962, გვ. 115.

<sup>134</sup> «Kaukasische Post», 1920, № 38.

<sup>135</sup> ი ქ ვ ე.

მოპოვებული პრივილეგიები, გერმანელი იმპერიალისტების შემუშავებული გეგმების თანახმად და მათი დახმარებით გადაქცეულიყვნენ „სახელმწიფოდ სახელმწიფოში“.

მაგრამ ამიერკავკასიის ხალხებმა გმირული წითელი არმიის ძმური დახმარებით ჩაშალეს გერმანიის და სხვა ქვეყნების იმპერიალისტთა და აგრეთვე კულაკ-კოლონისტთა ეს გეგმები. ამ დახმარების შედეგად 1920 წ. აპრილში აზერბაიჯანში, 1920 წლის ნოემბერში სომხეთში, ხოლო 1921 წლის თებერვალში საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ამიერკავკასიაში ისევე, როგორც ოქტომბრის რევოლუციას რუსეთში, გერმანელი კოლონისტები მტრულად შეხვდნენ<sup>136</sup>.

<sup>136</sup> А. К л и б а н о в, М е н о н и т ы, М.-Л., 1931, стр. 94.

## НЕМЕЦКИЕ КОЛОНИСТЫ В ЗАКАВКАЗЬЕ

(1817—1920 гг.)

### Резюме

После присоединения Кавказа к России одним из основных направлений политики царизма по отношению к нему, как указывал В. И. Ленин, была «сильная колонизация Кавказа, широкая распашка земли колонистами»<sup>1</sup>.

С первых лет XIX века царская Россия пыталась укрепить в Закавказье свое политическое и экономическое господство. С этой целью царизм пытался создать надежный оплот для проведения своей политики на вновь присоединенной территории. Для усмирения края и освоения его в хозяйственных интересах России царизм с начала XIX века прибегает к заселению территории Закавказья иностранными и русскими колонистами. Компактные поселения из иностранцев создали только немецкие колонисты.

При этом создание в Закавказье немецких колоний на протяжении XIX века, кроме названных общих признаков колонизации, имело свои особенности, из коих следует выделить замкнутость и обособленность колоний, особое их управление, превращение с 70-х годов немецких колоний в потенциальные вспомогательные силы агрессивного германского империализма и др.

Немецкие колонии в Закавказье в нашей литературе еще не стали предметом специального всестороннего исследования; особенно мало изучена их история периода второй половины XIX века и начала XX века. Говоря о малой исследованности, мы имеем в виду отсутствие трудов монографического характера по этому вопросу.

Данная книга состоит из введения и трех глав. В конце дается заключение и резюме на русском языке.

Во введении показана актуальность исследуемой темы и определена основная задача труда — изучение истории посе-

<sup>1</sup> В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 3, стр. 594.

ления и жизни немецких колонистов в Закавказье до установления Советской власти и политики царской России, стремящейся к колонизации Закавказья и превращению его в сырьевую базу своей промышленности и рынок сбыта. Для этого русскому царизму необходимо было насадить в Закавказье преданные ему элементы; таковых он видел и в немецких колонистах. В труде выявлено стремление германского империализма использовать в своих интересах существующие за рубежом немецкие поселения и создать новые колонии с тем, чтобы воспользоваться ими при осуществлении плана «Дранг нах Остен»; вскрыты экономические и политические последствия немецкой колонизации в Закавказье.

В книге отмечено прогрессивное значение присоединения Закавказья к России и положительное влияние его на политическую, экономическую и культурную жизнь Закавказья. После присоединения Закавказья к России был положен конец вторжениям Ирана и Турции, которые на протяжении веков пытались поработить народы Закавказья и грозили им физическим уничтожением; обеспечение внешней безопасности способствовало развитию производительных сил. Политика царской России, несмотря на ее колониальный характер, способствовала развитию некоторых отраслей экономики Закавказья и Грузии.

Царская Россия, заинтересованная в максимальном использовании богатств края, заселяла его, стремясь, помимо получения экономической пользы, способствовать укреплению своих политических позиций; в начале XIX века царизм приступил к заселению Закавказья.

В первой главе труда — «Основание немецких колоний в Закавказье» — изложена история создания немецких колоний в Закавказье. В 1816 году главнокомандующий Кавказской армии генерал Ермолов обратился к Министру внутренних дел Козодавлеву с ходатайством о поселении в окрестностях Тбилиси 30 семей немецких колонистов, которые должны были поставлять в Тбилиси овощи и другие продукты и подавать пример ведения хозяйства местному населению.

В 1817—1818 годах переселению немецких колонистов в Закавказье способствовали и создавшиеся в Германии политические и экономические условия. Развитие капитализма и наполеоновские войны способствовали усилению эмиграции из Германии. Особую роль в усилении эмиграции сыграли существовавшие в то время в Германии различные религиозные секты. Часть этих сект признавала «хилиазм» — веру во второе пришествие и создание «тысячелетнего» царствия — и стремилась встретить конец света на Востоке, у горы Арарат. Одной из таких сект была секта т. н. «сепаратистов», учение которой основывалось на положениях, изложенных в

трудах Таулера, Бенгеля, Эккартсгаузена, Гана. В окончательном виде сепаратистское учение сформулировал Юнг-Штиллинг. Именно Юнг-Штиллинг и его ближайшая последовательница фаворитка Александра I баронесса В. Крюденер сыграли большую роль в переселении на Кавказ сепаратистов.

В период пребывания императора Александра I в Штутгарте, в 1815 году<sup>2</sup> сепаратисты обратились к нему с просьбой о переселении в Закавказье. Александр I, сблизившись с представителями разных сект, баронессой Крюденер, Юнг-Штиллингом и др., пересмотрел свое ранее отрицательное отношение к сектантам и дал согласие на их переселение на Кавказ.

Сепаратисты, в основном уроженцы Вюртемберга и Бадена, не дождавшись официального разрешения, уже в 1817 году устремились в Россию (7000 чел.). По Дунаю они добрались до Одессы, где осели 300 семей. Для ускорения разрешения на поселение в Закавказье была направлена специальная делегация к находившемуся в Москве императору, одновременно были посланы представители на Кавказ для выбора мест, пригодных для поселения.

В Петербурге начали подготовку к поселению 500 семей колонистов в Закавказье, хотя Ермолов указывал, что одновременное поселение большого числа колонистов из-за нехватки земли может быть затруднено. В Одессе колонистов разделили на 10 партий, в каждой по 50 семей. Путь колонистов из Одессы проходил через Херсон, Таганрог, Ростов, Георгиевск, Моздок, Тбилиси. Первая партия — 31 семья — прибыла в Тбилиси в сентябре 1817 года.

Устройство поселенцев в Закавказье потребовало от царского правительства больших расходов; по данным специальной конторы управления колонистов, к 1823 году сумма составила 1065 642 руб. Колонистам давалась ссуда на 10 лет с обязательством выплаты, начиная с 1832 года (в течение 20 лет). Но выплачивать долг государству колонисты начали только в 1852 году и фактически погасили менее 1/3 полученной ссуды.

К концу 1818 года переселенцы образовали в Тбилисском и Елисаветпольском уездах 8 колоний: 1. «Новый Тифлис» —

---

<sup>2</sup> Датой встречи Александра I с сепаратистами почти все исследователи считают 1816 год, что, однако, не верно. Александр I в Штутгарте находился в 1815 году, когда направлялся после Венского конгресса в главную ставку русской армии, действовавшей против Наполеона. В 1816 году Александр I не был не только в Штутгарте, но и вообще за пределами России, поэтому датой встречи следует считать 1815 год.

в бывшем Кукийском районе города, где поселились только ремесленники. 2. Александерсдорф — в Дидубе. 3. Мариенфельд — у Сартичала. 4. Петерсдорф — у Мариенфельда. 5. Елизаветаль — в Сомхити, ныне Асурети. 6. Екатериненфельд — в Борчало, у Болниси. 7. Анненфельд — в Елисаветпольском уезде, Шамхора. 8. Еленендорф — в окрестностях Елисаветполя.

В последующие годы образовалось еще несколько новых колоний.

Правительство оказывало немецким колонистам большую помощь: бесплатно строило дома, давало ссуды на приобретение скота и орудий труда, передавало им отобранные у местного населения земли, с помощью военных частей защищало их от нападений и т. д.

Несмотря на эту помощь, в первое время колонисты находились в тяжелом положении. Им приходилось приспосабливаться к непривычному климату, отражать нападения выходцев из Персии и Турции, преодолевать трудности, связанные с неурожаем и эпидемиями. Экономическому подъему колоний мешало усилившееся сектантское движение.

Правительство попыталось использовать тяжелое положение колонистов и перевести их в лютеранство. В начале 40-х годов немецкие колонисты окончательно отказались от сектантской веры и примкнули к лютеранской церкви, что было обусловлено всесторонней помощью правительства и привело к повышению уровня экономической жизни колонистов.

С первых лет поселения, как и в последующий период, колонисты поддерживали тесный контакт с Германией.

Во второй главе — «Закавказские немецкие колонисты в XIX и начале XX века» — рассмотрены вопросы социально-экономического развития немецких колоний в XIX—XX веках: управление и администрация колоний, землепользование, деятельность их в сельском хозяйстве, ремесле и торговле, культурно-просветительные и общественные организации; приведены краткие этнографические сведения.

Одним из основных факторов благополучия немецких колонистов было их особое управление, благодаря чему немецкие колонисты мало зависели от местных властей и прямо подчинялись высшей администрации страны. В управлении немецкими колониями в Закавказье особую роль играл смотритель, должность которого была учреждена в 30-х годах прошлого века.

Обнаруженный нами в архиве полный текст инструкции, данной смотрителю в 1850 году, показывает, сколь велика была его роль в жизни немецких колоний: ему вменялись в обязанность забота об экономическом процветании колоний, утверждение в них порядка, напоминающего военную дисциплину.



лину, во время эпидемий, неурожая и других стихийных бедствий обеспечение колонистам максимальной помощи и поддержки со стороны правительства и др.

Реформы 60-х годов XIX века коснулись и иностранных колонистов Российской империи. С 1872 года было упразднено особое управление колоний, а колонисты юридически были приравнены к поселянам-собственникам. Но на немецких колонистов в Закавказье это мероприятие не распространилось. В 1883 году немецкие колонисты в Закавказье были переданы в ведение управления государственных имуществ, после чего они превратились в независимые единицы управления по отношению к главноуправляющему Кавказа. Только в 1903 году немецкие колонисты в Закавказье перешли в ведение губернских и уездных управлений и учреждений крестьянских дел, хотя некоторые привилегии им удалось сохранить.

Постановлением Комитета министров (1818 г.) каждая немецкая колонистская семья, поселившаяся в Закавказье (кроме поселившихся в Тифлисе ремесленников), должна была получить до 35 десятин удобной земли. В руки колонистов перешли значительные участки земли: в тифлисской колонии по 1,78 десят.; Александерсдорфе — 36,52; Мариенфельде — 35,00; Петерсдорфе — 35,00; Елизаветале — 35,43; Екатериненфельде — 27,92; Анненфельде — 47,54; Еленендорфе — 35,82 десятины. При этом колонисты получили большие угодья: леса, летние дачные места и др. Они приобрели большие участки земли у частных лиц. Только колония Екатериненфельд в 1880 году владела 2794 десятинами приобретенных земель. Обеспеченность землей стала одним из условий довольно высокого для того времени уровня экономической жизни немецких колонистов.

В 900-х годах Закавказская администрация все больше убеждалась в необходимости передать немецким колонистам в собственность наделную землю. В первое время этого же добивались колонисты, но затем в 1912 году, когда законопроект об обязательном выкупе наделной земли, представленный в Государственный совет, должен был вступить в силу, власти столкнулись с сильнейшим противодействием националистической верхушки колонистов, которая опасалась, что ставшая собственностью земля может попасть в руки представителей других национальностей, что приведет к нарушению единого этнического состава колоний.

Создавая поселения немецких колонистов в Закавказье, царизм стремился поднять уровень сельского хозяйства в стране. Власти надеялись, что немецкие колонисты поднимут уровень развития сельского хозяйства, станут образцом для подражания местного населения, внедрят в Закавказье но-

вые (главным образом технические) культуры, что позволит отказаться или сократить импорт некоторых видов сырья. Но немецкие колонисты не оправдали надежды царя.

Ведущее место в хозяйстве немецких колонистов занимали полеводство и виноградарство. Полеводство (особенно хлебопашество) было ведущей отраслью сельского хозяйства в колониях, расположенных в окрестностях Тбилиси (в Александерсдорфе, Мариенфельде, Петерсдорфе, Фрайдентале). Виноградарство было ведущей отраслью сельского хозяйства в Елизаветале, Анненфельде, Екатериненфельде и Еленендорфе. Две последние были самыми зажиточными среди закавказских немецких колоний. В Александерсгильфе ведущей отраслью хозяйства было скотоводство.

Сельскохозяйственные орудия, привезенные колонистами из Германии, в местных условиях оказались непригодными, и они использовали несколько видоизмененный грузинский плуг и другие местные орудия. В конце XIX века некоторые зажиточные колонисты обзавелись сельскохозяйственными машинами.

Власти помогли колонистам культивировать в Закавказье картофель и пригласили специалистов из Швейцарии для внедрения в колониях сыроварения.

Переселение немецких колонистов в Закавказье объективно имело и некоторые положительные стороны. Участие колонистов в сельском хозяйстве страны способствовало прогрессивному процессу дифференциации местного крестьянства и развитию капитализма в сельском хозяйстве. «Таким образом, — писал В. И. Ленин, — переселения усиливают разложение крестьянства на местах выхода и переносят элементы разложения на места вселения»<sup>3</sup>.

Немецкие колонисты способствовали развитию капиталистических отношений в сельском хозяйстве, особенно усилившемуся после крестьянской реформы. Эксплуатация местного населения в качестве батраков давала колонистам большой доход и повышала их экономическое благосостояние.

Одной из целей поселения немецких колонистов в Закавказье было развитие европейского ремесла, потребность в котором все больше возрастала. Среди прибывших в Грузию в 1818 году немецких колонистов был 191 ремесленник. Затем число их постепенно увеличилось за счет как вновь прибывших, так и местных немцев; они успешно конкурировали с местными цехами (амкарами), что вызывало между ними постоянные столкновения. Правительство оказывало всестороннюю поддержку немецким ремесленникам, для защиты ин-

<sup>3</sup> В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 3, стр. 175.

тересов которых был учрежден специальный комитет в Тифлисе.

Особое внимание развитию европейского ремесла уделялось при царском наместнике М. С. Воронцове. Немцы-ремесленники не входили в местные цехи. С 60-х годов в Тбилиси образовалось несколько объединений иностранных ремесленников (главным образом немцев). На них не распространялись ограничения числа подмастерьев и наемных рабочих. Благодаря широкому использованию наемного труда, мастерские ремесленников превращались в капиталистические предприятия.

Довольно значительное развитие получил у немецких колонистов извоз.

В торговле Закавказья немецкие колонисты играли сравнительно небольшую роль. Во второй половине XIX века, кроме нескольких купцов, они почти не занимались посреднической торговлей и только реализовали собственную продукцию. Таким образом, деятельность немецких ремесленников в Закавказье имела некоторые положительные последствия, тогда как сельскому хозяйству страны она принесла мало пользы.

Школы колонистов в Закавказье находились под надзором лютеранской церкви и строились по образцу, сложившемуся в Германии. Школьных учителей часто приглашали из России и Германии. Назначение их производилось по ходатайству местного общества. Уровень подготовки учителей в школах колоний был довольно низок.

До 70-х годов прошлого века обучение в немецких школах Закавказья велось только на немецком языке. Другие языки не изучались.

После реформы 60-х годов необходимость изучения русского языка стала очевидной для самих немецких колонистов, но изучение русского языка в своих школах они начали только с 70-х годов, он был обязателен лишь для мальчиков. Колонисты сравнительно хорошо знали местные языки (азербайджанский, грузинский, армянский), которые были им нужны в обращении с наемными рабочими.

С 1892 года школы немецких колонистов перешли в ведение Министерства народного просвещения, которое попыталось перевести преподавание предметов на русский язык, но не сумело этого добиться. Царское правительство, преследуя местные школы «инородцев», всесторонне способствовало открытию учебных заведений для немецких колонистов.

С 1911 года колонистам выдавалось из казны на каждые 50 детей школьного возраста по 390 рублей помощи.

В среде немецких колонистов во второй половине XIX века существовали различного рода культурно-просветительные учреждения — библиотеки, клубы, религиозные и куль-

турно-хозяйственные общества («Тифлисское немецкое собрание», «Тифлисский евангелическо-лютеранский церковный совет», «Благотворительное общество при школе евангелическо-лютеранской церкви св. Петра и Павла в г. Тифлисе», «Дамское евангелическо-лютеранское благотворительное общество в Тифлисе», «Евангелическое юношеское общество в Тифлисе» и др.). Отдельные «Собрания» существовали при каждой немецкой колонии, членами их могли быть только немцы лютеранского вероисповедания. Общества устраивали для своих членов торжества, связанные со знаменательными для Германии днями: традиционные торжества, связанные с членами семьи германского императора, выдающимися немецкими деятелями. Так, например, в 1895 году «Тифлисское немецкое собрание» устроило большой праздник в связи с 80-летием со дня рождения Бисмарка.

Немецкие общества располагали значительным имуществом и денежными средствами. Только находящееся в ведении «Тифлисского немецкого собрания» имущество в 1897 году было оценено в 6.000 рублей, в кассе «Дамского евангелическо-лютеранского благотворительного общества в Тифлисе» на 1 января 1914 года насчитывалось основного капитала 18.808 руб., что по тому времени было довольно крупной суммой.

Учебные заведения и вышеуказанные общества немецких колонистов способствовали обособлению, отчуждению их от местного населения. Организации хозяйственно-культурного типа, проводившие широкую националистическую пропаганду среди живших в Закавказье немцев, утверждавшие «национальный дух», были тесно связаны с немецкими разведывательно-диверсионными центрами.

Царизм также был заинтересован в изолированности колонистов, в которых видел овою опору в Закавказье. Еще в 1829 году был издан указ царского правительства, запрещающий браки между грузинами и немецкими колонистами. Это мероприятие имело целью с самого же начала предотвратить сближение колонистов с грузинским населением. С этой же целью кавказская администрация циркулярным предписанием от 1948 года воспретила жить в немецких колониях армянам и представителям других местных народов.

Почти все исследователи, изучавшие немецкие колонии, подчеркивают, что колонисты охраняли свою национальную обособленность, считали себя представителями высшей расы и с презрением относились к местному населению. Это было характерным явлением не только для Закавказья, но и для всей Российской империи, где существовали немецкие колонии. В этом отношении не составляло исключения и русское население.

Национальная обособленность немецких колонистов была особенно явной в период революции 1905—1907 гг. Немецкие колонисты не принимали в революции почти никакого участия, но их симпатии в этой борьбе определялись были на стороне царизма. Не случайно реакционные партии пытались использовать немецких колонистов в борьбе против революции. Однако колонистов мало интересовали успехи какой-либо партии. Они пытались «ловить рыбу в мутной воде» — получить какую-либо выгоду из беспорядков, вызванных революцией. С этой стороны очень характерны требования «революционных» требований, которые выдвинули 31 июля 1905 года колонисты Екатериненфельда: охранение и расширение привилегий колонистов, которые добивались передачи наделной земли в собственность (это требование позднее из националистических соображений было снято), уменьшения оброка и налогов, раздела оросительной воды с помощью полиции, выдача льготного кредита, запрещение ношения огнестрельного и холодного оружия и т. д. Аналогичные требования были выдвинуты и некоторыми другими колониями в Закавказье. Впоследствии колонисты гордились тем, что среди народов живших в России, они были единственными, кто остался лояльным по отношению к правительству в период революции 1905 года. В связи с этим вождь немецких националистов в Закавказье пастор-адьюнкт Шлейнинг, защищая немецких националистов от обвинения в антиправительственных действиях, писал: «Немцы не принимали участия в революционном движении, проходившем несколько лет назад, оставаясь стойко лояльными по отношению к правительству».

Известный апологет немецких колонистов К. Линдеман, характеризуя отношение немецких колонистов к революционному движению, писал: «Не лишним будет напомнить, что немецкие колонисты в отношении их политического направления являются убежденными монархистами, твердо стоящими за охрану современного государственного и социального строя и не увлекающимися утопиями левого лагеря в нашем обществе. Такое политическое настроение было причиной того глубокого недовольства и раздражения, какое питали ко всем русским немцам в 1905 и 1906 годах те члены русского общества, которые тогда мечтали о созыве Учредительного собрания, о республиканском строе, об отчуждении собственности по «справедливой оценке», о социализации орудий производства и капиталов и т. д. Ко всему этому немцы-колонисты относились с решительным отрицанием».

В последнем параграфе II главы излагаются краткие этнографические сведения о колонистах (их нравах и обычаях).

В третьей главе — «Закавказские немецкие колонисты в годы первой мировой войны и интервенции» — рассмотрено положение немецких колоний в Закавказье в годы первой мировой войны и интервенции. После начала первой мировой войны немецкие колонисты привлекли особое внимание кавказской администрации, поскольку их достаточно тесные связи с германским правительством создавали опасность для государственных интересов России. Однако мероприятия русских властей скорее имели целью успокоить общественное мнение, нежели обеспечить интересы государственной безопасности. Обусловлено это было влиянием при русском дворе германофильского направления.

Первым таким мероприятием было изменение немецких названий колоний в Закавказье (Александрсдорф стал называться Александровское и соответственно другие колонии Петровским, Веселое и т. п.).

С ноября 1915 года приказом наместника в немецкие колонии были назначены старосты и писари для надзора над колонистами и для прекращения их «злостной деятельности» в связи с войной, однако, как видно из тайных донесений чиновников полиции и жандармерии, этот надзор «чрезвычайно затруднялся из-за замкнутости колоний и единства их этнического состава».

Еще до первой мировой войны на почве экономических противоречий между Германией и Россией в русской литературе и прессе началась кампания против т. н. «немецкого засилья», что отражало интересы некоторых кругов русской буржуазии и помещиков, испытывающих сильную конкуренцию со стороны немецких колонистов и промышленников.

С началом войны эта кампания приобрела официальный характер, что отразилось на государственных мероприятиях, касавшихся как землевладения, так и промышленности и торговли, в каждом из них характеризуюсь определенными особенностями.

Ограничение размеров земельных участков, находящихся в собственности немецких колонистов, правительство попыталось провести еще до войны. Империалистическая война вызвала усиление крестьянской борьбы в Российской империи. В ликвидации немецкого землевладения и передаче колонистской земли крестьянам русское правительство видело средство оторвать крестьянство от революционной борьбы, оградить помещичьи владения от аграрных выступлений. С этой целью правительство 2 февраля и 13 декабря 1915 года издало специальные законы о ликвидации землевладения лиц немецкого происхождения. Первый закон касался только западных пограничных областей, второй — распространялся на всю Российскую империю, в том числе на Закавказье.

Предусмотренная означенными законоположениями ликвидация землевладения всей тяжестью легла на рядовых колонистов в часть кулачества. На крупных землевладельцев эти законы практически не распространялись. Ликвидации подлежали только те владения, которые принадлежали лицам, принявшим русское подданство после 1880 года. Кроме того, закон не касался землевладений тех семей, члены которых по восходящей или нисходящей линии имели боевые награды или служили офицерами в русской армии и флоте. На солдат и членов их семей льготы не распространялись.

Практическое осуществление ликвидации немецкого землевладения в Закавказье началось в первые месяцы 1916 года. В июне 1916 года в связи с этим вопросом в Еленендорфе было созвано секретное совещание, на котором в качестве делегатов присутствовали представители от всех колоний Закавказья. Совещание единогласно постановило предпринимать всяческие меры для срыва этих мероприятий.

В Государственной Думе против этого закона выступали не только большая часть правых партий, но «левые» партии — «трудовики» и меньшевики, видевшие в этом законе покушение на святая святых — частную собственность. Государственная Дума отложила рассмотрение законопроекта на неопределенное время.

В создавшейся обстановке колонисты, в руках которых находилась значительная часть земельного фонда Российской империи, прекратили обработку земли, что привело к еще большему ухудшению и без того тяжелого продовольственного состояния страны. Поэтому к весне 1916 года Совет министров был вынужден принять решение, согласно которому колонистам, продолжающим обработку земли, их земельные участки сохранялись на срок до двух лет. Это решение распространялось только на пахотные земли, на которых в основном, сеялась пшеница.

Немецкие колонисты Закавказья обратились с ходатайством в Совет министров о распространении постановления и на виноградники, которые в их хозяйстве занимали значительные площади. Хотя колонисты формально получили отказ, но фактически виноградники, как другие земельные участки, остались неприкосновенными до конца войны.

Несмотря на опасность, которую в условиях войны с Германией создавали колонисты, особенно крупные землевладельцы, ликвидационная политика не только теряла для царизма свою значимость, но и становилась опасной. Ликвидация немецкого землепользования из-за бесконечной затяжки процесса, указывал представитель правительства в сентябре 1916 года, «постоянно напоминает населению о существовании принципа «насильственного отчуждения». Этим, видимо,

и следует объяснить один из последних актов царского правительства — в январе 1917 года через Министерство юстиции фактически было прекращено действие закона о ликвидации. Царская бюрократия неофициально признала срыв широко задуманного и разрекламированного плана. Временное правительство и не пыталось по-новому решить этот вопрос. Оно вообще приостановило все ликвидационные меры в области земледелия, что было логическим завершением ранее начатых мероприятий.

Проповедником германского национализма и шовинизма в Закавказье была выходившая в Тбилиси на немецком языке газета «Кауказише Пост». В 1907—1908 гг. газету редактировал известный писатель Артур Лайст. В 1909 году А. Лайст, не разделявший взглядов сотрудников этой газеты, отказался ее редактировать. С 1909 года газету редактировал эмиссар германской военной разведки Мослер. Именно с этого времени газета «Кауказише Пост» стала пропагандистом идей пангерманизма. Ее деятельность еще больше активизировалась после того, как в марте 1912 года ее редактором и издателем стал вождь закавказских немецких националистов И. Шлейнинг.

После начала войны выпуск «Кауказише Пост» на некоторое время был приостановлен, но затем вновь возобновился. К этому времени деятельность Шлейнинга привлекла внимание широкой общественности. Он создавал различные националистические союзы, проводил среди колонистов сбор средств на нужды германской армии и др. После начала войны выяснилось, что Шлейнинг получал значительные суммы из германской казны, из т. н. «фонда на нужды прессы». Только в 1913 году он получил от германского правительства по этой линии 1500 марок. Деятельность Шлейнинга приобрела настолько явный характер, что оставлять его на свободе было уже невозможно, в прессе появилось несколько направленных против него статей. В конце 1914 года Шлейнинга арестовали и выслали на север до окончания войны.

Сотрудниками Шлейнинга были А. Мослер, владелец гостиницы «Лондон», Э. Рихтер, заместитель директора Кавказского музея Р. Шмидт, комиссионер Г. Мей, владелец кинотеатра «Аполло» (ныне «Октябрь») К. Зурков, чиновник почты А. Фальк, староста Екатериненфельда И. Альмендигер, колонисты Р. Шварц, К. Штиллер и др. Шлейнинг и перечисленные лица поддерживали тесные связи с колонистами, с одной стороны, и германским тбилисским консульством, с другой.

В первые дни мировой войны после показательной лояльности закавказские немецкие колонисты все более и более явно обнаруживали свои симпатии к германскому империализму и часто саботировали мероприятия военных властей. Колонис-



ты систематически избегали призыва в армию.

Военные власти, естественно, мало доверяли колонистам на германском фронте, поэтому они в основном использовались на тыловой службе или посылались на турецкий фронт. Но колонистам часто удавалось попасть на германский фронт, где они уже в первых боях сдавались в плен. Так поступил, например, один из членов известной семьи Фореров прапорщик И. Г. Форер.

Характерна и деятельность еленендорфского поселенца Адольфа Кеслера. Он получил образование в Германии, до начала войны вновь ездил в Германию, где сделал карьеру, став пастором при дворе кайзера Вильгельма.

Поместья зажиточных немецких колонистов были опорными пунктами германской разведки. В 1914 году в Еленендорф прибыли из Германии 15 инженеров, которые тщательно изучили окрестности колонии. «Гости» часто бывали и в других закавказских колониях. Среди них, офицеры генерального штаба: полковник фон Цицевич, полковник фон Плато, капитаны Рауш, Гай и др. Но колонисты не довольствовались только помощью германской разведке, они подготавливали и иногда осуществляли диверсии, скрывали от властей подлежащее реквизиции имущество и т. д.

Колонисты подготавливали планы взрыва железнодорожных мостов на р. Куре у Кюрдамира, Евлаха и Дзегами.

Осенью 1914 года известная фирма «Братья Форер» сумела получить заказ на изготовление вина для русской армии в Галиции. Они послали в Галицию отравленное вино, от которого погибли сотни русских солдат и офицеров.

Закавказские колонисты представляли известную опасность как потенциальная военная сила. Именно поэтому закавказская администрация начала изъятие у немецких колонистов огнестрельного оружия, запасы которого пополнялись колонистами, находившимися на Кавказском фронте.

Особенно активизировались немецкие колонисты после вступления в Грузию германских войск (май 1918 г.), выступая в роли вспомогательной силы немецких оккупантов, которые сразу же объявили мобилизацию всех военнообязанных немцев, проживающих на территории Закавказья.

Германские оккупанты грубо вмешивались во внутренние дела Грузии. Необходимые сведения о состоянии народного хозяйства Грузии, о запасах различного сырья и имущества они получали, главным образом, через колонистов.

По наущению и при участии немецких колонистов интервенты разоружали и грабили местное население. Германская делегация в Грузии пыталась узаконить соответствующим договором с грузинским меньшевистским правительством особое положение немецких колонистов. Глава делегации Кресс

фон Крессенштейн вместе с Закавказским немецким национальным советом выработал проект договора. Колонисты добивались права принять германское подданство и создать собственную вооруженную милицию. Авторы проекта рассчитывали на территории Грузии создать из немецких колоний «государство в государстве» под руководством германской военной миссии.

Меньшевистское правительство подготавливало принятие договора, но революция в ноябре 1918 года и военное поражение Германии в первой мировой войне сорвали его утверждение. К январю 1919 года германская армия и военная миссия оставили Грузию и Закавказье.

Меньшевистское правительство не только не ограничило колонистов-кулаков, но, наоборот, оказывало им помощь под видом защиты «культурных хозяйств». После ухода германских интервентов немецкие колонисты уже не могли, как раньше, бесчинствовать в окрестных селах, но у них были наготове вооруженные отряды, якобы, для самообороны.

В июне 1919 года закавказские немецкие колонисты и лютеранская церковь с большой пышностью отметили столетие со дня поселения немецких колонистов в Закавказье и создания лютеранского прихода.

К 1920 г. Германия возобновила экономические связи с Грузией. Национальный совет немцев Закавказья и его орган «Кауказише Пост» рекомендовали меньшевистскому правительству создать специальный земельный фонд для поселения новых колонистов из Германии. Меньшевистское правительство детально рассмотрело вопрос о переселении в Грузию из Германии нового потока колонистов, несмотря на то, что местное население страдало от безземелья и безработицы.

Руководители немецких колонистов предполагали, что это мероприятие наряду с другими факторами будет способствовать укреплению в Закавказье экономических и политических позиций Германии, позволит немецким колонистам сохранить и укрепить полученные привилегии.

Но народы Закавказья при братской помощи героической Красной Армии сорвали эти планы германских и других империалистов, а также кулаков-колонистов. Победу Советской власти в Закавказье, как и Великую Октябрьскую революцию в России, немецкие колонисты встретили враждебно.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . .	3
თავი I გერმანული კოლონიების შექმნა ამიერკავკასიაში	11
1. კოლონიზაციის დასაწყისი, მისი მიზეზები და კოლონიების გეოგრაფიული ვანლაგება ამიერკავკასიაში . . . . .	11
2. ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების სამეურნეო განვითარების დასაწყისი . . . . .	33
თავი II ამიერკავკასიის გერმანული კოლონიები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში . . . . .	42
1. ამიერკავკასიის გერმანული კოლონიების მმართველობა და ადმინისტრაცია . . . . .	42
2. ამიერკავკასიის გერმანულ კოლონისტთა მიწათმფლობელობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა . . . . .	59
3. გერმანული კოლონისტები ამიერკავკასიის ხელოსნობასა და ვაჭრობაში . . . . .	88
4. გერმანულ კოლონისტთა სასწავლებლები, საზოგადოებრივი დაწესებულებები და ორგანიზაციები . . . . .	116
5. ამიერკავკასიის გერმანულ კოლონისტთა ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი (ეთნოგრაფიული ცნობები) . . . . .	134
თავი III ამიერკავკასიის გერმანული კოლონისტები პირველი მსოფლიო ომის დაინტერვენციის წლებში	143
Немецкие колонисты в Закавказье (1817—1920 гг.) (Резюме) . . . . .	180

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი შ. ლომსაძე  
გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი  
ტიპრედაქტორი ლ. ჭვებენაძე  
მხატვარი გ. ნადირაძე  
კორექტორი ლ. ჯაში

გადაეცა წარმოებას 10.12.1973 ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.3.74;  
ქალაქის ზომა  $60 \times 90^{1/16}$ ; ნაბეჭდი თაბახი 12.25; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 11.15; უე 08422; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 3059;  
ფასი 1 მან. 06 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060. კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мешниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060. კუტუზოვის ქ. 19.  
Тш. АН Гҭ.уз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Манджгаладзе Гурам Христофорович

НЕМЕЦКИЕ КОЛОНИСТЫ В ЗАКАВКАЗЬЕ  
(1817—1920 гг.)

134/89



საქართველოს  
ქრონიკა

3 2980

ფასი 1 მან. 6 კპ.